

თამარ ბოკუჩავა

Tamar Bokuchava

მითოსი და ქართული თეატრი
Mythos and the Georgian Theatre

თბილისი

2019

Tbilisi

ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული თეატრისა და ქართული კულტურის ურთიერთგავშირების საფუძვლების კვლევას. აღდგენილი ქართული თეატრის, შემდგომში – რუსთაველის თეატრის მაგალითზე მითოსისა და თეატრალური ხელოვნების ურთიერთმომართუბები განხილულია კულტუროლოგიურ-მითოლოგიური კონტექსტის ფარგლებში. მონოგრაფიაში ნაჩვენებია ქართული თეატრის განვითარების ხაზი, რომელიც მითოლოგიზაციის აქტიურ პროცესს ექვემდებარებოდა.

რედაქტორი: თეა შურლაძა

ყდის დიზაინი: მანანა გუნია

დაკაბადონება და კომპიუტერული დამუშავება: ეკატერინე ოქროპირიძე

წიგნში გამოყენებული ფოტომასალა დაცულია შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმში.

წიგნი გამოიცა მეგობრების ფინანსური მხარდაჭერით

© მარინა ბოკუჩავა
© Marina Bokuchava

ISBN 978-9941-8-1993-3

სარჩევი

რედაქტორის წინათქმა -----	5
შესავალი -----	11
თავი I	
კულტურის დრამატული მითის საფუძვლები იღია ჭავჭავაძის წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალგას ბე ერისთავის მიერ კახლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა -----	27
თავი II	
მითოლოგიზმი ალექსანდრე ახმეტელის თეატრალურ თვალსაზრისში -----	42
თავი III.	
მითი და ინიციაციის რიტუალი რობაქიძის დრამაში „ლამარა“ -----	64
თავი IV	
მითების დეკონსტრუქცია და კონსტრუირება რობერტ სტურუას შემოქმედებაში -----	94
თავი V	
სპექტაკლ „სტიქსის“ წინასწარი გაგებისათვის -----	133
დასკვნა -----	155
Mythos and the Georgian Theatre (summary) -----	161
ბიბლიოგრაფია -----	168
პირთა სამიებლი -----	173
ილუსტრაციები -----	177

რედაქტორის წინათქმა

„მითოსი და ქართული თეატრი“, სამწუხაროდ, ავტორის – პროფ. თამარ ბოკუჩავას გარეშე, მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიცემა. სტუდენტების დამხმარე სახელმძღვანელოდ გამიზნული ეს წიგნი, ფაქტობრივად, ავტორის საღისერტაციო ნაშრომის პუბლიკაციაა, რომელიც 2006 წელს წარმატებით იქნა დაცული.

დისერტაციის ტექსტისგან რამდენიმეწლიანი დისტანციორების შემდეგ თამარ ბოკუჩავა მის გადამუშავებასა და გავრცელებას აპირებდა. ურიცხვი მოვალეობების გამო, რომელთაც დაუზარებლად იტვირთავდა ხელმე, საკუთარი თავისთვის დრო თითქმის არ რჩებოდა. ჯერ სხვისი (პიროვნების თუ ინსტიტუციის) საქმე და მერე საკუთარი – ასეთი იყო მისი პრინციპი. ამგვარი მიღვომის შედეგად თამარ ბოკუჩავას ორიგინალურობით, მეცნიერული სიღრმითა და კონცეპტუალური ხედით გამორჩეული, ადრე გამოქვეყნებული თუ ხელნაწერის სახით დარჩენილი ნაშრომების გაერთიანება და წიგნად გამოცემა, როგორც ჩანს, მის გარეშე უნდა მოხდეს.

ჩემთვის დიდი პატივია, რომ თამარ ბოკუჩავამ, რომელთანაც, სულ მცირე, ორმოცდახუთწლიანი მეგობრობა მაკავშირებდა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თავისი ნაწერების „პატრონობა“ მომანდო. თამარსა და მე საერთო პროფესია არ გვქონია, მაგრამ ბევრი სხვა რამ გვაერთიანებდა: საკუთარი პროფესიის ერთგულება, საერთო ზნეობრივი პრინციპები, მოვლენებისა თუ ფაქტების მსგავსი ინტერპრეტაცია და ა.შ. ანუ თითქმის ყველაფერი ის, რითაც საზრდოობს ორი ადამიანის მეგობრობა. ხშირად მისი ნაწერების პირველი მკითხველი და, მისივე თხოვნით, პირველი შემფასებელი გახლდით. თუმცა, ვინაიდან თამარი გულლია ადამიანი იყო და თავის მოსაზრებებს უშურველად უზიარებდა მეგობრებს, კოლეგებს, ახლობლებს, ალბათ მის „ახალშობილ“ იდეებს გაცილებით მეტი მსმენელი ჰყავდა. ეს ადამიანები, რომლებიც იცნობდნენ თამარ ბოკუჩავას გამორჩეულ გონიერებას, მის შთამბეჭდავ ერუდიციასა და კეთილსინდისიერებას, იოლად წარმოიდგენენ, როგორი როგორი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი, როგორი მძიმე ტვირთია ნებისმიერი ადამიანისთვის თამარ ბოკუჩავას უმდიდრესი ინტელექტუალური მემკვიდრეობის „პატრონობა“ – ამ მემკვიდრეობის ავტორის გარეშე გამოცემა...

მკითხველს მოკლედ გავაცნობ პრინციპებს, რომლითაც ვხელმძღვანელობდი წიგნის „მითოსი და ქართული თეატრი“ გამოსაცემად მომზადებისას:

საფუძვლად აღებულია ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თამარ ბოკუჩავას მიერ 2006 წელს წარდგენილი დისერტაციის ტექსტი, რომელშიც აღმოიფხვრა კორექტურა და შევიდა აუცილებელი რედაქციული ცვლილებები;

დაიხვეწა ნაშრომის ტექნიკური მხარე, კერძოდ, განახლდა, დღევანდელ მოთხოვნებს დაუახლოვდა და წიგნისთვის მორგებული სახე მიეცა სქოლიობებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიას;

ტექსტში უცვლელად დარჩა ტერმინოლოგია, მათ შორის, ავტორის მიერ შემოღებული ტერმინებიც. რედაქტირებისას გათვალისწინებულია თამარ ბოკუჩავას განმარტება, რომელსაც ვიმოწმებ სადისერტაციო საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშიდან:

„ზოგჯერ, მე კეთილგანვითარების საზიანოდ და აზრის გამოკვეთისთვის ვირჯებოდი. მაქვს ჩემი „შეთხული“ განსაზღვრებებიც, როგორუბიცა: „პროდუქტიული ფორმა“ თუ „საზრისობრივი ველი“, რომელიც, შესაძლოა, სადაც, მაგრამ კონკრეტული აღერის გამოხატვაში მეხმარება.“

ცვლილება არ შეჰქნებია ტექსტის შინაარსობრივ მხარეს, ნაშრომის სტრუქტურასა და ავტორისეულ სტილს.

ამ მონოგრაფიის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ მკითხველს ვთავაზობ ამონარიდებს ავტორიტეტული ექსპერტების შეფასებებიდან, რომლებიც თამარ ბოკუჩავას დისერტაციის დაცვის სხდომაზე გამოითქვა. წყაროდ გამოყენებულია შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს (**ART 17. 01 №1 სხდომის № 28**) 2006 წლის 12 დეკემბრით დათარიღებული სტენოგრაფიული ანგარიში.

პროფ. ნათელა არველაძე, ოფიციალური ოპონენტი:

„ნაშრომის სტრუქტურა, მისი შინაგანი დინება და ლოგიკა წარმოაჩენს ავტორის მიერ არჩეულ საკითხთა ფართო წრესა და

მათ მნიშვნელობას აღნიშნული ასპექტის ანუ მითოსისა და ქართული თეატრის შემდგომი კვლევა-ძიებისათვისაც.

„კვლევის ამგვარი სკლა ისტორიული, ემპირიული, კონცეპტუალური, სათეატრო სემიოტიკისა და ლინგვისტიკის ნაერთად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც იმის აღნიშვნის საფუძველს გვაძლევს, რომ ითქვას: ქართულ თეატრმცოდნეობაში წარმატებით განხორციელდა ინტერდისციპლინარული კვლევა, რამაც ნაშრომის მასშტაბიც გამოკვეთა...“

„თამარ ბოკუჩავას ნაშრომში მიგნებულია მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა, თეატრის ხელოვნების ფუნდამენტურ საკითხთა წყება, რომელთა დამტეშავება-შესწავლით არა მარტო ახალი რაგურისით წარმოჩნდა თავად ეროვნული სასცენო შემოქმედება, რუსთაველის თეატრის ტრადიციისა თუ ისტორიის სხვადასხვა შრე, არამედ კვლევის ახალი თვალსაზრისით გამდიდრდა თეატრმცოდნეობითი კვლევის ფორმები, გამოიკვეთა ეროვნული თეატრმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპის ნიშანდობლიობაც, მიმართებაც, განვითარების პერსპექტივაც.“

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი პაოლა ურუშაძე, ოფიციალური ოპონენტი:

„თ. ბოკუჩავას შრომა ნათლად მეტყველებს იმაზეც, რომ მის ავტორს არა მხოლოდ თანამედროვე ხელოვნების მითოლოგიზმის პრობლემები აინტერესებს, არამედ ჩვენს თანამედროვეობაში აშკარად გამოკვეთილი მითოსური არქეტიპების ურთიერთჩანაცვლებისა და დროში ტრანსფორმაციის პროცესიც. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, ჩემი აზრით, ნაშრომის მკვეთრი ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური მიზანდასახულობა, მასში ანალიტიკური ფსიქოლოგის იდეათა და მონაცემთა ჩართვა და, ამასთანავე, ის უაღრესად ღრმა და შინაარსიანი დიალოგი, რომელსაც მთელი შრომის მანძილზე ავტორი მართავს საქართველოს სხვადასხვა დროის, მისივე განსაზღვრით, „კულტურულ გმირებთან“, ვისთვისაც ერის რაობაზე და მოწოდებაზე განსჯა ხელოვნების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. მისი ორიგინალური კონცეფციაც აღდგენილი ქართული თეატრის „მითოლოგიზაციის“ და შემდგომში მისი

ქართველების მიერ „მითად“ აღქმის შესახებ ვერ ჩამოყალიბდებოდა და ასე ვრცლად და საინტერესოდ ვერ გაიშლებოდა, წარსულთან ამ უშუალო, ცოცხალი დიალოგის გარეშე. თამარ ბოკუჩავას მიერ ქართული თეატრის მითშემოქმედებისა და მითად არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორების ახსნა და ანალიზი, რეალურად მომხდარი ამბებისა და „დამთხვევების“ სიმბოლური არსის ამოკითხვა მრავალი კუთხითაა საგულისხმო, ყველაზე მეტად კი ქართველი ადამიანის ეროვნული თეატრისადმი უღრმესი პიეთეტის ჭეშმარიტი სოციალ-ფიქოლოგიური ფესვებისა და მისი ისტორიული წანამძღვრების უფრო ნათლად დანახვისა და გაგების თვალსაზრისით. აქ განსაკუთრებით, როგორც იტყვოდა ბატონი დიმიტრი [ჯანელიძე], „ძვირფასია“ თამარ ბოკუჩავას მიერ აღდგენილი თეატრისა და მითის სიმბიოზი და ამ სიმბიოზის შემდგომ მოლიფიკაციებში ერის თვითგადარჩენისა და თვითგანახლების ინსტინქტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახიერ-გრძობადი გამოვლინების დაფიქსირება“.

პროფ. გურამ ლებანიძე, ფილოსოფიის დოქტორი:

„ეს ნაშრომი უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო თეატრმცოდნეობისათვის, არამედ სწორედ კულტურისა და მითის თეორიებისთვის...“

ამ დისერტაციაში... ხდება დაბრუნება შპენგლერთან, მაგრამ სრულიად სხვა კონცეპტუალურ საფუძველზე. ისეთი დაბრუნება, რომელიც მხოლოდ დღეს იყო შესაძლებელი და სწორედ იუნგის არქეტიპთა თეორიაზე დაყრდნობით. ეს ნაშრომი კულტუროლოგიისთვის, კულტურის თეორიისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თეატრმცოდნეობისთვის...“

ჩემი აზრით, თამარ ბოკუჩავამ ააგო კულტურის მითით დაფუძნებული, მითშემოქმედებით დაფუძნებული დინამიური, დინამიურ-ხდომილებრივი მოდელი. ქართული კულტურა, ყოველ შემთხვევაში, ბოლო ორი საუკუნისა, გაგებულია სწორედ მის ხდომილებრივ დინამიკაში...“

„...მართალია ქალბატონი თამარი თეატრმცოდნეა და ეს თეატრმცოდნეობითი ნაშრომია, მან ის ფუძემდებული ნარატივი, რომლის გარეშე შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა ქართული თეატრი, დაინახა არა თვით თეატრში, არამედ პოეზიასა და ილიას

ესეისტურ ნააზრევში. ამით... შეიქმნა ქართული კულტურის, და იქნებ არა მარტო ქართული კულტურის, მითოლოგიურად გავეცული კულტურის დინამიური მოდელი, კულტურა მის დროით ვერტიკალში; შეიქმნა ქართული კულტურის, როგორც დინამიური ფენომენის, სხვა კულტურებთან შედარების საფუძველი, ქართული კულტურის ტიპოლოგიურ პლანში დანახვის სრულიად ახალი საფუძველი.

...თუ ქართულ კულტურას დავინახავთ მის დინამიკაში, როგორც ეს დაინახა თამარმა, იკვეთება საოცარი მსგავსება ძველბერძნულ კულტურასთან. ...იქაც გვქონდა უძველესი მითოლოგიური საფუძველი, შემდეგ გვქონდა ბერძნულ ლირიკაში, ისე როგორც ეს ხდებოდა ჩვენთან, როგორც ეს გვიჩვენა თამარმა ბარათაშვილთან.

...როცა შეიქმნა კლასიკური ბერძნული თეატრი, თუ გავიხსენებთ გზას, რომელიც მან გაიარა ესქილედან ევრიპიდემდე, საოცარი ტიპოლოგიური მსგავსებაა სწორედ იმ გზასთან, რომელიც გაიარა ქართულმა თეატრმა, ისე, როგორც ამას გვიჩვენებს თამარი. ასე რომ, ჩემი აზრით, ძალიან დიდია ამ ნაშრომის მნიშვნელობა არა მარტო თეატრმცოდნებისთვის, არამედ მთელი ჩვენი საერთოდ ჰუმანიტარული აზროვნებისთვის.

...ეს რა თქმა უნდა გამოკვლევაა..., მაგრამ თავის ქვეტექსტში იგი სცილდება თვით გამოკვლევის ფარგლებსაც. გავიხსენოთ ავტორეფერატის ბოლო სიტყვები: თუ კულტურა გასცდება მისთვის ფუძემდებელი მითის საზღვრებს, მაშინ შეიძლება მოხდეს კულტურული კოლაფსი. ეს სიტყვები, ჩემი აზრით, გარკვეულ კულტურულ პროგრამასაც კი შეიცავს. დღეს, მგონი, თუ საქართველოს რამე ემუქრება, შეიძლება ემუქრებოდეს ასეთი კოლაფსი იმიტომ, რომ გლობალიზაცია სულიერსა და კულტურულ პლანში შეიცავს თავის თავში ამგვარი კოლაფსის საშიშროებას. მაგრამ, თუ ქართული აზროვნება დღეს მიჰყება ამ პროგრამას და იმ მოდელს, რომელიც ჩვენ მოგვაწოდა ქალბატონმა თამარმა, მგონი ამ კოლაფსის საშიშროება ნაკლები იქნება“.

* * *

დაბოლოს, მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ის ადამიანები, რომელთაც წიგნის გამოსაცემად მომზადებისას დახმარება გამიწიეს:

მარინა ბოკუჩავა — თამარის და, რომელმაც ყველანაირად შემიწყო ხელი და მორალურადაც გამამხნევა;

ნინო გუნია-კუზნეცოვა და **მაია გაბუნია** — თამარის მეგობრები და კოლეგები;

ბელა ჭუმბურიძე, მეგი ლევანიძე და **მარიამ მერაბიშვილი** — შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მუზეუმის თანამშრომლები.

იმედია, ამ მონოგრაფიით შევძელით თამარ ბოკუჩავას სათქმელი მკითხველამდე უდანაკარგოდ მიგვეტანა.

თეა შურლაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის
კათედრის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის შექმნას წინ უსწრებდა ქართული თეატრისა და ქართული კულტურის ურთიერთმმართების, მათი ურთიერთკავშირის საფუძვლებისა და ფორმების გამოკვეთის სურვილი, თვით ამ კულტურისა და მისი ხელოვნების არსებობის შესაძლებლობის კვლევა. ამისთვის აუცილებელი გახდა ქართული კულტურის მიერ საკუთარი იდენტობის განცდის პრიორიტეტულ სფეროთა წინასწარი დასხვა, ამ იდენტობის ციკლური და წრფივი დინამიკის დასხვა. წინასწარი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მონოგრაფიის ფარგლებში მითოსად უნდა განხილულიყო როგორც მთლიანად კულტურის, ისე მის ცალკეულ სფეროთა, მათ შორის კი, უპირატესად, ხელოვნებისა და ფიქტიკის მაორგანიზებელ პრინციპთა (იუნგის ტერმინოლოგიით – „ფაქტორთა“) ერთობლიობა, რომელთა აპრიორული არსებობა კულტურისა და მის ფენომენთა არსებობას შესაძლებელს ხდის.

ნაშრომში რომელიმე განსხვავებული კონცეფციის ბოლომდე გაზიარება არ მომხდარა, ის უფრო ამ კონცეფციათა სინთეზს დაეფუძნა. არ გვიცდა იმის კვლევა, თუ სად არსებობს ან საიდან მომდინარეობს კულტურის, როგორც შესაძლებლობის, მაორგანიზებელი პრინციპები – ტრანსცენდენტური თუ ტრანსცენდენტალური სამყაროდან, არაცნობიერი ფიქტიკის წარიდან თუ იდეოლოგთა ცნობიერი და მიზანმიმართული საქმიანობიდან.

არსებული მოსაზრებების გათვალისწინებით შეგვიძლია ვიგარაულოთ, რომ კულტურის ყველა ძირითადი ფენომენი, როგორიცაა: რელიგია, ენა, ხელოვნება, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო თვალსაზრისებიც კი კულტურისა და ფიქტიკის სხვადასხვა სფეროთა გადასახვდიდან დანახული რეალობის ორგანიზების ერთსა და იმავე (ან პრინციპულად მსგავს) მარეგულირებელი იმანენტურ პრინციპებსა თუ არქეტიპულ სტრუქტურებს ემყარება. მაშასადამე, ადამიანს, როგორც კულტურშემოქმედს, აპრიორულად ეძლევა სინამდვილის მაორგანიზებელი მითოსის „განცდა“. ეს განცდა ემყარება რეალობის მთლიანობის განმსაზღვრელი საფუძვლის არსებობის რწმენას, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ სად იბადება ის – პრიმიტიული რწმენის, განვითარებული რელიგიის, იდეოლოგიისა თუ მეცნიერების წარმოშობის – რეალობის ხატის შექმნისა და სტრუქტურირების

საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სინამდვილის, როგორც მიზანშეწონილი თუ მიზანმიმართული არსის განცდა ერთგვარ თანშობილ ზოგადმითოსურ არქეტიპს ეფუძნება, რომლის საბოლოო დაძლევა და მისი ფარგლებიდან საბოლოო გასვლა კულტურის დასასრულის ანუ კოლაჟის ტოლფასია. ეს აზრი მართებულია პოლისემიური, პოლიკონცეპტუალური და წინააღმდეგობრივი პოსტმოდერნული რეალობისთვისაც, რადგანაც ის ჯერ კიდევ კულტურის (თუნდაც ცივილიზაციის), მაგრამ არა პოსტკულტურისა და პოსტცივილიზაციის რეალობაა. ხელოვნება, კერძოდ კი თეატრი და მისი ფუნქციონირება, როგორც წინამდებარე ნამრობის კვლევის ობიექტი და როგორც კულტურის თვითასახვის, თვითდაფუძნებისა და თვითინიცირების აღვილი, ამ აზრის პრაქტიკული დადასტურებაა.

სანამ ნაშრომის ანალიტიკური საფუძვლების მიმოხილვას შევუდებოდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში თეატრალური ხელოვნებისა და მითოსის ურთიერთობიმართების კვლევა (აღდგენილი ქართული თეატრის, შემდგომში რუსთაველის თეატრის მაგალითზე) კულტუროლოგიურ-მითოლოგიური კონტექსტის ფარგლებში მიმდინარეობს. ამდენად, პირველ თავს, პირობითად, კულტურის, როგორც შესაძლებლობის, შექმნა შეიძლება ვუწოდოთ. აქ საუბარია თანამედროვე ქართული კულტურის „სიტყვით დაფუძნებაზე“, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა თეატრის, როგორც კულტურის განმეორებადი რიტუალით ინიცირების საშუალებისა და ნაციონალური უნივერსუმის, მოდელის შექმნა. თავად თეატრი ერთგვარ „პერიოკულ ფიგურად“ იქცა (ნიშანდობლივია, რომ ქართულ ცნობიერებაში ის ხშირად ცოცხალი არსის დამახასიათებელი თვისებებით მოიაზრება). თეატრის მითოლოგიზაციას, მასზე გმირის თვისებების პროექციას თეატრის დამაარსებელი დრამატული კომიტეტის მიერ მისი მიზნობრივი შექმნის ფაქტი განაპირობებს; კომიტეტის წარჩინებული წევრები კი ქართულ კულტურულ ცნობიერებას მითის ფიგურებთან ჰყავს გათანაბრებული. „ეს ასეა არა ამ საზოგადოების პრიმიტიული შეგნების გამო, თითქოს ადამიანი ვერ ასხვავებდეს ერთმანეთისაგან რეალურსა და არარეალურს, – წერს ზურაბ კიცაძე, – არამედ იმ მნიშვნელოვანი ვითარების გამო, რომ ერთხელ, „მას ჟამსა“ შექმნილი და თაობათა მეხსიერებაში შენახულ-გამოტარებული...

აღიბეჭდაგს უტყუარობის ნიშანს და საკრალური ავტორიტეტით
იმოსევა“¹.

ნაშრომის ცალკეულ თავებში მოცემულია სხვადასხვა ტიპის
მასალის – ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილის, ალექსანდრე
ახმეტელის თეორიული ნააზრევის, გრიგოლ რობაქიძის დრამის,
რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას სპექტაკლებში რეჟისორის
მიერ გამოვლენილი სპეციფიკური მითოლოგიზმისა და მისი ერთი
სპექტაკლის ანალიზი. ასეთი არაერთგვაროვნება განაპირობა იმან,
რომ, ჩეგნი აზრით, თეატრის, როგორც კომუნიკაციის უნივერსალური
ფენომენის, შეცნობა მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ფენომენთა
კომპლექსური შესწავლით უკეთ გამოკვეთს მის მითო-რიტუალურ
არსეს. ნიშანდობლივა ისიც, რომ თანამედროვე კრიტიკიზმი თეატრსა
და დრამატურგიას დრამის საერთო სახელით აღნიშნავს.

ხელოვნებას ერთგვარი მითოლოგიზმი, სხვადასხვა სახის
მითოლოგიური მასალისადმი სხვადასხვა ფორმითა და მიზნით
მიმართვა ყველა ეპოქაში ახასიათებდა, თუმცა ამ ფაქტის
თანმიმდევრული კონცეპტუალური გაცნობიერება მაინც მეოცე
საუკუნის პრეროგატივაა. მითის ფილოსოფია და ხელოვნების,
ენისა თუ კულტურის სხვა ძირული ფენომენების, როგორც მითის
‘მატარებლების’, თავად მითის არსების შესახებ მოსაზრებები და
ინტეიციები ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში არსებობდა. ამის
უშუალო დასტურია არისტოტელეს „პოეტიკა“, რომელიც მითს
დრამის სულს უწოდებს, თუმცა ამ ცნების დეტალურ განმარტებას
არ იძლევა.

საკვლევი მასალის მეთოდოლოგიური ანალიზისთვის რამდენიმე
ამოსაკალ დებულებას ვეყრდნობთ: კერძოდ, მოსაზრებას, რომ
კულტურა ორგანული და თვითორგანიზებადი მთლიანობაა,
რომელსაც ყოველთვის პყავს კონკრეტული სუბიექტი – ინდივიდი,
რამე არსებითი ნიშნით ან ნიშანთა კომპლექსით გაერთიანებული
სოციალური ერთობა, მათ შორის, ერი, ხალხი ან მთელი კაცობრიობა,
როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის სუბიექტი. კულტურის
შესაძლებლობა და მისი თვითორგანიზება განპირობებულია ორი
ძირითადი ფაქტორით, რომელიც მისი სახელწოდების ენობრივ
საზრისშივე იკითხება: სიტყვა „კულტურა“ ნაწარმოებია ლათინური

¹ გიგნაძე ზ.. ქართულ მთოლოვიურ კადმიცემათა სისტემა, თსუ გამომცემლობა,
თბილისი, 1985, გვ. 3

ზმნისაგან colo, colui, cultum, რომელიც თავდაპირველად მიწის დამუშავებას ნიშნავდა. შემდგომ ამ ზმნამ მთელი ადამიანისმიერი რეალობის აღმნიშვნელ ცნებას დაუდო საფუძველი. ამდენად, კულტურა შეიძლება გავიგოო როგორც არსებული რეალობის მუდმივი გარდაქმნის (ხელახალი შექმნის) პროცესი. სწორედ ზმნა colo-ზ მისცა დასაბამი სიტყვებს culturae და cultus, როგორც ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთშემცველ ფენომენებს. შესაბამისად, კულტურის საზრისში ღვთის თაყვანისცემის, როგორც ადამიანი-ღმერთის არქეტიპული ურთიერთიმიმართებას, ფენომენიც უცილობლად მოიაზრება, რაც, სხვაგვარად, მთულწეველი, მაგრამ მარად სასურველი სრულყოფილებისკენ ადამიანის თანდაყოლილ სწრაფვას ნიშნავს. ადამიანი-ღმერთის დისპოზიციამ რეალობის ფიზიკურ და მეტაფიზიკურ, ცნობიერ და არაცნობიერ სფეროებად დაყოფასაც ჩაუყარა საფუძველი და სინამდვილის გლობალური დუალური ორგანიზების პრინციპიც განსაზღვრა. იმავე დუალურმა პრინციპმა განაპირობა საკრალურ-პროფანულის დიალექტიკა მის საკულტო თუ თანამედროვე ემანსიპირებულ გაგებათა ერთობლიობით, რაც ადამიანური რეალობის, ცოდნის, კულტურის შიდა იერარქიის ერთი დონიდან მეორეზე გადასვლის დიალექტიკასაც ასახავს. კულტურის, როგორც ინტეგრალური მთლიანობის, შესახებ თვალსაზრისის შექმნა, მათ შორის, პროფესორ გურამ ლებანიძის ლექციათა ციკლის – „კულტუროლოგის საფუძვლების“ დამუშავებამ განაპირობა.

ნაშრომის მეორე ამოსაკალს კულტურის ციკლური განვითარების ფენომენი და სხვადასხვა კულტურათა დროსა და სიგრცეში არსებული ზოგადი ფორმალური ბუნების დინამიკური და სტრუქტურული იგივეობის გაგება წარმოადგენს. ეს შეხედულება ოსვალდ შპენგლერის კულტურათა ორგანისტულ თეორიას და კულტურათა მსგავსება-განსხვავების ფენომენზე მისი სამეცნიერო თვალსაზრისის გააზრებას ეფუძნება.

მესამე საფუძველს ქმნის ესთეტიკური კონცეფცია, რომლის თანახმად, ხელოვნება კულტურის თვითრეფლექსიის და თვითგანხორციელების მექანიზმია. მაშასადამე, ხელოვნებაში თავს იყრის კულტურის როლი და დინამიკური სტრუქტურის მთელი სპექტრი, ინდივიდუალურ-კოლექტიურის დიალექტიკა, იკვეთება მისი გლობალური მაორგანიზებელი მითოსი, რომელშიც კულტურის გრძნობადი და ცნებითი სამყაროს საზღვრები ირკალება. ხელოვნება, როგორც პოლიფუნქციური სისტემა, ადამიანის/

კულტურის თვითშემცნების, თვითდადგენისა და მარადგანმეორებადი თვითორგანიზების საშუალება.

ნაშრომში, ასევე, გათვალისწინებულია სიღრმის ფსიქოლოგის, მეტადრე ანალიტიკური ფსიქოლოგის წარმომადგენელთა მოსაზრება არაცნობიერი ფსიქიკის არქეტიპული „სტრუქტურის“ შესახებ, რომელიც განაპირობებს ადამიანის ფსიქიკურ ქცევას და, შესაბამისად, კულტურას, როგორც ადამიანისმიერ რეალობას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აგრეთვე, ოუნგის შეხედულება კოლექტიური არაცნობიერის სტრუქტურულ დონებზე, რომელშიც იგი ზოგადსაკაცობრიო, ნაციონალურ და ოჯახურ შრეებს განასხვავებს.

ნაშრომის ერთ-ერთი ამოსავალია არსებული შეხედულება ენაზე, როგორც კულტურის ამსახველ და, თავის მხრივ, შემქმნელ, ამდენად, მისი ფორმალურ-შინაარსობრივი არსის მომცველ ფენომენზე. ენას, როგორც საკაცობრიო სულის (გონის) ეროვნულ გარკვეულობას, ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ პუმბოლდტი იკვლევს და ერს „საკაცობრიო გონის“ ისეთ გარკვეულობად მიიჩნევს, რომელსაც ენობრივი სტატუსი გააჩნია. სწორედ მას შემოაქს შედარებით ენათმეცნიერებაში „ხალხის სულის“ ცნება. მასვე ეკუთვნის შეხედულება იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ენა არა მხოლოდ ერთი და იმავე რეალობის განსხვავებული ბგერითი აღნიშვნაა, არამედ მისი „განსხვავებული ხედვაც“ არის. „აგებულებისა და მოქმედების მიხედვით ის (ენა) განსაკუთრებული და დამოუკიდებელი არსია, რომელიც გარე სამყაროს მოვლენათა და ადამიანის შიდა სამყაროს შორის არსებობს“¹.

სიტყვის (პოეტური ტროპის), როგორც მითის, შესახებ საუბრობს იტალიელი ფილოსოფოსი ვიკო; სიმბოლიზმის ფილოსოფაში კი სიტყვა და სიმბოლო რეალობის ინიცირების, ყოფიერების დამფუძნებელ საწყისად არის მიჩნეული. ჰაიდგერის აზრით, ყოფიერებას მხოლოდ ენის მეშვეობით ვწვდებით, ადამიანი კი არ ფლობს ენას, არამედ ენა მოიაზრებს ადამიანს. ყველა ეს და, აგრეთვე, მრავალი სხვა მოსაზრება ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ენის ეზოთერული ბუნებისა და საზრისის განცდას ეხმანება, რომლის ნიმუშია იოანე ზოსიმეს ცნობილი ტექსტი – „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“.

¹ Гумбольдт, Избранные труды по языкоznанию, гл. 304.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ამ ნაშრომში თეატრის, როგორც ფენომენის და, კერძოდ, აღდგენილი ქართული თეატრის ფენომენის ირგვლივ იყრის თავს. კულტურის, მითის, რიტუალისა და თეატრის კავშირის თემა ავანგარდის ეპოქაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მეტიც, მეოცე საუკუნეში კულტურის სემიოლოგიურ-კომუნიკაციურმა გაგებამ, იური ბორევის აზრით, მთელი კულტურის ერთგვარი ‘თეატრალიზაცია’ განაპირობა (ესთეტიკოსს მხედველობაში აქვთ კულტურა, როგორც ტოტალური წარმოდგენა და კომუნიკაცია). ავანგარდის თეატრის მრავალი თეორეტიკოსი, მათ შორის, კრისტოფერ ინესი – ავტორი წიგნისა „ავანგარდის თეატრი“ – საწყისებისადმი (კულტურის, ფსიქიკისა და ა. შ.) ინტერესს მეოცე საუკუნის ავანგარდის თეატრის წამყვან ტენდენციად მიიჩნევს, რამაც ბუნებრივად განაპირობა მითსა და რიტუალზე ორიენტირებულ მრავალფეროვან თეატრალურ ესთეტიკათა ფორმირება. დრამასა და თეატრში არქეტიულის, ირაციონალურის, სპონტანურის, არქაულ-მითოლოგიურის, მაგიურ-მისტიკურის მძლავრი ნაკადი შემოიჭრა. ამ გზით თეატრი საზოგადოების/ადამიანის რიტუალით ინიცირებას, ფსიქიკის კურნებას, პირველადი რელიგიური გრძნობის გაღვიძებას ისახვდა მიზნად. ეს კი, საბოლოო ჯამში, სხვადასხვა სიღრმისა და ენობრივი კოდის მომცველი უნივერსალური თეატრალური კომუნაკციის მეშვეობით კულტურის ხელახალ გამთლიანებას ემსახურებოდა.

თეატრალური ხელოვნების მითოლოგიურ-რიტუალური ფესვების, მითისა და ისტორიის ურთიერთმიმართების (ისტორიის მითოლოგიზაციის), ნიღბის ფენომენის, მითის, რიტუალისა და რელიგიის ურთიერთკავშირის კვლევას ეძღვნება ლევან ზეთაგურის საკნდიდატო დისერტაცია სახელწოდებით „ისტორია, მითი და იგავი თანამედროვე ინგლისურ დრამაში“, რომელშიც ავტორი თანამედროვე დრამის მითოლოგიზირებისადმი მიღრეკილების კნონზომირებას იკვლევს. „თანამედროვე ავტორთა მითოლოგიზირებისადმი მიღრეკილება შემთხვევით არ არის, რადგანაც ისინი, საკრალურ ასოციაციებსა და სტერეოტიპებზე, ერთი სიტყვით, მასობრივ ცნობიერებაზე ორიენტაციით, მათ საფუძველზე მითის ახალ ინტერპრეტაციას გვთავაზობენ“!¹ მითის ფენომენისა და მისი გაგების ისტორიული გენეზისადმი ავტორის დამოკიდებულება,

¹ Хетагури Л., История, миф и притча в современной Английской драме, гл.10.

გარევეულწილად, ეთანხმება ჩვენს მიმართებას, განსაკუთრებით, მითის განსაზღვრების თანდათანობით ცვლილებასთან დაკავშირებით: „მითის განსაზღვრება საგრძნობლად გაფართოვდა, ბერძული მითოლოგია შექსპირმა, ბიბლიამ და სხვ. შეცვალა“.

ქართულ თეატრმცოდნეობაში მითისა და რიტუალის, როგორც ქართული თეატრის ხალხური საწყისის, ფუნდამენტური გამოკვლევა დამიტრი ჯანელიძეს ეკუთვნის. მკვლევარი შედარებითი მეთოდით სარგებლობს და წინაქართველურ და ქართველურ ტომთა მითოლოგიურ პანთონში დორისეს ანალოგიურ ღვთაებასა და ჩვენამდე მოღწეულ წარმართული წარმოშობის რიტუალებში ნაყოფიერების ღვთაების თაყვანისცემის კვალს ეძებს. „ნაყოფიერებისა და მცენარეების ხეთური ღვთაება ტელეფინუ მოგვაცნებს განაყოფიერებისა და შვილიერების ღვთაების საღიღებელი სვანური ფერხულის სახელწოდებას „მელიათ ტელეფია“-ს (არსებ ონიანის მიხედვით) ან „მელიათ ტულეფია“-ს (აკ. შანიძისა და ვ. თოფურიას მიხედვით). ხეთური ღვთაების ტელეფინუს სახელი შეიძლება სჩანდეს ძველი ქართული ცეკვის სახელწოდებაში „თულაობა“... და სანახაობის წელზე შემოსარტყმელი თოკის სახელწოდებაში „თულო“, გეოგრაფიულ სახელწოდებაში „ტოლების მთა“, კოლხიდის ციხე-სიმაგრე „ტელეფისი“ და სხვ.“ – ასკვნის დ. ჯანელიძე. „ყოველივე ეს და, რაც მთავარია, სქესობრივი დამოკიდებულების აღმნიშვნელი „ტულაობა“, შესაძლებელია, ღვთაება ტელეფინუს კულტის გადმონაშობებს ამჟღავნებდეს“¹! თეატრმცოდნე ქართული ხალხური ბერიკაბის „ატის-კიბელას, ადონის-ასტარტას და თამუზ-იშთარის“ კულტებთან მსგავსებასაც აღნიშნავს. დიმიტრი ჯანელიძე წერილებში: „თრიალეთის სახილველი“ და „ამირანი სვანეთის ხალხურ სახილველში“ (კრ. „სახიობა“) უაღრესად საყურადღებო ანალიზს გვთავაზობს. პირველ ნარკვეში „ეთერიანში“ ნახსენებ უკვდავების წყალს თრიალეთის სასმისზე გამოსახულ უკვდავების წყლის დარიგების მითო-რიტუალურ სცენასთან აკავშირებს და „სანახაობრივი კულტურის გენეტიკური წარმომავლობის და მემკვიდრეობით, მომდევნო საფეხურებზე, გადაცემულის მანიშნებელ ინფორმაციას“ ხდავს;² მეორეში კი საქართველოში ამირანის კულტის არსებობისა და ამირანის გაღვთაებრიობის შესახებ მსჯელობს. მისი

¹ ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 12.

² ჯანელიძე დ., სახიობა, გვ. 4.

კვლევა ცხადყოფს, რომ „მთვარის მთავარი ღვთაება, ქართველთა წარმართული პანთეონის ჩამოყალიბების გარკვეულ საფეხურზე, ამირანთ იყო წარმოდგენილი“, ხოლო შემდგომ, „ღვთაებათა ქრისტიანიზირებისას“, მთვარის ღვთაებამ წმინდა გიორგის სახე მიიღო. „სიკეთისათვის გველეშაპდევებთან მებრძოლი გმირის – ამირანის სახე სრულიად ემთხვეოდა ქრისტიანული მხედრის, ადამიანთა დასახსნელიად გველეშაპებთან მებრძოლ წმ. გიორგის სახეს“¹, – დაასკვნის მკვლევარი.

დომიტრი ჯანელიძის ანალიზში ყველაზე ფასული მისი პოზიციური მიღვომაა, რაც მითოლოგიურ სიმბოლოთა ოქმატურ ტრანსფორმაციაში ანუ მითოსურ ფიგურათა ურთიერთჩანაცვლების ტენდენციის გამოკვეთაში მდგომარეობს. დ. ჯანელიძის მსჯელობაში მითოლოგიურ სიმბოლოთა ურთიერთჩანაცვლებისა და მხატვრულ რეალობაში მათი შემდგომი ტრანსფორმირების მექანიზმი იკვეთება, რომელსაც თანამედროვე ხელოვნების ფარული თუ აქარა მითოლოგიზმის ახსნაც შეუძლია. ვფიქრობთ, ეს წერილებიც ცხადყოფს, რომ მითოლოგიურ ფიგურათა, როგორც კულტურის რეალობის მარგანიზებელ ფაქტორთა, მნიშვნელობა, მათი შემდგომი ცნობიერი დესაკრალიზაციის მიუხედავად, მუდამ აქტუალურია კულტურის ცნობიერებისთვის. ამირანის სახის ტრანსფორმაციათა შესახებ მოსაზრება, ჩვენთვის არსებით, ნიცშესულ ხედვას უახლოვდება, რომლისთვისაც წინავრიპიდულ დრამაში ყველა გმირი (პრომეთე, ოიდიათის თუ სხვა) დიონისეს ნიღბებს წარმოადგენდა. თუმცა, ჩვენი აზრით, დ. ჯანელიძე, საბჭოთა მეცნიერებაში არსებული იდეოლოგიური შეზღუდვების გამო, მსგავსი ანალოგიების საფუძველზე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთებას ერიდება.

ელენე თოფურიძის წიგნში „ადამიანი ანტიკურ ტრაგედიაში“ ავტორს უფრო ინდივიდის თავისუფალი ნების ემანსიაცია აინტერესებს, ვიდრე კოლექტიური არაცნობიერის მითოსური არქეტიპების მოქმედება. ამ პროცესს იგი, ძირითადად, ინდივიდიზმისწერის დაპირისპირების სქემაში განიხილავს და ყურადღებას არ ამახვილებს კოლექტიური არაცნობიერისა და მითშემოქმედების ნაციონალურ დონეზე. იგი იუნგის ცნობილ – დასავლეთ-აღმოსავლეთის ანუ ინტრავერტულ და ექსტრავერტულ – ფსიქოლოგიურ მოდელთა დისპოზიციას ეყრდნობა. ნაციონალური მისთვის არსებითია: „რა

¹ ჯანელიძე დ., სახიობა, გვ.61.

თქმა უნდა, ცალკეულ ერთა და ეროვნებათა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების უარყოფა სასაცილოა¹, – წერს ავტორი, თუმცა, ამ გარემოებას მის შრომაში, თავად საკითხის თავისებურებიდან (ადამიანი, როგორც ასეთი) გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. ჩვენს კვლევაში კი ქართულ თეატრსა და კულტურაში ნაციონალურის ფენომენისათვის გვერდის ავლა, კვლევის ობიექტის, მითოსისა და ქართული თეატრის ურთიერთმიმართების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო.

მაშასადამე, ჩვენთვის მითი, ერთსა და იმავე დროს რელიგიაც არის, იდეოლოგიაც, ესთეტიკაც და მეტაფიზიკაც – სწორედ ასეთი მიღომა გამოარჩევს რობერტ სტურუას თეატრს მის გამჭოლ ერთიანობაში. ალბათ, მართებული იქნება, რომ ამ რეჟისორის შემოქმედების ბუნების განსაზღვრისათვის გავიხსენოთ შელინგის მოსაზრება – მითშემოქმედებამ, რომელიც ხელოვნებაში გრძელდება, ინდივიდუალური შემოქმედებითი მითოლოგიის სახე შეიძლება მიიღოს. „ყოველი პოეტი მოწოდებულია სამყაროს მის წინაშე გადაშლილი ნაწილი გარკვეულ მთლიანობად აქციოს და ამ მასალიდან საკუთარი მითოლოგია შექმნას“² (საინტერესოა, რომ შელინგი ახალი მითოლოგიისა და სიმბოლიკის ძიებას „უმაღლეს გონებაჭვრეტით ფიზიკაშიც“ კი შესაძლებლად თვლის, რაც მეოცე საუკუნის რეალობისთვის უცნაური სულაც არ ჩანს). ფრანგი სტრუქტურალისტის როლან ბარტის აზრითაც, თანამედროვეობა მითოლოგიზირებისათვის ძალზე ხელსაყრელ პირობებსა და სარბიელს ქმნის. ეს გარემოება ბარტისთვის ყველაზე მეტად პოლიტიკურ მითშემოქმედებას შეეხება, რომელიც ისტორიას იდეოლოგიად აქცევს.

წინამდებარე ნაშრომში მითოსად განიხილება, აგრეთვე, ე. წ. ნაციონალური ნარატივი, რომელიც, მისი დაფუძნების, ეპოლუციის, შემდგომი დეკონსტრუქციისა და ‘პოსტკატასტროფული’ ვარიაციების ზოგიერთი არსებითი მომენტების გათვალისწინებით, აღდგენილი ქართული თეატრის ძირითად ‘ამბავს’, მის ტრანსისტორიულ შინაგან დრამატურგიას წარმოადგენს.

კულტურის, როგორც ნარატივთა (ნარატივი, როგორც „ხდომილებათა გადმოცემა და ახსნა“) მონაცვლეობის გაგება,

¹ Топуридзе Е., Человек в античной трагедии, гг. 8.

² Шеллинг Ф., Философия искусства, гг. 147.

სხვებთან ერთად, ფრედერიკ ჯემსონსა და უნ ფრანსუა ლიოტარსაც ეპუთვნით. ფილოლოგი და ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი საქართველოს რეალობაში, XVIII საუკუნიდან მოყოლებული, სამ ახალ ნარატივს გამოყოფს: „ნაციონალურ-ლიბერალურს”, „ნაციონალურ-ეზოტერიკულს“ და „ნაციონალურ-რევოლუციურს“, „რომლებიც ახალი ბურჟუაზიული ერების დასაბამის ამბავს გვაუწყებს. მკვლევარს ნაციონალური ნარაციის განსაზღვრებას დავესესხებით, თუმცა, ზ. შათირიშვილისგან განსხვავებით, მის სუბიექტად მთელ ერს მოვიაზრებთ, ხოლო ნაციონალურ-მითოლოგიურ ნარატივს, რომლის ფაქტობრივ ავტორად იღია ჭავჭავაძეს წარმოვადგენთ, განვიხილავთ როგორც კოლექტიური ნაციონალური არქეტიპის თვითდემონსტრაციასა და კულტურის ინდივიდის მეშვეობით თვითინიცირებას.

ჩვენთვის ზოგადი ამოსავალი დებულება გახლავთ მოსაზრება, რომლის თანახმად, კულტურისა თუ ადამიანის არსებობისათვის აუცილებელია ყოფიერების დასაბამისა და სტრუქტურის, მისი ფუნქციონირების წესისა და ღირებულებათა სპექტრის შემკვრელი და ამხსნელი ფენომენი, ერთგვარი მითოლოგია, რომელიც, როგორც მარად მაორგანიზებელი და საზრისის მიმნიჭებული ფორმა, კულტურისა და ადამიანის არსებობისა და ფუნქციონირების წინაპირობასა და მის თანმხლებ იმანენტურ ფენომენს წარმოდგენს; ასევე, თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, ნებისმიერი ერთეულის (პიროვნული, ნაციონალური თუ სხვა) არსებობის შინაგანი გამართლებისა და განხორციელებისთვის აუცილებელია საკუთარი არსებობის შესახებ ‘მითის’ შექმნა. ეს მითი (თუ პარადგიმა) სხენებული ერთეულის არსებობას სხინის, ამართლებს და მას შინაგან მიზნობრიობას ანიჭებს. მაგალითად, აპსურდის ფილოსოფია, კერძოდ, ა. კამიუ გვთავაზობს მითს ადამიანის თავისუფალი არჩევნის შესახებ, რაც მისთვის მანამდე უსაზრისო სიცოცხლისთვის ახალი საზრისის მინიჭების საშუალებად იქცევა. მითზე აპელირება ხდება სხვადასხვა სახით, ცნობიერად და გაუცნობიერებლად. მითი, როგორც სიცოცხლის მაორგანიზებელი ფაქტორი, როგორც სამყაროს მთლიანობის განჭვრეტისა და განცდის ზოგადი ფორმა, უკვდავია.

სინამდვილის ფიზიკური თუ სოციალურ-ისტორიული არსის რელატივისტური ბუნებისა და ფარდობითობის პრინციპის აღმოჩენამ ფილოსოფიაში, ბუნებისმეტყველებასა და კულტუროლოგიაში

მითის, როგორც მაორგანიზებელი პრინციპის თვისება და ფუნქცია გამოკვეთა და ის პრიმიტიული წარსულიდან თანამედროვე რეალობაში გარდაქმნილი სახით დააბრუნა. ქართული ნაციონალური ნარატივი ქართული ნაციის ტრანსსტორიული თვითიღენტობის შექმნას ისახავს მიზნად, ამდენად, მის ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც არიან: გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე და სანდრო ახმეტელი, სურო, ისტორიულ-წინაისტორიულის, წარმართულ-ქრისტიანულის სინთეზი მოახდინონ და აღნიშნული ნარატივის მარადიულობა დაადასტურონ. ამის შედეგად, აუცილებლობით იძალება ნოზაძისეული ‘ასტრალური პარალელიზმი’ და რობაქიძისა და ახმეტელის ‘რიტუალური მთოლემიზმი’, როგორც ნაციონალური უნივერსუმის განახლებაში უწყვეტობის პირობა.

მონოგრაფიის პირველ თავში („კულტურის დრამატული მითის საფუძვლები ილია ჭავჭავაძის წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“) ლიტერატურულ ტექსტს კულტურის ინიციატივის, ყოფიერების ზოგადი ‘ვირტუალური’ მოდელის განსაზღვრის ფუნქცია მიეწერება, ხოლო ილია ჭავჭავაძე უახლესი ისტორიის ქართული კულტურული რეალობის ერთგვარ ‘დემიურგად’ წარმოგვიდგება. ამასთან, აქ ენა, როგორც სამყაროს უნივერსალური მოდელიორების (ასახვის) უზოგადესი ფორმა, მითის უპირველეს მატარებლად და უმთავრეს მითშემოქმედად მიიჩნევა. სსენტერ წერილში ილია ჭავჭავაძის მიერ ფორმირებული ტრიადა – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – განხილულია, როგორც ის პროდუქტული ფორმა, რომელიც თავის თავში კულტურის დრო-სივრცით პოტენციალს, სოციალურ თუ სხვა სახის იერარქიასა და სინამდვილის დუალური ორგანიზების საფუძვლებს მოიცავს. ამ ფარული სტრუქტურის გამოვლენა ცნების იმგარი ანალიზით კეთდება, რომელიც პროდუქტ-ცნებაში მის წარმომქმნელ (ან მის მიერ პირობითად დაფუძნებულ) ურთიერთობათა ანარეკლს და მის მიღმა მდგომ გარემოებებს განჰვერეტს. ნაშრომის ამ თავში ასევე ვეყრდნობით სტრუქტურალისტების – კლოდ ლევი-სტრონის, უან ლაკანისა თუ მიშელ ფუკოს ლოგიკას, რომელთა თანახმადაც, ადამიანის გონების (ლევი-სტრონი), ადამიანის ერთიანი ფსიქიკის (ლაკანი) არაცნობიერი სტრუქტურები ბინარულ ოპოზიციათა პრინციპით იგება. ამის შედეგად, სტრუქტურალისტური მეთოდი ფილოსოფიის

რანგში ადის და მთელი რეალობის, მთელი სამყაროს სტრუქტურული არსის შესახებ საუბრობს. სხვაგვარად მას ბინარულ ოპოზიციათა განმსაზღვრელი არქეტიპი შევიძლია ვუწოდოთ, რომელიც სინამდვილის მარეგულირებელი ანთროპოლოგიური პრინციპის ფუნქციას ასრულებს¹. სტრუქტურალიზმის, ისევე, როგორც ანალიტიკური ფილოლოგის ფირმირებაზე კანტის ანთროპოლოგიამ და ერთანი რეალობის ტრანსცენდენტალურ და ტრანსცენდენტურ რეალობებად დაყოფამ უმნიშვნელოვანესი გავლენა იქნია. სწორედ კანტის მიერ შემცენებისა და გრძნობადობისათვის დაწესებულმა საზღვრებმა განაპირობა კონცეპტუალური მითოლოგიზმის წარმოქმნა და ტრანსცენდენტური რეალობა, როგორც ირაციონალური და მარად შეუმცენებადი არსი, მარადიული ინტერპრეტაციის ‘სივრცედ’ აქცია. კანტის გარდა, თანამედროვე სამყაროს ‘ავტორებად’ სხვა ფილოსოფოსებთან ერთად, რენე დეკარტი, უან უაკ რუსო და ახალი დროის სხვა ფილოსოფოსები შევიძლია მივიჩნიოთ. პირველი სუბიექტს ფილოსოფიის ცენტრში დააყენებს, მეორე – კულტურაში ყოფიერების პარმონიულ მოდელად პრიმიტიულ საზოგადოებას მიიჩნევს და თვლის, რომ თანამედროვე საზოგადოებაც ანალოგიური პრინციპებით უნდა საზრდოობდეს.

მეორე თავში („მითოლოგიზმი ალექსანდრე ახმეტელის თეორიულ თვალსაზრისში“) განხილულია ალექსანდრე ახმეტელის წერილები, ძირითადად, მისი ორი საპროგრამო წერილი – „მომავალი ქართული თეატრი“ და „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“. განხილვისას გამოყენებულია ანალოგიები, მათ შორის, ფრიდრიხ ნიცშეს თხზულებასთან „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სწორედ ახმეტელს შემოაქვს თეატრის ქართულ თეორიაში თეატრის, როგორც რიტუალის, სახალხო სანახაობის, როგორც მაყურებელთან კომუნიკაციის უნივერსალური საშუალებისა და ხელოვნების ფორმალური ნაციონალური განპირობებულობის საკითხები. ამასთან, მისი თეატრალური თვალსაზრისი, გრიგორ რობაქიძის შეხედულების მსგავსად, ქართული კულტურის ტრანსისტორიულ იდენტობას წარმართულისა და ქრისტიანობის სინთეზში, მათთან დაკავშირებული რიტუალების ფორმალური და ემოციური აღქმის მსგავსებაში ხდავს. ახმეტელის თეორიული თვალსაზრისით,

¹ Леви-Стросс К., Структурная антропология, гл. 426.

ხელოვნება საქუთარი ანთროპოლოგიური არსისა და ჭეშმარიტი რეალობის შემეცნების საშუალებაა. ქვეთავები „ისტორია მითია“ და „დრამა სუბსტანციურია“ სწორედ ახმეტელის მსოფლმხედველობის ერთგვარ მითო-ფილოსოფიურ თავისებურებებზე მოგვითხრობს.

ახმეტელის შემოქმედებისა და ოეორიული თვალსაზრისის კვლევას ქართულ თეატრმცოდნებით ლიტერატურაში მდიდარი ტრადიცია აქვს. აღსანიშნავია ვასილ კიკნაძის „სანდრო ახმეტელი“ (1964) და მიხეილ კალანდარიშვილის „ახმეტელის რეჟისურის პრობლემები“ (1986). ვასილ კიკნაძე დეტალურად განიხილავს ახმეტელის ოეორიულ ინტერესთა მიმართულებებს, მის გმირულ-რომანტიკულ მიზანსწრაფვას, მაგრამ არაფერს ამბობს რეჟისორის შემოქმედებისა და მისი ოეორიული თვალსაზრისის მითო-რიტუალურ კონცეპტუალურ ასპექტებზე. ამდენად, ვფიქრობთ, მიუხედავად ქართველ მკვლევართა მიერ გაწეული შრომისა, საკითხი ახლებური კუთხით განხილვას კვლავაც საჭიროებს, მით უფრო, წინამდებარე ნაშრომის კონტექსტში. ამ აუცილებლობაზე თავად ვასილ კიკნაძე მიუთითებს, როდესაც წიგნის შესავალში ახმეტელის მემკვიდრეობის კვლევის სხვა ავტორთა მიერ გაგრძელების აუცილებლობის შესახებ საუბრობს.

მიხეილ კალანდარიშვილის სამართლიანი შენიშვნით, სანდრო ახმეტელი იმდენად თეორეტიკოსი არ იყო, რამდენადაც პრაქტიკოსი; მისი პრაქტიკული სარეჟისორო საქმიანობა ყოველთვის წინ უსწრებდა მის თეორიულ თვალსაზრისს. ჩვენ ბოლომდე ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, მით უფრო, რომ მკვლევარი თავადგე აღიარებს: მართალია, „ახმეტელის თეატრალური კონცეფცია საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა, მისი ზოგიერთი დებულება, სადღეისოდ, პრინციპულ მნიშვნელობას იძენს“!¹ ჩვენი აზრით, სანდრო ახმეტელის თეორიული შეხედულებები ლირებულია არა მხოლოდ მისივე შემოქმედებითი პრაქტიკის ანალიზისათვის, არამედ ქართული თეორიული თეატრალური კონცეპტუალიზმის შესწავლისათვისაც. ეს კი საშუალებას მოგვცემს დავნახოთ, რომ ქართულ თეატრში, რეჟისურასა და სამსახიობო ხელოვნების სფეროში არსებულ მიღწევათა პარალელურად, არსებობს თეატრის მოდერნისტული თეორიის უაღრესად საინტერესო ნიმუში, რომელიც არა მხოლოდ ახმეტელის შემოქმედების, არამედ მთელი ქართული

¹ Каландаришвили М., Проблемы режиссуры Ахметели, გვ. 14.

თეატრალური პროცესის არსებით ნიშან-თვისებათა გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია.

მესამე თავი („მითი და ინიციაციის რიტუალი რობაქიძის დრამაში „ლამარა“) რობაქიძის ამავე სახელწოდების დრამის განხილვას ეთმობა. პიესის ანალიზი ეფუძნება მირჩა ელიადეს თეორიას, პრიმიტიულ კულტურაში ინიციაციის რიტუალის შინაარსობრივ-ფორმალურ საზრისს და მისი მოქმედების მექანიზმს. ამასთან, დრამის მითო-რიტუალური გაგების გამოკვეთაში დაგვეხმარა: ვერა ბარდაველიძის ნაშრომი „ქართულ ტომთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და საწესო გრაფიკული ხელოვნება“, ირაკლი სურგულაძის „ქართული ხალხური ორნამენტიკის სიმბოლიკა“, თინათინ ოჩიაურის „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, ნიკო მარის „წარმართული საქართველოს ღმერთები“ და სხვ. ნ. მარის, ვ.ბარდაველიძისა და თ. ოჩიაურის ნაშრომებით დასტურდება, რომ საქართველოში ისტორიულად არსებობდა მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა ჩამოყალიბებული სისტემა, რომელთა კვალი ქართულმა ენამ, ორნამენტულმა ხელოვნებამ და ეთნოგრაფიულმა ყოფამ დღემდე შემოინახა. ზურაბ კიკაძისთვის „მითოსი კაცობრიობის ისტორიის სასიცოცხლო ინგრედიენტია“,¹ ხოლო მანანა ხიდაშელი თვლის, რომ კოლექტიური არაცნობიერი, როგორც მითის, როგორც აზროვნების წესის განმსაზღვრელი ფენომენი, ყველაზე სრულყოფილად რელიგიებსა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ხალხურ შემოქმედებაშიც ვლინდება.

მეოთხე თავი („მითების დეკონსტრუქცია და კონსტრუქცია რობერტ სტურუას შემოქმედებაში“) რუსთაველის თეატრში რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ განვლილი გზის ანალიზს ეძღვნება. კვლევამ დაადასტურა, რომ რეჟისორი მითების დეკონსტრუქციის პარალელურად მითის კონსტრუირების აუცილებლობას ვერ გაურბის და მათი დეკონსტუქცია-კონსტრუირების დიალექტიკას გვთავაზობს. რუსთაველის თეატრში სტურუას შემოქმედების თაობაზე ქართულ თეატრმცოდნეობაში საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე წიგნში „რეჟისორი რობერტ სტურუა“ (1997) „ყვარყვარესა“ და „ლამარას“ ანალიზისას მითზე რეჟისორის აპელირების სხვადასხვა მხატვრულ ხერხს

¹ კიკაძე ზ., „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა, გვ. 3

წარმოგვიდგენს.¹

ამ თავში ჩვენი მსჯელობა სტურუას სპექტაკლების საავტორო ანალიზის გარდა, რუსთაველის თეატრის საარქივო მასალებს, ქართველ თეატრმცოდნებთა და ლიტერატორთა (დ. მუმლაძე, ვ. ქართველიშვილი, პ. ურუშაძე და სხვ.) რეცენზიებსა და კვლევებს ეყრდნობა. ქართველ თეატრმცოდნებაში არსებული ტრადიცია – ბრეხტისა და ბახტინის თეორიულ თვალისაზრისთვის შუქზე სტურუას შემოქმედების ტრაგიფარსული ბუნების ანალიზი – ჩვენი კვლევისთვისაც აქტუალურია.

მეხუთე თავში („სპექტაკლ „სტიქსის“ წინასწარი გაგებისათვის“) წარმოგვინილია „სტიქსის“ წინასწარგაების ვერსია, რომელიც ამ სპექტაკლის ‘სპონტანური’ მითშემოქმედებითი არსის წვდომის შესაძლებლობას იძლევა. „სტიქსის“ თანამედროვე მხატვრული ავანგარდის ნიმუშია და თავის თავში ორ ტენდენციას აერთიანებს – დრამის პროდუქტად და პროცესად წარმოჩენის ტენდენციებს. ამავე დროს, აღნიშნული თავი თეატრალური მოვლენის შესახებ სინთეზური კონცეფციის შექმნის მცდელობაცაა, რომელიც ქართველ და ევროპელ ავტორთა თეორიებს ეფუძნება. ხაზგასმულია მაყურებელისა და შემსრულებელს შორის სპექტაკლის მეშვეობით დამყარებული კავშირის თავისებურება, რომელიც კოლექტიური ფსიქიკის არქეტიპების მანიფესტაციის პროცესადაა წარმოდგენილი. ამ პროცესში მსახიობი მაყურებლის ‘შეხრით გამოსხივებულ’, ‘ტელეპატიურად გადმოცემულ’ (სტურუას ტერმინია) იმპულსთა მიმღებია. ჩვენი აზრით, ასეთი ტიპის წარმოდგენების დამსწრე მაყურებლის შემოქმედებითი აქტივობა და წარმოდგენაში მისი თანამონაწილეობის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომს წინ უძღვდა ე.წ. ექპირიული კვლევაც. მხედველობაში გვაქვს სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ოქროს ფონდის ექსპოზიციის სხვადასხვა ეპოქის ექსპონატთა ორნამენტის ფორმის, თემატიკისა და სიმბოლიკის მოკლე მიმოხილვა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული კულტურის ყველაზე ადრეულ ფორმებში მზის კულტთან დაკავშირებული სიცოცხლის ციკლურობის იდეის გამოვლენას. საქმე ისაა, რომ

¹ იხ. თავები: „კარნავალური ფარსი – ანტიქრისტეს მისტერიები“ და „ტრაგიკული მისტერია (გ. რობაქიძის „ლამარა“)“

ქართული თეატრალური მოდერნიზმი საქმიანდ ხშირად მიმართავს მზის კულტის რეალიებს, მასთან დაკავშირებული წარმართული რიტუალებისა და რწმენა-წარმოდგენების სხვადასხვა ფორმათა დამუშავებას. ამ მხრივ, არც „დურუჯის“ ცნობილი მანიფესტია გამონაკლისი. ასეთი გადამუშავების ნიმუშებს ვხვდებით როგორც დრამატურგიაში, (კერძოდ, გრიგოლ რობაქიძის „ლონდას“ და „ლამარაში“), ისე სცენოგრაფიაშიც (აშკარაა ირაკლი გამრეკელის „ლამარასთვის“ შექმნილი დეკორაციის ნათესაობა წარმართულ ორნამენტულ სიმბოლიკას და ქართული ხალხური დეკორის ელემენტებთან). აღნიშნული მოკლე აღწერა-ნალიზი ნაშრომში არ შესულა, თუმცა ეს კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მითოლოგიური ციკლურობის ამსახველი რეალიები საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე წინაქართველურ ტომთა ყველაზე ადრეულ მხატვრულ-სარიტუალო საქმიანობაში იმთავითვე არსებობდა.

თავი I

**კულტურის ღრამაზული მითის საფუძვლები
იღია ჭავჭავაძის ფერილზი „ორიოდე სიტყვა
თავად რევაზ შალვას ემ მრისთავის მიერ
კაზლოვის „მემლილის“ თარგმანზედა“**

ნებისმიერი ვარაუდი თუ თვალსაზრისი რაიმე გლობალური მოვლენის წარმომავლობისა და დანიშნულების, სამყაროსა და კულტურაში მისი ადგილისა და ფუნქციის შესახებ უკვე ერთგვარი მითია. სემიოტიკის როლან ბარტს მითი ადამიანსა და რეალობას შორის მედიაციის საშუალებად მიაჩნია. მითი ისეთი ფორმაა, ენაა, რომელსაც ადამიანთა შემეცნებითი და ღირებულებითი ორიენტაციის რეგულირება, მათი მსოფლიხდვის განსაზღვრა შეუძლია. მირჩა ელიადეს მიხედვით, მითოლოგიას, როგორც ფენომენს, განვითარების თავისი დრამატურგია აქვს, იგი საკრალურ ისტორიას წარმოადგენს, რომელიც ბუნებისა და კულტურის რეალობას ერთიან სისტემაში მოაქცევს და მოგვითხოვს, თუ რა ხდებოდა ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე, როგორ იქმნებოდა ქაოსიდან კოსმოსი და მყარდებოდა წესრიგი „ცათა შინა და ქვეყანასა ზედა“.

მეოცე საუკუნის დამდეგს ოსვალდ შპენგლერმა კულტურათა სიცოცხლის ორგანისტული ციკლური თეორია შექმნა, რომლის თანახმადაც, თითოეული კულტურა, ერთი მხრივ, განუმეორებელ ინდივიდუალურობას ფლობს, მეორე მხრივ კი, განვითარების იდენტურ საფეხურებს გაივლის. კულტურა ისევე, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იქმნება (იბადება), ვითარდება, ზრდასრულ ასაკს აღწევს, ბერდება და კვდება. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ კულტუროლოგი ცდილობდა, კულტურისათვის ინდივიდუალური ფიზიონომია შეენარჩუნებინა, ისტორიის ლინეარულ, მოვლენათა განუმეორებლობაზე დამყარებული პრინციპის მითის ციკლურ დროზე პროექციით მან ისტორიის „მითოლოგიზაცია“ მოახდინა და კულტურათა განვითარების ზოგადი ციკლური თეორია მიიღო. ამით შპენგლერმა ევროპული კულტურის მთლიანობა დაარღვია და განაცხადა, რომ ამ კულტურის მიერ საკუთარი იდენტობის განცდა, ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე, მოჩვენებითია და სინამდვილეში კულტურის ლინეარული უწყვეტობა არ არსებობს.

ამასთან, იგი შეეცადა თავის თეორიაში თითოეული კულტურის განუმეორებლობისა და ერთი კულტურის მიერ მეორე კულტურის ბოლომდე წვდომის შეუძლებლობის იდეაც ჩაედო, თუმცა კულტურათა ინდივიდუალურობის იდეა ციკლურობისა და კულტურის „ცხოვრების“ პროცესის სტრუქტურული იდენტურობის თეორიაშ „დაჩრდილა.“

მთის ციკლური ბუნებისა და მასში სიკვდილისა და სიცოცხლის ფაქტისადმი დამოკიდებულების მოდელის პროექცია მხოლოდ კულტურაზე როდი მოხდა. მითით ადამიანის ფინიქის ფუნქციონირების ახსნაც სცადეს. მითის ფენომენის „მოქმედების“ პრინციპი საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუციისა და კულტურის გლობალური თუ ღოკალური ფენომენის არსის ასახსნელადაც გამოდგა. ყველაზე ფართოდ „მითოლოგიზმის“ პრინციპი ხელოვნებასა და ხელოვნების თეორიაში დამკვიდრდა, რომელიც ხელოვნების განვითარებას, გლობალურად, დეკონსტრუქციისა და რეკონსტრუქციის მონაცვლეობის უსასრულო პროცესად წარმოაჩენს. ეს მონაცვლეობა ქაოსისა და კოსმოსის თანმიმდევრული მონაცვლეობის ანალოგიას წარმოადგენს. მაშასადამე, იმის მიუხედავად, თუ რა მასშტაბის პროცესებზეა საუბარი, ყველგან – „მაკროკოსმოსიდან“ დაწყებული, „მიკროკოსმოსით“ დამთავრებული – სიცოცხლის, სიკვდილისა და შემდგომი განახლების იდენტური „მითოლოგიური“ კანონები მოქმედებს. სტრუქტურალისტმა კლოდ ლევი-სტროსმა მითი ანთოპოლოგიურ პრინციპად წარმოადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეალობის „მითოსური პრინციპებით“ ორგანიზების წესი ადამიანის ფსიქიკის თანდაყოლილი თვისებაა.

თუკი შპენგლერი ეკროპულ კულტურას განიხილავს, როგორც თავის თავში დახშულ ისეთ კულტურათა ჯამს, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ციკლური განვითარების ზოგადი მახასიათებლებით იმეორებენ, ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერი ლინეარული კულტურა, როგორც დროში გაშლილ ციკლურ პროცესთა ერთობლიობა, ლინეარულ და ციკლურ „განვითარებათა“ სინთეზად წარმოვიდგინოთ. ამდენად, თითოეული ციკლი, ზოგადი სტრუქტურული ორგანიზაციის მსგავსების პირობებში, „განახლებული თუ ახალი სიცოცხლის“ „ინდივიდუალური“ თვისებებით გამოირჩევა. ეს თვალსაზრისი ქართულ კულტურაზეც შეიძლება განივრცოს.

ამ დაშვებიდან გამომდინარე, თითოეულ ეტაპზე კულტურამ

კონკრეტულ პერიოდზე „გათვლილი“ და მისთვის აღეკვატური „მითოლოგია“ უნდა შექმნას, რომელიც აუცილებელია მოცემულ პერიოდში კულტურის, როგორც ინდივიდის მიერ სიცოცხლის აღსრულებისთვის. ასეთი „მითოლოგია“ კი სამყაროს იმ გლობალური სურათის შექმნაში მდგომარეობს, რომელიც ყოველი კერძო კულტურის წარმომადგენლებისთვის მათი საარსებო სამყაროს გრძნობადა და სიმბოლურ საზღვრებს შემოფარგლავს, მას შინაგან საზრისესა და მიზნობრიობას მიანიჭებს, იმ ბადეს ქმნის, რომელიც რეალობისადმი ღირებულებით და შემცნებით მიღვომებს არეგულირებს. როდესაც საქმე ეროვნული ნიშნით მოქმედ კულტურასა და საზოგადოებას ეხება, ისეთი ‘ნაციოლექტი’ ანუ ისეთი ენა იქმნება, რომელიც ერთობის თითოეულ წევრს სამყაროს მზა სურათს მარტვდის. როლან ბარტის შეხედულებით, ასეთი ენობრივი სისტემების შექმნა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს, კლასს, სოციალურ ინსტიტუტს ახასიათებს. მითი ის გზავნილია, რომელიც ასეთი ენის ძირითად საზრისეს წარმოადგენს. ბარტის განმარტებით, მითი „საკომუნიკაციო სისტემა და აღნიშვნის ერთ-ერთი სახეა; მითი – ფორმაა“¹.

„როგორც პროფესორი ჯ. ტოინბი მიგვითოთებს ცივილიზაციის აღზევებისა და დაღუპვის შესახებ მის ექვსტომიან კვლევაში, სულში, საზოგადოებაში მომხდარი განხეთქილება არც უკეთესი ძველი დროისადმი მიბრუნების სქემით, არც სავარაუდო იდეალური მომავლის აშენების საპროგრამო დაპირებებითა (ფუტურიზმი) და არც დაშლის მდგომარეობაში მყოფი ელემენტების ხელახალ გაერთიანებაზე მიმართული სრულიად რეალისტური პრაქტიკული მუშაობით არ მიიღწევა. მხოლოდ დაბადებას შესწევს სიკვდილის დაძლევის უნარი, ახლის დაბადებას და არა ძველის აღორძინებას. თავად სულში, თავად საზოგადოებაში – იმისათვის, რომ ჩვენი არსებობა გახანგრძლივდეს – უნდა გრძელდებოდეს „მუდმივი შობა“ (პალიგენეზი), რომელიც სიკვდილის მუდმივ განმეორებას მარად ნულს გაუთანაბრებს“².

როგორც ვხედავთ, ტოინბი პალიგენეზის წესს პრაქტიკულად ყველაფერზე ავრცელებს. შესაბამისად, ნებისმიერი ინდივიდუალური ყოფიერება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც „ცალკეულ ყოფიერებათა ჯამი“, რომელიც თვითიდენტობას ხელახალ „დაბადებათა“ პირობებში

¹ Барт Р., Избранные работы: Семиотика: Поэтика, гл. 72.

² Кэмпбелл Дж., Тысячелетний герой, гл. 27.

ინარჩუნებს და ახორციელებს. შეიძლება ითქვას, რომ ისევე, როგორც კულტურის ყოველ ისტორიულ პერიოდს თავისი „კოსმოგონია“ და „თეოგონია“ აქვს, ადამიანსაც, როგორც ინდივიდს, განვითარებისა და თვითშენარჩუნების თუ თვითაღდებენის ანალოგიური მექანიზმი ახასიათებს. საერთოდ, განმეორებადი თვითკრეაცია კულტურისა და კულტურაში ყოფიერების აღსრულების მექანიზმია, ხოლო თვითკრეაციის შესაძლებლობის რწმენა და მისი რიტუალური განცდა ფსიქიკური ერთობის რეგულირების მექანიზმს წარმოადგენს. ტონბი, ფაქტობრივად, ფსიქიკისა და საზოგადოებისათვის თვითგანახლებისა და ხელახალი ინიცირების მთო-რიტუალურ რეცეპტს’ გვთავაზობს.

თუ ზემოთქმულს ქართული კულტურის რეალობაზე განვავრცობთ, შეგვიძლია, მის ისტორიულ ლინეარულობაში თვითგანახლების რამდენიმე ციკლი გავარჩიოთ. ერთ-ერთი ასეთი ეტაპის დადგომის „გაცნობიერება“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში, განსაკუთრებით კი მის „მერანში“ ხდება საცნური. ეს ლექსი ახალი სამყაროს ინიცირების ჟინითა განმსჭვალული. ყველაზე საინტერესოა პოეტის მიერ „მშობლიურ სამყაროზე“ უარის თქმა, რაც ბედონ შეჯიბრისა და მისთვის გასწრების, ანუ „ძველი“ სამყაროს ბედისწერის პრინციპის დაძლევაში მდგომარეობს (იგივე ტენდენცია შეინიშნება ალექსანდრე ბლოკის პოეზიაშიც, რომელიც პირდაპირ ქმნის გამოთქმას „ძველი სამყარო“ ან „მოხუცი სამყარო“). ამ უარყოფას ის ნაწილაკებიც გამოხატავს, რომლითაც პოეტი ლექსის სტრიქონებს იწყებს და რომლითაც ის ბედისწერასთან დაალოგის გამომწვევ ტონალობას ირჩევს: „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა; / ნუდა ვინილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა, – სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო; / მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“ (აქ სხვა ქართველი პოეტის სიტყვები გვახსენდება: „მხოლოდ დამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამამემ, იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეორმა დამემ“). „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის,“ – აგრძელებს ბარათაშვილი, – ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუდა დამეცეს ცრემლი მწუხარის, / შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“ „გასწი, როგორც ქართული კულტურის რეალობაზე განვავრცობთ, შეგვიძლია, მის ისტორიულ ლინეარულობაში თვითგანახლების რამდენიმე ციკლი გავარჩიოთ. ერთ-ერთი ასეთი ეტაპის დადგომის „გაცნობიერება“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში, განსაკუთრებით კი მის „მერანში“ ხდება საცნური. ეს ლექსი ახალი სამყაროს ინიცირების ჟინითა განმსჭვალული. ყველაზე საინტერესოა პოეტის მიერ „მშობლიურ სამყაროზე“ უარის თქმა, რაც ბედონ შეჯიბრისა და მისთვის გასწრების, ანუ „ძველი“ სამყაროს ბედისწერის პრინციპის დაძლევაში მდგომარეობს (იგივე ტენდენცია შეინიშნება ალექსანდრე ბლოკის პოეზიაშიც, რომელიც პირდაპირ ქმნის გამოთქმას „ძველი სამყარო“ ან „მოხუცი სამყარო“). ამ უარყოფას ის ნაწილაკებიც გამოხატავს, რომლითაც პოეტი ლექსის სტრიქონებს იწყებს და რომლითაც ის ბედისწერასთან დაალოგის გამომწვევ ტონალობას ირჩევს: „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა; / ნუდა ვინილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა, – სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო; / მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“ (აქ სხვა ქართველი პოეტის სიტყვები გვახსენდება: „მხოლოდ დამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამამემ, იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეორმა დამემ“). „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის,“ – აგრძელებს ბარათაშვილი, – ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუდა დამეცეს ცრემლი მწუხარის, / შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტალის მინდვრის და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!“ „გასწი,

გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი, / თუ აქამძღე არ ემონა მას, არ აწ ემონს შენი მხედარი“.¹

საინტერესოა, რომ ბედის საზღვრისაკენ მიმავალ გზაზე მოგზაურობისას პოეტის ერთადერთი თანმხელები სიმბოლო გარსკვლავებია. თუ მორალის (არჩევანის) ხმასა და ვარსკვლოვან ზეცას შორის კანტის ანალოგიას გავიხსენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარათაშვილი აქ ყოფიერების ანთროპოლოგიურ პრინციპს, მის გამაერთიანებელ საფუძველს აღმოაჩინს, ვარსკვლავთა სახით მას უმაღლესი კანონზომიერებისა და, ამავე დროს, უზენააქი თავისუფლების „ღვთაებანი“ მიჰყვებიან. ასეთივე თავისუფლების გამოხატულებაა მორალის ხმა სულში, რომელიც ამ თავგანწირული თვითმოძრაობის, ამ ეგზისტენციური არჩევანის საფუძველია. სწორედ ყოფიერების უმაღლესი კანონის განხორციელების გზით უპირისპირდება ის ბედისწერას, რომელიც წარსულ ცხოვრებას უკავშირდება, ხოლო სიკვდილისა და შემდგომი განახლებისა და თავისუფლების სამყაროში, ძველიდან გასვლისა და ახალი რეალობის დაფუძნებას შორის არსებულ მომენტში, ბარათაშვილი ბედისწერაზე მაღლდება, ეგზისტენციის უზენააქს თავისუფლებას მოიძოვებს. აქ ეგზისტენციური თავისუფლების განცდაც შეგვიძლია დავინახოთ, რომელიც ძველი სამყაროს დასრულებისა და ახლის ინიცირების წინ არსებულ „წამს“ უკავშირდება. ფაქტობრივად, პოეტს ამ ლექსში თავისუფლების წამით ტკბობის მომენტი აქვს „დაჭრილი“. ორ სამყაროს შორის „ყოფნა“ აღვსილია თავისუფლების „სუბსტანციით“. ქაოსი კი, რომელიც ხელახალ კრეაციას უსწრებს წინ და ტიალ მინდორში მქროლი ქარიშხლის სახით წარმოგვიდგება, როგორც წმინდა შესაძლებლობა, უმაღლეს ეგზისტენციურ საზრისს იძნეს. „მერანის“ სიმბოლიკა – თავად მერანი, ყორანი, ვარსკვლავი მითოლოგიურ საზრისს იტევს და პოეტი – გმირის ცხოვრების გზაზე ფუნქციონალურ დატვირთვას ასრულებს. საფლავი პოეტისა (ამ შემთხვევაში – გმირისა), რომელიც ახალი სიცოცხლის დასაფუძნებლად კვდება და საკუთარი საფლავით, როგორც საკრალური ცენტრით, ქაოსის ინიცირებას ახდენს, ქაოსიდან კოსმოსის დაბადების ტოლფასია. შეიძლება ითქვას, ლექსში ახალი სამყაროს ინიცირების საწყისი ეტაპია „გადმოცემული“. თუ „მერანში“ „პოეტის სიკვდილს“ გავიგებთ როგორც კულტურის

¹ ბარათაშვილი ნ., ღუჯუჯიძე, პოემა, წერილუბი, გვ. 29-30.

დასაფუძნებლად გმირის თავგანწირვას, განსაკუთრებულ სიმბოლურ და რიტუალურ შინაარსს იძენს იღლის მიერ ბარათაშვილის პოეზიის „აღმოჩენა“¹ და თბილისში მისი შემდგომი გადმოსვენება, რითაც ხდება პოეტის რეალური ცხოვრების პროექცია მისი „პერსონაჟის“ პერიოკულ სიმბოლურ ბედისწერაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მეცხრამეტე საუკუნის ქართული სინამდვილის კულტურული „გმირია“ – გმირი, რომელმაც ქაოსს ახალი კოსმოსი გამოსტაცა, რომელმაც ახალი ოვითშეწირვით ქართულ კულტურულ ცნობიერებას ახალი სიცოცხლე მიანიჭა. ფაქტობრივად, „მერანში“ დასასრულისა და დასაწყისის მითოსი ერთიანდება და „სიკვდილით სიკვდილის დაძლევა“ ხდება.

მაშასადამე, ბარათაშვილის „მერანში“ შეგვიძლია დავინახოთ ერთგვარი „კოსმოგონია“, რომლის შემდგომ, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის მეშვეობით, თანდათან თანამედროვე ქართული კულტურის გამჭოლი მითი ყალიბდება. ეს პროცესი ერთგვარ კულტინაციას ილია ჭავჭავაძის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანთან დაკავშირებულ წერილში მოყვანილ ცნობილ „ფორმულაში“ აღწევს:

„სამი ლვთაბრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქწებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიციო, ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“!¹ – წერს ილია ჭავჭავაძე წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძე ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. სწორედ ამ ნაწყვეტში გვთავაზობს ილია იმ „მაქსიმას“, რომელშიც ქართული კულტურის არსისა და რაობის ლაკონიურად და ამომწურავად ფორმულირებას ცდილობს. თუკი ცნებებს მამული – ენა – სარწმუნოება სხვა ცნებათა ენაზე „ვთარგმნით“, მივიღებთ აღნიშნული ტრიადის შემდეგ მოღიუჟიკაციას: მიწა-შუამავალი-ღმერთი.

ამ „ტრიადის“ განხილვა და ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება, მაგრამ, როგორც სათაურმივე მივუთითეთ, გვაინტერესებს მისი „დრამატული“ პოტენციალი, მისი „მითი“, რაც კულტურაში არსებული ზოგადი ტენდენციების ახსნისა და მათი შემდგომი

¹ ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 17-18.

„პროგნოზირების“ საშუალებას შექმნის. ამასთან, იმ „კულტურულ ველსა“ და ამოცანებს ცხადყოფს, რომელიც ქართული თეატრის აღდგენას დაედო საფუძველად. მით უფრო, რომ, უკვე საუკუნეზე მეტია, იღიასეული მაქსიმა ქართული კულტურისთვის ნაციის მიერ საკუთარი იღენტობის განცდის დევიზად და საფუძვლად იქცა.

ჩვენი მოსაზრება ასეთია: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ სახოგადოებაში კვლავ მომწიფებდა ვითარება, როდესაც დღის წესრიგში დადგა კულტურის ახალ კონტექსტში თვითგანახლების, კოლექტივისა და ინდივიდის განმეორებითი თვითშეტეცნებისა და თვითშექმნის პრობლემა. ამ ამოცანის განხორციელება კი, პირველ რიგში, არაცნობიერი კოლექტიური პროცესებისადმი ყველაზე მგრძნობიარე ხელოვნებამ იკისრა. სწორედ ამან განაპირობა ქართული პოეზის წარმომადგენელთა ერთგვარი მისიონერული განცდა, რომელიც მათ შემოქმედებაში აისახა. „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ლმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძლვე წინა ერსა“, – წერს ილია. „გარემოების საყირი, ხან მიწისა ვარ, ხან ცისა“, – უერთდება მას აკაკი. ცისა და ერის, მიწისა და ზეცის კატეგორიები სამყაროს ტოტალური დუალური ორგანიზებისა და მისი საკრალური მთლიანობის ინტუიციას ემყარება. ხოლო ზეცისა და მიწის კავშირი მითოლოგიაში ის ფუნდამენტია, რომელზეც ჯერ ბუნების, შემდეგ კი კულტურის ღმერთები უნდა აღმოცენდნენ. მიწისა და ზეცის კავშირის განხორციელება სამყაროს შემოქმედების აქტის ნიშანია ანუ, ფაქტობრივად, სამყაროს ინიციატივის რიტუალია. ღმერთთან ლაპარაკი კი ზეცასა და მიწას შორის მედაციის პრინციპია, რომლის მრავალფეროვანი აზხნა და ინტერპრეტაცია შეიძლება. პოეტი „განხორციელებული ენაა“, ის თავად „ცოცხალი მითია“, რომელიც თავის თავში მთელი სამყაროს მოღვაწეს „იტენს“. პოეტისა და ხელოვნის, როგორც ღმერთთან მოღაპარაკისა და მედიუმის თემა ჯერ კიდევ პლატონს აქვს „იონში“ განხილული. ხელოვანი (რაფსოდი), პლატონის მიხედვით, ღვთაებრივისა და მიწიერის, ღვთაებრივისა და ადამიანურის კავშირს ახორციელებს. ‘ქართველი’ პოეტი-მედიატორიც სიცოცხლეს, ყოფიერებას უყრის საფუძველს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სიცოცხლისა და, შესაბამისად, კულტურის მუდმივი კრეაცია.

შეიძლება თქვას, ქართული პოეზია და პუბლიცისტიკა თავის თავზე თანამედროვე მითოსის შექმნის ამოცანას იღებს. ეს ცოცხალი

მითოსია, მითია მოქმედებაში. ის, ფაქტობრივად, კოსმოსსა და კულტურას განახლებს, ხოლო ამის შემდეგ უკვე შექმნილ სამყაროში შემოღის დრამა, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი თავისუფლების რეალიზაციის საფუძველი.

ცნობილია, რომ ბერძნული დრამის ფორმირება ქოროდან მსახიობის გამოყოფით დაიწყო, რაც ბერძნული საზოგადოების განვითარების „ანთროპოლოგიური“ ეტაპის მაუწყებელი გახდა. ბერძნული დრამის ცენტრში ადამიანისა და მისი ეგზისტენციის პრობლემები მოექცა, ხოლო დრამაში ბერძნულ მითში აქ პრობლემატიკის ამსახველი „დრამატული“ მითები „მონახა“.

სიტყვა ‘მითი’ შემთხვევით არ გვიხმარია, არისტოტელეს „პოეტიკაში“ მითი, ფაქტობრივად, უნივერსალური, კულტურისა და ადამიანის არსებობის არქეტიპული ამბისა და მასში ასახული თუ განხორციელებული მოქმედების სინონიმად არის წარმოდგენილი. ამდენად, ილიას მიერ შემოთავაზებული მაქსიმა მეცხრამეტე საუკუნეში ფორმირების პროცესში მყოფი ახალი ქართული რეალობის შინაგანი საზრისის დამტევ ერთგვარ მითად‘ მოჩანს, თანაც უკვე ფორმირებული სამყაროს მითად, სადაც ღვთაებრივი და ადამიანური ყოფიერება, ამ ორი არსის სუბირდინაცია და რეალობის ღუალური ორგანიზაციისა და მედიაციის პრინციპი მოქმედებს. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის, რომ მწერალი „ენას, მაჟულსა და სარწმუნოებას“ ღვთაებრივ საუნველთ სახელით მოიხსენიებს. ეს კულტურის ცნობიერი საკრალიზაციის ნიმუშია, რაც მას მთლიანობისა და ღვთაებრივი წარმოშობის თვისებას ანიჭებს. იქ კი, სადაც არსებობს საკრალური და პროფანული, რიტუალის აუცილებლობაც ჩნდება, რომელიც საკრალური რეალობის კარიბქესა და, ამასთან, მისი შექმნის ინსტრუმენტს წარმოდგენს. მაშასადამე, როდესაც ილიამ სამწევრა სისტემა „მოხაზა“, რომელშიც ერთიანი „მითოსური“ სამყაროს მთლიანობის მომცველი მოდელი ჩადო – მამული, მიწიერი ქვეყანა, რომელიც ენისა და სარწმუნოების მეშვეობით ღვთაებრივ ყოფიერებასთან მუდმივ კავშირშია, მან კულტურის ხელახალი ტოტალური ინიციაციის’ საფუძველი მოამზადა. ხოლო განახლებული კულტურის ველში მოხვედრის ერთ-ერთ ძირითად ‘რიტუალურ’ გზად თეატრი დასახა.

სწორედ ამიტომ მიგაჩნია ილიასეული ტრიადა ქართული თეატრის აღდგენასთან უშუალოდ დაკავშირებულ მოვლენად. მით

უფრო, რომ მირჩა ელიადესა თუ მითოლოგიის სხვა მკვლევრების აზრით, მითის აქტუალურობა და მისი მაორგანიზებელი მისია მარად – ნებისმიერ ეპოქაში საგრძნობია. ამას ადასტურებს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ევროპაში მითისა და მისი „მოქმედების“ ფორმებისა და კანონებისადმი გაზრდილი ინტერესიც. მითისა და სიმბოლოს, როგორც არაცნობიერის მეტასტრუქტურის, ფსიქიკის არქეტიპული ყალიბის შესახებ წარმოდგენა ფრინიდისა და, განსაკუთრებით კი იუნგის სახელებს უკავშირდება.

რაც შეეხება ენას, სტრუქტურული ანთროპოლოგიის პოზიციიდან, მასზე აქცენტის გაკეთება აბსოლუტურად გამართლებულია. კლოდ ლევი-სტროსი თვლის, რომ ენა, როგორც კოლექტიური სოციალური ფენომენი, საზოგადოებაში (კულტურაში) არსებულ ურთიერთობათა სისტემის თავის თავში ასახვის უნვერსალური მექანიზმია, ერთგვარი მეტასტრუქტურაა, რომლის მოქმედება კოლექტიური არაცნობიერის დონეზე მიმდინარეობს და, რომელიც თავის ‘ინდივიდუალურ’ თვისებებთან ერთად, კულტურის სტრუქტურული ორგანიზების გლობალურ პრინციპებსაც მოიცავს. შესაბამისად, ენის განვითარება საზოგადოების კოლექტიური საფუძლების მართვისა და განვითარების საშუალებად შეიძლება ვაქციოთ. ენა თავად არის ’მოქმედება’, ხოლო მისი გრამატიკული სტრუქტურა არსებითი სახელისა და მის მიერ განხორციელებულ თუ განცდილ მოქმედებათა ირგვლივ მოძრაობს. ამასთან, ენა, როგორც მეტასტრუქტურა, მითიც არის და არაცნობიერის მითოსური ბაზისის მანიფესტაციაც. „უზმნოდ არა ენა, ფრინველის ენის მეტი, არ იხმარება და უფრო ჩვენი დალოცვილი ენა; ...ქართულში ყოველოვის ზმა უნდა, ეგ მეორე კლასის მოსწავლემაც იცის!“¹ ქართული კულტურა, იოანე ზოსიმეს „ქებამ და დიდებამ ქართულისა ენისაას“ წყალობით, ენის ფენომენის მითოლოგიზირების მაგალითს იცნობს. ამ თხზულებაში ენას მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი არსის თვისებები ახასიათებს, ის ორმაგი წესით არსებოს, ერთგვარი მიწიერი და ასტრალური ყოფიერებით, სადაც პირველში მის აბსოლუტურ თვისებათა მხოლოდ ნაწილია რეალიზებული. ენა, იოანე ზოსიმეს აზრით, ღვთაებრივი არსის იდენტურია და მასში ყოველი საიდუმლო არის დავანებული, რომელთა გამხელა მეორედ მოსვლის უმს ანუ კულტურის ფინალურ წერტილში მოხდება.

¹ ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, ტ. II, 1941, გვ. 13.

სიმბოლისტების, კერძოდ, ანდრეი ბელის აზრით, პოეტური შემოქმედება და სახელდების პროცესი „ახალი რეალობის ინიცირებას“ წარმოადგენს. ყოველი შემოქმედებითი აქტის შემდეგ სამყაროს განახლება-წვდომა ხდება. სახელის დარქმევით მყარდება კავშირი სამყაროსა და ადამიანს შორის, სუბიექტი ერთვება ყოფიერების ობიექტურობაში. რეალობა „ესთეტიკური ფენომენია,“ მას „სუბიექტურ-ობიექტური“ ბუნება აქვს, ხოლო მისი ჭეშმარიტი ეგზისტენცია სახელდების, ინტუიციური წვდომისა და რიტუალური ინიცირების შემდეგ იწყება. პირველად იყო სიტყვა, — ამბობს უასტი, — არა, — დაფიქრდება იგი, — პირველად იყო ძალა. საბოლოოდ კი დაასკვინის: პირველად იყო საქმე. მაშასადამე, სიტყვა არის „ძალა“ და „საქმე“. რაც იმას ნიშნავს, რომ სიტყვა, ერთი მხრივ, ენერგია და პოტენციაა, ხოლო მეორე მხრივ — მისი რეალიზაცია. შესაბამისად, ყოველი სიტყვიდან მთელი სამყაროს შექმნა შეიძლება.

როდესაც სიტყვათა კავშირში „ენა, მამული, სარწმუნოება“ კულტურის ამბის, მისი დრამატული პოტენციალის ამოკთხვა გვინდა, სამყაროს რეალობაში ეგზისტენციურად ვერთვებით, მის ხელახალ საზრისობრივ წვდომასა და ინიცირებას ვახდენთ; რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მასში „კოდირებული“ ამბავი უნდა „გავხსნათ“ და დროულ-სივრცული არსებობა მივანიჭოთ. უაქტობრივად, ტექსტს ვუდგებით როგორც ‚სამყაროს‘, რომელიც სიმბოლოებისგან შედგება. აქედან გამომდინარე, სიმბოლოდ განიხილება არა მხოლოდ მეტაფორა და პოეტური ტროპი, არამედ ნებისმიერი ცნება და სიტყვა, ვინაიდან თითოეული სიტყვა, როგორც ცნება, „როგორც ბერები კომბინაცია“ უკვე არსებულის არსებობის დაღასტურებაა.

არისტოტელე მითს დრამის სულად თვლიდა, დრამის განხორციელებისთვის კი ადგილისა და დროის პირობის დაცვას მოითხოვდა, რაც აუცილებელი იყო მითის ანუ ამბის გაშლისთვის. მაშასადამე, ჩვენს ტრიადაში არსებული პოტენციური ამბის ამოსაკითხად ჯერ ადგილისა და დროის პრინციპი უნდა გამოვიყენოთ.

დავიწყოთ ტრიადის პირველი წევრით — მამული. სიტყვა „მამული“ მამისეულს ნიშნავს და პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი მემკვიდრეობის სამართლებრივ პრინციპს ასახავს. მამულს იმავდროულად მეორე მნიშვნელობაც აქვს — მიწის ნაკვეთის, მეტიც — ზოგადად, ქვეყნის სახელწოდებაც არის,

ქვეყნისა, რომლის ფლობის უფლება მამიდან შეიღს ღვთაებრივი განჩინების წესით გადაეცემა. მაშასადამე, სიტყვა „მამული“ თავის თავში მოიცავს როგორც ადგილის (ვინადან მასში იგულისხმება ხმელეთის ნაწილი, რომელიც ცასქვეშეთში მდებარეობს), ისე დროის პრინციპს (მემკვიდრეობითობა მონაცელეობას ნიშნავს, ხოლო მონაცელეობა მხოლოდ დროშია შესაძლებელი). მამულის ცნება და მასში არსებული (ნაგულისხმევი) მემკვიდრეობითობის პრინციპი რეალობის ორ მხარეს, ორ პოზიციას, ადამიანის არსებობის ორგვარ წესს ვარაუდობს – მამად ყოფნისა და შვილად ყოფნის წესებს. ამასთან, ვინადან თვითონ ცნების წარმოების წესი მამის სახელის პრიორიტეტულობას აცხადებს, მასში კოდირებულია გარგვეული სუბორდინაცია, რომელიც შვილზე მამის უპირატესობას აღიარებს. ამდენად, მამულში, რომელიც ყოფიერების სივრცეს აღნიშნავს, ამ ყოფიერების აღსრულების პრინციპიც არის ჩადებული, რომელიც ეფუძნება მამიდან შვილზე გარდამავალი საარსებო სივრცის გადაცემას. როგორც უკვე ვთქვით, გადაცემა მოქმედებაა, რომელიც აღსრულებისთვის დროის არსებობას საჭიროებს. მაშასადამე, მამულის ცნება ერთდროულად ყოფიერების აღსრულებისთვის განკუთვნილი სივრცისა და დროის იდეასაც აერთიანებს და ამ სივრცესა და დროში არსებულ პატრიარქალურ კულტურაში ქცევის ფორმასა და წესსაც. ფაქტობრივად, ის ამბის ერთგვარ ზოგად ფორმას შეიცავს, რომლის ფარგლებშიც, ერთი შეხედვით, ორწევრა სისტემის – მამა-შვილი – არსებობა შესაძლებელი ხდება.

მამულის ცნებაში კიდევ ერთი წევრი მოიაზრება – იგივე მმული, ოღონდ უკვე, როგორც მიწა. კლოდ ლევი-სტროსის შენიშვნით, ქალები პატრიარქალურ საზოგადოებაში „გაცელა-გამოცელის“ (კომუნიკაციის) საშუალებანი არიან. სწორედ ასე იკითხება მამულის ცნებაში კიდევ ერთი შინაარსი – მამულის მდედრობითობა, რომელიც ისევე, როგორც შვილი, ზედაპირზე მდებარე ცნების ჩრდილშია მოქცეული და მამისეული საწყისის მიერ არის სახელდებული, ფარულად მასშია კოდირებული, თუმცა, მისგან განსხვავებით, მამულის ფლობაში, მის მემკვიდრეობით „მოძრაობაში“ არ მონაწილეობს; პირიქით, ის თვითონ არის მამულის მიწიერი სახის ანუ „გაცელა-გამოცელის“ ობიექტის განსახიერება. ქართულში არსებობს ცნება, რომელიც ამ ვარაუდის თუ ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს – ეს დედამიწის ცნებაა.

საინტერესოა, რომ ქალი (დედა) აქ მატერიალური პრინციპის აღგილს იკავებს. მაშასადამე, თუ სიტყვაში „მამული“ მამის ცნება აქტუალური მფლობელის თვალსაზრისით არის ნავარაუდევი, დედის ცნება სამფლობელოს მნიშვნელობით შემოდის. ე. ი. უკვე გვაქვს „სამწევრა“ სისტემა, რომელიც თავის თავში დინამიკური განვითარების შესაძლებლობას მოიცავს. ქართულში კიდევ ერთი ცნება ეხმაურება მამულის ცნების „ფარულ მდედრობითობას“ – დედა-სამშობლო, რომელშიც მიწის მატერიალური პრინციპი კვლავ ქალურ საწყისს უკავშირდება. მაშასადამე, სიტყვა „მამულის“ სემანტიკური ველი სინამდვილის დუალური ორგანიზების პრინციპს შეიცავს. აქვეა მოძრაობისა და მედიაციის პრინციპი, მემკვიდრეობითი მიმოქცევა და მიმოქცევის საგანი. საინტერესოა, რომ მამა-შვილს შორის კავშირი მდედრობითი შუამავალის მეშვეობით ხორციელდება. „სისტემაში“, რომელიც სიტყვა „მამულის“ ცნებით საზრისში არსებობს, შემდეგი წევრები იგულისხმება: მამა, შვილი, თავად მამული, როგორც მამიდან შვილზე გარდამავალი ობიექტი და მისი მიმოქცევა ანუ მოძრაობა.

ალბათ შენიშნეთ, რომ ერთ სიტყვაში გამოიკვეთა დრამატურგიაში ცნობილი რამდენიმე მითის კონტურები, უფრო სწორად – ამ მითების განვითარების პოტენციალი. მხედველობაში გვაქვს მითი ოიდაპოსის შესახებ, რომელიც „მემკვიდრეობითი მოწყობის ზღვრულ“ პრინციპზეა დაფუძნებული – თვითგანხორციელებისთვის აუცილებელია „მოკლა“ მამა (იქცე მამად) და „დაუუფლო“ (შეეუდლო) დედას. მამულის დასამკვიდრებლად უნდა დაუუფლო მამულს; მამულის დაუუფლება კი შესაძლებელია მამის ფიგურალური მოკვლით. თუმცა მამის მოკვლა და მისი ადგილის დაკავება შვილის სტატუსში თვითმკვლელობასაც გულისხმობს: შენში უნდა მოკვდეს შვილი, რათა დაიბადოს მამა. სწორედ ამაზე ამაზვილებს ფურადღებას იუნგი ნიცშეს შესახებ წერილში. ნიცშეს აღიარება ღმერთის სიკვდილის თაობაზე მის მიერ განხორციელებულ „მკვლელობას“ უტოლდება, რაც საკუთარი თავის ღმერთად გამოცხადების საწინდარია. ამ პრიობლემის „მოწესრიგებას“ შვილობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და მამის მარადიული სახის დაწესება ახდენს – მამისა, რომლის, როგორც უზენაესი არბიტრისა და საწყისის, სახე „სარწმუნოებაში“ იგულისხმება. სარწმუნოებაა ის ბერკეტი, რომელიც მამის როლის აბსოლუტიზაციას ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, შვილობრივ განცდასაც ინარჩუნებს. მამა-შვილის

არსებობის დისპოზიციის შენარჩუნება, რომელიც საზოგადოების სამართლებრივი და ეთიკური მოწყობის პრინციპით ხორციელდება, კულტურის არსებობის აუცილებელი პირობაა. ფრონდის აზრით, ამ დისპოზიციისა და დისტანციის დასაწერგად იქმნება ტაბუ – კულტურის მიერ თავისი თავის შენარჩუნების საშუალება.

„მირითადი ხედგა, რომელიც გრიგოლ რობაქიძის მოელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არს შეადგენს, არის აღიარება იმისა, რომ ყოველი ადამიანი მომაკვდავი შვილია, რომელიც თავის თავში ატარებს უკვდავ მამას. ხელოვნების მიზნი კი ის არის, რომ მამის უხილავი სუნთქვა გამოხატოს ხილული და გრძნობიერი სახით. ოუ ადამიანი ვერაფერს მიაღწევს გარდა იმისა, რომ შვილი ასახოს, მისი ხელოვნება ზერელე რამ არის. მაშასადამე, რობაქიძისათვის ყოველი ადამიანი საწყაულია, რომელშიც ერთიანდება მოკვდავი და უკვდავი. ღვთაებრივ-ადამიანური, ღვთაებრივ-ცხოველური. აი, რას მიჰყავს იგი ამ აზრამდე. მხოლოდ ერთი მათგანის გამოხატვა მეორის საშუალებით, აი, ეს არის ხელოვნება რობაქიძისთვის. სიტყვით გამოხატავს იმას, რაც უკვდავია და ჩვენში ცოცხლობს. ეს არის მაგია. სიტყვა, მისი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, ქართულში აგრეთვე ნიშნავს: აღებას, განაყოფიერებას, მაშასადამე, სიტყვამ უნდა შეიცნოს იგი,“ – წერს რუდოლფ კარმანი წერილში „რობაქიძე და მითის აღორძინება“¹! კარმანის ერთი განსაზღვრება – ყოველი ადამიანი მომაკვდავი შვილია, რომელიც თავის თავში ატარებს უკვდავ მამას – ჩვენს მსჯელობას ეხმანება. აქ, ისევე, როგორც მამულისა და სარწმუნების ცნებების ჩვენეულ ანალიზში მინიშნებულია მამა-შვილის ერთიანობისა და განსხვავებულობის დიალექტიკა. კარმანი შვილის ცნებას გარდამავალ კატეგორიად მიიჩნევს, ხოლო მამისას – უცვლელ „უკვდავ“ კატეგორიად. ადამიანი გარდამავალი საწყაულია, – წერს კარმანი – რომელშიც მამა, როგორც შემოქმედი, აღემატება შვილს, როგორც შექმნილს. მამა არის მიზანი, შვილი არის საშუალება. მაგრამ მამისა და შვილის ადამიანის ცნებაში გაერთიანება მამა-შვილის, როგორც დამოუკიდებელ ერთეულთა ბრძოლისა და დაპირისპირების პირობაცაა. შექმნილი უპირისპირდება შემქმნელს. ამ ბრძოლის აბსოლუტური ხარისხის გამოხატულებაა მითი პრომეთეზე, რომელიც მარადიული

¹ კარმანი რ., „რობაქიძე და მითის აღორძინება“, ჩემოვას სიძართლუ კულუფერია. გვ. 382

მამისა და მარადიული შეიღის მუდმივ დისპოზიციას ასახავს. კულტურა იწყება მაშინ, როდესაც „იქმნება“ მებრძოლი შეიღი, მაგრამ ბრძოლისა და დაპირისპირების პირობის შენარჩუნება მისი არსებობისთვისაც აუცილებელია, რადგან კულტურა და, შესაბამისად, მითი ისევე, როგორც ენა, მოძრაობაა, მოქმედებაა და არსებობისათვის მარადიული გადალაზვისა და კონფლიქტის მარადიული შენარჩუნება-აღდგენის პირობას მოითხოვს. მაშასადამე, დრამის მარადიული კონფლიქტი საჭიროებს გადალაზვისკენ სწრაფვას, მედიაციას, ისეთ არსებობას, რომელიც კონფლიქტური ვითარების დაძლევის მცდელობისას შეუამავალის როლს იკისრებს.

საინტერესო და ნიშანდობლივია, რომ სამოციანელთა პირველი მკვეთრი საზოგადოებრივი და სიმბოლური ნაბიჯი სწორედ მამათა და შეილთა ბრძოლაა. როგორც ჩანს, კულტურას მისი გამოვლენის მრავალფეროვნებაში განვითარების ისეთივე მყარი ინვარიანტული შესაძლებლობები უდევს საფუძლად, როგორც გრძნობადობისა და განსჯის აპრიორულ სტრუქტურებს. მითი ანთროპოლოგიური კატეგორიაა, რომელიც მოქმედების ალბათური განვითარების შესაძლებლობებს განაპირობებს.

თუმცა ჭავჭავაძისეული ტრიადა მხოლოდ მამულის ცნებით არ შემოიფარგლება, ის ენისა და სარწმუნოების ცნებებსაც მოიცავს, რომლებიც ტრიადის პირველი წევრის – მამულის საზრისობრივ ველში „არსებულ“ კონფლიქტთა დარეგულირების საშუალებაა. ამ მარეგულირებლის ფუნქციას „კისრულობს“ სარწმუნოების ცნება, რომელიც მამობრიობის პრინციპის გამაძლიერებლის როლს ასრულებს. ტრიადის მესამე წევრი – ენა, თავის მხრივ, სხვა წევრთა თვისებებსაც ატარებს და მათი დაკავშირების შესაძლებლობასაც სწორედ ამიტომ ფლობს.

მამის, შვილისა და მედიატორისაგან შემდგარი ტრიადა, თავის მხრივ, ქრისტიანული სამების კონკრეტულ ასოციაციასაც აღძრავს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კულტურასა და მასში მიმდინარე პროცესების სიღრმისეულ ურთიერთკავშირს მათ გამაერთიანებელ თანადროულ მითში ვწედავთ; მითი კი გვესმის, როგორც კულტურის მიერ, მისი არსებობის ყოველ თვისობრივად ახალ ეტაპზე, სამყაროს რაობისა და წარმომავლობის, მისი შიდა

მიზნობრიობისა და ამ მიზნობრიობაში ადამიანის ეგზისტენციური ჩართულობის გრძნობადი, მხატვრულ-სიმბოლური გამოხატვის ფენომენი, რომელსაც თავისი დასაბამი, შუა ნაწილი და დასასრული აქვს. ფაქტობრივად, მითი, როგორც საკრალური ისტორია, როგორც ღვათაებრივისა და ადამიანურის თანაარსებობის დრამატული წესი, მთლიანობაში თვითონ წარმოადგენს კულტურის ერთიანი დრამის ცოცხალ სულს, რომელიც მას ერთიან საზრისს ანიჭებს.

თავი II

მითოლოგიზმი ალექსანდრე ახმეტელის თეორიულ თვალსაზრისში

სამოციანელთა მიერ შექმნილი ‘ახალი მითოლოგია’ საზოგადოებრივი ცნობიერების მარეგულირებელი ფაქტორის როლს ასრულებდა. ფაქტობრივად, ქართული თეატრი და ლირებულებათა ის სისტემა, რომლის დამკვიდრებაც მისი მხატვრულ-სახეობრივი ენის მეშვეობით ხორციელდებოდა, იმ მითოსის გამტარი იყო, იმ გლობალური სამყაროს ერთიანი მითოსის კონსტრუირების წესებს ასახავდა, რომლის წიაღშიაც მიედინებოდა ამ საზოგადოებრივი ერთობის წარმომადგენელთა ცხოვრება. თავის მხრივ, ისიც ამ კონკრეტული კულტურის ‘საკრალური ისტორიის’ უზოგადეს მოდელს ქმნიდა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი მეოცე საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებით, ოციანი წლებიდან მოყოლებული, ამ მითოსური ნარატივის ძირითად მთხობლად და პროტაგონისტად იქცა და საკრალური ნაციონალური უნივერსუმის კონსტრუირებისა და რეკონსტრუირების ამოცანა იტვირთა. იგი თავად გახდა მითის ფიგურა და თავისი ისტორიული არსებობის პერიპეტიებით მამათა და შვილთა ბრძოლის იმ ‘არქეტიპში’ მოექცა, რომელიც სამოციანელთა მოღვაწეობის დროიდან საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ‘ფორმალურ ყალიბად’ და ქმედების პრიორიტეტულ მოდელად ჩამოყალიბდა. სოციალურ-პოლიტიკური აზრის მოძრაობამ, რომელიც საზოგადოებრივ სარბიელზე თობათა დაპირისპირების ფორმით ხორციელდებოდა და პრომეთეული მითისა და ‘ოიდიპოსის კომპლექსის’ ელემენტებს მოიცავდა, თეატრის სარბიელზე გადაინაცვლა.

ქართულ თეატრს, რომელსაც ამ პერიოდისთვის უკვე მამულის ხელახალი ‘დაფუძნების’ საკრალური მისია პქნდა დაკისრებული, ახალი, დრამატული პოტენციალის მომცველი არქეტიპი შეეთვისა, რომელმაც, მისი შემოქმედებითი განვითარების მომავალთან ერთად, საკუთრივ მისი ისტორიული არსებობის პერიპეტიებიც განსაზღვრა. ასე მოექცა მითი თეატრში, ხოლო თეატრი – მითში.

თეატრის, როგორც ნაციონალური უნივერსუმის ახალი შემოქმედისა და ქომაგის ფუნქცია, სანდრო ახმეტელმა იგრძნო

და გააცნობიერა, რამაც განაპირობა რეჟისორის თეორიულ თვალსაზრისში თეატრის ‘საკრალიზაცია’, მისი რიტუალური დანიშნულებისა და მისტერიული ბუნების აქცენტირება.

თეატრთან დაკავშირებული სპეციულიკური მითოლოგიური კონტექსტის არსებობამ კი თვითონ სანდოო ახმეტელიც ერთდღოულად მითშემოქმედად და მითის ფიგურად აქცია, ხოლო თეატრი, როგორც მამულის ხელახალი დაფუძნების სარბიელი, თავადვე ‘გაუიგივდა’ მამულს, როგორც ფლობისა და მოქმედების სასურველ ობიექტს.

რეჟისორის თვალსაზრისს, რომელიც პროფესიული ქართული თეატრის საქმიანობას ნაციონალური თეატრის შექმნის აუცილებლობის პოზიციებიდან აკრიტიკებს, სამოციანელთა მიერ თეატრისათვის მინიჭებული ენის განვითარების ამოცანა ახალ ხარისხსა და თვისობრიობაში გადაჰყავს; იგი ნაციონალურ სპეციულიკაზე დაფუძნებულ საკუთრივ თეატრის რიტმულ-პლასტიკური ენის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობს. ნაციონალური კულტურის გაგება ახმეტელის ზოგადი კულტუროლოგიური და ესთეტიკური ნააზრევის ნაწილი ხდება, რომელიც კულტურის, თეატრის, ხელოვნების, შხატვრული ფორმისა და ნაციონალურის ფენომენის შესახებ ერთიანი კონცეფციის ნიშნებს მოიცავს და მისი პრაქტიკული შემოქმედების ღერძული ხაზის უკეთ წვდომას ემსახურება. ახმეტელის წერილების ანალიზი და მისი თეატრალური პრაქტიკა რეჟისორის ერთიანი მსოფლმხედველობის კონტურებს გამოკვეთს, სადაც საკაცობრიო სულის კულტურაში თვითგანხორციელების ერთგვარი ‘ნაციონალურული’ ხედი იკითხება. თეატრის თაობაზე მისი თეორიული მოსაზრებები სხვადასხვა წერილსა თუ საჯარო გამოსვლაშია გამოთქმული. მათგან რამდენიმეს წმინდად საპროგრამო მნიშვნელობა აქვს, ესენია: „მომავალი ქართული თეატრი,“ „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული“, „ახალი სახიობა“ და ზოგიერთი სხვა.

თეატრის დანიშნულების შესახებ საგანმანათლებლო-რაციონალისტურ თვალსაზრისს რეჟისორი რელიგიურ-რიტუალისტურ გაგებას უპირისპირებს, რაც მის შეხედულებას ავანგარდის მოღვაწეთა კონცეპტუალური მოსაზრებების ზოგად ჩარჩოში მოაქცევს. „ბევრისათვის ეროვნული თეატრი – ეს ეროვნული სკოლაა, სადაც სუფეს ქართული ენა, იზრდება სამშობლოსადმი სიყვარული; ბევრისათვის ეროვნული თეატრი ტრიბუნაა, სადაც

გაისმის ხმა ჩაგრულისა, ხმა ბრძოლისა და სხვ... თეატრი არც სკოლაა და არც ტრიბუნაა, თეატრი მხოლოდ რელიგიური ტაძარია¹, – წერს რეჟისორი.¹

ავანგარდის ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევრის, კრისტოფერ ინესის აზრით, ავანგარდის ფარგლებში არსებულ მრავალფეროვან მიმართულებებს რამდენიმე ზოგადი ნიშან-თვისება აერთიანებს, მათ შორის განმსაზღვრულია: „...სიზმარეულ ან ფსიქიკის ქვეცნობიერ თუ ინსტინქტურ მდგრამარეობათა კვლევა; და მითსა და მაგიაზე კავაზი-რელიგიური ფოკუსი, რასაც რიტუალთან დაკავშირებულ ექსპერიმენტებთან და წარმოდგენის რიტუალისტურ ფორმებთან მივყავართ“.²

ახმეტელის წერილებისა და შემოქმედების ანალიზი გვაჩვენებს, რომ რეჟისორს სწორედ ასე გაგებული საწყისები აინტერესებს, კერძოდ, ფსიქო-ფიზიკური რეალობის იმ ფუძისეული დონის მოძებნა სურს, სადაც სიცოცხლის, კულტურის, სინამდვილის აღქმის, ფორმალური მოდელირებისა თუ გრძნობადი შემეცნების განმსაზღვრული ზოგადი ანთროპოლოგიური პრინციპი ეგულება. ამასთან, ის ხელოვნების, მეტადრე კი თეატრალური ხელოვნების რიტუალურსა და კვაზი-რელიგიურ ფესვებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო მხატვრული კულტურა ერის რელიგიური „კვეთებისა“ და არსებობის განცდისა და გაცნობიერების ფორმად მიაჩნია.

არსებულის ფორმამდელ და ფორმირებულ რეალობებად დაყოფა ახმეტელის მსოფლმხედველობას კანტის აგნოსტიციზმსა და გნოსეოლოგიასთან ანათესავებს. აქედან გამომდინარე, გრძნობად აღქმას გრძნობადობის ორი ძირითადი ტრანსცენდენტალური დონე არეგულირებს: ზოგადანთროპოლოგიური (ინტერნაციონალური) და ნაციონალური. „... ნაციონალური ხელოვნება, რომელიც გენიოსურ ფორმებში ისახება, ინტერნაციონალურია. ყველა ერი, რა ერის ადამიანიც არ უნდა იყოს, სტკება მისი სიმშვენიერით, როდესაც მას უმზერს“.³ ამ დონეთა ერთობლივი და ურთიერთშემავსებელი მოქმედების შედეგი ყველაზე სრულყოფილად მხატვრულ კულტურასა და ნაციონალურ ხელოვნებაში ხორციელდება.

¹ ახმეტელი აღ., „მომავალი ქართული თეატრი“, წერილები, გვ. 48.

² Innes C., Introduction, *Avant Garde Theatre – 1892-1992*, გვ. 3.

³ ახმეტელი აღ., „მომავალი ქართული თეატრი“, წერილები, გვ. 47.

ფაქტობრივად, ნაციონალური, როგორც ფიზიკური და მხატვრული რეალობის მოდელირების ადამიანთა კერძო ჯგუფისთვის გენეტიკურად დამახასიათებელი პრინციპი, ახმეტელისთვის საერთოდ ესთეტიკური ფორმის საფუძველია. ამასთან, ნაციონალური საწყისის ფორმამარტარმოებელი პრინციპი ასევე ორ დონეზე ვლინდება. ესენია:

- ა) გენეტიკური ანუ ბუნებრივი, შეიძლება ითქვას, 'ბიოლოგიური' დონე, რაც ადამიანის სხეულის ექსპრესიის ბუნებრივად ფორმირებულ რიტმულ-პლასტიკურ ქარგას განსაზღვრავს და
- ბ) მხატვრული ნაწარმოების ფორმალური ბუნების დონე. ახმეტელის აზრით, ეს ერთადერთი ფაქტორია, რომელიც ფორმას ესთეტიკურ სრულყოფილებას და, ზოგადად, ესთეტიკურ თვისობრიობას ანიჭებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს ვივარაულოთ, რომ ახმეტელისთვის ეროვნულია არქეტიკული ანუ მითიური და ის ისტორიაში ეროვნული კულტურისა და მისი მწვერვალის – ნაციონალური ხელოვნების სახით არსებობს.

ახმეტელი საკმაოდ ხშირად მიმართავს ბუნებისა და ბუნებრიობის ცნებებს. ერთგან თეატრის ბუნებაზე საუბრობს, სხვაგან – კულტურისა და ხელოვნების ბუნებრივ ეროვნულობაზე. ცხადია, რეჟისორს კულტურასა და ბუნებას შორის არსებული კავშირის, 'კულტურის ბუნების' თაობაზე თავისი მოსაზრება აქვს. კანტის თანახმად, ადამიანისთვის ბუნება ისეთია, როგორადც მას გრძნობადობის აპრიორული ფორმები წარმოგვიჩენს. ახმეტელის მიხედვით, რეალობა და კულტურა ისეთია, როგორც მათი შემქმნელი და აღმქმედი ანთროპოლოგიური ჯგუფის ფორმალური ნაციონალური არქეტიპი. ადამიანისთვის ბუნებით დამახასიათებელ არისტოტელესულ ბაძეას ამ უკანასკნელის ბუნებითვე განსაზღვრული 'ეროვნული' სპეციფიკა განაპირობებს. ნაციონალური, როგორც აპრიორული ფორმა, ადამიანთა ეროვნული ნიშნით გაერთიანებული ანთროპოლოგიური ჯგუფის თითოეული წევრის ფსიქო-ფიზიკურ არსებას განსაზღვრავს, ამასთან, ის მათი ერთობლივი თანაშემოქმედებისა და სამყაროს ემოციურ-მოდელური რეპროდუქციის კულტურად წოდებული მთლიანობის განუმეორებელ სახესაც განაპირობებს. შესაბამისად, თუ გრძნობადობის აპრიორული ტრანსცენდენტული ფორმები ბუნების დროულ-ვრცელ გარკვეულობას ქმნის, კულტურის ესთეტიკურსა და მხატვრულ გარკვეულობას ნაციონალურის არქეტიპი განაპირობებს.

რაში მდგომარეობს ის ფორმალური საწყისი და ინდივიდუაციის პრინციპი, რომელიც ფორმის ნაციონალურ გარკვეულობას განსაზღვრავს? – მხატვრული ნაწარმოების რიტმულ-ინტონაციურ ბუნებაში. რიტმი და კილო ის საფუძველია, რომელიც ნაციონალურის გრძნობად ესთეტიკურ არსებას ქმნის. შეიძლება ითქვას, რომ ახმეტელისთვის ნაციონალური, ფორმალურად, წმინდად ესთეტიკური ფენომენია, რადგან მის დასახასიათებლად ის სწორედ ესთეტიკური ფორმის ამსახველ ტერმინებს მიმართავს. ასეთი შეხედულება „ეროვნულად წოდებული ფორმის“ ნიშანთა ისეთი კომპლექსის არსებობას ვარაუდობს, რომელიც სამყაროს ხედვის, მისი რეპროდუქციისა და მასში არსებობის ნაციონალურ თავისებურებას განსაზღვრავს. ახმეტელის წარმოდგენა ბუნებრივად ეროვნულის შესახებ კი გვაფიქრებინებს, რომ ეროვნულობა ადამიანთა ნაციობად ბუნებრივი ოვისობრივი დიფერენციაციის შედეგია. ამ კონტექსტში აუცილებლად უნდა გვიჩესენოთ, აგრეთვე, იუნგის შეხედულება კოლექტიური არაცნობიერის დონებად სტრუქტურული ორგანიზების შესახებ, რომელიც მისი ზოგიერთი ნაშრომის ანალიზიდან გამომდინარეობს, კერძოდ: „ფსიქიკის სტრუქტურა და დინამიკა“, „არქეტიპები და კოლექტიური არაცნობიერი“, „ცივილიზაცია ტრანზიციაში“, „გონი, ადამიანი, ხელოვნება და ლიტერატურა“. ეს დონეები შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდება: 1. ზოგადსაკაცობრივი დონე; 2. რასობრივი დონე; 3. ნაციონალური დონე; 4. საგვარეულო დონე; 5. ოჯახური დონე. მათ არსებობას მეცნიერი თავისი სამედიცინო-ანალიტიკური პრაქტიკის საფუძველზე მიღებული ექსპერიმენტული მასალის შედარება-შევერუების გზით ადასტურებს. რა თქმა უნდა, არაცნობიერის დონეების პირობითი დიფერენციაცია მისი იმავდროული ერთიანობის აღიარებას ემცარება. ფსიქიკა მთლიანობაა, ხოლო მისი სტრუქტურა მისი ფუნქციონირების მექანიზმის წვდომას ისახავს მიზნად.

პლასტიკური ფორმა ნაციონალური იდენტობის ნიშანიც არის. ხელოვნება მუდამ ნაციონალურია, ამბობს ახმეტელი. თუ მისი გამოთქმის პერიფრაზირებას კცდით, შეგვიძლია ვთქვათ – ესთეტიკური (ხელოვნების ფარგლებში) მხოლოდ და მუდამ ნაციონალურია. მისთვის ნაციონალური იმდენად არის სრულყოფილი, რამდენადაც შეიძლება იყოს სრულყოფილი ესთეტიკური ფორმა. ფაქტობრივად, ‘ესთეტიკური’, ნაციონალურის სახელწოდებით, ახმეტელისთვის რეჟისორის თეორიის ცენტრალურ კატეგორიად იქცევა. უკვე

აღინიშნა, რომ მისი ბუნებრივად და თანშობილად ესთეტიკური ფორმა, პირველ რიგში, ადამიანის ‘რასობრივ’ პლასტიკაში აისახება. „ქართველ კაცზე ლამაზ მოსიარულეს, ბუნებრივი პროპორციით შემკულ მოძრაობის მქონეს, ჯერ-ჯერობით ბადალი არ ჰყავს დედამიწის ზურგზე. ქართველი დადის საუცხოვოდ, ფეხს დგამს გაბედულად და არა ჩლუნგად, მოშვებულად... მთელი კორპუსიც გადააქვს თავის უფლად, სწორად, ოდნავის რხევით... ქართველს ფეხი გაშლილი დააქვს... ქართველი ... არ იუზება, როგორც ჩრდილოეთის ძებნივებების უკან...¹ ქართველის მოძრაობა ბუნებრივად ესთეტიკურ კანონებს ემორჩილება. ლერწამივით ახოვანი ქართველის მოძრაობა წმინდა რითმული მუსიკა² (დაყოფა ყველგან ჩვენია – თ. ბ.).

ზოგადად, ახმეტელის თეატრალურ ნააზრევში მხატვრული ფორმის აგებისა და მხატვრული კომუნიკაციის განხორციელებისთვის რიტმის ფენომენს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. „რიტმი დრამისა ერთადერთი გზაა, რომელიც მსახიობს და მაყურებელს აერთიანებს. იმ შენობაში, სადაც ეს რიტმი არ იქნება დაცული, ადგილი არა აქვს დრამას და იგი უსათუოდ უნდა მოისპოს კიდეც“, – წერს იგი.³ ეს მოსაზრება თეატრის არსების რეჟისორისთვის თანადორულ ტენდენციას ეხმანება; ახმეტელს თეატრის, როგორც ფენომენის, უმთავრეს დანიშნულებად მისი საკომუნიკაციო ასპექტი მიაჩნია. კომუნიკაციის შესაძლებლობის ასახსნელად ახმეტელი მხატვრული შემოქმედებისა და მხატვრული აღქმის გამაერთიანებელ ძირითად საფუძველზე მიუთითებს და მას მხატვრული ნაწარმოებისა და მაყურებლის ურთიერთობის არა ერთ, არამედ ერთადერთ საშუალებად თვლის. მისთვის რიტმი ფორმალური რეალობის ინდივიდუაციის უნივერსალური პრინციპია, სწორედ ის უდევს საფუძვლად როგორც ფიზიკურ, ისე ფისიკურ რეალობას. ეს მოსაზრება მრავალ ფილოსოფიურ თვალსაზრისს გაგვასხენებს, მათ შორის, პითაგორას შეხედულებას მაკრო და მიკროსომოსების სტრუქტურულ-რიტმული იგივეობისა და რიცხვ-ატომთა რიტმული რხევით შობილი კოსმიური მუსიკის ფენომენის თაობაზე, ფორმისა და

¹ აქ ახმეტელი თავისი თეორიული აზროვნებისთვის დამახასიათებელი მითოლოგიზმის ერთ ნიშნობლობითას ავლენს, კერძოდ, მის ესთეტიკურ თვალსაზრისში ჩრდილოეთ-სამხრეთის მითოლოგიური ბინარული ოპოზიციაც იგთხება.

² ახმეტელი, აღ., „რის თუ არა ქართველი თეატრი ქართული?“, წერლუება, გვ. 60-61.

³ ახმეტელი აღ., „მომავალი ქრისტიანი თეატრი“, გვ. 51.

მატერიის არისტოტელესეულ დიალექტიკას, ფორმალური საწყისის უპირობო უპირატესობით და, რა თქმა უნდა, ნიცშეს თვალსაზრისს მუსიკალურ და დრამატულ საწყისთა კავშირის შესახებ. რიტმი ახმეტელისთვის ყოფიერების ფორმაწარმომქმნელი პრინციპია, სიცოცხლის ერთიანი პულსაციის ნიშანი და ფორმათა ფორმაა, დროისა და სივრცის ორგანიზების, რეალობის ყველა გამოვლინების გაერთიანების საფუძველი და ექსტაზის მიღწევის საშუალება.

სწორედ ნაციონალურ ხელოვნებაში ვლინდება წმინდა ეროვნული ფორმა, როგორც კონკრეტული რიტმულ-ფორმალური სტრუქტურა. ნაციონალური რიტმულია, ის დროისა და სივრცის ორგანიზების რიტმული ფორმაა. ნაციონალურის კონკრეტული გრძნობადი უმაღლესი გამოვლინება კი მხატვრულ ფორმად რეალიზდება, რომელიც, ისევე, როგორც ჭეშმარიტი მხატვრული კულტურა, ყოველთვის ნაციონალურია. მხოლოდ ეროვნულ კულტურას შესწევს ძალა კაცობრიობის კულტურაში „თავისებური სულიერი განცდა“ შეიტანოს. ხელოვნება და კულტურა ნაციის ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ‘სულიერი განცდის’ გამოხატვის ფორმაა. ეს განცდა კი თავისთავად სამყაროსა და საკუთარი ყოფიერების ემოციური შეცნობა და შეფასებაა. ამიტომაც, ახმეტელის თვალსაზრისით, „დიდი კულტურა ყოველთვის ნაციონალურია, არ არსებობს განვითნებული კულტურა ხელოვნებისა, ხელოვნება მუდამ ნაციონალურია“¹. „ელითთა ხუროთმოძღვრება, ფლორენციისა და ფლანდრიის მხატვრობა, იაპონელთა იმპრესიონიზმი, მიუხედავად მათი გენიალური გამოსახულებისა, ბუნებრივად, ...მხოლოდ ნაციონალურია“².

ცხადია, ახმეტელის თეატრალური კონცეუცია უფრო ფართო კულტუროლოგიურ-ანთროპოლოგიური ნაზრევის ნაწილია, რომელიც ნაციის, ისტორიის, ფილქინის, ფიზიოლოგიის, რიტუალის, მითისა და მისი ჭეშმარიტი არსის, ფორმის, როგორც ესოეტიკური ფენომენისა და სამყაროს საფუძველში მდებარე პირველქმნილი სიცოცხლისა და სულის თაობაზე შეხედულებებს, ტრანსცენდენტური რეალობის ბუნების შესახებ ინტუიციებს მოიცავს.

გარკვეული აზრით, ახმეტელის შეხედულება თავისი ბუნებით მითოლოგიურია, რადგანაც, წარმოადგენს რა „ყოფიერების კანონთა

¹ ახმეტელი აღ., „მომავალი ქართული თეატრი“, გვ. 46.

² იქვე, გვ. 46-47.

შემეცების გზით სამყაროს გაგებისა და ახსნის“ ცდას, მასში, სამეცნიერო ინტუიციებთან ერთად სინამდვილის მხატვრული და მითოპოეტური მოდელირების ფორმები იკითხება. ამასთან, ისევე, როგორც მითოლოგია, ის „მოქმედების რიტუალურ ფორმებთან ერთიანობაში“ მოიაზრება, რაც თეატრის მითოლოგიასთან კავშირის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი და ფუნდამენტური ფორმაა. თეატრის, როგორც კულტურის, ნაციის და სოციუმის შექმნა-შენარჩუნებისა და განვითარების მექანიზმის ხედვა, სახალხო რიტუალურ სანახაობასა და რწმენა-წარმოდგენებთან მისი კავშირის აღიარებასთან ერთად, მეოცე საუკუნის დამდეგისთვის თეატრის ფენომენისა და თეატრალური სანახაობის მითოლოგიზირების ერთ-ერთ წყაროდ იქცა. ამ პროცესზე კლასიციზმის, განსაკუთრებით კი გერმანული რომანტიზმის იმ მიზანსწრაფვამაც იმოქმედა, რომელიც „ახალ მითოლოგიაში“ ანტიკური წარმართობის ՚გრძნობიერებისა‘ და ქრისტიანობის ՚სულიერების‘ სინთეზს ისახავდა მიზნად.

ნიშანდობლივია, რომ წარმართობასა და ქრისტიანობას შორის დაპირისპირებას არც გრიგოლ რობაქიძე ხედავდა. აკაკი ბაქრაძის აზრით, მას „ქრისტიანობა წარმართულის უშუალო გაგრძელება-განვითარებად მიაჩნდა, რის დასტურადაც, ერთი მხრივ, ნინოს ჯვარს, ხოლო, მეორე მხრივ, თეორი გიორგის კულტს მიიჩნევდა. ქალის თმით შეკრული ვაზის ჯვარი მას ამ კავშირის საბუთად, ხოლო თეორი გიორგის დღესასწაული დიონისეს კულტის ნაირსახეობად ესახებოდა“.¹

ასეთივე სინთეზისკენ სწრაფვას ახმეტელის შეხედულებებშიც ვხედავთ: „თეატრი მხოლოდ რელიგიური ტაძარია. მხოლოდ თეატრში საუკეთესო პროპორციით ისახება ეს გრძნობა აპოლონისა და დიონისეს კულტის ფორმებში“². ახმეტელს მხედველობაში აქვს რელიგიური გრძნობა, რომელიც, მისი გაგებით, განსაკუთრებული მაორგანიზებელი კულტურშემოქმედებითი ეფექტით გამოიიჩევა. ახმეტელის ՚რელიგიური გრძნობა‘ შეგვიძლია შევადაროთ არისტოტელეს კათარზის, რომელიც ადამიანის, როგორც კულტურშემოქმედის, განახლება-რეკრეაციას განაპირობებს. ციტირებულ ნაწყვეტში ახმეტელი საუბრობს არა აპოლონისა და დიონისეს კულტზე, არამედ მათ ფორმებზე. მაშასადამე, რეჟისორი

¹ ბაქრაძე ა., კარლუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, გვ. 88-89

² ახმეტელი აღ„,მომავალი ქართული თეატრი“, გვ. 48.

კარგად აცნობიერებს, რომ აპოლონისა და დიონისებს მითი, ისევე, როგორც მითოლოგია საერთოდ, მხოლოდ ფორმაა, ‘ყოფიერების ბირთვის’ აშშახველი სემიოტიკური ნიშანია, რომელიც სხვა, ფარულ, ფორმამდელ რეალობას გამოსახავს. ამ წინადაღებაში მგაფიოდ ჩანს თვალსაზრისი, რომელიც ისევ არქეტიპისა და არაცნობიერის თუნგისმიერ გაგებას შეიძლება შეედაროს. „... კოლექტიური არაცნობიერი... თითოეული ადამიანის სულიერი ცხოვრების საყოველთაო საფუძველს ქმნის და თავისი ბუნებით ზეინდივიდუალურია“, – ამბობს თუნგი.¹ ფორმა კი ამ შემთხვევაში არქეტიპის გრძნობად-სიმბოლური მანიფესტაციის საშუალებაა.

ახმეტელის თეორიულ მოსაზრებას ყველაზე არსებითი კავშირები დრამისა და ‚დრამატული პირველფენომენის² ნიცშესულ ჭვრეტასთან აქვს. თეატრალურ ხელოვნებაში აპოლონურისა და დიონისურის საუკეთესო პროპორციის შესახებ საუბარი ამის ერთ-ერთ მირითად დასტურად გამოდგება. „ქორო ის ცოცხალი კედელია, რომელიც რეალობის შემოტევას აღუდგება წინ, რადგან ის – სატირთა ქორო – ყოფიერებას ბევრად უფრო სრულად ასახავს, ვიდრე კულტურული ადამიანი, რომელიც, ჩვეულებრივ, თავის თავს ერთადერთ რეალობად მიჩნევს. ტრაგედია თავისი მეტაფიზიკური ბირთვით მარადიულ სიცოცხლეზე მიგვანიშნებს... ყოფიერების ბირთვისა და მოვლენათა დაუსაბამო განადგურების პირობებში... სატირული ქოროს სიმბოლიკა, ანალოგიურად, მოვლენასა და თავის თავში არსებულ საგანს შორის მარად არსებულ ურთიერთმიმართებას გამოხატავს...“³

ციტირებული პასაჟიდან ჩანს, რომ დრამა ნიცშესთვის ადამიანის ‘ყოფიერების ბირთვთან’, დრამატულ პირველფენომენთან კავშირის საშუალებაა, მოვლენისა და თავის თავში არსებული საგანს ურთიერთობის ფორმაა, ფუძისეული დიონისური რეალობის და მოვლენათა მშვენიერი აპოლონური რეალობის – მაასა და ილუზიის თანამშრომლობის შესაძლებლობაა, ილუზიათა სამყაროდან სიცოცხლის მარადიულობის, მისი ფუძისა და ინდივიდუაციის პრინციპის განცდის, ჭვრეტისა და წვდომის მექანიზმია. ქვემოთ

¹ Юнг К., Об Архетипах коллективного бессознательного, *Архетип и символ.* გვ. 98.

² Ницше Ф., «Рождение трагедии», *Так говорил Заратустра. К генеалогии морали. Рождение трагедии. Воля к власти.*, გვ. 482.

³ იქვე, გვ. 479-480.

დრამის, როგორც პირველფენომენის, როგორც ყოფიერების ბირთვისა თუ ცოცხალი არსის შესახებ ახმეტელის შეხედულებაზეც ვისაუბრებთ.

„თეატრი და ეკლესია, ეს ერთგვარი კულტია, იქაც, ისევე, როგორც თეატრში, სუფევს უმთავრესად მოქმედება ქრისტეს პიროვნებისა, მისი ცხოვრება, მისი ტანჯვა და ვაჟა, ჩვენ ვსტკბებით ამ ტანჯვის სასოებით, მაგრამ ყველგან კი არა, – ჩვენს ეკლესიაში, ქართველთა საყდარში, მხოლოდ აქ გვაქს კულტურა ქართული ხელოვნებისა. კილო გალობისა, რითმი კითხვისა, საიდუმლოებით მოცული კანკელი და კედლები – აი, ის ქართული კულტურის რელიგიური ფორმა, რომელიც აღგვივსებს ჩვენს სულსა და გულს. ამ ფორმებმა შექმნეს ის დიდებული წარსული ქართველნი, რომელთაც საქართველო, როგორც საკუთრება მხოლოდ ქართველთა, ჩვენ გადმოგცეს. ქართული ეროვნული თეატრიც ამგვარი უნდა იყოს, მან მომავალში უნდა მოგვცეს ახალი ქართველი, ახალი სულით ძლიერი და ძლევამოსილი, ჩვენ გვინდა თეატრი-ეკლესია, სადაც ჭერის სულ პატარა ნატეხიც კი ჩვენს სულიერ თრობას შეესისხლხორცება“¹.

ეს ნაწყვეტი ახმეტელის ცნობილი საპროგრამო წერილიდან მისი ერთიანი თვალსაზრისის რამდენიმე საკვანძო ასპექტს წარმოგვიჩენს. ქრისტეს ცხოვრების სასოებით ტკბობა ყოფიერების იღუმალი მისტერიის განკდის ფორმაა. ვფიქრობთ, აქვე იკვეთება ახმეტელის მისწრაფება წარმართულისა და ქრისტიანულის, მითოსურისა და ისტორიულის სინთეზისაკენ. მეტიც, აქ იგი ამ სინთეზის განხორციელების ბუნებრივ საფუძველსაც უთითებს. ეს გახლავთ სწორედ ის წინარე რეალობა, რომელიც თეატრში აპოლონისა და დიონისეს კულტის ფორმებში, ხოლო ეკლესიაში – ქრისტეს ცხოვრების მისტერიაში გვეძლევა. ეს შედარება ცხადყოფს, რომ ახმეტელისთვის მისტერიის ფორმალური სტრუქტურა და რიტუალური წყობა მის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს. აქვე ჩანს, რომ იგი დიონისეს კულტსა და ქრისტიანობას შორის მრავალ პრიციპულ მსგავსებას ხედავს. მკვლევართა ნაწილის აზრით, ნიცშეც, რომლის ესოეტიკასთანაც ახმეტელის მსოფლგანცდას მრავალი საერთო აქვს, დიონისებში ქრისტეს „წარმართულ პოტენციას“ სედავს. „დიონისეს, გაგებულს ნიცშესებურად, არ შეეძლო ყოფილიყო რაიმე სხვა, თუ

¹ ახმეტელი ა., „მომავალი ქართული თეატრი“, გვ. 48.

არა ქრისტეს წარმართული პოტენცია, რომელიც, გარდაცვალებათა და მკვდრეობით აღდგომათა უსასრულო და მტანჯველი რიგის გავლით, აქტუალიზაციისკენ ისწარფენება“¹.

რელიგიურად განცდილი მხატვრული ფორმა ის უმთავრესი საფუძველია, რომელიც ადამიანის, როგორც კონკრეტული კულტურის სუბიექტის მარად განმეორებად ქმნადობას უწყობს ხელს. ახმეტელის თვალსაზრისში კულტურისა და კულტის გაგება ერთმანეთს უახლოვდება და „კულტურის“ ანუ ღვთის თაყვნისცემის მნიშვნელობას იმენს. აქედან გამომდინარე, ღმერთის ბუნება ერთგვარ პანთეისტურ მახასიათებლებს მოიცავს. ადამიანის ღმერთთან თანაშემოქმედებით სიცოცხლის მიწიერი ანთროპოლოგიური ფორმა – კულტურა იქმნება. ღვთაებრივ-ადამიანურის მიწიერი არსებობის სრულყოფილი ფორმა კი სწორედ ნაციონალური კულტურაა. თუ ჰემბოლდტისთვის საკაცობრიო სულის გარკვეულობა ენაა, ახმეტელისთვის ეს გარკვეულობა ნაციონალური მხატვრული კულტურის ხელოვნებაში საუკეთესოდ კრისტალიზებული პლასტიკურ-რიტმული ფორმაა, ნაციონალურის გრძნობადი ინტონაცია – „კილო“ და რიტმულად ორგანიზებული პლასტიკურ-მუსიკალური ფორმა – ორნამენტში, სივრცულ ფორმასა და პლასტიკური ხელოვნების დრო-სივრცით სახეებში ვლინდება.

თეატრი და, ზოგადად, მხატვრული კულტურა ახმეტელისთვის უმაღლესი რეალობის მოდელირებისა და იმავდროული განცდის საშუალებაა, ერთგვარი მეტაფიზიკური მეტარეალობის კულტურად ქცეული სახეა. მისი ესთეტიკური ნააზრევი სულიერისა და ფიზიკურის შერწყმის, მატერიალურსა და სულიერს შორის განკერძოების გადალახვის საშუალებას გვაჩვენებს. ნაციონალური კულტურა, მის ფარგლებში სრულყოფილი ადამიანის კულტივირება კი ყოფილების ერთგვარი თვითმიზანია, ტელეოლოგიური არსია. შეიძლება ითქვას, ნაციონალური მხატვრული კულტურის შექმნა საკაცობრიო სულის უზენაესი მიზანია, რადგანაც სწორედ აქ ხდება მეტაფიზიკური და ფიზიკური სამყაროების შეხედრა. მხატვრული კულტურის ქმნადობით ღვათუბრივ-ადამიანურის განახლებადი ერთიანობა მიიღწევა.

ახმეტელი წარსულის, ისტორიის მითოლოგიზირებასაც ახდენს და წარსულის, აწმყოსა და მომავლის ციკლურად

¹ Ницше Ф., „Рождение трагедии“, Шенкенбергъ, გვ. 1033.

ურთიერთდაკავშირებულ ხედვას გვთავაზობს. ამ კუთხით დანახული ახმეტელის კონცეფცია ისტორიის მითოლოგიზირების შესახებ მირჩა ელიადესა და თომას მანის თვალსაზრისებსაც ეთანხმება. ნაციონალური ხელოვნების ფორმებმა წარსულში დიდებული ქართველები შექმნეს, ხოლო მათ, თავის მხრივ, შეინარჩუნეს და გადმოვცეც საქართველო. თეატრის, ხელოვნების მიზანი ახალი ქართველის შექმნაა, გვეუბნება რეჟისორი, თუმცა წერილიდან ჩანს, რომ ძველსა და ახალ ქართველს შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს და ახალი ქართველის ამოცანაც, მსაგაცსად ძველისა, საქართველოს განახლება, შენარჩუნება და შემდგომი თაობისთვის გადაცემა უნდა გახდეს. შესაბამისად, ქართველი, როგორც ასეთი, როგორც საქართველოს კულტურის სუბიექტი და ‘მცველი’, მარად ერთი და იმავე ამოცანის წინაშე დგას. კულტურა, როგორც ნაციონალური ფენომენი, უმნიშვნელოვანესი საფეხურია, აუცილებელი როგორია ყოფიერების ძირითადი მისტერიის განცდისა და სიცოცხლის დრამატული ფენომენის მარადიული განხორციელების გზაზე.

თუმცა, თუ ახმეტელის თვალსაზრისს ნიცშეს მიერ მოხაზული დიონისეს ტრაგიკული მითის შინაგან საფეხურებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ქართველი რეჟისორი თეატრის წინაშე ორ ძირითად ამოცანას აყენებს, რაც ქართველი ეროვნული დრამატული თეატრის ორი ურთიერთშემავსებელი ფორმის შექმნით უნდა განხორციელდეს. ერთია ინტელიგენტთა თეატრი, ერთგვარი ლაბორატორია, რომელიც ნაციონალური ხელოვნების ახალი შესატყვისი ფორმების შესაქმნელად იღვაწებს, სადაც აქცენტი ნაციონალურის ფენომენის კვლევაზე იქნება გადატანილი, ხოლო მეორე – სახალხო თეატრი, რომელიც მაყურებელსა და მსახიობს შორის განსხვავებას პრაქტიკულად აღარ სცნობს და სახალხო რელიგიურ რიტუალში მონაწილეობათვის დამახასიათებელი ერთობლივი ექსტაზის მიღწევას ისახავს მიზნად. ინტელიგენტთა თეატრი თეატრალური ხელოვნების ‘ერის’ შექმნას უნდა ემსახურებოდეს, მასში თეატრი-მაყურებელის დისპოზიცია უნდა შენარჩუნდეს; სახალხო თეატრში კი ეს დისპოზიცია უნდა გადაილახოს. „ინტელიგენტთა თეატრი – თეატრი, როგორც ერთგვარი სტუდია, ლაბორატორია, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს ქართველი ადამიანის სულის, დრამის ფორმები, აქ შეიქმნება ახალი სახე ქართველი კაცისა. აქვე უნდა დაკავშირდეს რიტმი ფერადობასთან, მოქმედების ექსტაზი ქართული პლასტიკის

ფორმებთან. ინტელიგენტთა ეროვნული თეატრი შექმნის ხელოვნების კულტურას... მსახიობთა სკოლასა და სისტემას“¹.

„სახალხო თეატრში დრამა – თავისი ფორმებით – მისტერია უნდა იყოს. სახალხო თეატრი ეს მასიური თეატრია. აქ აღარ სუფეს მსახიობი და მსმენელი. აქ ყველა მსახიობია და მსმენელი. ყველა ისმენს და ყველა ლოცულობს ეკლესიაში. ხალხი და მოძღვარი ორივენი ერთი მისის აღმსრულებელი არიან. ასევე უნდა იყოს სახალხო თეატრიც... სახალხო თეატრი უნდა აღიჭურვოს ობერ-ამერგაუნის მისტერიების სულით. გერმანიაში ცნობილმა რეჟისორმა რენკარტმა პირველმა გააცოცხლა სახალხო წარმოდგენა. მისი ოიდიპოსი ეს ნამდვილი სახალხო, საკაცობრიო მისტერიაა... რენკარტი გაექცა არსებულ სცენას და თავის გასაოცარ, მხატვრულ წარმოდგენებს ხან ცირკში, ხან ცის ქვეშ მართავს“².

მართალია, ახმეტელი თეატრის ორივე ფორმის არსებობის აუცილებლობას უსვამს ხაზს, ზემოთ მოყანილი ნაწყვეტები მაინც გაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ რეჟისორისთვის მთავარი თეატრალური ფორმა სახალხო თეატრია, რომელიც ჰქონდარიტი თეატრალურობის განცდას აღადგენს, თეატრს თავის კულტურშემოქმედებით რიტუალურ ფუნქციას, ხოლო თეატრის მეშვეობით – საზოგადოებას სიცოცხლის მისტერიული ბუნების განცდას დაუბრუნებს. მით უფრო, რომ წერილში „ბერიკაობა რუსთაველის თეატრში“ გვითხულობთ: „ბერიკაობას შეუძლია და უნდა აღორძინდეს კიდევაც საბჭოთა საქართველოში... ეს მისია უნდა იკისროს თეატრმა, რომელიც მოწოდებულია გახდეს ნამდვილი ნაციონალური ქართული თეატრი“³. აქვე რეჟისორი დასძენს, რომ თეატრმა ჯერჯერობით ვერ შექმნა ისეთი ფორმა, რომელიც ხალხურმა თეატრმა ბერიკაობის სახით შეინარჩუნა. ახმეტელის აზრით, ფიროსმანმა მოახერხა ამის მიღწევა სახვით ხელოვნებაში. ფერწერისა და თეატრის ამ კონტექსტში შედარება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ახმეტელი ხელოვნების სხვადასხვა დარგის საერთო რიტმულ-ფორმალური და მითოსური საფუძვლების არსებობას აღიარებს.

ახმეტელის და, ზოგადად XX საუკუნის დრამისა და თეატრის თეორიასა და პრაქტიკაში მიმდინარე პროცესები ძალიან ჰგავს

¹ ახმეტელი აღ., „მომავალი ქართული თეატრი“, გვ. 52.

² იქვე, გვ. 53-54.

³ ახმეტელი აღ., „ბერიკაობა რუსთაველის თეატრში“, წერილები. გვ. 99.

მხატვრულ ლიტერატურასა და XX საუკუნის რომანში გავრცელებულ მითოლოგიზირების პრაქტიკასაც, რომელიც ხშირად კონკრეტულ გმირთა მითოლოგიურ „უკუფენას“, სემიოტიკურ ნიშნებად ქცეულ თანამედროვე ცხოვრების რეალიების ქვეშ ზეისტორიულ არქეტიპულ პერსონაჟთა ერთგვარ გაცოცხლებას მიმართავს. რომანის მხატვრული ენა რთულ სემიოტიკურ სისტემად იქცევა, რომელიც რეალური ისტორიული დროის მიღმა მითოლოგიური დროის მარადიულ მოქმედებას განჭვრეტს. „XX საუკუნის მითოლოგიზმის პათოსი იმდენად პოეტური სიმაღლეებიდან თანამედროვე ქვეყნიურების დაწვრილმანებისა და სიმახინჯის გაშიშვლებაში არ მდგომარეობს, რამდენადაც რაღაც უცვლელი, პოზიტიური ან ნეგატიური, ისტორიულ ცვლილებათა და ემპირიული ყოფის საფარს მიღმიღან გამომჭვირვალე მარადიული საწყისების გამოვლენაში. მითოლოგიზმა თან მოიტანა სოციალურ-ისტორიული და დროით-სივრცითი ჩარჩოებიდან გამოსვლა... მითოლოგიური დრო თანამედროვე რომანში ობიექტურ ისტორიულ დროს გამოდევნის იმდენად, რამდენადაც მოქმედებები და მოვლენები მარადიულ პროტოტიპთა განსახიერებად წარმოგვიდგება. ისტორიის მსოფლიო დრო მითის ՝უდროო დროდ’ გარდაიქმნება, რაც სივრცით ფორმაში აისახება“¹.

ვფიქრობთ, როგორც ახმეტელის თეატრალური ნააზრევი, ისე მისი სცენური შემოქმედება დროისა და სივრცის მითოლოგიზირების თვალსაჩინო მაგალითებს წარმოდგენს. დროის მითოლოგიზაცია ერთიანი საკრალური ისტორიის (მირჩა ელიადეს ფორმულირება) შექმნის საშუალებით ხორციელდება. მითოლოგიური დრო მხოლოდ მოვლენათა თანმიმდევრული თანაარსებობის ინდიფერენტული პოტენცია არ არის, ის ამ მოვლენათა განუყოფელი ნაწილია და სწორედ მათ განსახორციელებლად არსებობს. ასევე სივრცეც იმავე მიმართებაშია მასში განთავსებულ საკრალურად მიზნობრივ არსებობასთან. ასეთი ტენდენცია რეასიორის თეორიულ მსოფლმხედველობასა და მხატვრული შემოქმედების პრაქტიკულ გამოცდილებას ეთანხმება და იქდანვე მომდინარეობს. რაც შეეხება სივრცის მითოლოგიზირებას, ის ახმეტელის ცნობილი სპექტაკლების ირაკლი გამრეკელისეულ სცენოგრაფიაში იკითხება, განსაკუთრებით კი სანდრო შანშიაშვილის „ანზორში,“ გრიგოლ რობაქიძის

¹ Мелетинский Е., «Мифологический» роман XX века», *Поэтика мифа*. 23. 295-296.

„ლამარასა“ და შალვა დადიანის „თეთნულდში“, სადაც კავკასიის, როგორც მოქმედების განზოგადოებული ადგილის, რიტმულად ორგანიზებული სცენური კონსტრუქცია იქმნება.

ექსტაზი და მისი ფორმები

ექსტაზი – კიდევ ერთი საკვანძო ცნებაა, რომელიც ახმეტელის თეორიულ ნაზრებში ფორმის ნაციონალურ-ესთეტიკური გარკვეულობის ფენომენთან ერთად დრამის უმთავრეს თავისებურებას აღწერს.

„ვინ არის ქართველი? ვიცნობთ ჩვენ მას, როგორც თავისებურ მსოფლიო ინდივიდუმს? რით განიჩევა იგი სხვისაგან? ვიცნობთ ჩვენ მის რელიგიურ ლტოლვილებას, რელიგიურ ექსტაზს? შეგვიძლია გამოვხატოთ, თუ რა ფორმებში გამოხატავს ის თავის ექსტაზს?“¹

ახმეტელის მიერ დასტული კითხვები მისი თვალსაზრისის ერთდროულად რამდენიმე ასპექტს წამოჭრის:

1. ქართველი ერთ-ერთი ‘კრებითი’ ინდივიდუუმია ნაციონალური ნიშნით გამორჩეულ ასეთივე კრებით მსოფლიო ინდივიდუუმთა შორის;
2. მას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ნაციონალური ერთობის სუბიექტს, რელიგიური ლტოლვილება (თანამდებილი მიზანსწრაფვა, როგორც, ზოგადად, კულტურის შექმნა-შენარჩუნების საფუძველს წარმოადგენს) აქვს;
3. ის ამ მიზანსწრაფვას განსაკუთრებული ნაციონალური შემოქმედებითი ფორმით ავლენს.

„სამივე დარგი თეატრისა, – უმაღლესი ფორმებია ერის ესთეტიკური ზრდა-განვითარებისა. როგორც დრამა მოქმედებით, ასევე ოპერა მუსიკით, ბალეტი დრამატული პლასტიკით ჰქმნიან ესთეტიკურ ქარგას ერის სულიერი ექსტაზისას. მათი განსხვავება მხოლოდ ფორმებშია. სამივე კი ერთად გრძნობის კულტი არის“.²

მაშასადამე, ფორმა სულიერი ექსტაზის ესთეტიკური ქარგაა. სულიერი ექსტაზი კი ‘წმინდა’ გრძნობის დომინირების მდგომარეობა. თანაც, განსაკუთრებული ‘ნაციონალური’ ემოციისა, რომელიც ერის

¹ ახმეტელი აღ., „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“, გვ. 56.

² ახმეტელი აღ., „მომავალი ქართული თეატრი“, გვ. 48-49.

რელიგიურ ლტოლვილებასა და ინტუიციას ასახავს, დარბაზისა და სცენის მიერ ურთიერთშეთვისების საფუძველს ქმნის. ცხადია, რომ ახმეტელი ყოფიერების ‘ასახვაზე’ წინ მის ‘განცდას’ აყენებს. ეს განცდა კი ყოფიერების პირველფენომენთან დაკავშირების საშუალებაა. „მოთოსი ჩვენში თეორია კი არაა ... არამედ განცდა,“ – წერდა გრიგოლ რობაქიძე წერილში „გულნადები“¹.

თვით ამ განცდის ფორმაც, მისი ემოციური ტონალობა ნაციონალობის მიხედვით განირჩევა:

„ნაციონალურ-რელიგიური ექსტაზით გაეღლენთილ აუდიტორიაში მსმენელი-რუსი უნებლივ უსისხლხორცდება ჩეხოვის გმირებს, როგორც თავის ღვიძლ შვილებს, და სტკბება ერთსულოვნებით, სამხატვრო თეატრში, ჩეხოვის უზენაესი ნიჭიერების მეოქებით, მეფობს ჰარმონია მსმენელთა და გმირთა სულისკვეთებისა“; თეატრში გუნება „ანუ, როგორც რუსები უწოდებენ – «настroeение» – განწყობა“, რუსი ადამიანის რელიგიური ინტუიციის ცხადზე უცხადეს ფორმად იქცევა.²

ქართველი კი „იცინის..., როდესაც სტირის მისი გული. სიცილი და ხარხარი – ეს მხოლოდ ფორმა ქართველი ადამიანის რელიგიური ინტუიციისა. სიცილი და ხარხარი ბუნტური თვისებაა ქართველი ადამიანის სულისკვეთებისა“³.

ექსტაზზე, როგორც თეატრალურ ქმედებაში თანამონაწილეობის ემოციურ ფორმაზე აქცენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ხელოვნების აღქმის პროცესში ახმეტელისთვის ფსიქიკის კოლექტიური არაცნობიერი სფეროს მნიშვნელობას. ექსტაზი მისთვის ქართველი ადამიანის არაცნობიერი ნაციონალური არსების სპონტანური მანიფესტაციის ფორმა.

ამ ნაწყვეტებში რეჟისორი ორი ერის რელიგიური ინტუიციის ფსიქოლოგიურ ფორმებზე საუბრობს, სიცოცხლის საზრისშე, მისი საიდუმლოს წვდომაზე ემოციური რეაგირების არქეტიპულ ფორმებს განასხვავებს, ნაციონალურ ხასიათში იმთავითვე არსებული მსოფლგანცდის ტიპებს გამოკვეთს. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაშიც იგი რუსულსა და ქართულ თეატრალურ კულტურასა და ნაციონალურ ხასიათს შორის არსებულ თვისობრივ სხვაობაზე

¹ ციტირებულია ა. ბაქრაძის წიგნიდან „ქარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და დაწლია“, გვ. 90.

² ახმეტელი ალ., „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ გვ. 57.

³ იქვე, გვ. 58.

მიუთითებს. ქართველთა რელიგიურ ინტუიციას გაცილებით მეტი საერთო აქვს არიელებში პრომეთეული სულის წიცშესეულ¹ გამოვლენასთან. „ტრაგედიის დაბადებაში“ ნიცშე სემიტურ და არიულ მითებს განასხვავებს, აქვდან სემიტური სამყაროს თვისობრიობის წვდომის საუკეთესო გზად მას პირველადი ცოდვის მითი მიაჩნია, ხოლო არიელთა არსის განმსაზღვრელად – თქმულება პრომეთეს შესახებ, რომელიც არიელთა შემოქმედებითი ტრაგიკული მხიარულების გასაღებადა.¹

ქართული ხასიათის ეგზისტენციური თვისობრიობის განსაზღვრისას ახმეტელიც, სავარაუდოდ, ნიცშეს პრომეთეულ ‘არქეტიაზე’ ფიქრობდა. ამის საფუძვლს ამირანის ეპოსის არსებობა და ქართულ კულტურაში ამ ფოლკლორული სახის მნიშვნელობაც გვაძლევს. მეტადრე, რომ ამირანის მითის კონტურები ახმეტელის მეამბოხე სულისკვეთებით განმსჭვალული სპექტაკლების საზრისშიც იკითხება. განსაკუთრებულ ქლერადობას კი შალვა დადიანის „თეონულდში“ იძენს, სადაც ადამიანის შემეცნებითი მიზანსწრავისა და ტრადიციის, სამეცნიერო პროგრესისა და მითოლოგიური საკრალურობის ტრაგიკულ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე. არსებობს აზრი, რომ ახმეტელის ეს სპექტაკლი ნამდვილი ქართული ტრაგედია იყო. ვფიქრობთ, ეს აზრი სპექტაკლში განსხვეულებული მითოსური ტრაგიკული მსოფლგანცდის სრული რეალიზაციითა და ადამიანის ყოფიერების ძირითადი ანტიომის გამოკვეთით იყო განპირობებული.

ჩვენ მიერ რობერტ სტურუასთან ჩაწერილ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში რეჟისორმა ქართული თეატრისა და კულტურისათვის უმნიშვნელოვანეს მითოა შორის მინდაის შესახებ ფოლკლორული გადმოცემა და ამირანის მითი დაასახელა.² ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეოცე საუკუნის ქართული რეჟისურის ორი დიდი წარმომადგენელი თეატრის ფარული, გნებავთ, შიდა მითის ბუნებას ერთნაირად აცნობიერებს.

¹ Нипше Ф., Так говорил Заратустра. გვ. 491.

² გადაცემა ტელეკომპანია რუსთავი-2-ის ეთერში 1998 წელს, სტურუას დაბადებიდან 60 წელთან დაკავშირებით გავიდა.

ისტორია მითია

„მთელი ჩვენი ისტორია ტრაგედიაა პატარა საქართველოსი. ქართველი მხოლოდ შეიღია ტრაგედიისა“, – წერს ახმეტელი წერილში „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“. რეჟისორის ეს გამონათქვამი დროის მისეულ მითოსურ განცდას ცხადყოფს. ახმეტელის შემოქმედების მკვლევრის, პროფ. ვასილ კიკნაძის აზრით, რეჟისორს ყოველგვარი საფუძველი აქვს, საქართველოს ისტორიული ბედ-იდბლის ტრაგიზმის განცდა ჰქონდეს, თეატრალური ხელოვნების საშუალებით ახალი რეალობის შექმნისთვის ისტრაფოდეს. „საქართველო იტანჯებოდა, ერთი მხრივ, ადგილობრივ მჩაგვრელთა და, მეორე მხრივ, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უღელქვეშ“, – ვკითხულობთ ვასილ კიკნაძის წიგნში.¹ ვიზიარებთ ვკიკნაძის თვალსაზრისს და, ამასთან, ვფიქრობთ, რომ ახმეტელის შემოქმედებაში დროისა და ისტორიის წრფივი განვითარების ხედვას თანდათან მისი მითოლოგიური ციკლურობის განცდა ენაცვლება.

ახმეტელი ისტორიაში მითის, როგორც საკაცობრიო კულტურის ფუძისეული ფორმის, კანონზომიერ გამოვლენას ხედავს. მას იმდენად ცალკეული ისტორიული ფაქტები არ აინტერესებს, რამდენადაც ის ზოგადი და არსებითი ტენდენცია, რომელიც მითის ისტორიის არენაზე მრავალჯერ განმეორებად გათამაშებაში წარმოჩნდება. „...ასეთია ყოველი მითის ბედი, – წერს ფრიდრიხ ნიცშე „ტრაგედიის დაბადებაში“, – ის ნელ-ნელა მოქუცევა მოჩვენებითი ისტორიული რეალობის ჩარჩოში და შემდეგ, რომელიმე უფრო გვიანდელი გპოქის მიერ, რომელიც მას ისტორიულ მოთხოვნებს წაუყენებს, ერთხელ მომხარ ფაქტად აღიქმება... ტრაგედიაში მითი თავის ყველაზე სიღრმისეულ საზრისს ავლენს, თავის ყველაზე გამომსახველ ფორმას პოულობს...“² ახმეტელისთვის, ისევე, როგორც ნიცშესთვის, ისტორია მითის საფარია, მისი შემადგენელი ერთეული და კერძო ფაქტები კი მითოსურად კანონზომიერისა და არქეტიპულის უსასრულო გარიაციაა.

რეჟისორს პროგრესის ერთობ თავისებური ხედვა აქვს – მისთვის პროგრესი საწყისების შემეცნებასა და ტრაგიკული მითის მიღება-მისალმებაში მდგომარეობს. მითი არ არის ის, რაც უნდა

¹ ფკნაბე ვ., სანდორ ახმეტელი, გვ. 144.

² Ницше Ф., „Рождение трагедии“, Так говорил Заратустра. К генеологии морали. Рождение трагедии. Воля к власти. გვ. 494.

გადაიღლახოს; მითი არის ის, რაც მარად უნდა იყოს განცდილი, რამაც სიხარული, ექსტაზით მოგვრილი ერთობის გრძნობა უნდა მოგვიტანოს. პროგრესი, ახმეტელის თვალსაზრისით, სავარაუდოდ, ისტორიის დრამატული მითოსური ბუნების გაცნობიერებაში მდგომარეობს. ამ დრამატიზმის წვდომა და მისთვის ‘ჰოს’ თქმა საკუთარი ეგზისტენციის საიდუმლოს გაგებასა და თავისუფლების მოპოვებაში დაგვეხმარება. ნაციონალური სწორედ სიცოცხლის ფაქტის განცდასა და არსებობის ტრაგედიასთან დამოკიდებულებაში ვლინდება. „სიცილი და ხარხარი ბუნტური თვისებაა ქართველი ადამიანის სულისკვეთებისა“,— წერს იგი. ამ წინადაღებაში რეჟისორი ხასიათის ფუძისულ ნიშანს გამოკვეთს, რომელიც ყოფიერების ტრაგიკულ არსზე ემოციურ რეაქციას, მის შეფასება-განცდას გამოხატავს. ახმეტელის აღნიშნული შეხედულება კვლავ ნიცშეს თვალსაზრისის ენათესავება:

„უტყუარი გადმოცემა ადასტურებს, რომ ბერძნულ ტრაგედიას თავის უძველეს ფორმაში თემად მხოლოდ დიონისეს ტანჯვა ჰქონდა, ერთადერთი სცენური გმირი დიონისე იყო. ასევე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ევრიპიდემდე ბერძნული სცენის ყველა ცნობილი გმირი — პრომეთე, ოიდიპოსი და სხვები მხოლოდ ამ უპირველესი გმირის ნიღბებს წარმოადგენს, ყველა ამ ნიღბის მიღმა ღვთაება იმაღება...¹

ტრაგედიისა და ისტორიის შედარებისას ახმეტელსაც, ანალოგიურად, იუნგის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, უფრო გლობალური არქეტიპი უნდა ჰქონდეს მხედველობაში, ვიღრე ქვეყნის კონკრეტული ისტორიული ბედ-უკუღმართობა. ისტორიისა და ტრაგედიის შედარება ისტორიისა და მითის შედარება-გაიგივების ტოლფასია, ხოლო საქართველოს ტრაგედიაზე საუბარი და საქართველოს ტრაგედიის სუბიექტად ცნობა იმაზე მიგვნიშნებს, რომ ერის თავადასავალი რეჟისორს ღმერთის მითოსური დრამის სახედ მიაჩნია. ამ შედარებით ახმეტელს საქართველოს ისტორია და, ზოგადად, ისტორია მითოსური დროის რეგისტრში გადაჰყავს, ლინეარულ დროს ციკლური მითოლოგიური დროით ცვლის, ხოლო დრამის სუბიექტად, მთავარ და ერთადერთ გმირად თავად ერი წარმოადგენია. ისტორიულ მოვლენათა შემთხვევითობაში იგი

¹ Ницше Ф., „Рождение трагедии“, Так говорил Заратустра. К генеалогии морали. Рождение трагедии. Воля к власти გვ.492.

დაფარული და სიმბოლურად „გამხელილი“ კანონზომიერების არსებობას განჭვრეტს. შესაბამისად, არისტოტელეს სიტყვებით თუ ვიტყვით, ისტორიაში, ისევე, როგორც დრამაში, მოვლენები აღმართობისა და აუცილებლობის მიხედვით ვითარდება. დრამის სული მათია, ისტორია ტრაგედია, შესაბამისად, ისტორია მათია. აქედან გამომდინარე, მითი ყოფიერების უმაღლესი ფორმალური და გრძნობადად შეცნობადი რეალობაა.

ამგვარად, ახმეტელი დრამის მითოსურ ბუნებას მთელ კულტურულ რეალობაზე ავრცელებს. მისთვის ერთ, დრამა და მითი განუყოფელი მთლიანობაა. ვინაიდან საქართველოს ისტორია ტრაგედიაა, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს ქართველი თეატრალურ ქმედებაში, ის მარად და მხოლოდ საქართველოს მითოსურ დრამას გაითამაშებს; ნებისმიერი ისტორია მხოლოდ ნიშანია, სახეა, ნიღაბია, მეტაფორაა საქართველოს ისტორიის ფუძისეული არხე-მითისა, უფრო გლობალურად კი დათაუბის დრამატული მოვლენებით აღვსილი ბედისწერისა. ხოლო ნიღაბი, თავის მხრივ, თავად თეატრის არსისა და ბუნების სახეა; ამ გზით გვამცნობს, რომ იგი ყოველთვის მხოლოდ ნიშანი და ფარია მარად ფარული და მარად ფორმის მაძიებელი არხესი.

დრამა სუბსტანციურია

„თეატრი ბუნებით ფორმაა დრამა-შემოქმედებისა. მხოლოდ ფორმებით ვისისხლხორციელთ ჩვენ დრამას და დრამა ჩვენ;“ – გვეუბნება რეჟისორი, რომელიც, დრამის ბუნებაში, ისევე, როგორც იოანე ზოსიმე ენაში, ორ ბუნებას განასხვავებს (natura naturans-სა და natura naturata-ს) და მას შეუცნობადი მეტაყოფიერების ნიშანად წარმოაჩენს. დრამის ასეთი ხედვა იმ სემიოტიკოსთა პოზიციას მოგვავონებს, რომლებიც ნიშნის ფორმალურ მხარეს „რაღაც შესაძლო სამყაროზე მინიშნებად“ განიხლავენ. დრამა ახმეტელისთვის, ისევე, როგორც ენა იოანე ზოსიმესთვის, ცოცხალი არსია. ის დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა რიტუალით ადამიანს უკავშირდება და მას შეიცნობს. თუ იოანე ზოსიმესთან ენას „სძინავს“, ახმეტელთან დრამა „შეიძეცნებს“. მაშასადამე, დრამას ერთგვარი დამოუკიდებელი და თავისთავადი ყოფიერება აქვს, მას ერთგვარი ცნობიერებაც გააჩნია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ცოცხალი და მოაზროვნე არსია.

შეიძლება ითქვას, რომ დრამა, ახმეტელისთვის ღვთაების ერთ-ერთი ჰიპოსტასია, რომელიც კულტურისა და ადამიანური სამყაროს შექმნა-რეგულირების ფუნქციას ტვირთულობს.

ცხადია, ახმეტელს ერისა და დრამის გულუბრყვილო გაღვთაებრიობას ვერ მივაწერთ, თუმცა, მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დრამა ერთგვარად ცოცხალი არსია, რომელიც ფორმების გზით გვაჩვენებს სახეს, იუნგის არქეტიპების შესახებ მოძღვრებას გვაგონებს, სადაც არქეტიპი, როგორც ფორმის მშობელი, თითოეული ადამიანის სულიერი ცხოვრების საფუძველია, „რომელიც თავისი ბუნებით ზეინდივიდუალურია“.¹ ახმეტელის დრამა არაცნობიერის ერთ-ერთი ძირითადი არქეტიპია, მას თავისი ფორმა და დრამატული მითი აქვს. იგი კულტურაში ადამიანის მოქმედებას არეცულირებს.

დრამატული მითის წვდომა თეატრის რელიგიურ-რიტუალური არსების მეშვეობით ხორციელდება.

ისტორიასა და ტრაგედიას შორის იგივეობის ნიშნის დასმა ადასტურებს, რომ ყოველივე, რაც ადამიანის კულტურაში ყოფიერებას უკავშირდება, თავისი არსით მითის ანუ დრამატული არქეტიპის მოქმედების სფეროა. არსებობს დრამა, როგორც ფუძისეული რეალობა, არსებობს მისი ნაციონალური გარკვეულობა, რომელიც დროში ვითარდება, ხოლო განვითარების ამ სქემაში არსებობს და მოქმედებს ადამიანი – „შვილი ტრაგედიისა“. დრამა რეჟისორისთვის თავად არის „ღვთაება“, რომლის თაყვანისცემა თეატრად წოდებული რიტუალური ქმედების დროს ხორციელდება.

„ყოველი ფორმა, ყოველი მოხაზულობა ჩვენთვის რელიგიური კვეთების ფორმაა სწორედ იმ ხალხისა, რომელთაც ეს ხელოვნება წარმოშვეს.“ ლოგიკურად შეძლება დავასკვნათ, რომ ხელოვნება ეროვნული ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა რელიგიური მსახურების – კულტის ფორმაა. ცხადია, ახმეტელის ესთეტიკური თვალსაზრისი ხელოვნების ნაციონ და სოციოგენური მისითს აბსოლუტიზაციას ახდენს, მხატვრულსა და ეროვნულს აიგვებს და მხატვრულ შემოქმედებას კულტისა და რიტუალის წიაღში აბრუნებს. ყველა ეს ნიშანი ქართველი რეჟისორის თეატრალურ ნააზრევს ავანგარდის თეატრის მითო-რიტუალურ ასპექტებთან აკავშირებს.

მაშასადამე, ერი, ახმეტელის მიხედვით, ღვთის თაყვანისცემისა

¹ Юнг К., „Об архетипах коллективного бессознательного“, *Архетип и символ.* გვ. 98.

და სამყაროს გარდაქმნა-შექმნის, ნაციონალური უნივერსუმის აგების სპეციფიკური ფორმაა. ყოველი ნაცია სამყაროს ზედვისა და განცდის, მისთვის უაღტერნატივო სინამდვილის შექმნას გულისხმობს. ყოველი ერის ყოფიერება, მის მიერვე შექმნილ სამყაროში ხორციელდება. „ამგვარია ზელოვნება და იმ ერმაც, რომელსაც არსებობის სურვილი უღვივის, მთელი თავისი სიძლიერე ზელოვნების განვითარებას უნდა მოახმაროს“¹. ზელოვნებას ეგზისტენციური მნიშვნელობა აქვს და, ერთსა და იმავე დროს, არსებობის აღსრულების საშუალებაც არის და მიზანიც. „ვერაფერი გვიჩსნის გადაგვარებისაგან, – ამბობს ახმეტელი, – გარდა ეროვნული ზელოვნებისა და მასთანვე, უპირველესად, ეროვნული თეატრისა“¹.

ახმეტელს მკაფიოდ აქვს ხაზგასმული მომავალი ქართული თეატრის დანიშნულება, რომელიც რელიგიურ-რიტუალური მსახურების ფორმით უნდა განხორციელდეს. ფაქტობრივად, მომავალ ქართულ თეატრს იგი ახალი სინთეტური ნაციონალურ-უზოთერული იდეოლოგიისა და მისი რიტუალური მსახურების ადგილად განიხილავს, სადაც ნაციონალური კულტურის რიტუალით ქმნადობა განხორციელდება. „თეატრის რელიგიის“ განსაზღვრებაში ახმეტელი დრამის ეზოთერული არსებისა და მისი მიწიერი სახის – ნაციის კულტს მოიაზრებს. თეატრი მისთვის შექმნელი და შექმნილი ბუნების შეხვედრისა და ურთიერთშეცნობის ადგილია. ყოველივე დანარჩენი ამ მიზნის მიღწევას ემსახურება: ინტელიგენტთა თეატრი, როგორც მომავალი ქართული თეატრის ერთგვარი ლაბორატორია და ახალ ფორმათა ძიების ადგილი, სათამაშო სივრცის დაგვეგმვა, როგორც კომუნიკაციის სასურველ ფორმათა მიღწევის საშუალება, მსახიობის ნაციონალური ბუნებით განპირობებული ფისიქო-ფიზიკური წყობის გამოვლენა, სპექტაკლების რიტმულ-პლასტიკური სტრუქტურის შექმნა და სხვ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული თეატრის იდეალური სახისა და ფუნქციის ხედვით, ახმეტელი ნაციონალური თეატრის თვისებათა შესახებ ისეთ ზოგად თვალსაზრისს გვთავაზობს, რომელიც შეგვიძლია თავისი ბუნებით ავანგარდის თეატრის კონცეფციათა რიგს მივაკუთვნოთ.

¹ ახმეტელი აღ.. „მომავალი ქართული თეატრი“, გვ. 47.

თავი III

მითი და ინიციატივის რიზუალი რობაშიძის ღრამაში „ლამარა“

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკაში თავი იჩინა კონცეპტუალიზაციის პროცესმა, რომელიც ხელოვნების ფუნქციასა და რაობას, მის ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მისიას იკვლევდა. ხელოვნება, ერთი მხრივ, რელიგიას, მეორე მხრივ კი, ფილოსოფიას დაუახლოვდა. ფაქტობრივად, თეატრალური ავანგარდი ახალ რევოლუციურ ესთეტიკას, სინამდვილის ხედვისა და განცდის ალტერნატიულ წესებს ამკვიდრებდა. ამის მიუხედავად, ხშირად ასეთი ხელოვნება, განსაკუთრებით კი საბჭოთა კრიტიკიზმში ითვლებოდა დეკადანსად, ფორმალიზმად და „ხელოვნებად ხელოვნებისათვის.“ ფაქტობრივად, თვით საბჭოთის იდეოლოგიზირებული ხელოვნება ისეთივე ფსიქოგენურ და სოციოგენურ მისიას ასრულებდა, როგორც მისი ოპონენტი „იზმები“.

მეოცე საუკუნეში განსაკუთრებულად გაიზარდა ინტერესი პრიმიტიულ საზოგადოებათა ხელოვნებისა და კულტურის ამ ეტაპისათვის ზოგადად დამახასიათებელი სინკრეტული მითოლოგიური მსოფლადებისადმი, პრიმიტიული ხელოვნების რიტუალური ბუნებისა და საინიციაციო ფუნქციისადმი. რიტუალის, როგორც მარად განმეორებად მაგიურ ქმედებასა და უნივერსალურ საინიციაციო ფორმაში ინტეგრირებულმა ხელოვნებამ, ესთეტიკურ ფუნქციებთან ერთად, მარად განახლებადი კულტურის დამფუძნებლის ფუნქციები შეითავსა. ამ ზოგადმა პროცესმა ავანგარდის ხელოვნების წიაღში მოაზრებადი რადიკალურად განსხვავებული ესთეტიკური და კონცეპტუალური მიმართულებები გააერთიანა. შეიძლება თქვას, მეოცე საუკუნის ხელოვნების თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს დაუახლოვდა და მიზნად დაისახა ხელოვნების კულტურტრეგერული, საზოგადოებისა და ფსიქიკის მარეგულირებელი და მაორგანიზებელი ფენომენის როლის აღდგენა.

განსხვავებულ მოძღვრებათა იდეოლოგია, ფილოსოფია თუ მითოლოგია სამყაროსა და საზოგადოების სხვადასხვა მოდელს

ქმნიდა და ამ მოდელში ადამიანის ინტეგრირებას ახდენდა. თუ ექსპრესიონისტულ დრამაში ადამიანი ერთიანი სოციალური მექანიკური ყოფიერების უსახელო ჭანჭიკად იქცეოდა, იმავე გრიგოლ რობაქიძის მოდერნისტულ დრამაში ის ყოფიერების მისტერიის აღსრულების უმთავრეს გმირად გვევლინებოდა.

ამ თავში სწორედ გრიგოლ რობაქიძის დრამა „ლამარაზე“ ვისაუბრებთ.

„დრამის არსება არის მითი. მითი კი კოსმიური მოვლენაა და არა ისტორიული. ამიტომაც არის რობაქიძისათვის ერთადერთი ჭეშმარიტი დრამა ბერძნული ტრაგედია, რომელშიც ყოველი სახის მიღმა დიონისე ტირის ან იცინის“, – წერდა რუდოლფ კარმანი.¹ იგი რობაქიძის შემოქმედებაში დრამის ჭეშმარიტი ბუნების ნიცშესბურ გაგებას ხედავს, რომელიც დრამის შენიღბულ ქვემდებარედ ერთადერთ პერსონაჟს – დიონისეს აღიარებს.

შველაზე უკეთ გრიგოლ რობაქიძის კონცეპტუალურ შეხელულებათა შესახებ მისი საუკეთესო პიესა – „ლამარა“ მოგვითხრობს. ნაწარმოების განხილვა გააითლებს გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის წვდომას.

პიესის სიუჟეტი, რომელიც მინდიას შესახებ თქმულებათა მიხედვით შეიქმნა, მითოლოგიური ისტორიის კანონების შესაბამისად ვითარდება. რობაქიძე ძალზე მტკიცნულად აღიქვამდა მისი ნაწარმოების ვაჟას „გველისმჭამელთან“ მიმართებაში „მეორეულ“ მოვლენად მიჩნევის მცდელობას. წერილში „ვაჟას ენგაზი“, რომელშიც ამ საკითხზე მსჯელობს, რობაქიძე წერს: „გვეკითხები მკითხველთ: „ლამარა“ შედის ვაჟას შემოქმედების რკალში, თუ ვაჟა „ლამარას“ რკალში?“² ... „გველისმჭამელი“ სხვაა და „ლამარა“ კიდევ სხვა – მაგრამ თაური ორივესი ერთია. ესაა – მწვერვალი ქართველი ხალხის ზეპიროვნული შემოქმედებისა: მინდია: არსი, რომელშიც მთლიან სახიერდება ორმაგი უნივერსალური იდეა: „სიყვარული შეიქმნს შემეცნებას (მოციქული პავლე), შემეცნება შეიქმნს სიყვარულს (ლეონარდო და ვინჩი). სწორედ ამ მითიურმა არსმა მოითხოვა „ლამარასი“ და „გველისმჭამელის“ ერთიმეორისადმი ამომწურავი შეპირისპირება“.³ ამ ნაწვეტში რობაქიძე ხაზს უსვამს ნაწარმოების მითიურ არსს, რაშიც დასრულებულ კოსმოგონიას

¹ კარმანი, რ., „რობაქიძე და მითის აღორმინება“, გვ. 384.

² რობაქიძე გრ., „ვაჟას ენგაზი“, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, გვ. 180.

³ იქვე, გვ. 183.

და საკრალურ ისტორიას გულისხმობს. აქვე მოდერნისტული და, საერთოდ, ავანგარდული დრამის ერთი საყურადღებო თავისებურებაა მინიშნებული, კერძოდ, რეალური პერსონაჟის, ისტორიული თანამედროვის მითოლოგიზაცია, მისთვის ორმაგი არსებობის – რეალური და მითიური ყოფიერების მიწერა.

ნაწარმოებში ერთიანი საკრალური ისტორიის ამოკითხვა შეიძლება. მოქმედების განვითარებაც მითოლოგიური გადმოცემის მსვლელობის ტრადიციულ წესებს მისდევს. ამას მრავალი გარემოება გვაფიქრებონებს. ჯერ ერთი, პიესაში შესაბლებულია მითოლოგიური პანთეონის სხვადასხვა რანგის ღვთაებათა – როგორც უზენაესი, ისე „ლოკალური“ მნიშვნელობის ღმერთების – გამოკვეთა. ცენტრალური ადგილი ამ სახეთა შორის, რა თქმა უნდა, მზეს ეპუთვნის. თუმცა, ვიდრე ქართულ მითოლოგიაში მზის ადგილსა და ფუნქციაზე შევჩერდებოდეთ, „ლამარაში“ ფრაგმენტულად გადმოცემული კოსმოლოგიური მითოსის შესახებ უნდა ვისაუბროთ. თხრობა კი როგორც მითოლოგიას – სულის საკრალურ ისტორიას – შეეფერება, დასაბამიდან უნდა დავიწყოთ. პიესის მიხედვით მითოლოგიური მსოფლადქმის ერთიანი სურათის შექმნა მრავალ კითხვაზე გაგვცემს პასუხს.

პიესის მეორე კამარაში, მას შემდეგ, რაც ქავთარის პატარა ვაუს გველის ნაკბენისგან უწამლებს, იგი შინ დაძინებას გარეთ დარჩენას ამჯობინებს.

- მე მინდიასთან დავრჩები... ვარსკვლავებს გამოვკითხავ, – გადაწყვეტს ლაგაზი, ქავთარის უფროსი ვაუ.
- ამაღამ ძილი არ მოვა... ვარსკვლავნი სხვანაირად კრიალებენ, – ეუბნება მას მინდია.
- ხელავ?!
- ვხედავ... ბევრს ვხედავ... ამაღამ ბევრი ვარსკვლავი მოწყდება...
- საით გადავარდების?!?
- უკუნეთში... ბუნების უბეში... საცა იშვა...¹

მაშასადამე, ვარსკვლავები ბუნების უბეში შობილან და ამავე უბეს ესწრაფვიან იმ ღამით, როდესაც მინდია და ლაგაზი ცაზე „კითხულობენ“. ეს ჩვეულებრივი დამე არ არის, განსაკუთრებული ღამეა, ვარსკვლავთა ინიციაციის ღამე, რადგან ისინი საწყისს

¹ რობაქეძე გრ., „ლამარა“, თეატრალური მოამბე, 4, 1989, გვ. 81.

უბრუნდებიან, რათა იქიდან ხელახლა იშვან. უბე იქ არის, სადაც გული ძერს, მაშასადამე, ვარსკვლავნი ბუნების გულიდან იშვიან. გულს კი ერთი თვისება აქვს – ის რიტმულად ძერს, სისხლს გადაისვრის მოელ სხეულში, სისხლი ყველა ძარღვს გაირბენს და ისევ გულს უბრუნდება, რათა ახალი ძალითა და სიცოცხლით გამდიღრებული, ხელახალ წრეზე გაემართოს. გულიდან შობილი სამყაროს ამბავი იმასაც გვამცნობს, რომ შობილნი, სრული წრის გავლის შემდეგ, ახალი წრის გასავლელად კვლავ გულისაკენ ბრუნდებიან. ამ შეთხევების რობაქიძის მიერ ვარსკვლავთა დაბადების ამბის თხრობა მათი ბედისწერის ისტორიასაც მოიცავს. უკუნი უბე, ამავე დროს, ბუნების მდედრობითი არსის, მისი საშოს სიმბოლოცაა. იქ, იმ საკრალურ პირველურ შეცვლილ წყვდიადში, იბადება ახალი სიცოცხლე, ახალბედა იქ გადის „სიკვდილის“ ფაზას, რათა, წყვდიადთან ნაზიარები, ხელახლა იშვას.

მინდია და ლაგაზი სამყაროს რეკრეაციის მოწმენი და მომსწრენი ხდებიან. ვარსკვლავთა „ინიციაცია“ იმას ნიშნავს, რომ ისინი, პირველქმნილ უკუნეთში დაბრუნებულნი, დროებით უნდა „მოკვდნენ“, რათა, ხელახალი სიცოცხლით აღვსილნი, განახლებულ სამყაროს მოევლინონ. მინდიასა და ლაგაზის დიალოგში აღწერილი სურათის ყველა ნიშანი და სიმბოლო კოსმოგონიური აქტის სამზადისის მაუწყებელია. ასეთივეა დამკვირვებელთა განწყობა, რომლებმაც ზეცაში უნდა ამოიკითხონ სამყაროს ციკლური განახლების, მისი ქმნადობის მათვის უკვე ნაწილობრივ გამხელილი საიდუმლო. ისინი ხომ „ნაზიარებთა“ რიცხვს ეკუთვნიან, თუმცა სხვადასხვაა მათი ზიარების ხარისხი. ჯერჯერობით, იერარქიულ კაბეზე მინდია ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ლაგაზი, მისი მოწაფე, რომელიც ბუნების საიდუმლოსთან შეხებას თავისი უტყუარი ნიჭისა და მასწავლებლის გამო იძენს. თუმცა, ლაგაზის – მოწაფისა და გამგრძელებლის თემა ტრადიციის უწყვეტობის, მისი განმეორების, ახალ ხარისხში აყვანის იმედს და საუკეთესო იძლევა. ლაგაზი, ასე ვთქვათ, სხვა დრამის გმირად უნდა იქცეს, დრამისა, რომელიც ჯერ არ დადგმულა, მაგრამ რომლის „დადგომასაც“ ყველა უტყუარი ნიშანი მოასწავებს. მითი ხომ, მისი ციკლური ბუნების გამო, შობის, შემოქმედების აქტის განმეორებისა და გაგრძელების იმედს იძლევა.

ვარსკვლავთა გამოჩენას დრამაში ორმაგი მნიშვნელობა აქვს. პირველ ყოვლისა, ისინი ბედის ვარსკვლავებიც არიან, რომელთა ზეციური ქცევით მოკვდავნი თავის ბედისწერას კითხულობენ.

ასეთია, ნაწილობრივ, იმ ინტერესის ერთ-ერთი მოტივი, რომელიც მასწავლებელსა და მოწაფეს ამოძრავებს. მაგრამ, როგორც უპვე ითქვა, ვარსკვლავნი, ამავე დროს, თავის საკუთარ ბედისწერასაც ექვემდებარებიან ანუ, ადამიანთა ბედის მაუწყებელთა გარდა, დამოუკიდებელი თავგადასავლის განმცდელნიც არიან. თუმცა, იმ სამყაროში, საღაც დრამის პერსონაჟები ბინადრობენ, ინდივიდუალური ბედისწერის ცნება პირობითია, რადგან თავიდანვე გაცხადებულია, რომ სამყარო ერთი გულითა ძერს, რომ ის ერთი რიტმით არის შეკრული და ყოველი ყოფიერის ქვემდებარე საერთო უზრუნველისი სიცოცხლეა, რომელიც ჩიტის გულშიაც ძერს და გველისაშიც. „დაბადებისა“ და „დაღუპვის“ ამ წინასწარგანსაზღვრულობაში აუცილებლობა და მთელი არსებულის ბედისწერა არის მოკლეული. ელენე თოფურიძე აქ ანაქსიმანდრეს შეხედულებას გადმოგვცემს, რომელიც განკურძოებულ ყოფიერებას სასჯელადაც კი მიიჩნევდა. ყოფიერების „გაუსაძლისი“ ტრაგიზმის თემა სიცოცხლის აუცილებლობასთან არის დაკავშირებული. ადამიანს არჩევანის თავისუფლება არ აქვს. ხშირად ის მისი ნების გარეშე ერთვება ყოფიერების დრამის ყველაზე მძაფრად დრამატულსა და ტრაგიკულ მომენტებში. თუმცა, როგორც ლაგაზისა და მინდიას მიერ დამის ზეცაზე წაკითხული ისტორია მოწმობს, თვით ცოომილნიც ვერ გაურბიან სიკვდილისა და განახლების მისტერიას.

ვარსკვლავთა ენას მინდია სხვაგვარ „კრიალს“ უწოდებს. ვარსკვლავთა ენა და მათი ყოფიერების დასტური სინათლეა. ასტრალურ ღვთაებათა ღვთაებრიობა, ძირითადად, ნათლისა და ბნელის ურთიერთობადაჯაჭვულ სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული. ყოფიერება ნათელს უკავშირდება – სინათლე საგნისთვის საგნობრივი ხილული არსებობის მინიჭების საშუალებაა. მზე და ნათელი სახიერი არსებობის პირობა და წყაროა. ცოდნას მინდია ვარსკვლავთა კრიალის „კითხვით“ იძენს, ანუ ცოდნა და ხედვა (რაც, შეიძლება ითქვას, იგივე ცოდნაა) ნათელს მოაქვს. ვარსკვლავნი ბუნების უბეს – წყვდიადს უბრუნდებიან, რათა იქიდან მეტი სინათლით იშვან. წყვდიადიდან იშვის ნათელი. თუმცა ეს წყვდიადი, ნათლის წარმომქმნელი, ჩვეულებრივი წყვდიადი როდია, ის „უბის“ წყვდიადია. ბერძნულ მითოსში სინათლე – ეთერი და დღე – ჰემერა ერების (წყვდიადი) და ნიუქტას (ღამე) კავშირიდან იბადება. ღამევე შობს მოირას – ბედისწერას, რომელიც არა მხოლოდ ადამიანებზე,

არამედ ღმერთებზეც მეფობს, წერს ჰესიოდე. ვარსკვლავებზე „კითხვის“ ღამეს სამი ღვთაების არსება იკვეთება: ნათლის (მზის), წყვდიადის (ღამის, პრეკოსმიური ღედის), ბედისწერის, რომლის ძალას ვარსკვლავნიც ემორჩილებიან.

როდესაც ბუნების უბის შესახებ საუბრობს, მინდია მას უკუნეთთან აიგივებს. ინიციაციის რიტუალში პირობითი „წყვდიადის“ სხვადასხვა ხერხით შექმნის მიზნად მირჩა ელიადე წინაკოსმიურ მდგომარეობაში დროებითი დაბრუნების მიღწევას მიიჩნევს. ინიციაციის „განმცდელთა“ ტოტებით დაფარვას, ბუჩქებსა და ქოხებში დამალვას, ტყის უსიერ ტეკრში გადამალვას მკვლევარი ვირტუალურ, პრეკოსმიურ მდგომარეობაში დაბრუნების იმიტაციად (ან რეალურ განცდად) წარმოადგენს, რასაც, შემდგომ, ხელახალი შობა უნდა მოჰყვეს, რომელიც „სამყაროს შექმნის“ ტოლფასია.

პრეკოსმიური მდგომარეობა ბერძნულ მითოსში ქაოსის სახელით არის ცნობილი. რობაქიძე წყვდიადის ბუნებისა და თვისების აღსანიშნავად განსაკუთრებულად გამომსახველ ემოციურ განსაზღვრებას პოულობს. სიტყვა „უბე“ სითბოსთან, სიცოცხლის გადარჩენასთან, აკვანთანაც ასოცირდება. მას შექმნილის მიმართ ნეიტრალური განწყობილება აღარ ახასიათებს, პირიქით, მისი დანიშნულება სიცოცხლის შეფარვა და დაცვაა. მეტიც, ეს მისი ერთადერთი დანიშნულებაა, უბე მალავს მკერდს, რომელმაც სიცოცხლე უნდა ასაზრდოოს. საინტერესოა, რომ, რობაქიძის ლექსიკური არჩევანის წყალობით, კოსმოსსა და პრეკოსმიურ მდგომარეობას შორის ასეთი ოანახმიერი კავშირი, განსაკუთრებული მოკავშირეობა მყარდება. სამყაროში ყელაფერი სიცოცხლის განახლებასა და შენარჩუნებას ემსახურება. ვარსკვლავნი, უსახელო ღვთაებანი, კოსმოგონიური აქტის სუბიექტი, საწყისს ესწრაფვიან. სამყაროში რეკრეაციის დრო დადგა, რომელიც ყოველთვის ნახტომს, ზებუნებრივი ყოფიერების საიდუმლოს, სულის არსებობის მიზნობრიობის ხელახალ და, შესაძლოა, უფრო ღრმა წვდომას უკავშირდება. თუმცა რეკრეაცია, რომელიც, ერთი მხრივ, სიოვნას გულისხმობს (და ეს ხსოვნა არის სულის საკრალური ისტორიის შექმნის საფუძველი), მეორე მხრივ, სრულ განახლებასაც გვპირდება, რაც ახალი მახსოვრობის, ყოფიერების, შესაძლოა, მარად იგივე, მაგრამ მაინც მარად ახალი ფურცლის გადაშლას გვიქადის.

უპვე ითქვა, რომ ბუნების უბე ბუნების მკერდის, მისი

მასაზრდოებელი ძალის ასოციაციას იწვევს. რობაქიძის მხატვრული მეტაფორის წყალობით, შესაძლებელი ხდება ვარსკვლავთა სამშობლოს გრძნობადი ხატების შექმნა. ვფიქრობთ, სწორედ ამ პრეკოსმიური დედის მიმართ უნდა იყოს მიმართული მინდიას ლოცვა, რომელსაც იგი ძალის დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთილების უაშს აღავლენს.

მინდია: უსახელო! მაღალო!

რისად მამცილდი?! რისად დამტოვე?!?

რისად დამაგდე ვით წისქვილი სათავეგადაგდებული?!?

რისად დამცალე ვით ამამშრალი წყარო კლდეების?!?

რისად ამიმღვრიე მზერა ნათელი?!?

რისად დამიბანდე გული უცხო სურვებით?!

მოვედ ჩემთან – ვით დედა შვილთან.

მოვედ ჩემთან დედაი –

და ძუძუს ნუ დამაკლებ!

გავხსნი გულს ვით წყურვალ თასს:

ჩაეშვი გულში ვით ყვავილოვანი ნაკადული...

ნუ იქნები მტერფავი ჩემი!

ამიქარვე გული,

ამიხილე თვალი!

ვიყო კვლავ შენი მსახური!

მინდია თითქოს უსახელო ღვთაებას ევედრება, მაგრამ მეორე წუთას მას დედას უწოდებს და, ვით ჩვილი, ძუძუთი დაპურებას თხოულობს მისგან. კაგშირი დედასთან მინდიას გულზე გადის, რადგან სწორედ გულში უნდა ჩაეშვას უსახელო მაღალი დედა ვით ყვავილოვანი ნაკადული, რათა განგურნოს მღლოცველი უცხო სურვებისგან, აუქარვოს გული და აუხილოს თვალი. ჩანს, მინდიასა და ვარსკვლავებს ერთი დედა უნდა ჰყავდეთ, დედა, რომელიც ყველგან არის, ყველაფერს განმსჭვალავს და ასაზრდოებს თავისი მაცოცხლებელი ძალით. ამ ღვთაების განუსაზღვრელობა იმითაა გამოწვეული, რომ იგი ყველგან სუფევს და ყოველივეს მოიცავს. ქვეყნიერება მასში ისეა მოქცეული, როგორც ნაყოფი საშოში, ამიტომაც არა აქვს მას სახელი, რადგან არა აქვს განსაზღვრულობა მის აღმატებულ ყოფიერებას, არ არის ფორმა და მეტაფორა,

რომელიც პრეკოსმიური მდედრობითობის არსეს გამოხატავს უკეთესად, ვიდრე სიტყვა უბე, რომელიც მთლიანად შიგნიდან მოსაქცევს, მოსაკალათებელს, თავშესაფარებელს ნიშნავს. ის უნილავია, ისევე, როგორც უხილავია ჩანასახისთვის საშო, რომელიც მთელი თავისი არსების დედობრივი ძალით ასაზრდოებს მას. თუმცა, დგება უამი, როდესაც, ემბრიონი სამზეოზე უნდა გამოვიდეს, როდესაც უნდა მოსწყდეს დედის ძუძუს და დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგას. მინდიას ლოცვა დამოუკიდებელი ყოფიერების გამო განცდილი შიშით არის გამოწვეული. ინიციაცია სრულდება, ახალბედა პირველ ნაბიჯებს დგამს ახლად შექმნილ სამყაროში. მას აღარ იცავს განუსაზღვრული აღმატებული მდედრობითობის საფარი, მდედრობითობის უბე. მინდიას სურვილი, გულში შემოუშვას ყოვლისმომცველი დედა, პირადული, განკერძოებული ყოფიერების წინაშე შიშის მაუწყებელიც არის. ჰარმონიულ, არადიფერენცირებულ პრეკოსმიურ ყოფიერებას საზღვარი დაესვა. კოსმოსის ჰარმონია წინააღმდეგობათა ერთიანობაზე, განსაზღვრულ, საზღვარდაბებულ ყოფიერთა თანაარსებობაზეა დაფუძნებული. მაგრამ წინააღმდეგობათა ერთიანობის დინამიკურ, ბობოქარ ჰარმონიას აღამიანი ტრაგიკულად განიცდის, მას დარღვეული კავშირების აღდგენის მტანჯველი ამოცანა ეკისრება. ადამიანის ბუნების თანმობილი „მანკიერების“ გამო, ორფიკები ძველ საბერძნეთში ბავშვის შობას გლოვობდნენ, ხოლო ადამიანის გარდაცვალებას ზეიმით აღნიშნავდნენ.

„სინამდვილის ორი ტენდენციის დაძაბული ურთიერთ-დაპირისპირების შესახებ წარმოდგენა – აუცილებლობისა, რომელიც სამყაროსა და საზოგადოებაში ბატონობს, და ადამიანის სუბიექტური მიზანსწრაფვისა, ის თავის ნებას დაუმორჩილოს – ჯერ კიდევ ჰესიოდესთან ვლინდება. იდეა აუცილებლობაზე ადამიანის შესაძლო გამარჯვების შესახებ, და შესაბამისად, კულტურის შესაძლებლობის იდეა, მის მიერ პრომეთეზე მოთხოვობილ მითში პოულობს ასახვას. იგივე იდეაა გამოხატული სულის ღმერთების (ზევსის) ბუნების ღმერთებზე (ტიტანებზე) გამარჯვების მითშიც...“

უნდა ითქვას, რომ ელინთა ნააზრევში ტრაგიკული თავად ქვეყნიერების ერთგვარ განსაზღვრულობად, მის არსებით მომენტად იქცევა (ახმეტელისთვის, როგორც ზემოთ გამოჩნდა, ტრაგიკული ერის ისტორიის ასეთივე არსებით მომენტად, მის ფორმალურ და საზრისობრივ განსაზღვრულობად იქცევა – თ. ბ.). ის ფაქტი,

რომ სტიქიათა კოსმიური კატასტროფების გამომწვევი ბრძოლა ყოფიერების სიღრმისეულ საფუძვლებში ადამიანისათვის უჩინარი ჰარმონით გადაწყდება, სრულიადაც არ აუქმებს მის ხანმოკლე ცხოვრებაში ღრმად ტრაგიკული კონფლიქტებისა და კატასტროფების გარდუვალობას. ერთი სიტყვით, ტრაგიკული თვით ეგზისტენციის არსებით მომენტად იქცევა¹.

ვარსკვლავთა ბედისწერაც იმას გვაუწყებს, რომ აუცილებლობას ყველაფერი ემორჩილება, თვით ღვთაებრივი ქმნილებანიც კი. გარსკვლავთა კრიალი და საწყისი კომფორტული „არარსებობისაკენ“ სწრაფვა მინდიას ლოკვის ფარულ ტონალობას იმეორებს. ძუძუს მოითხოვს დიდი დედისაგან მინდია, რადგან „ჩვილ“ არის და უმძიმს დაპირისპირების გადალახვა, რომლის შეცნობის საშუალება წინაკოსმიური იდილიის შეცნობის ფონზე მიეცა.

თუმცა სანამ მინდიას მრავალსაფეხურიანი ინიციაციის, მის მიერ სრული და ქმედითი ცოლნის მიღწევის, იჩოს ინიცირებისა და ტრაგიკული დაპირისპირების გადასაჭრელად საკუთარი თავის მსხვერპლად გამეტების შესახებ ვისაუბრებდეთ, შევეცდებით, პიესის კონფლიქტის ‘დიდი’ და ‘მცირე’ წრეები მოვხაზოთ. ეგზისტენციური დილემის გადაჭრის ერთადერთ შესაძლებლობად რობაქიძის „ლამარაში“ ადამიანის პირადი არჩევანი ჩანს, რომელსაც კულტურშემოქმედებითი აქტის მნიშვნელობა ენიჭება. რობაქიძე ცდილობს, კოსმოგონიური და სოციოგენური შემოქმედება სინქრონულად, შეთანხმებულად წარმოადგინოს, განგებისა და ადამიანის ხებას შორის მიზნობრივი თანხვედრა დაინახოს და ცხადყოს, რომ შხოლოდ ამ ერთიანობის განცდის შემთხვევაში, მხოლოდ ადამიანის მიერ ეთიკური პასუხისმგებლობის გაცნობიერებისა და, შესაბამისად, თავისუფლების განცდის შემთხვევაში, ხდება შესაძლებელი გადაულახვი ანტიონიმის გადალახვა და პარმონიის აღდგენა.

„ლამარას“ მითოსი ისეა აწყობილი, რომ პრეკოსმიური დედა თვითონ უბიძებს ადამიანს თვითშეცნობისა და ეგზისტენციური არჩევანისკენ. პიესის მთელი მოქმედება ერთი ძირითადი მიზნის განხორციელებას ეძღვნება, ამ სულისკვეთებაში ღვთაება და ადამიანი სოლიდარული არიან. რობაქიძე ცდილობს, ისეთი დისტანციიდან შეხედოს მოვლენებს, რომ ბუნებისა და სულის ღმერთების (ბერძნულ

¹ Топуридзе Е., Человек в античной трагедии, გვ. 25.

მითოსში – ზევსისა და პრომეთეს) კონფლიქტის მიღმა, ადამიანმა მათი ფუძისეული მოკავშირეობა განჭვრიტოს. ამ წინააღმდეგობის დაძლევა მზის სიმბოლიკის საშუალებითა და მისი რეინკარნირებული მიწიერი სახის – ლამარას საშუალებით ხდება. უკვე აღვნიშნეთ, რომ „სრულყოფილი“ საკრალური ისტორიის გამართვაში რობაქიძეს ქართული კულტურის ისეთი უნივერსალური სახე ეხმარება, როგორიცაა მზე.

მზის ღმერთობა საქართველოში მრავალი არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, ამასგვე ასაბუთებს ქართველი ემიგრანტი მკვლევრის – ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომლის ერთი წიგნი მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველებას ეომობა. სოლარულ მითოლოგიას ყოფიერების ბუნების მოდელირებისათვის არაჩეულებრივად სრული და ყოვლისმომცველი სიმბოლო აქვს. მზის იდეის უნივერსალურ ტემატიკა სოლარული ორნამენტი და სხვადასხვა სოლარული შინაარსის სიმბოლო ადასტურებს (ბორჯდალი, სვასტიკა), რომელიც, პრაქტიკულად, ყოფიერების ყოველგვარი გრძნობადი გამოვლინების მოდელირებას ახდენს. აქ თავს იყრის წარმოდგენები ნათლისა და მოძრაობის ბუნების ერთიანობაზე. სინათლისა და მოძრაობის ცნებები ერთ გრძნობად სიმბოლოში განუყოფლად ერთიანდება. ბორჯდალსა და სვასტიკაში კიდევ მრავალი მნიშვნელობის ამოკითხვა შესაძლებელი, კერძოდ იმისა, რომ მზიური ნათელი, როგორც საფუძველი ყოფიერებისა, „წარმართ“ – მარცხნიდან მარჯვნივ – მოძრაობს და სიცოცხლის მარადიულობის, მისი ღირებულების იდეას განამტკიცებს. მზის ღმერთობა და მის სიმბოლიკასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობრივი მომენტები ადასტურებს, რომ ქართული კულტურისათვის, მთელი მისი ისტორიული ყოფიერების მანძილზე, სიცოცხლე, მისი ტრაგიკული ანტიომიურობის მიუხედავად, ყოველთვის უპირობო ღირებულებას წარმოადგენს. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით მზის სიმბოლოს ღვთაებრივსა და რიტუალურ მნიშვნელობას როგორც რობაქიძის დრამატურგიის, ისე ქართული თეატრის წარმართული რიტუალური ფესვებისათვის.

„ღამარაში“ გადმოცემულ მითოლოგიურ ვერსიაში, რომელიც აგბულია მწერლის პოეტური წარმოსახვისა და მითის კონსტრუირების „ობიექტური“ კანონების მიხედვით, საყოველთაო

ინიციაცია ეტაპობრივია და მითოსურ სახეთა თუ სიმბოლოთა თანახმიერი მოქმედებით ხორციელდება. ვარსკვლავნი, ბუნების უბე, მზე, გველი, სისხლი, ჩიტი, გმირი – სულის საკრალური ისტორიის თანაშემოქმედი და ფუძემდებული არიან. სწორედ ამ უკანასკნელს ევალება კონფლიქტური ზღვრული ვითარების გადალახვა. თუმცა ამას იყი „განკაცებულ“ ღვთაებასთან თანაშემოქმედებით აღწევს. ღვთაება ადამიანურ ბუნებას იძენს, ადამიანი – ღვთაებრივს. მხედველობაში გვაქვს მინდიასა და იჩოს სცენა, როდესაც მინდია, ცნობიერი ეთიკური თავგანწირვის წყალობით, იჩოს ინიციაციას განახორციელებს. ადამიანი ღვთაებისათვის დამახასიათებელ ძირითად თვისებას იძენს, ის სხვისთვის ღვთაებრივი ბუნების მინიჭების უნარის მქონე ხდება. მინდია იჩოს „აზიარებს“, მის სრულყოფილ და მყისიერ ინიცირებას ახდენს და საკრალური სულიერების რაღმი ჩართავს. ღვთაება და ადამიანი ბედისწერაზე ეთიკური არჩევანის გზით ამაღლდებიან და ტრაგიკულ წინააღმდეგობას ერთობლივად აუქმებენ.

პიესის ერთიანი პოეტური ტექსტიდან თავიდანვე იგრძნობა, რომ ამ საკრალური ქმედების მიზანი მიჯნათა გადალახვაა. მწერალი თითქოს ყოველ სიტყვას მიკრომითის დატვირთვას ანიჭებს. სიტყვა „უბის“ თაობაზე უკვე ვისაუბრეთ. გაცილებით უფრო დიდი დატვირთვის მატარებელია ის სიმბოლო, რომელიც პიესის ტექსტში პირველივე რემარკიდან შემოღის და მთელი მოქმედების ერთიან მიზანსწრაფვას, მეტიც, სამყაროს ინიციაციის მიზნობრივი აქტის შინაგან ენტელექტიას გამოხატავს. ეს სიმბოლო სხვადასხვა ვარიაციაში მოცემულ ზღვრის თემას ასახავს. რემარკა გვამცნობს: „ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარი. ლბილი ფერდობი. ფერდობი თითქო გარღვეულია ხრამით. მეორე მხარეს გადახტომა ნადირს შეუძლია“. უკვე ამ შესავალ პეიზაურია ასახულია მთელი პრობლემატიკა, რომელიც პიესის მოქმედების შემდგომი მსვლელობისას გაიშლება. ნაწყვეტში ზღვრის, ზღურბლის თემა სამჯერ და სამგვარად არის მოწოდებული; პირველ ორ ვარიანტში – როგორც პრობლემა, რომელიც გადასაჭრელად, გადასალახად გვიხმობს – საზღვარი, ხრამი; მესამედ კი როგორც ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი შესაძლებლობა – მეორე მხარეს გადახტომა ნადირს შეუძლია. მაშასადამე, არსებობს სფერო – ბუნება, სადაც ეს პრობლემა მოგვარებადია, მაგრამ რჩება მეორე რეალობა – კულტურა, რომელმაც საზღვრის გადალახვის თავისი ვერსია

უნდა შემოგვთავაზოს. საზღვრის პირველი ორი აღნიშვნა ორივე ჭრილშია მოწოდებული – ბუნებრივსა (ხრამი) და სოციალურში (ხევსურეთისა და ქისტეთის საზღვარი). ნადირს სწორედ ბუნებრივი საზღვრის გადალახვის ძალა შესწევს, მაგრამ საჭიროა საზღვრის გადალახვის ადამიანური, კულტურული „გერსიის“ შექმნა. ამდენად, დასაწისშივე ცხადია, რომ ის, რაც ბუნების ანუ აუცილებლობის სამყაროში თავისთავად გვარდება და ეთიკურ დილემას არ ქმნის, ადამიანურ სამყაროში გადაულახავ წინააღმდეგობად იქცევა. კანონქომიერება, თავისუფალი არჩევანის არარსებობა ანუ უზენაესის ნების აბსოლუტური უპირობო აღსრულება ბუნებას ცოდვისგან იცავს. ბუნებაში არაებული სიკვდილი მკვლელობის ანუ სიცოცხლის წინააღმდეგ ეთიკური დანაშაულის სტატუსს არ ატარებს.

მინდია. – მე გველ მიყვარს, გველსაც ვუყვარვარ, რადგან ჩიტის გული მიყვარს.

II ბიჭი. – გველ ჩიტსა ახრჩობს.

მინდია. – ეგ სხო რამაა.

გველის მიერ ჩიტის მოკვდინება მინდიას მკვლელობისა და დანაშაულის რანგში არ აჰყავს. მხოლოდ ადამიანის მოქმედებას შეუძლია თავისი შეჭრით დაარღვიოს ბუნების პარმონია, მისი შინაგანი ძეგრისა და შემობრუნების „მცირე“ თუ „დიდი“ რიტმები.

მწევმას ბიჭების მიერ ნამღერ წარმართულ სიმღერაში ადამიანის ეგზისტენციის ტრაგიკული წინააღმდეგობანი აისახა: „აი მთაზედა – / თოვლიანზედა. / ია დავთესე – / ვარდი მოსულა. / ირმისა ჯოგი შიგ შაჩქეულა. / ნეტავ ეძოვა / არ გაეთელა. / სიძე-სიმარი მთას ნადირობდნენ. / ტყორცა სიძემა – მაჰკლა ირემი. / ტყორცა სიმარმა – მაჰკლა მან სიძე“ კონფლიქტი სახეზეა. სამწევრა სიმრავლეში ირემი-სიმარი-სიძე – მოკავშირეობისა და მტრობის თავისებური სისტემა არსებობს. სიძესა და სიმარს სოციალური კავშირი კრავს, სიმარსა და ირემს – საკრალური. საკრალური კავშირი უფრო ადრეულია, ვიდრე სოციალური, ამაზე კულტის მამის ფიგურასთან კავშირი მეტყველებს. აქვე შეგვიძლია ამოვიკითხოთ ვაჟას „გველისმჭამელის“ პრობლემაც, რომელიც სიძე-სიმარის ფიგურებზეა „გადანაწილებული“. თუ მრწამსსა და საჭიროებას შორის წინააღმდეგობა „გველისმჭამელში“ მინდიას

სულში იყო მოქცეული, წარმართულ ტექსტში ის სიძესა და სიმამრს შორის ნაწილდება და კონფლიქტი „შიდა“ სარბიელიდან გარეთ გადმოინაცვლებს. თუმცა, თავისი ბუნებით, მაინც ტრაგიკულად ჩაკეტილი და გადაუჭრელად წინააღმდეგობრივია.

- შენ ჩემო ქალო, მე რა გახარო:
ქმარი მაგიკალ – თავს ნუ მაიკლამ.
- შენ ჩემო მამავ, დარბაისელო:
აგრემც მაკვდები – ვერ მაისვენო.
მამეც ცულ-წალდი:
გზა გავიკაფო.
მამეც სანთელი:
გზა ჩავინათო.
უნდა ჩავიდე ჩვევა-ქცევითა.
უნდა გაჰვაპოხო ირმის ტვინითა.
უნდა შავსუდრო აბრეშუმითა.

ადამიანი-ღმერთის საკრალური „ვერტიკალური“ მოკავშირეობა სიციალური „პორიზონტალური“ კავშირების სიბრტყეზე დესტრუქტიულადაც აისახება. ადამიანი ყოველთვის საბედისწერო არჩევანის წინაშე დგას – მოვალეობასა და გრძნობას, მრწამსსა და სიყვარულს შორის არჩევანის წინაშე. მამის არჩევანი ქალიშვილს რადიკალური დაპირისპირებისკენ უბიძგებს. ის წყვდიადში, „ქვესქნელში“ მიემართება, სადაც ირმის გამო მსხვერპლად შეწირულს ირმისავე ტვინით „გაპოხავს“, მამას გაემიჯნება და საუკუნოდ შეაჩვენებს („აგრემც მაკვდები – ვერ მაისვენო“).

ქალის მიერ სანთლით წყვდიადის ჩანათება და საქმროს ღვთაებრივი ცხოველის ტვინით გაპოხვა მისთვის ღვთაებრობის ნიშნის მინიჭებასაც ნიშნავს. ღვთაების დამარცხება და მისთვის ღვთაებრივი ძალის წართმევა (რისი სიმბოლოც აქ თავისუფლად შეიძლება იყოს ტვინი – გონის ადვილი, რომელიც ძალასა და საზრიანობას შეიცავს, თავში ძევს და, შესაბამისად, სათავო, „სამთავრო“ მნიშვნელობაც აქვს). დაპირისპირება სიძესა და სიმამრს შორის მამასა და ქალიშვილს შორის დაპირისპირებაში გადადის. აქ სრულიად ლოგიკურად გახსენდება ანტიკური დრამა, კერძოდ, ანტიგონეს ისტორია, სადაც ღვთაებრივი „კანონმდებლობის“

სხვადასხვა მოთხოვნათა ანტინომიური დაპირისპირების წინაშე ვდგებთ. სიმღერის წარმართულ ტექსტში ტრაგიკული კონფლიქტის განვრცობადობა, „მეტყვიდრეობითობა“ და საბედისწერო გადაულახობაა ნაჩვენები.

დრამატურგი ამ სიმღერით, ისევე, როგორც პირველი რემარკის ტექსტით, შეგვამზადებს, რომ მოქმედება გადაულახვ წინააღმდეგობებს შეეხება, რომელთა გადაჭრა დრამის ამოცანას წარმოადგენს; ასევე, „მიგვითითებს“, რომ ეს კონფლიქტი გლობალური, კოსმოური ხასიათისა იქნება. სწორედ ამიტომ, კონფლიქტის საფუძვლებისა და მისი გადაჭრს გზების ძიება დასაბამიდან უნდა დავიწყოთ. სამყაროს კრეაციისა და რეკრეაციის ფენომენი შინაგანი მიზნობრიობით აღვსილი აქტია. სამყაროში მარად არსებობს ყოფიერების თანმობილი, მისი ბუნების იმანენტური ტრაგიკული კონფლიქტის დაძლევისკენ მიმართული წება. ამიტომაც იწყება მარად ხელახლა სამყაროს შექმნის კოსმოგონიური აქტი, რომელსაც თან სდევს ადამიანის მენტალური შექმნა და მისი მეშვეობით სოციუმის ფორმირება. ამ სიმღერაში იკვეთება ის ამოცანაც, რომლის გადაჭრას უნდა შეეცადოს დრამატურგი; რომლის გადაჭრა ერთიანი კოსმოგონისა და საკრალური ისტორიის მიზანია – მამისა და ქალიშვილის შერიცება, მათი ტრაგიკული განმხოლოებისა და დაპირისპირების დაძლევა. სწორედ ამ მიზნის განხორციელება ხდება ლამარა-მინდიას ტანდემით. ლამარა თავისი უნებლიერ დანაშაულის გამოსყიდვის საშუალებად მინდიას ამზადებს – მინდიას, რომელსაც თავისი ბუნების ნაწილს უზიარებს, მისი მისტიკური სწორფერი ხდება.

დრამის ამოცანის გაგება, როგორც გლობალური, კოსმიური, მითოლოგიური ფენომენისა, ჯერ კიდევ არისტოტელეს „პოეტიკიდან“ იღებს სათავეს. არისტოტელეს დრამის სული – ამბავი – მითოსის სახელით აქვს წარმოდგენილი. მართალია, ის მითის მნიშვნელობას იქვე აღარ განმარტავს, მაგრამ თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, არისტოტელეს აზრით, დრამა ღვთავებრივი განჩინებით შექმნილი სამყაროსა და საზოგადოების დრამატული კანონების მიხედვით არსებობის წესის შესახებ მოგვითხრობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დრამაში გადმოცემული ამბავი არასოდეს არის ლოკალური. მას ყოველთვის მითის გლობალურობა ახასიათებს (აქ ნიცშეს ციტატას გავიხსენებთ წინა თავიდან, რომლის თანახმადაც,

ევრიპიდემდელი ტრაგედიის გმირი მუდამ შენიღბული დიონისე იყო: „ბერძული სცენის ყველა ცნობილი გმირები – პრომეთე, ოიდიპოსი და სხვები მხოლოდ ამ უპირველესი გმირის ნიღბებს წარმოადგენს, ყველა ამ ნიღბის მიღმა დვთაება იმალება“) ანუ ტრაგედიაში შეიძლება ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში მოხვედრის ისტორიის ამკითხვა – წინააღმდეგობას, რომელიც მისი გადასაჭრელი ხდება. მხოლოდ ამ რანგისა და მასშტაბის წინააღმდეგობას შესწევს ძალა ადამიანს კათარზის ანუ გადალახვისგან მონიშებული სიამოვნება განაცდევინოს. „ტრაგედია არის ასახვა არა მხოლოდ დასრულებულის, არამედ, აგრეთვე, შიშისა და სიბრალულის აღმმერელი მოვლენებისა“¹ კ. ლევი-სტროსი წიგნში „სტრუქტურული ანთროპოლოგია“ წერს: „კენონმა აჩვენა, რომ შიში, ისევე, როგორც მრისხანება, სიმპათიკური ნერვული სისტემის განსაკუთრებულად ინტენსიური მოქმედების თანხლებით მიმდინარეობს. ასეთი მოქმედება, ჩვეულებრივ, სასარგებლოა, რადგან ამ დროს განვითარებული ორგანული ცვლილებები ინდივიდს ახალ სიტუაციასთან შეეუბის საშუალებას აძლევს“². ლევი-სტროსისთვის მაგიური სიტუაცია არის კონსენსუსი, ადამიანთა გარკვეულ ჯგუფსა თუ მთელ საზოგადოებაში არსებული შეთანხმება მოვლენათა შინაგანი მიზეზშედეგობრიობის სტრუქტურისა და საზრისის თაობაზე.

ჩვენი დებულების თანახმად, თეატრალური ქმედების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება კოლექტური ინიციაციაა, რომელიც საზოგადოების წევრთა ერთიანი კულტურის სივრცეში გაერთიანებას ემსახურება; ის შიში და განწმენდა, რომელიც ტრაგედიასთან „შეხებას“ ახლავს თან, ინიციაციის რიტუალის დროს ახალბედას მიერ განცდილ გრძნობებს შეესატყვისება. ეს შიში სიკვდილის, არარსებობის შიშია. ადამიანს ეშინია, რომ ტრაგიკული ანტიომია ვერ გადაჭრება და ეს კულტურისა და საზოგადოების, საზოგადოების ფარგლებში კი ინდივიდის არსებობას შეუძლებელს გახდის. მაგრამ ტრაგედიის მეშვეობით ანტიომიური ვითარების დროებითი გადალახვა ხდება და კულტურული თუ საზოგადოებრივი არსებობის გაგრძელების შესაძლებლობა ძალაში რჩება.

დრამის გმირის დაღუპვა, შეიძლება შევადაროთ რიტუალური მსხვერპლშეწირვის აქტსაც, როდესაც სისხლით ხდება დვთაების

¹ არისტოტელე, პუსტიკა, გვ. 164.

² Леви-Стросс К., Структурная антропология, გვ. 148.

„დამწუალობება,“ საკრალური კავშირის შეკვრა. თეატრალური სანახაობა პირობითი მსხვერპლშეწირვის დატვირთვასაც ატარებს, ერთი შეწირული ზეარაკით მთელი საზოგადოების განწმენდა ხდება. საინტერესოა, რომ არისტოტელე სწორედ სიტყვა „განწმენდას“ მიმართავს, რომელიც, ჩვენი აზრით, სამედიცინო ტერმინოლოგიის გარდა, რელიგიურ რიტუალთან და მისტერიასთან დაკავშირებული ლექსიკიდან უნდა მომდინარეობდეს და ახალბედა ღვთაებისადმი შეწირულ მსხვერპლსაც ვანასახიერებს. თუმცა ამ მსხვერპლშეწირვით იგი ღვთაებრივ ბუნებას იძენს და ხელახალი შობისთვის განეზადება. სიკვდილისა და შობის რიტუალური მონაცემლებია, როგორც სულიერი ცხოვრების მოდელი, როგორც მისი კონტინუუმის შესაძლებლობა, ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის ნააზრევის საფუძველსაც წარმოადგენს. მისი აზრით, ადამიანის სულიერი ცხოვრების პროცესი მუდმივ შრომას ეფუძნება, ის დრამატულია, ქმედითი ანუ ციკლური ბუნება ახასიათებს – სიყვარული ერთხელ მიღწევით კი არ ნარჩუნდება, არამედ ყოველ ჯერზე ხელახლა, განმეორებადი შრომის შედეგად მიიღწევა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული თეატრი, ისევე, როგორც ქართული ფილოსოფია, ახდენს მითოლოგიური ტოტალური განახლების მოდელის პროექციას ადამიანის სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროზე და მას ყოფიერების საყოველთაო მოდელად აცხადებს.

ვარსკვლავთა „ინიციაციის“ ეპიზოდი, შესაძლოა, ის საკვანძო მომენტია, ის „განმარტება“, რომელიც პიესის ერთიანი დრამატურგიის გახსნას ემსახურება. ფაქტობრივად, მთელი პიესა ხელახალი შექმნის მოტივთაა განმსჭვალული. ის ერთიანად მოიცავს ყველაფერს, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის, განახლების საყოველთაობაზე გეგმაუბრება. განახლების, ხელახალი შობის თემა მუსიკალური რეპრიზასავით გასდევს ნაწარმოებს და სხვადასხვა სახით, ერთმანეთთან შინაგანი აუცილებლობით დაკავშირებულ ცალკეულ ეპიზოდებად მოგვეწოდება. ავტორი სამყაროს, საზოგადოებისა და ინდივიდის ინიციაციისა და შემდგომი სულიერი ცხოვრებისათვის განახლების ამბავს მოგვითხრობს.

ვარსკვლავთა „ინიციაციის სცენას“ წინ მინდიას ინიციაცია უძღვის, რომელიც ინიციაციას საყოველთაო დრამის ტოტალურობაში რამდენიმე მიზანს ემსახურება; ერთ-ერთია ის, რომ სამყაროს

განახლების დრამა უნდა განხორციელდეს, ამ დრამის ენის მცოდნე უნდა მომზადდეს. ძირითადი მიზანი კი ის გახლავთ, რომ ღვთაებას ადამიანი საკუთარი ბუნების შემეცნებისთვის სჭირდება. ადამიანი-ღმერთის ანტაგონისტურ-პარტნიორული ურთიერთკავშირი ცნობილია ყველა მითოლოგისთვის. ეს განუყოფელი წყვილი გრიგოლ რობაქიძესთან „ღმერთკაცობრიობის“ სახელს იქნება – იმდენად გადაჯაჭვულია მასთან ადამიანისა და ღმერთის სულიერი ცხოვრების მარადიული განახლებადობა. როგორც ახმეტელის, ისე რობაქიძის ნააზრევს გერმანული ფილოსოფიის სხვადასხვა დიდ წარმომადგენელთან, მათ შორის, გოეთესთან, ნიცშესთან, ჰეგელთან თუ სხვებთან შენაგანი ნათესაობა აკავშირებს.

ბუნების უბის ანუ გულის თემით ვითარდება მინდიას მიერ შეძენილი ცოდნის ამბავი. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ საწყისი იმ საყოველთაო ერთიანობისა, რომელსაც მინდია პიესის დასაწყისში მწყებს ბიჭებს აზიარებს. ყოველი არსებულის ძირი ერთია, მათ ერთიანი საწყისი სიცოცხლის ძეგრა აერთიანებს, რიტმი, რომელიც ბუნების გულის ძეგრამ, მათმა შემქმნელმა მიანიჭა მათ.

მინდიას ინიციაციის თაობაზე მისივე მონათხრობიდან ვიტყობთ. მისი ინიციაცია, მირჩა ელიადეს ენით რომ ვთქვათ, შამანურ ანუ მკურნალის ინიციაციას მოგვაგონებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საზიარებლად პიროვნების ინდივიდუალური მოხმობა ხდება. ერთი შესედვით, ეს აქტი მხოლოდ ერთი პიროვნებისთვის არის გამიზნული, მაგრამ, როგორც ამაში მოგვიანებით დავრწმუნდებით, შამანური თუ მკურნალის ინიციაციის პირდაპირი თუ არაპირდაპირი სამიზნე კოლექტივის გაშუალებული ინიციაციაა. თავად შამანი თუ მკურნალი თემში განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს და სამყაროს ზებუნებრივ ძალებთან მეკავშირის როლში გამოდის. იგი იმ კარიბჭედ იქცევა, რომელიც ვირტუალურ, ფანტაზმურ, ზებუნებრივ რეალობაში მიუძღვება „სამწესოს“. მაშასადამე, ცოდნის შემზენისა და მფლობელის მდგომარეობა ორ საზრისს მოიცავს: ერთი მხრივ, გვაჩენებს, რომ მცოდნე რჩეულია, მისთვის ცოდნის რიტუალური განდობა დაფარული ზებუნებრივი მიზეზით მოხდა. ხშირად ცოდნის გაზიარება, საინიციაციოდ შერჩევა ობიექტის სურვილის წინააღმდეგაც კი ხდება, ამიტომ ელიადე, ნებაყოფლობით და იძულებით, უნებურ ინიციაციათა ტიპებს განასხვავებს. მინდიას ინიციაცია უნებურის კატეგორიაში უფრო ექცევა. აქ კიდევ ერთხელ

იკვეთება აუცილებლობისა და თავისუფლების ეგზისტენციალური პრობლემა. რჩეულობა ნიჭივით არის, ის ბუნებით, აუცილებლობით გენიჭება, მაგრამ ეს მხოლოდ გზის დასაწყისია. ინიციაციის უმაღლესი დანიშნულება კი თავისუფალი არჩევანის განხორციელება, სიცოცხლის შინაგანი მიზნობრიობის ნებაყოფილობითი და ცნობიერი არჩევა.

ამ ეპიზოდის სიმბოლიკაზე მსჯელობის საშუალება რომ მოგვეცეს, ნაწყვეტის გაცნობა აჯობებს:

„მინდია. კალოზე ვიწევ. სიცხეში. ხის ძირას. სიცხე დიდი იყო: ალმურიანი.

წამინებოდა. ჩრდილი გადასულიყო. მზეს დავესიცხე. იცის გახელება.

I ბიჭი. განა მზეც გახელდების?

მინდია. ჰაი-ჰაი, რომ გახელდების.

II ბიჭი. მერე?! მინდიაუ!

მინდია. ყურიდან სისხლ წამსდენოდა.

გამომეღვიძა. დათენთილ ვიყავ.

ძილსა თავი ვერ ავართვი. ისევ მიმეძინა.

ძილში ვიღაც ყურს მილოკავდა.

ნელთბილი იყო ლოკვა სისხლის.

რაღაცას ჩამჩრეულებდა.

ტკბილი იყო ჩურჩული.

გამომეღვიძა – გველ იყო:

წითელი, რქანაყარი, ჯაგარაყრილი.

ბიჭები. უუუკ! უუუკ! უუუკ!

მინდია. მას შემდეგ გველ მეგობარია ჩემი“.

„ზოგადად თუ ვიტყვით, – წერს ელიადე, – ისინი, ვინც ნებით თუ უნებლიერ ინიციაციის მესამე ტიპისათვის (იგულისხმება შამანური ანუ რჩეულთა ინიციაცია – თ. ბ.) დამახასიათებელ გამოცდებს გაიგლის, ბედის მიერ მოწოდებულნი არიან უფრო ღრმა რელიგიური გამოცდილების მისაღებად, ვიდრე ეს საზოგადოების სხვა წევრთათვის არის ხელმისაწვდომი“¹. ცხადია, მინდია ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის და მას სულის საკრალური ისტორიის მსვლელობაში განსაკუთრებული ადგილი მიენიჭა.

¹ Eliade M., *Rites and Symbols of Initiation*, გვ. 2.

შევთანხმდით, რომ ინიციაციის იმ ფორმას, რომელიც მინდიას ხვდა წილად, უნებლიერ შეიძლება ვუწოდოთ. სიმბოლიკის თვალსაზრისით, ამ ეპიზოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი სახე გამოიყოფა: ხე, რომლის ქვეშაც მინდია იწვა, უკვე ჩვეულებრივი ხე აღარ არის, მას საკულტო დატვირთვა და საზრისი ენიჭება, რადგან სწორედ ამ ხის ქვეშ ხორციელდება ახალბედას ზიარების აქტი. ვერა ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებული სიცოცხლის ხის კულტის შესახებ მოგვითხრობს და თვლის, რომ ხის თაყვანისცემა თავის ადრეულ სავეზურზე ასტრალურ ღვთაებათა კულტთანაც იყო დაკავშირებული. მისტიკური მომენტის წყალობით, ყველა საგანი თუ ნივთი, რომელიც ინიციაციის წრეში ექცევა, ჩვეულებრივი რიგითი ყოფიერების ნაცვლად განსაკუთრებული მნიშვნელობით დატვირთული არსებობის საზრისს იძენს. ამას გარდა, სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის მოტივი, რომლის ქვეშაც მოხდა მინდიას ინიციაცია, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასტრალური ღვთაებისაგან მომდინარე ამ ქმედებას სიცოცხლის განმტკიცებისთვის პოზიტიური საზრისი აქვს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დადასტურებული საწესო ქმედების შესახებ ვ. ბარდაველიძე წერს: „წმინდა ხის ქვეშ სრულიად შიშველი ბავშვის, რომელსაც დაბადებიდან ჯერ კიდევ წელიც არ შესრულებოდა, „შეგორების“ რიტუალი, არსებითად, ხის მიერ ბავშვის შობის სიმულირებას წარმოადგენდა. ასეთი ხე, რომელიც მისი მფარველობის ქვეშ ყოფილი თემის ბავშვებს „შობდა,“ დასაწყისში ტოტებური ხე უნდა ყოფილიყო“.¹

აშკარაა, რომ ხის სიმბოლიკა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს დაბადების ფაქტს. ინიციაცია ახალბედას ხელახალ შობას გულისხმობს. ხის ქვეშ მინდიას ძილი მისი ხელახალი შობის, „სიცოცხლის ხესთან“ მისი სასიცოცხლო კავშირის მაუწყებელია. თუ სიტყვა „უბეს“ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ სიცოცხლის ხეც, ემოციურად, იმავე შინაარსის მატარებელია და მას სიცოცხლის იდეის, განახლებული შობის მოტივის განმამტკიცებლის დატვირთვა ენიჭება.

სწორედ აღნიშნულ ეპიზოდში ასრულებს ხილულად აქტიურ როლს მზე, რომელსაც, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ

¹ Бардавелидзе В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, гл. 65.

მითოლოგიაში სრულიად განსაკუთრებული აღვილი უკავია. მწერლის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მზის ორბუნებოვნებას. მზებ გახელება იცის, ამ გახელებით თესავს იგი, სიცოცხლის მომცემი, სიკვდილს. სწორედ მზე აძინებს – სიმბოლურად კლავს მინდიას. ეს რიტუალური სიკვდილი მითოლოგიის ფარგლებში ხელახალ შობას უძღვის წინ.

სიკვდილის მომენტი ინიციაციის რიტუალში ახალბედასთვის „კოსმიური გაკვეთილის“ სწავლების პლანში ძალზე მნიშვნელოვნო დატვირთვას ატარებს. „გველისმჭამელის“ ვაჟასულ ვარიანტში მინდია ქაჯებს ჰყავდათ დატყყვევებული. ქაჯებთან ტყვეობაში ყოფნა საიქიოში ყოფნას უტოლდება. მაშასადამე, მისი მყისიერი გარდაცალება იმქეყნიური მოგზაურობის თემასაც შეიცავს. გახელებული მზე „მკვლელია,“ ხოლო მინდია – ის მსხვერპლი, რომელიც მისმა გახელებამ შეიწირა. ვაჟასთან მინდია გველის ხორცს იგემებს და ცოდნას შეიძენს. რობაქიძის ვერსიაში გველი იგემებს მინდიას სისხლს. გველის მიერ მინდიას სისხლის ლოკა აფრიკულ და ავსტრალიურ ინიციაციებში მონაწილე მონსტრის ქმედებას მოგვაცნებს. ახალბედას გველი ან რომელიმე სხვა ურჩეული ყლაპავს, რომლის სტომაქში ის სიკვდილის ფაზას გაივლის და ამის შემდეგ ხელახლა იბადება. გველსა და ბუნების უბეს ანუ უძველესსა და უპირველეს საწყისს შორის შესაძლებელია პარალელის გავლება. უბე, საშო, პრეკოსმიური წყვდიადი პიესის სიმბოლიკაში, ბუნებისა და მსატვრული სახეების სამყაროში გველის სახით შემოდის. გველი, ნიანგი თუ რაიმე სხვა მონსტრი არყოფნის, წინაკოსმიური წყვდიადის სიმბოლოდ იქცევა. „გველისმჭამელში“ ჩანს, რომ საიქიოს ყოფნით იწყება მინდიას მიერ ცოდნის მიღება – სწორედ იქ იგემებს იგი გველის ხორცს და სააქაოსთვის დაიბადება. მისი საიქიოში ჩაფიქრებული თვითმკვლელობა ბუნების საიდუმლოების შეცნობის ტოლფასი გახდება. ამ ცოდნით უბრუნდება იგი საწუთროს. ცოდნა სიკვდილიც არის და დაბადებაც. ერთ ხარისხში კვდები და ახალ ხარისხში იბადები.

პიესაში ინიციაციის რიტუალთან დაკავშირებულ კიდევ რამდენიმე ნიშანდობლივ მომენტს ვხვდებით. პირველ რიგში, ეს ლამარას მიმართ მინდიას უძლურებაა. რა არის ამის მიზეზი? მირჩა ელიადე საინიციაციო რიტუალთა აღწერისას ვაჟებისათვის ‘ვაგინალური’ განასერის ამბავსაც მოგვითხრობს, რაც მათთვის

მეორე სქესის მინიჭების მანიშნებელია. ეს განასერი მათი დროებითი ორსქესიანობის ან უსქესობის სიმბოლური დადასტურების ნიშნად კეთება. გარკვეული რიტუალების შემდეგ ახალბედა უსქესოდ ანუ ღვთაებასთან დაახლოებულად ითვლება, რადგან იმ რელიგიურ წარმოდგენათა თანახმად, რომელთა წიაღშიც ეს წესები მოქმედებს, სქესობრივი განსაზღვრულობა არასრულყოფილების, განკერძოებულობის მაჩვენებელია. საკმარისია, პლატონის „ნადიმის“ ცნობილი მითი გავიხსენოთ, რომლის თანახმად, ანდროგინონი უფრო სრულყოფილია, გიდრე მისი დასჯისა და გაკვეთის შემდეგ გაჩენილი „ნახევრები.“ მინდიას ლამარას დაუფლების ძალა არ შესწევს. ამას ორგვარი განმარტება აქვს: ჯერ ერთი, მინდია ჯერ კიდევ „ჩვილია“, რაც ლამარამ, როგორც რეინკარნირებულმა ღვთაებამ, მზემ, წინასწარ იცის. მინდიას მართლაც რაღაც ბორკავს და ეს შებორკვა, გარკვეულწილად, მის „ანდროგინულ“ ბუნებას უკავშირდება. როდესაც მირჩა ელიადე დაიაკების ტომში გოგონათა ინიციაციის შესახებ მოგვითხრობს, იგი დასქნეს: „აქ ჩვენ ახალბედათა დროებითი ანდროგენიზაციისა და ასექსუალურობის თემას კცნობთ“.¹

ზემოთ აღინიშნა, რომ ლამარა მინდიას მისტიკური სწორფერი ხდება. სწორფრობის ინსტიტუტისა და მისი მისტიკური დატვირთვის შესახებ მოგვითხრობს რობაქიძე თავის „ენგადში“. იგი თვლის, რომ სწორფრობის ინსტიტუტი რომელიმე ძველი ორდენისა თუ საიდუმლო საზოგადოების მისტიკური რიტუალის გადმონაშოთა, რომელიც საყოველთაო კოსმიურ ერთიანობას ეძღვნება. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალება მას ერთი მოხუცი ზევსურის, მკურნალისა და სწავლულის მიერ ნათქვამმა სიტყვაში მისცა: „ღვთიურ არს სიყორულ; ხორციელ იგემებ – მოჰკლავ მას; იწვოდ მხოლოდ!“ „მივდოდი ფიქრებში გართული. „იწვოდ მხოლოდ“ – განა ეს ცხადება არაა პლატონურ გაგებული სიყვარულისა აღმართ ხევსურთა ტომი უძველეს დროში ორდენი იყო ერთგვარი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ასეთი გზება და მტკიცება სიყვარულისა. ხევსურების ზიზლი მშობიარეს მიმართ ეხლა გასაგები გახდა ჩემთვის: იგი მატარებელია მათოვის არა „მობისა მშვენიერებაში“, არამედ უსრულო შობისა, რომელშიაც მორჩი წარმავლისა იმთავითვეა შთასახული. „იწვოდ მხოლოდ“ – ესე იგი:

¹ Eliade M., *Rites and Symbols of Initiation*, გვ. 44.

იგზნე ღვთიურ-წარუვალი ცეცხლეულ ზღვარზედ... ხევსურეთის გულისყრი უფრო გონისა და სულისკენაა მიქცეული, ვიდრე მატერიალურისკენ... ხევსური ცეცხლია და კაეშანი“¹.

მინდიასა და ლამარას სწორფრობას, პიესის მითოლოგიური ისტორიიდან გამომდინარე, წინ მზისა და მინდიას სწორფრობა უძლვის. ხოლო პიესის მოვლენათა ლოგიკით ლამარა რეინკარნირებული და ადამიანად მოვლენილი მზეა ანუ, როდესაც მინდია და ლამარა ერთმანეთს ხვდებიან, ისინი უკვე სწორფერნი არიან, მათი ქორწინება იმთავითგვე აკრძალულია. სწორედ ამ აკრძალვის დარღვევისთვის ისჯებიან ისინი და ხანგრძლივი გამოსყიდვისა და განწმენდის გავლა უხდებათ.

მზის რეინკარნაცია მისი, როგორც ღვთაების, ახალ მიწიერ სტატუსში შობას უდრის. ახალ სტატუსში შობას კი წინ უსწრებს ინიციაციის რიტუალი. მირჩა ელიადე დაიაკების ტომში აღწერილ გოგონათა ინიციაციის ისტორიას მოგვითხრობს: „ის ერთადერთი საშუალება, რომელსაც ჩვენთვის ინიციაციის წესებისა და რიტუალების გენეზისის შესახებ ცოდნის მოცემა შეუძლია, მდედრობა გამოცდილებაა და სისხლის მისტერიის ორგვლივ იყრის თავს. ასეთია, მაგალითად, დაიაკების შემთხვევა, რომელთა შორისაც პუბერტეტის ასაკს მიღწეული გოგონა მთელი წლით თეთრ სათავსოში (ქოხში) არის იზოლირებული, მხოლოდ თეთრი სამოსი აცვია და თეთრი ფერის საკედებს მიირთმევს. მისი სეგრეგაციის დასასრულისთვის იგი ახალგაზრდა კაცის გადახსნილი ვენიდან ბამბუკის მიღით წოვს სისხლს. ჩანს, ამ ჩვეულების აზრი უნდა გულისხმობდეს, რომ სეგრეგაციის პერიოდში გოგონა არც კაცია და არც ქალი“².

დაიაკების ტომის გოგონათა საინიციაციო რიტუალში სისხლის „წოვის“ მომენტი ისევ ჩვენს ცნობილ სცენას გაგვახსენებს. გველმა მოწოვა მინდიას სისხლი. გველი, როგორც მზესთან დაკავშირებული სიმბოლო (იმავე ქართულ ორნამენტში, მრავალ სხვა მითოლოგიაშიც), მზის ერთ-ერთ სახედ შევიძლია წარმოვიდგინოთ, ხოლო მის მიერ სისხლის წოვა მზის ინიციაციასაც უნდა ნიშნავდეს. სანტერესოა, რომ დაიაკი გოგონა სისხლს ბამბუკის მიღის საშუალებით სვამს – გველი, ისევე, როგორც ბამბუკის მიღი ამ შემთხვევაში საბოლოო ინსტანცია კი არა, პარტნიორთა კომუნიკაციის საშუალებაა.

¹ რობაქიძე გრ., „ენგადი“, ჩემოვას სიმართლე კველაფერია, გვ. 128-129.

² Eliade M., *Rites and Symbols of Initiation*, გვ. 44.

მაშასადამე, აქ ორმხრივი ინიცირება ხდება, რაც სწორფრობის ინსტიტუტის მითოლოგიზმირებულ ვერსიას უნდა წარმოადგენდეს. სწორფრობა კი თანასწორობასაც გულისხმობს, ე. ი. რობაქიძემ ღვთაებისა და ადამიანის ჯვარედინი კრეაციის, ადამიანური და ღვთაებრივი ბუნების გაზიარების, ზღვრის გადალახვისა და, ამავე დროს, მისი შენარჩუნების – „ზღვარზე წვის“ – რიტუალური სურათი შექმნა.

სწორფრობის ინსტიტუტმა რობაქიძის პოეტურ წარმოსახვაში განვთარება განიცადა და მითოლოგიური სიმბოლიკა „აღიღინა“. ეპიზოდს, რომელსაც „მინდიას ინიციაცია“ ვუწოდეთ, „მზის ინიციაციაც“ შეიძლება დაერქვას (რობაქიძე აქაც, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, ქართული ცნობიერებისა და კულტურისათვის დამახასიათებელი ერთი ფუნდამენტური მიზანსწრაფვის – გაწყვეტილი კავშირების აღდგენისა და საზღვართა გადალახვისკენ ლტოლვის ტენდენციას ასახავს. მხედველობაში გვაქვს მწერლის სურვილი ნინოს ჯვრის სიმბოლიკაში წარმართულ და ქრისტიანულ სამყაროთა და ცნობიერებათა შორის გაწყვეტილი ხიდის აღდგენის, საკრალური კავშირის შეგვრის სიმბოლო დაინახოს. როგორც ჩანს, მისტიკური თუ სოციალური პარმონიისა და ბალანსის განცდა ქართველთა მსოფლგანცდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურებაა, როგორც ამას იღია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივშიც“ ვხედავთ სოციალური ხიდჩატეხილობის მაგალითზე. სოციალური დიუვერენციაცია მწერლის მიერ ნაციის სულიერი გამთლიანების გზაზე უდიდეს ტრაგიკულ დაბრკოლებად განიცდება.).

აქ კვლავ ღვთაებრივი და მიწიერი ყოფიერების „ერთდროულობასთან,“ მათ სტრუქტურულ და ეგზისტენციურ „ერთგვარობასთან“ გვაქვს საქმე. მინდია და მზე ერთდროულად, ერთმანეთის მეტვებით გარდაიქმნებან, ყოფიერების ახალ ეტაპზე, ახალ სტატუსში გადადიან. რობაქიძეს რიტუალისათვის გამიზნული ‘ორმხრივობა’ აქვს მინიჭებული, იგი ზებუნებრივ და ადამიანურ სამყაროს შინაგანი აუცილებლობით აკავშირებს ერთმანეთთან და ერთიანი ინტეგრირებული ყოფიერების მოდელს ქმნის. მზის ინიციაციით შეიძლება აიხსნას პიესის მისტერიულ სამყაროში ლამარას შემოსვლა. ინიციაცია, როგორც კულტურის – ღმერთისა და ადამიანის თანამშრომლობის გზით შექმნილი ახალი რეალობის – კარიბჭე, მზის ადამიანურ სამყაროში ქალის სახით მოვლინების

საშუალებად იქცევა. მიწიერი და ასტრალური ყოფიერების ურთიერდაკავშირება, მათი ‘გადახლართვა’ ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი. ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ტრადიცია გვიდასტურებს, რომ რუსთაველის პოეტური ლექსიკა შეიძლება გაგბულ იქნას როგორც მიწიერი სამყაროს ასტრალურ სამყაროზე პროექცია, რომლის საშუალებითაც მოვლენათა მნიშვნელობის გლობალიზაცია და მათი მასშტაბის გაზრდა ხდება. გოთეს „ვილჰელმ მაისტერის“ რომანების ერთ-ერთ პერსონაჟს – მაკარიას ორმაგი არსებობა აქვს – მიწიერი და ასტრალური. აქ აშკარად იკითხება თეოსოფისტის აზრი იმის თაობაზე, რომ „მიწიერი ცხოვრების პარალელურად, ასტრალურ დონეზე, ჩვენ სხვა სიცოცხლით ვცხოვრობთ, თუმცა ამას ვრ ვაცნობიერებთ“!¹ ჩვენც თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რობაქიძის პიესაში ლამარას უშუალო წინაპარი მზეა. თვითონ ტექსტი, პოეტური შედარებების გზით, ამას მრავალჯერ აღასტურებს. ლამარას მიმართ გამოთქმულ ეპითეტებში სულ მინდიას ინიციაციის რიტუალის მონაწილე სახე-სიმბოლოებია მოხმობილი.

„I ბიჭი. – წითელი გველის კავები... აქვს მხრებზე! ...თუ შახედ, დადნები ცვილივით.“

II ბიჭი. – ლამარა ცხენზე იჯდა – წითლაზე. სუ ტიტველი. ვითამ ალქაჯი ქათქათა, თეთრ მკერდზე ბროწეულისფერ თმები გადმაქტება.

III ბიჭი. თითქო მზე მაესხა ტანზე“.²

ამ აღწერით მზიური ქალწულის სურათი იქმნება. მწერალი სისხლის ფერებით ხატავს ქალის პორტრეტს. წითელი და ბროწეულისფერი სხეული თვალისმომჭრელ სიქათქათესთან კონტრასტში სახილველ მცხუნვარებას ანიჭებს სურათს – „თუ შახედ, დადნები ცვილივით“. შიშველი ქალის ცხენზე ამხედრებაც მის მზიურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს და მითრას კულტს გაგვახსენებს. ლამარას სახესთან დაკავშირებული მძაფრი სისხლისფერი ტონები მწერალს ქალსა და მინდიას შორის „გენეტიკური,“ „სისხლისმიერი“ კავშირის არსებობის გრძნობადი ესთეტიკური ფორმით გადმოცემისთვის სჭირდება. მინდიას მზემ შესძინა ახალი სიცოცხლე, მინდიამ ის ქალად აქცია,

¹ Strindberg A., „Zones of the Spirit“, *Theatre of the Avant-Garde 1890-1950*. გვ.161.

² რობაქიძე გრ., „ლამარა“, თეატრალური მოამბე, გვ.73.

სქესობრივი გარევეულობა მიანიჭა, როგორც დაიაკების ტომის ვაჟმა ქალს, რომელსაც გახსნილი ვენიდან თავისი სისხლი მოაწოვა. სისხლი აქ საყოველთაო გრძნობადი სიცოცხლის სახეა, ის ცნებათა მიზეზშედეგობრივი კავშირის ალტერნატიულ გრძნობად კავშირს გამოხატავს „სახიერად“.

აღწერილი მოვლენების მისტერიულობა მათ მითიური მიზეზშედეგობრიობით ტეირთავს, რასაც ინიციაციის მსვლელობისას ახალბედას მიერ ღვთაებრივი ბუნების შეძენის რწმენაც ადასტურებს. რობაქიძე ფერის მეტყველებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და წერილში „მზის ხანა ქართველთა“ წერდა:

„მზე სათავეა სინათლის, ფერის, რომელიც სიბნელეს ებრძვის. ამ „შებმაში“ წარმოიშვის ფერი. ფერი უბრალო „ჩენა“ კი არაა, ეთერტალლების რხევით გამოწვეული... ფერი „თვისებაა“ და არა „ოდენობა.“¹ ფერის სიმბოლურ მნიშვნელობას მწერალი განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს და ბაგრატიონთა დროშის ფერთა სიმბოლიკის ანალიზს გვთავაზობს: „ბაგრატიონთა საომარი ალამი მეწამული იყო, რომელსაც შუაგულში თეთრი ალი ჰქონდა გაწვდილი. ეს არ იყო შემთხვევითი აღრევა ფერისა. ჰინდოელთა „ვედანტა“ სამჯერად ისახავს ყოფას. ძირა ფენი ბნელია და ქაოტური: „ტამას“ – მას უდრის შავი ფერი; შუანა ფენი ჭიდილია, ბრძოლა, შებმა ნათელისა სიბნელესთან, წყობისა და რიგის ქაოტიურთან: რაჯას – მას უდრის წითელი ფერი; ზედა ფენა სისრულეა და ფუდროება ღვთიური: „სატ ტვა“ – მას უდრის თეთრი. ალამი გვამცნევს: მეწამული ფერით ალამის მმართველი ჯერ კიდევ შუანა ანუ ადამიანურ ფერშია მოქცეული, ხოლო თანვე თეთრი ზოლით მას თითქოს წინასწარ აქვს მოზმული ზედა ანუ ღვთიური ფენი... აქედან ნათლად სჩანს ისიც, თუ რად უწოდა ქართველმა ხალხმა თავის მცენელს წმინდა გორგის: „თეთრი“. უკანასკნელი – როგორც გმირი და წმინდანი – მოქცეულია ყოფის ზედა ფენაში, ჰინდოელთა თქმით, „სატ ტვა“-ში. ქართველთა ხილვა აქ ჯეროვნად ეთანხმება „ვედანტას“-ს სიბრძნეს“.²

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გრიგოლ რობაქიძის პიესაში ‘ღვთაების’ გენეზისიც მიმდინარეობს ანუ ღვთაების თვითშემეცნებისა და თვითშემოქმედების პროცესი

¹ რობაქიძე გრ., „მზის ხანა ქართველთა“, ჩემთვის სიმართლე ქველაფერია, გვ. 69

² იქვე გვ. 69.

ნაჩვენებია ადამიანთან დიალოგში, მასთან „საკრალურ“ თანამშრომლობაში. ლამარა, როგორც რეინგარნირებული ღვთაების სახე, ადამიანურ ბედისწერასთან ზიარებით შინაგან განვითარებას განიცდის. „ყოველი მოვლენა განიხილულია კოსმიური კავშირით სამყაროსთან და მითოლოგიური ხდება,“ – წერს რობაქიძე იუნაში გამოქვეყნებულ „დემონსა და მითოსში“¹. ალბათ უფრო ზუსტად ვერავინ განსაზღვრავდა „ლამარას“ არსეს, რომელიც მასში მორგალული და ურთიერთგადაჯაჭვული ’დიდი’ – ’კოსმიური’ და ’შცირუ’ – ’ადამიანური’ წრეებით ჭეშმარიტად მითოლოგიური დრამაა, სადაც მითი კოსმიური ეგზისტენციის ფილოსოფიურ ხარისხშია აყვანილი. („სიმბოლო“ ჩვენმი აქ თუ იქ იხმარება, როგორც მშრალი ცნება, მითოსი კი „იწილობიწილო“ ჰკონიათ“ გადასულ ხანათა, „პრიმიტიული“, – ჩივის რობაქიძე წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“²).

მინდიას შესახებ თქმულების დრამატურგიული დამუშავება მწერალს წარმართულისა და ქრისტიანულის ანტინომიის დაძლევისკენ აქვს მიმართული, რაც იჩოს ეთიკური გარდასახვის სასწაულით, მისი სისხლის აღებისა და შურისძიების ცნობიერებისაგან სასწაულებრივი გათავისუფლებით დაგვირგვინებაში გამოიხატება. რობაქიძის ფილოსოფიური თვალსაზრისის ამოსაგალ თეზისს შემეცნებისა და სიყვარულის გზის ტოლფასობა წარმოადგნს, რომელიც ეთიკურ თავისუფლებას განაპირობებს. პიესის საინიციაციო სტრუქტურის აღმავალი ხაზის გავლით ადამიანი აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყარომდე ამაღლდება და ყოფიერების უმაღლეს და საბოლოო მიზანს აღწევს. თუ ინიციაციას სისხლისმიერი კაგშირი სჭირდება, იჩოს ინიციაცია უკვე წმინდად „სულიერია“, მასში ნათლობის, სულის გარდამოსვლის ფენომენს უფრო ვხედავთ. ეს ის მოჯნაა, სადაც დონისე და ქრისტე ერთმანეთს ხვდებიან და ენაცვლებიან.

იჩოს გათავისუფლების სასწაული და პიესის დიდი და მცირე რკალების განვითარებისა და მიზანსწრაფვის კულმინაცია პიესის ლაპონიურ ქსოვილში ძუნწად არის გადმოცემული:

„მინდია. მზად ვარ.

¹ რობაქიძე გრ., წინასიტყვაობა, ჩემთვის სიმართლე კულაფერია, გვ.40.

² რობაქიძე გრ., „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, ჩემთვის სიმართლე კულაფერია, გვ. 81.

(იჩო გადახტება. უახლოვდება. სახე მარტო რისხვაა. ამართა ხმალი. ეს არის – უნდა მოუქნიოს. უეცრად მარჯვენა ცახცახს იწყებს. შემდეგ – მთელი ტანი. მოსხლეტილი დავარდება თავთან მინდიას. ქვითინებს. ბოლოს შუბლზე ჰკოცნის. შიში. გაოცება. ჰიდდირ წამოდგება.)

ჰიდდირ. რა მოხდა?

I ქისტი. არ ვიც.

II ქისტი. არ ვიც.“

ეს სასწაულის მომსწრის ‘არცოდნაა’. ამ სცენაში რობაქიძე ჭეშმარიტ სასწაულს ხატავს, თავისუფალი ჰიროვნების დაბადების სასწაულს.

პიესის პოეტურ დრამატურგიაში რობაქიძეს ბაგრატიონთა ალმის მის მიერ განმარტებული სიმბოლიკის ლოგიკა აქვს გამოხატული, როგორც ყოფიერების ერთიანი საზრისის, მისი მითოსის სრულყოფილი გზა, ნათლის გმირის დაბადების გზა.

რობაქიძე მითიურის დეფინიციასაც გვთავაზობს: „მითიური“. მითოსი კოსმიური ამბავის: „eventment“ (ხდომილება, მოვლენა), კოსმიური და არა ისტორიული, სალლუსტიუსი....: ძველი რომაელი ავტორია, ეხება ატტისის მითოსს. ეუბნება მკითხველს: „ეს არ ყოფილა, ხოლო ყოველთვის არის.“ აი, ზედმიწევნითი ფორმულა მითოსისა... „სიმბოლო“, „მითოსი“, „მარად მყოფადი“ – მარტო სახელოვნო ლაბორატორიაში კი არ მუშავდებიან ჩემსაში. ისინი „დედიშობილაა“ ჩემი, „ცეცხლია“, რომლითაც ვცოცხლობ“!¹

ამ და სხვა მცირე, მაგრამ უმნიშვნელოვანებს გამონათქვამებში რობაქიძე ეგზისტენციის, ისტორიისა და კოსმოსის მისეულ გაგებას გვთავაზობს. მისთვის მითი მარადიული რეალობაა, „მარად მყობადი“, „სიცოცხლეა და ცეცხლია, გაგებული, როგორც მოძრაობა და გზა.

მითოთ, რაღა თქმა უნდა, ყოველივეა გამსჭვალული, მათ შორის, ადამიანის ‘ქვეშეცნევაც’. ასე უწინდებს რობაქიძე ფსიქიკის არაცნობიერს. „ლამარა“ ქვეშეცნევის წიაღიდან შთამესახაო, იხსენებს იგი. კ. სალიას მიერ რობაქიძესთან ჩაწერილი ინტერვიუ ცხადყოფს, რომ მწერალი იუნგის ‘ანალიტიკას’ იცნობდა და ფსიქიატრის თეორიაში თავისი თვალსაზრისის დასტურს ხედავდა. „თუმცა იუნგი გაურბის ყოველგვარ მეტაფიზიკას, იმულებულია გამოიყენოს კვლევისას ეს ცნება. ის ამბობს, რომ შეიძლებოდეს

¹ რობაქიძე გრ., „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“, გვ. 84-86.

გაპიროვნება შეუცნეველისა, ეს იქნებოდა კოლლექტიური კაციო, რომელშიაც ვიზილავდით მიღლიონ წელთა მანძილზე ვირტუალური სახით ყოველ რასსას, ყოველ ხალხს, ყოველ ტომს, ყოველ გვარს ინდივიდსა“¹-ო. ეს „კოლლექტიური კაცი“ სხვა არ არის რა, თუ არა იგივე „ადამი“! როგორც ჩანს, ადამი მწერლისათვის ისეთივე ‘თაურადამიანია’ მთელი კაცობრიობის მიმართ, როგორც კარდუ ქართველთა მიმართ. აქ ცხადად იკვეთება არაცნობიერი ფინქიკის დიფერენციაციის იუნგისა და, შესაბამისად, ახმეტელისთვის დამასახითებელი ინტუიცია.

ფაქტობრივად, გრიგოლ რობაქიძისათვის მითი ისევე მსჭვალავს სულს, როგორც კოსმოსს, ბუნებასა და კულტურას. ყველა ესენი ერთი და იმავე რეალობის ფორმებია, ერთი ‘თაურარსის’ თამაში, ყოფიერების კოსმიური დრამაა. ენაც მითს მოიცავს, „მომდინარეობს ბნელი უსაზღვრობიდან და გვხვდება წინ მზად“. რობაქიძის მსოფლმხედველობა ერთგვარი ‘მითოლოგიური’ პანთეიზმის სახეს ატარებს, სადაც „ბნელი უსაზღვრობა“, როგორც სიცოცხლის ძირი და სუბსტანცია, მითის უნივერსალური ფორმით სახიერდება.

კიდევ ერთხელ დაგუბრუნდეთ პიესის შინაგან კონსტრუქციას, მის აღმავალ მიზანსწრაფვას, მისი საინიციაციო სტრუქტურის „ემანსიაციას“, რომელიც „დაბალი“ წერტილიდან „მაღალი“ წერტილისკენ მიემართება, აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყარომდე ამაღლდება. ცხადია, რობაქიძისთვის უმაღლესი ღირებულება და საბოლოო ინსტანცია ეთიკური წერტილია, რაც ეგზისტენციალისტების, კერძოდ, კირკეგორის ფილოსოფიურ თვალსაზრისს გვაჩენებს.

„ლამარა“ ფინქიკის კოლექტიური არსიდან აღმოცენდა. ეს კოლექტიური არსი კი, იმავე იუნგის თანახმად, ნუმიოზური ანუ ირაციონალური და ღვთაებრივია. ახალბედას ინიციაციამდელი მდგომარეობის „ღვთაებრიობა“, რომელიც წინა გამოცდილების დავიწყებასა და ახალი სიცოცხლის შეძენისათვის მზადებას გულისხმობს, შეიძლება არაცნობიერში „ჩაძირვასა“ და შემოქმედებითი აქტისათვის სამზადისსაც შევადაროთ. პიესაში შემოქმედება რამდენიმე მნიშვნელობით უნდა გავივოთ: პერსონაჟთა მიერ საკუთარი არსების დაფუძნებისა და საზოგადოების თვითდაფუძნების, ზებუნებრივი ყოფიერების მიერ ადამიანთან

¹ ინტერვიუ გრ. რობაქიძესთან, ჩემთვის სიმართლე კვლავურა, გვ. 320-321.

თანაშემოქმედებისა და რეინგარნაციის გზით თვითშემცირებისა და ყოფიერების სრული – „ზეციური“ და „მიწიერი“ – გზის გავლისპროცესის ერთობლიობის თვალსაზრისით.

ადამიანური არსის უზენაესი განხორციელება ორმაგ მსხვერპლს მოითხოვს – ადამიანურსა და ღვთაებრივს. ლამარას სიკვდილი და მინდიას თავგანწირვა ის ორმაგი ძალაა, რომელმაც იჩო ზეპაცად უნდა აქციოს.

ასეთია რობაქიძის მითოლოგიურ-რიტუალური მისტერიის მიზანსწრაფვა.

მწერლის მისტერიული სამყარო, ისევე, როგორც ნიცშესათვის, არის გზა და არა საბოლოო ინსტანცია. ყველაზე უკეთ ეს სწორედ „ლამარაში“ ჩანს, სადაც რობაქიძე კულტურის უმაღლეს ადამიანურ ღირებულებას – თავისუფლებას აფუძნებს. იჩოს გათავისუფლების შედეგად სრულიად სხვა სამყაროში შევდივართ, იჩო ჩსნის ზევის კარს, ივიწყებს თემის ადათს სისხლის აღების თაობაზე, სრულიად ახალ, „უნგარიშმ“, ზეკაცისა და გმირის რეალობაში შედის.

როგორც ვხედავთ, პიესას „ლამარა“ თავისი მკაცრი შინაგანი ლოგიკა აქვს, რომელიც მწერლის მოდერნისტულ მსოფლ-მხედველობაზე აღმოცენდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება თეატრალურ ავანგარდს განეკუთხნება. თეატრი და დრამა მისთვის ხდება არა მხოლოდ უკვე არსებული ყოფიერების ასახვა, არამედ ეგზისტენციის განხორციელების, მისი საწყისების ინტუიციურ-ემოციური წვდომის შესაძლებლობა. სინამდვილის მოდელური ბუნება რობაქიძესთან საყოველთაო ხასიათს იღებს. „ყოველი მოვლენა განიხილება კოსმიური კავშირით სამყაროსთან და ამით მითოლოგიურად“. ენის, სიტყვის წიაღიძნ მითისა და ისტორიის საზრისის ამოკითხვის გზით რობაქიძე ე.წ. კარლუს, ქართველთა მითოლოგიური თაურმდგენის არქეტიპულ თვისებებს განჭვრეტს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვისა და მეტაფორისადმი, როგორც მიკრომითისადმი, დამოკიდებულება ჯერ პიდევ მითოლოგიის ფილოსოფონის – იტალიელ ვიკოს ჰერნდა. სინამდვილის მითოლოგიური მოდელი ყველაფერს მოძრაობასა და ქმნადობაში განიხილავს. ისტორია არის მუდმივი გამეორება და ქმნადობა. ასე ზედავს მითს რობაქიძეც. მაგრამ სინამდვილეს, როგორც პროცესს აქვს შინაგანი იმანენტური ენტელექია, მიზანსწრაფვა, ეიდოსი, რომელიც სიცოცხლის თვითშემოქმედებითი პროცესის თანხმლები ფენომენია, მისი დინამიკური სტრუქტურაა.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას, მის იდეებს ქართული მხატვრული კულტურისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. განსაკუთრებული როლი მწერალმა ქართული თეატრის მიმართ შეასრულა. სწორედ გრიგოლ რობაქიძის ხატოვანი, ინტუიციური ‘ფილოსოფია’ გახდა ქართული თეატრალური პრაქტიკის ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი ხაზის წარმმართველი. მისი მსოფლმხედველობა სრულიად მკაფიო წანამძღვრებს ემყარებოდა და ნაციონალური თუ ევროპული კულტურის „მთელ“ სპექტრს მოიცავდა.

თავი IV

მითების დეპონიტრუქცია და პონსტრუილება როგორთ სტურუას შემოქმედებაში

ახმეტელის შემდეგ რუსთაველის თეატრი, როგორც დამოუკიდებელი ‘ნარატოლოგი’ და კულტურის მითშემოქმედი, დაახლოებით ორი ათეული წლით თმობს პოზიციებს. მისი მამოდელირებელ-მითშემოქმედებითი პოტენციალი ფორმალურად ერთიანი ‘საბჭოური იდეოლოგიური მითის’ პრიორიტეტს ექვემდებარება, რომლის ფარგლებშიც ნაციონალური ცნობიერების უნიკალურობა ‘ცენტრიდან’ ‘პერიფერიისკენ’ ინაცვლებს და იდეოლოგიურ პოსტულატთა დეკორატიულ ჩარჩოდ იქცევა. თეატრის, როგორც რელიგიის, თვითკრეაციისა და ნაციონალური კულტურის ჭეშმარიტი თვითგანხორციელების სარბილის ახმეტელისუელი გაგება ხელოვნების სოცრეალისტურ თეორიას უთმობს ადგილს, რომლის ფარგლებში რელიგიის, ექსტაზის, ნაციონალურის ცნებები და ფუნქციები სრულიად სხვა მნიშვნელობას და დატვირთვას იძნეს, სხვა იდეოლოგიური მითის რეალიებად იქცევა.

50-იანი წლების დამდეგს მიხეილ თუმანიშვილის თაოსნობით თეატრის სტილის ‘დეიდეოლოგიზაცია’ იწყება, რაც ადამიანის იდეოლოგიური კონტექსტიდან გათავისუფლებასა და დავიწყებული ყოველდღიურობისკენ მიბრუნებაში გამოიხატება. ამ პერიოდს, პირობითად, ‘ანთროპოლოგიური’ პერიოდი შეიძლება ვუწოდოთ, რადგან ამ ეტაპზე ხდება ადამიანის, როგორც დამოუკიდებელი ეთიკური ცნობიერების მქონე სუბიექტის, რეაბილიტაცია. ადამიანი სიცოცხლის, სიყვარულის, სიხარულის განცდის თავისუფლებითა და უშუალობით ტექნიკა და თითქოს ცხოვრებას თავიდან სწავლობს. ეს ერთგვარად რენესანსული ტენდენცია აპოთეოზს ჯ. ფლეტჩერის „ესპანელ მღვდელში“ (1954) აღწევს. 1963 წელს დადგმული გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ ყოველგვარი შიშის ძლევის სიმბოლო ხდება და ხალხური ზღაპრის წიაღში სიცოცხლის უშრეტ წყაროს აღმოაჩენს. კოპორუტისა („როცა ასეთი სიყვარულია“) და ანუის („ანტიგონე“) პიესებში ადამიანის თავისუფლება ალტერნატიული აზროვნების თავისუფლებამდე ამაღლდება.

გათავისუფლებული ადამიანის შემდეგი ნაბიჯი სინამდვილის გარე-დან ჭვრეტა და სხვადასხვა დონეზე მოქმედი მისი მარეგულირებელი

მექანიზმების წვდომა ხდება. შესაბამისად, ‘ნაციოცენტრული’ კოსმოლოგიური უნივერსუმი ‘ანთროპოცენტრულს’ უთმობს ადგილს. თუ ანტიკური კულტურისა და ცნობიერების განვითარების ეტაპებს გავიხსენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი ყოველივე არსებულის და არარსებულის საზომი ხდება. ადამიანი, უფრო სწორად კი, ადამიანის ინტელექტი ერთადერთ რეალობად წარმოდგება, ხოლო ყოველივე დანარჩენი იღუზიად თუ მითად სახელდება. ფილოსოფიის ისტორიაში უკვე მერამდენედ რეალობის ჭეშმარიტების ხარისხი ეჭვებეშ დგება. ოღონდ პოსტმოდერნის ერთქა, პლატონისა და დეკარტესგან განსხვავებით, თავის დაეჭვებაში იქამდე მიდის, რომ ობიექტის არსებობასთან ერთად, სუბიექტის არსებობასაც ეჭვებეშ აყენებს; პირველად და მეორად ანუ უპირობო და პირობით რეალობათა შორის დისპოზიციასა და იერარქიულ სტრუქტურულ მიმართებას უარყოფს. შესაბამისად, იკარგება გასხვავება ობიექტურსა და სუბიექტურს, ბუნებრივსა და კულტურულს შორის.

სამოციანი წლების დამდეგს ტოტალიტარულ აზოვნებას ახალი გლობალური მრავალკულტურული მსოფლიოს განცდა ჩაენაცვლა, დადგა ნებისმიერი სახის „იდეოლოგიური მონოთეიზმის“ კრიტიკის ერა. ვითარების შესაბამისად პრინციპულად უნდა შეცვლილიყო თეატრის სამეტყველო ენაც. რუსთაველის თეატრში ამ ამოცანის განხორციელება ახალი თაობის შემოქმედებმა იკისრეს. მსოფლგანცდის ცვლილება დრამატურგიული მასალისადმი დამოკიდებულების, სპექტაკლის შექმნის თვისობრივად ახალი ესთეტიკური და კონცეპტუალური პრინციპების შექმნაში გამოიხატა. დრამატურგიული ხედვის გლობალიზაცია იგავურ ფორმათა და განზოგადოებულ არქეტიპულ მოდელთა მიმართ ინტერესში, კონცეპტუალური რეჟისურის ეგიდით, სინთეტურ წარმოდგენათა შექმნაში გამოვლინდა. ამასთან, „ახალი სინთეზის“ თეატრი გაცილებით უფრო რთულ ფენომენს წარმოდგენდა, ვიდრე მოდერნიზმის ეპოქისათვის ტრადიციული სინთეტური თეატრი. სხვადასხვა ხელოვნებათა შერწყმის უკვე აპრობირებულ ამოცანასთან ერთად, აქ რეალობისადმი პოზიციურ მიდგომათა სინთეზი და უკვე არსებულ მიდგომათა რევიზია უნდა მომხდარიყო. სამოციანი წლების შეუარსებელი კულტურული მოვალეობის შემოქმედებაში მრავალი, ერთი შეხედვით, ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია გაერთიანდა, რაც თანამედროვე

პოსტმოდერნის ეპოქისათვის დამახასიათებელ საყოველთაო კრიტიკიზმსა და რევიზიონიზმს ასახავდა. როგორც ზემოთ აღვნიშეთ, პოსტმოდერნის ფილოსოფიური გონი, ისევე, როგორც თავის დროზე დეკარტი, კიდევ ერთხელ დაეჭვდა რეალობასა და საკუთარ სუბსტანციურობაში.

სტურუას თეატრის ფენომენის ძირული სქემა, რომელიც გაუცხოების „ტექნიკას“ დაეფუძნა, ‘პროფანული’ მდგომარეობიდან ‘საკრალურში’ გადასვლა გახლდათ, რაც გამოიხატა ინტელექტუალური ირონიის პოზიციიდან რეალობისა და ისტორიის ტოტალური ფარდობითობის პრინციპის გაცნობიერებაში, რეალობის თამაშური ბუნების შესახებ ‘საკრალური’ ცოდნის შექმნაში. რეალობის რკალის გარეთ გასვლა მისი თამაშური, მითოსური ბუნების აღმოჩენას გულისხმობს და ირონიას ბადებს მისი ილუზიური არსების მიმართ, რომელსაც ის უპირობო ჭეშმარიტებად ასაღებს.

ინტელექტუალური ირონიის დაბადება თეატრალურ რიტუალს უკავშირდება, სწორედ აქ გადაიკვეთება სტურუას კონცეპტუალიზმი ბრეხტი და ბახტინი. ყოველდღიურ ცნობიერებას ნაკლებად შესწევს ინტელექტუალური გაუცხოების უნარი, საჭიროა თეატრალური რიტუალი, სადაც გაუცხოება, საკუთარი ემპირიული ‘შედან’ გამოსვლა და მოვლენათა გარედან ჭვრეტა შესაძლებელი გახდება. კარნავალი ‘თავისუფლების სივრცეა’, ხოლო მასხარა – კარნავალის პროტაგონისტი და მისი სულის განსახიერება. სწორედ კარნავალზე (თეატრალურ ქმედებაში) ხდება ადამიანის მითო-ისტორიული რეალობიდან ამორთვა, ორ – მოქმედ და მჭვრეტელ – სუბიექტად გახლება. ელიადეს ტერმინით თუ ვისარგბდლებთ, მაყურებელი-მსახიობი უმაღლეს, შამანურ (მცოდნისა და ნაზიარების) ინიციაციას გადის და თავის თავში პროფანულისა და საკრალურს ერთდროულად აერთიანებს. აქედან გამომდინარე, პროფანული მის არსებაში ყოფით, ხოლო საკრალური – ინტელექტუალური მჭვრეტლის, როგორც უმაღლესი ჭეშმარიტების შემმეცნებლის დონეზე მოქმედებს. რეჟისორი ამ ქმედებაში უკვე მხოლოდ დემოურგის კი არა, მედიატორის, კომუნიკატორისა და ვირტუალური თანამონაწილის როლს ასრულებს.

ბრეხტისა და ბახტინის კონცეპტუალური შერწყმა ძალზე ბუნებრივად ხდება, რადგან, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩვენი აზრით, მათ შორის პრინციპული მსგავსება არსებობს – ორივე მათგანი თეატრის რიტუალურ ბუნებას

აღიარებს. ბრეხტის მიერ თეატრალური ქმედების რიტუალიზაცია შემდეგი ლოგიკით ხდება: განასხვავებს რა მსახიობ-მოქალაქეს მსახიობ-შემსრულებლისგან, იგი ამ ხერხით თეატრალურ ქმედებაში მაყურებლის ინტეგრირებას ახდენს, რაც, ფაქტობრივად, რიტუალის დამახასიათებელი თვისებაა. ამავე დროს, გაუცხოების ეფექტი ფაქტობრივ მაყურებელსა და მსახიობს შორის დისტანციას ამცირებს და მოქმედებაში მაყურებელს გაშუალებულად ჩართავს.

ამის შედეგად, ინტელექტუალური ირონიისა და გაუცხოების თეატრს, იმავდროულად, რიტუალური ინტეგრაციის ნიშნებიც გამოარჩევს – მოქმედებიდან გაუცხოება მაყურებელთან დაახლოებას გულისხმობს. ბრეხტის თეატრალური თვალსაზრისი სტრუქტურულ-თვისებრივად წარადგინება ნიცშეს დიონისურსა და აპოლონურს; რიტუალის შიდა დრამატურგიის აპოლონურ-დიონისური დუალურობა და რეალობის სიზმარეული და ექსტაზური მხარეების ინტეგრაცია-დისპოზიცია მოქმედებიდან ინტელექტუალური გაუცხოებისა და მსახიობის ორი „მეს“ ბრეხტისეულ დისპოზიციას შეიძლება შედაროს.

ინტელექტუალური გაუცხოების თეატრში „მეს“ მოქმედად და მჭვრეტლად, მთხრობლად და ირონისტად გახლეჩა რეალობის გაორების საწინდარიც ხდება. რეალობა, ერთი მხრივ, არქეტიპულ-მითოსურით ორგანიზებულად, მეორე მხრივ, წმინდა ანთროპოლოგიურ ინტელექტად წარმოვიდგება. შესაბამისად, მითთა დეკონსტრუქციის გზით წმინდა ინტელექტი ირონიულად წარმოიდგენს და აფასებს საკუთარ მეორე „მეს“.

მეორე მხრივ, გაუცხოება, როგორც შიგნიდან ცქერიდნ მოვლენათა რკალის გარედან ჭვრეტაზე გადანაცვლება, სტურუას კონცეპტუალიზმს როლან ბარტის თვალსაზრისთანაც აახლოვებს, რომელმაც ბრეხტის „გაუცხოების“ ტექნიკა ადამიანის სოციალური თუ ფსქიკური ცეცვის საფუძველში არსებული „შითოსური კოდების“ „წასაკითხად“ და „გასანიღბად“ გამოიყენა. „მითის ამოცანაა, – წერს ბარტი, – ისტორიულად განპირობებულ ინტენციებს ბუნებრივთა სტატუსი მივანიჭოთ, ისტორიულად წარმავალი ფაქტები მარადიულის სტატუსში ავიყვანოთ... მითის საშუალებით ანტიფიზისი ფსევდოფიზისად გარდაიქმნება“!¹

მაშასადამე, სტურუას შემოქმედების, ასე ვთქვათ,

¹ Барт Р., Избранные работы: Семиотика: Поэтика, гл. 111

ანტიმითოლოგიური (ანტიიდეოლოგიური ტენდენცია), ერთგვარი „ნეგატიური მითოლოგიზმი” ბრეხტის გაუცხოებას უკავშირდება, რომელსაც რეჟისორის შემოქმედებაში ორი ტენდენცია შემოაქს: ერთი მხრივ, თეატრალური ქმედების რიტუალიზაცია, რომელიც მაყურებელ-შემსრულებელს შორის ზღვრის წამლის ტენდენციაში გამოიხატება (ამ ტენდენციის ბევრად უფრო განვითარებული და გამოკვეთილი მაგალითის შესახებ მეზუთე თავში, სპექტაკლ „სტიქსის“ განხილვისას ვისაუბრებთ) და, მეორე მხრივ, ინტელექტუალური გაუცხოების პრინციპი, როგორც სინამდვილის ილუზიური სტრუქტურის, მისი ფსევდობუნებრიობის აღმოჩენის საფუძველი. სწორედ ინტელექტუალური გაუცხოების შედეგად იბადება ირონია, როგორც მიმართების დომინანტური ფორმა, რომელიც სპექტაკლის მხატვრული რეალობის ორგანიზების, მისი სახეობრივი ენის ფორმირებას განაპირობებს.

სიორენ კირკეგორმა წიგნში „ირონიის ცნება“ ირონია განსაზღვრა როგორც „აბსოლუტურად უსასრულო ნეგატიურობა“¹ მაშასადამე, მითთა რევიზია-დეკონსტრუქცია და ირონიული მხილება, რომელიც რობერტ სტურუას შემოქმედებითი გზის, განსაკუთრებით, პირველი პერიოდის ღერძულ ხაზს წარმოადგენს, აბსოლუტურად უსასრულო ნეგაციის პროცესადაც შეგვიძლია განვიხილოთ. აქედან გამომდინარე, არ უნდა დაგვაგწყდეს, რომ ირონია, როგორც უსასრულო ნეგაცია, ორმხრივი პრიცესია: ერთი მხრივ, ის გარეთ, ირონიზირების ობიექტზეა მიმართული, ხოლო მეორე მხრივ კი შიგნით – ირონიის სუბიექტზე და მის პრეტენზიაზე ირონიულად ჩასწევდეს რეალობის საზრისს. მაშასადამე, ირონია, როგორც ნეგაცია, გავების, წვდომის შეუძლებლობასაც გულისხმობს, ინტელექტუალური მჭვრეტლის თვითირონიადაც გარდაიქმნება. თვითონ გამოთქმა „ინტელექტუალური ირონია“, თუ იმავე გერმანული ფილოსოფიის ტრადიციას გავთვალისწინებთ, ინტელექტის გაგებაზე, წვდომაზე მიმართულ ამაო ცდებს ნიშნავს. შლეგელი ირონიის თაობაზე კვლევას სახელად „გაუგებრის შესახებ“-ს უწოდებს. მაშასადამე, ირონია გაგების შეუძლებლობით გამოწვეულ სკეპსისსაც გულისხმობს. ინტელექტუალური ირონიის პერიფრაზს თუ ვცდით, ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, მას „გონების ამაო ცდები“ შეგვიძლია ვუწოდოთ.

თუმცა, ამავე დროს, მოვლენათა გარეთ გასვლა წმინდა

¹ De Man P., „The Concept of Irony“, გვ. 166.

ჰიპოთეტური პროცესია და ადამიანს ბოლომდე არასოდეს შესწევს ძალა, მხოლოდ ეთიკური მსაჯულის, ინტელექტუალური შემშეცნებლისა და ირონისტის პოზიციიდან უცქიროს სინამდვილეს. იგი ვერასოდეს თავისუფლდება ემოციური თანაგანცდისგან და მითთა დეკონსტრუქციასთან ერთად დაუსაბამო მითშემოქმედებას განავრმობს. შესაბამისად, მითთა ‘შეხვრცელი’ სტურუა, ამავე ღროს, მითშემოქმედიც არის და მითოლოგიური რეალობის გარეთ გაღწევის შესაძლებლობას თავისივე შემოქმედებით ‘უარყოფს’. რეალობის მსაგრძლებლი დეკონსტრუქციის პროცესი უსსირულოა, ყოველი მხილებული მოდელის ადგილს ახალი მოდელი იყვავს, რომელიც გარკვეული დოზით ისევე სუბიექტურია, როგორც მისი წინამორბედი. მითიდან გარეთ გაღწევა შეუძლებელია, რეალობა – კულტურა, მეცნიერება, ცნობიერი თუ არაცნობიერი ფსიქიკა – მითებით არის დასახლებული. ცალკეული მითის ფარდობითობა მითშემოქმედების უსსირულობით კომპენსირდება. მითშემოქმედება ისევე დაუსაბამოა, როგორც მითის ინტერპრეტაციის პროცესი და თავად მითი. ადამიანი მითში ცხოვრობს, ისევე, როგორც მთი – ადამიანში, მის სულსა – როგორც ამას ანალიტიკური ფსიქოლოგია გვასწავლის – და მის სხეულში, როგორც ეს ავანგარდის თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების შეხედულებებიდან ირკვევა (ტედ ჰიუგი თავისი ნაწარმოების კრებითი პერსონაჟის – ორგასტის სხეულში ასტრალურ თუ მითოლოგიურ სიმბოლოებს ორგანოებისა და ზონების შესაბამისად განათავსებს¹). როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების, ფილოსოფიისა და კრიტიციზმის განვითარება ადასტურებს, ობიექტური სინამდვილე შემოლოდ ფორმირებული სახით გვეძლევა, თუმცა თითოეული მითოლოგიური ფორმა, რომლის შიგნითაც ბინადრობს ადამიანი, მოქმედებისა და უფლებამოსილების ფარდობითობით ხასიათდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტურუას შემოქმედების შესახებ საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ფრიდრიხ ნიცშეც, რომლის თვალსაზრისი ბრეხტის, ბახტინის, ბარტისა თუ სხვათა შეხედულებების საფუძველია და რომლის ‘ძალაუფლების ნება’ და სამყარო, როგორც მარადი თამაშის ველი (მხიარული მეცნიერება), მოდერნისა და პოსტმოდერნის ფილოსოფიურ და კრიტიკულ აზრს კვებავს. „ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით სამყაროს როგორც

¹ Innes C., *Avant Garde Theatre*, გვ. 139.

მარადიული თამაშის „უსასრულობაში,“ რადგან ვერ შევძლით იმის შეუძლებლობის დადასტურება, რომ ის თავის თავში ინტერპრეტაციათა უსასრულო რაოდენობას მოიცავს“.¹ იმავე სახის ინტუიციას ვხვდებით უფრო ადრე გოეთესთან მის წერილში „ბუნება“, სადაც ბუნებრივი რეალობა მისთვის ბუნების მარადწარმოქმნისა და მარადდესტრუქციის თამაშია.² იოპანეს ჰეიზინგა ამბობს, რომ „ყველა აბსტრაქტული ცნების უარყოფა შეიძლება: სამართლის, მშვინიერების, ჭეშმარიტების, სიკეთის, სულის, ღმერთის. თამაშის – არა. და, სურთ თუ არა, თამაშის აღიარებით სულის არსებობასაც აღიარებენ“.³ დერიდა კი ‘ამატებს,’ რომ საქმე გვაქვს არა „თამაშთან სამყაროში, არამედ სამყაროს თამაშთან“.

სამყაროს, როგორც ტოტალური თამაშის, გაგება, სტურუას შემოქმედების გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მის სპექტაკლებში ნიღბის ფენომენს სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია. ნიღბის, ჯამბაზისა და სამოქმედო არენის ფენომენი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც „სამყაროს ტოტალური თამაშის ნიშანი.“ სწორედ სიცოცხლის არენაზე მითების ფორმით თამაშდება „უსასრულო“ ვარიაციები ადამიანის, კულტურის, თავისუფლებისა და ბედისწერის თემაზე.

შესაბამისად, რეჟისორი თავის შემოქმედებაში არსებულ მითთა მხილების პარალელურად ახალი მითების შექმნასაც გვთავაზობს. ამდენად, მასთან, განსაკუთრებით კი 90-იანი წლებიდან, იქმნება ერთგვარი პოსტმითოლოგიური მითოსი, როგორც მითშემოქმედების უსასრულობის დასტური. უმბერტო ეკო სემიოლოგიის შესავალში სახელწოდებით „არმყოფი სტრუქტურა“ წერს: „უარვყოფთ რა სტრუქტურას სტრუქტურათა დამკვიდრების სახელით, ჩვენ ამ წიგნს... სემიოლოგიის შესავალს... ვუწოდებთ. თუ... მკითხველი მოინდომებს, თავს შეეკითხოს, რა წიგნი უჰირავს მას ხელში – სტრუქტრალისტური თუ ანტისტრუქტურალისტური – დაე, იცოდეს, რომ ავტორი წინდაწინვე ორივე იარლიეს ეთანხმება“.⁴

ანალოგიურად, სტურუას შემოქმედება ერთსა და იმავე დროს დეკონსტრუქტიულიც არის და კონსტრუქტიულიც, მითთა მსხვრეველიც და მითშემოქმედებითიც. ამდენად, რეჟისორის

¹ Ницше Ф., Стихотворения, Философская проза, гл. 515.

² Goethe, Die Natur, Werke, гл. 10-14.

³ Хейзинга Й., Homo Ludens, гл. 13.

⁴ Эко У., Отсуществующая структура, гл. 30.

‘პოლისტრუქტურულ’ და ‘პოლიკონცეპტუალურ’ შემოქმედებასა და ნარაციაზე ერთი კონცეფციის ფარგლებში საუბარი შეუძლებლად მიგვაჩნია. მით უფრო, რომ, ჩვენი აზრით, პოსტმოდერნის მხატვრული ნაწარმოების კრიტიკული ანალიზი ისეთივე უსასრულობაა, ისევე დაუსაბამოდ შეიძლება გაგრძელდეს, როგორც ინტერპრეტაციის პროცესი. რეჟისორის შემოქმედებაში მითთა სარბიულად რეალობის სხვადასხვა დონე წარმოჩნდა – პოლიტიკური, მხატვრული, ფიქტიკური თუ ენობრივი.

თუმცა „სამყაროს ტოტალურ თამაშზე“ საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სტურუას თეატრის მეორე შემადგენელი – მჭვრეტის თვალი, ძლიერი სავტორო ენერგეტიკა, სუბიექტის თანაყოფის თითქმის ‘ფიზიკური’ შეგრძნება, ერთგვარი დაუმარცხებელი ანთროპოლოგიური საწყისი, მისი თანმხლები ინტელექტუალური და ეთიკური ‘კოდექსით’, დაუძლეველი პიროვნულობით, რომელიც natura naturans-ის მარად დამფუძნებელი სახის არსებობას გულისხმობს, ყველანაირ რეალობას ეჭვქვეშ აყნებს და მითად აცხადებს. უბერტო ეკო ასე განსაზღვრავს მითის არსეს: „მითი, ისევე, როგორც კულტურა, არის natura naturata, რომელშიც იმთავითვე იგულისხმება natura naturans-ის ფუძემდებლური სახე“.¹ მაშასადამე, სტურუას ‘ანტიმითოლოგიური’ შემოქმედება თავად მითოლოგიურია.

შესაბამისად, რობერტ სტურუას შემოქმედების ძირითად თვისებას მისი პარადოქსულობა, შინაგანი პოლემიკურობა და ირონიულობა წარმოადგენს, რომელიც მარად შეუძლებლის შესაძლებლობის დადასტურებასა და ‘დეკონსტრუქციით კონსტრუირებას’ ცდილობს.

მოდერნის ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური მითის ირონიით დეკონსტრუქცია შექსპირის „მეფე ლიორში“ (1987) ადამიანის საბოლოო თვითუარყოფითა და, თეატრის, როგორც რიტუალისა და კულტურის განახლების ადგილის ვიზუალური ნგრევით დასრულდა. თუმცა მოდერნული სამყაროს ფუნდამენტურობისა და ადამიანის ინტელექტის ყოვლისშემძლეობის შესახებ მითთა წინასწარმეტყველური ნგრევის პარალელურად დაიბადა მითი სიყვარულის უზენაეს რეალურობაზე, სამყაროს უკანასკნელ სახესა და პირველმიზეზე.

სტურუას კონვენციური თეატრის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – მაყურებელთან დიალოგი, როგორც მოქმედებაში მისი ინტეგრაციის

¹ Эко У., Отсутствующая структура, гл. 12.

ერთ-ერთი ფორმა, რეჟისორის პირველივე სპექტაკლში გაცხადდა. ეს ბლაუეკის „მესამე სურვილი“ (1963) იყო, სადაც სტურუამ სიკეთის პრაქტიკული შესაძლებლობისა და მისი რაობის საკითხი დასვა. სპექტაკლის ფინალში მსახიობი პირდაპირ მიმართავდა სცენიდან მაყურებელს და მას ეთიკური დილემის ერთობლივი გადაწყვეტის ამოცანის წინაშე აყენებდა. რეჟისორის შემოქმედებაში თანამედროვე პოსტმოდერნის ერის ეთიკური ნეიტრალურობა, ტრადიციული ბინარული ოპოზიციებით აზროვნების რევიზიის ტენდენცია გამოიკვეთა. თუმცა მოვლენათა ასეთი, ერთი შეხედვით, მიუკერძოებელი და გაუცხოებული ჭვრეტის პარალელურად, სპექტაკლების საზრისის სიღრმისეულ შრეებში ავტორის სახით, იმავდროულად, მყარი მორალისტი იგრძნობოდა; სამყაროს, საზოგადოებისა და ადამიანის ფსიქიკის „მითოსური“ და არქეტიპული საფუძვლების გამოაშკარავებისა და აღიარების ფონზე ასეთი რეალობისადმი ირონიული დამოკიდებულება და განუხორციელებელ პარმონიაზე ნოსტალგია იკითხებოდა. შემდგომში, ალბათ, სტურუას თეატრის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პრინციპად სწორედ ეს დუალური მიდგომა იქცა, რომელიც გონებისა და ქოციის ანტიონომიას ემყარებოდა – ინტელექტუალური სკეპსისი და ირონია ემოციურ რწმენასთან და განუხორციელებლის განხორციელების სურვილთან მიმართებაში საინტერესო კომბინაციას და ინტერპერფორმანსულ მეტასტორიას ქმნიდა. პროგრესის შესაძლებლობის ჩაუქრობელი იმედი ყოფიერებისა და ადამიანის ბუნების მანკიერი არასრულყოფილების გადაუღახაობის აღიარებასთან თავსდებოდა. აქედან მომდინარეობს სტურუას თეატრის მირითადი პარადოქსი და მისი დაუსრულებელი პოლემიკა საკუთარ თავთან.

ყოველივე კი 1965 წელს არტურ მილერის „სეილემის პროცესის“ დადგმით დაიწო. „ეს იყო ხელოვნების მთლიანობის ისეთი შეგრძნება, რომელიც, სამწუხაოროდ, იშვიათია ხოლმე ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში,“ – აღნიშნავდა რეცეპტორი მწერალი გიორგი (გიგლა) ხუხაშვილი. რეჟისორული გააზრების სიზუსტემ და სპექტაკლის საავტორო ჯგუფის მიერ მოძებნილმა მკაფიო ფორმამ სპექტაკლი ერთიან მეტაფორად აქცია, რაც შემდგომში სტურუას სარეჟისორო ხელწერის ერთ-ერთ გამორჩეულ თვისებად იქცა. დეპორატიული გადაწყვეტის ნაწილად გარდაქმნილმა რკინის სახანძრო ფარდის მოძრაობის სახიერმა და ხმოვანმა მხარემ მაყურებლის ასოციაციურ

აზროვნებას მკაფიო და მასშტაბური განზოგადების ძალა შესძინა. ამაზე მეტყველებს გიორგი ხუხაშვილის წერილის სხვა პასაჟიც, რომელიც, რეჟისორის შემოქმედებითი ინტერესის სამომავლო წარმართვის თვალსაზრისით, ერთგვარ წინასწარმეტყველებადაც კი ჟღერს: „ერთი შეხედვით, ეს კედელი მოგვაგონებს შეა საუკუნეების მკაცრი დარბაზების ჯაჭვებიან ჭიშკრებს. ალბათ ასეთი კარი ჰქონდა ელსინორის სასახლეს, სადაც სული ეხუთებოდა პამლეტს. ალბათ ასე შიშისმომგვრელად იღებოდა და იგმანებოდა რეინის ჭიშკარი რიჩარდ III – ის სამფლობელოში ან მაკებელის ციხე-დარბაზში.

იგი (ფარდა) ტირანული სისასტიკის უხეშ სიმბოლოდ აღმართულა ჩვენ წინაშე და, თუ ასოციაციებს უფრო შორს გავუყვებით, მისი ტლანქი მოძრაობა, დაცემის შემზარავი ხმაური გილიოტინის გიგანტური ნაჯახის გრიალს ჰგავს...“¹ მწერლის ეს დაკვირვება, ძალზე ზუსტად გამოკვეთს მოდერნის ხანის დომინანტური პოლიტიკური არქეტიპისადმი რეჟისორის ინტერესს, რომლის გამოკვეთა-დეპონსტრუქცია მისი შემოქმედების ერთ-ერთ ღერძულ ხაზად იქცა.

„სეილემის პროცესში“ მკაფიოდ იკითხებოდა ადამიანის საქციელის წარმმართველი მოტივების სუბიექტური ვოლუნტარული ხასიათიც. ცხოვრება ნებელობათა შერკინების არენად წარმოჩნდა, სადაც ადამიანები თვითდამკვიდრებასა და რეალობის საკუთარი სახისა და ხატების მიხედვით გარდაქმნას ესწრაფვიან. ორი მთავარი პერსონაჟის – დენფოლტისა და პროქტორის ორთაბრძოლა სწორედ ამ ჭრილში მიმდინარეობდა. მათ შორის არსებული ფიზიკური მსგავსება, პოზიციათა რადიკალური განსხვავების პირობებში, კიდევ უფრო უსვამდა ხაზს რეალობის ვოლუნტარული მოდელირებისადმი მათ მიღდომათა პრინციპულ მსგავსებას. სერგო ზაქარიაძის მიერ განსახიერებული დენფორტი, მისი პიროვნული ნების შეურყევლობისა და თავისებურად ვირტუოზული ლოგიკის გამო, ერთგვარად მომზუსხელ პერსონაჟად იქცეოდა. რეცენზენტის შენიშვნით, მიუხედვად იმისა, რომ „ჩვენ წინაშე იდგა ბოროტება, რომელსაც გაურბიხარ ინსტინქტურად“, დენფორტი „...მანც საოცრად გიზიდავს და გაინტერესებს. ეს არის ადამიანი, რომელიც შეგნებულად იცავს თეოკრატიის პრინციპებს, იკლავს ყოველგვარ გრძნობებს და გონებას ემორჩილება“. ასეთი რეალობის ფონზე

¹ ხუხაშვილი გ., „მილერის „სეილემის პროცესი“ რუსთაველის თავტრში“, გვ. 6.

ტრაგიკული ორონით ჟღერდა დენფორტის ცინიკური განცხადება: „როგორც არ მომცა ღმერთმა უფლება მზის არსებობის შეჩერებისა, ისე არ მაძლევს ნებას გადავდო დასვა“: მაყურებლისთვის ცხადი იყო, რომ არსებობს არა სუბსტანციური სამართალი, არამედ მხოლოდ მისი არსებობის იღუზია, რომელიც ადამიანებში შიშვა და რწმენაზე დამყარებულ კანონმორჩილებას განაპირობებს. სამართლის საბოლოო ზეობის იმედის ამაოქას ხაზს უსვამდა სპექტაკლის ფინალში გაჟღერებული ავტორის ტექსტიც, რომელიც თითქოს ახალი სეილებების კანონზომიერ განმეორებას წინასწარმეტყველებდა.

„სეილების პროცესში“ მითის წაკითხვისა და გაშიფვრის, პისტსრუქტურალისტური მიდგომა იკვეთება. ბრეხტის სოციალური ანალიზი, სოსიურის სემიოლოგიის პრიზმაში დანახული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ამოცანაა, რომელსაც 50-იანი წლების დამდეგს ბარტი „მითოლოგიებში“ საკუთარ თავს უყენებდა. ბარტის აზრით, მითის საშუალებით, რომელიც აღანიშნი ფორმისა და აღმნიშვნელი კონცეპტისაგან შედგება, იდეოლოგია ისტორიის ნატურალიზაციას ახდენს და მას ბუნებრივ რეალობად წარმოაჩენს.

ამავე თვალსაზრისით, ნიშანდობლივია რეჟისორის შემდეგი სპექტაკლი „მზიანი ღამეც“ (1966), რომელიც მან ნოდარ დუმბაძის რომანის ინსცენირების მიხედვით დადგა.¹ ინსცენირება თავისუფალი მონტაჟის პრინციპით შეიქმნა და დამდგმელებისთვის საურველი აქცენტები წარმოაჩინა. პირველივე კომიკური სცენა სიმბოლური მინიშნებით ხასიათდებოდა – პოლიტეკონომის ყრუ ლექტორს მოულოდნელად სმენა უბრუნდებოდა, რაც გაზარმაცებულ სტუდენტებს შოკში ავდებდა. ყოფიერების ხმის (პაიდეგერის განასაზღვრება) შეცვლის მანიშნებელი ეს სცენაც ახალი რეალიების შექმნის, ადამიანისგან დამოუკიდებლად ეგზისტენციური თამაშის წესების შეცვლის მაუწყებელი გახლდათ. ამავე სპექტაკლში გამოიკვეთა მშობელთა და შვილთა ურთიერთმიმართებისა და მეტკვიდრეობითობის საკითხი და ამ კავშირის ჭეშმარიტი განხორციელების შეუძლებლობის ეგზისტენციური და ფილოსოფიური პრობლემაც. აღნიშნული თემა მრავლობითი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა – როგორც ისტორიულ-ყოფით, ისე კულტურულსა და ფილოსოფიურ პლანში. მთავარი პერსონაჟის – თემის დედა

¹ ინსცენირების ტექსტი დაცულია რუსთაველის თეატრის მუზეუმის არქივში (რეგისტრაციის N1137).

გადასახლებიდან დაბრუნდა, თუმცა შვილთან მისი ფიზიკური შეხვედრა სულიერ შეხვედრად ვერ გარდაიქმნა. დედისა და შვილის სამყაროთა გაუცხოების თემა სტალინის სიკვდილის დამეს დედის გარდაცვალების ფაქტმა კიდევ უფრო გააძველოს. რეჟისორი პირდაპირ ამბობდა, რომ ყოველი თაობა თავის არსებობას ახალი, მისი შინაგანი წედვით ორგანიზებული, სამყაროს შექმნით იწყებს, სადაც დედისა და მამის ხატი წარმოსახული იდეალის პროექციას უფრო წარმოადგენს, ვიდრე ყოველდღიური გრძნობადი რეალობის ასახვას; რომ გამოცდილების გაზიარება და მომავალი ცხოვრების მიზნობრივი კორექცია შეუძლებელია ანუ, ფაქტობრივად, არ არსებობს პროგრესი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ისტორია მეორდება, ის მითოსურია. მითის, როგორც უნივერსალური მარეგულირებელი პრინციპის, ფატალური გარღვევალობის გაგების თვალსაზრისით, აუცილებელია მკითხავ დურსუნისა და თემოს სცენების აღნიშვნა. ამ სცენებში თემოსთვის ფატუმის გარღვევალობის განდობა და მომავალის წინასწარგანჭვრეტა ხდება. „მზიანი ღამის“ ეს მოტივი პარალელს ქმნის ანტიკურ დრამატულ მითთან და კულტურის სუბიექტს – ადამიანს ბედისწერისა და არჩევანის თავისუფლების არქეტიპული დილემის წინაშე აყენებს.

გოგი ქავთარამისა და რობერტ სტურუას ერთობლივი პიესის – „პრალდების“ მთავარი ღერძი პროვოკაცია-ექსპერიმენტის გზით ადამიანის არქეტიპული ქცევის ეგოცენტრული პრინციპების გამოვლენა იყო, ხოლო როზოვის პიესაში „ვახშმობის წინ“ მაყურებელსა და სცენას შორის დამყარებული ინტიმური კონტაქტის ატმოსფეროს რეჟისორი მაგნიტოფონზე ჩაწერით „არღვევდა“. ასეთი, პირდაპირი ხერხით შემოვიდა სტურუას რეჟისურაში მოქმედებიდან გაუცხოებისა და საკუთარი თავის გარედან ცქერის მოტივი.

მართალია, მაშინ ეს სპექტაკლები, კონცეპტუალური წედვის თვალსაზრისით, ჯერჯერობით მხოლოდ ესკიზურ მონახაზს წარმოადგენდა, დღევანდებული გადასახედიდან ისინი უკვე სტურუას თეატრალური კონცეპტუალიზმისა და ესთეტიკის გენეზისის ლოგიკური ჯაჭვის რგოლებად მოჩანს.

შემდეგი სპექტაკლი, რომელმაც რუსთაველის თეატრის ირგვლივ პერიოდის გნებათადელვა და პოლემიკა გამოიწვია, ავქსენტი ცაგარლის „ხანუმა“ იყო. რეცენზენტი – თეატრმცოდნე დალი მუმლაძე ობიექტურად შენიშნავდა „ხანუმას“ დადგმისადმი ტრადიციული

მიდგომის თვისობრივ ცვლილებას: „რობერტ სტურუა შეეცადა უაღრესად ცხოვრებისეული პერსონაჟები, ყოფითი მდგომარეობანი და უტილიტარული ხასიათები თავისი სოციალური წარმოშობისაგან სრულიად მოწყვეტილად, ბუფონადისა და კომიკური ატრაქციონის სფეროში გადაეტანა“¹. ყოფითი კომედის ბუფონადად ქცევა და პერსონაჟთა კონკრეტულ სოციალურ და ისტორიულ ტიპურობაზე უარის თქმა კვლავ ადასტურებს, რომ რეჟისორი ტრადიციულ ისტორიულ-სოციალურ კონტექსტზე მაღლა ზოგადსა და არქეტიპულს აყნებდა. ნიღბი კი თეატრალური სახიერების ენაზე სწორედ ამ ფენომენთა გრძნობად სიბბოლოს წარმოადგენს. ტექსტის თამამი გადაკეთებაც საყვედლურების საფუძველი გახდა. ცაგარლის ტექსტის ენობრივი სიჭრელე განზრას აბსურდადე იყო მიყვანილი და თავისთავადი მეტაფორის მნიშვნელობას იძნდა. ერთი მხრივ, ის თბილისური ტრადიციული ყოფის ელემნტად წარმოგვიდგებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული კულტურის იდენტობის საფუძვლებზე დააფიქრებდა მსმენელს. ეროსი მაჯგალაძის მიერ განსახიერებული თავადი ფანტიაშვილის ცნობიერებაში უახლესი ისტორიის ფაქტები და რუსეთის იმპერატორთა სახელები სრულიად აღრიული იყო. „რეჟისორი რ. სტურუა ამ სუფთა ყოფითი ხასიათის პიესას პოლიტიკური სატირის ელფერსაც აძლევს“, – წერდა რეცენზენტი ნ. რატიშვილი.² სპექტაკლი მოკლებული იყო დიდაქტიკას და მხიარული თავშექცევის სახეს ატარებდა, თუმცა ამ თავდავიწყებულ მხიარულებასა და სიცილში, გმირთა ისტორიულ და სოციალურ არაადეკვატურობაში ყველაზე კარგად იყო გადმოცემული ნაციონალური ხასიათის ზოგიერთი არქეტიპული თავისებურება. კნენა თეკლას მეტყველების საერთო შეუსაბამობას „გევზისტყაოსნის“ აფორიზმები კიდევ მეტ აბსურდულობას მატებდა. ენისა და მისი საზრისის დაშორების, ენის, როგორც ფორმის საზრისისაგან დაცლის მაგალითი ტრადიციული ნაციონალური ნარატივის დასასრულს ნაციოცენტრული მითის შინაგან დაცლას და მისი განახლება-რევიზიის აუცილებლობას გვაუწებდა. (მოგვიანებით, „იაკობის სახარებასა“ და „ლამარაში“ სტურუა ამ ამოცანის გადაჭრის ვარიაციას შემოგვთავაზებს).

„ხანუმას“ შემთხვევაში სტურუამ ტექსტითა და სიტყვით სახეობრივი თამაში წამოიწყო. ენა ლიტერატურული ფენომენიდან

¹ მუმლამედ დ., „ზერელე დღესასწაულებრივი განწყობა“, გვ. 22.

² რატიშვილი ნ., „ნაძღვილად საინტერესოა“, გვ. 20.

თეატრალური ბუნების პლასტიკურ მასალად აქცია. როდესაც სტურუას თეატრზე ვსაუბრობთ, ლიტერატურული მასალის, მუსიკისა და სცენოგრაფიის დრამატულ სანახაობასთან სინთეზზე კი არა, მათ თეატრად და მიკრომითად ქცევაზე უნდა ვისაუბროთ. ეყი გროტოვსკის მინიმალისტური განსაზღვრებით, ერთი ადამიანი სცენაზე და ერთიც – დარბაზში, უკვე თეატრია. სტურუასთვის სცენაზე მოთავსებული ყველა საგანი თუ გაუღერებული თითოეული ბგერა და სიტყვა უკვე სპექტაკლი და მიკროამბავია. სპექტაკლია სიჩუმეცა და პაუზაცა, რომელიც თავისთვავად ივსება საზრისებით. პაუზები სტურუას სპექტაკლების „შავი კვადრატებია“, რომლებიც სიცარიელის საზრისობრივი ნაჯერობით გვესაუბრება. პოსტმოდერნულ ხელოვნებაში პაუზა თუ სიცარიელე წწორედ უზილავი თანდასწრების მინიშნებას, „არყოფნით ყოფნას“ ემსახურება. ის „არყოფნი“, მაგრამ ნაგულისხმევი, სასურველი და მოუხელთებელი სტრუქტურის, ‘ზემითისა’ თუ გამოუთქმელ და გამოუხატავ ფორმათა ფორმის ნიშანია.

რეჟისორის ხელში ყველაფერი დრამატული სანახაობის მასალად იქცევა. თუ ამ დებულებას აბსოლუტურ ხარისხში ავიყვანთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრუასათვის ყოველივე არსებული თეატრია, არსებობა ხომ ერთი და იმავე ისტორიის ვარიაციებში გათამაშების უსასრულო ჯაჭვია. ნიშანდობლივია, რომ მოგვიანებით, 80-იან წლებში სტურუა დადგამს სპექტაკლს სახელწოდებით „ვარიაციები თემაზე...“, რომელიც ერთი და იმავე ისტორიის სხვადასხვა ასპექტში განმეორებას წარმოადგენს. უსასრულო რეზლექსითა თუ მითოლოგიური ციკლურობის თემა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ჭრილში გაიქმერებს მის შემოქმედებაში. რეჟისორი მოჩანს როგორც დეტერმინისტიც, რომელიც ადამიანის თავისუფალ ნებაზე, მის ინდივიდუალურ თვითგენეზისზე მაღლა სოციალური, კულტურული და ფსიქიკური ფაქტორების მოქმედების ერთობლიობას სახავს. ეს ერთობლიობა კი ბედისწერის კომპლექსურ სინთეზურ სახეს ქმნის.

შევიძრის პრინციპით აგებული ცაგარლის კომედიის ცენტრში მაჭანკალი ქალის ავანტიურული სახე დგას, რომელიც ადამიანებითა და ვითარებებით მანიპულირების დიდოსტატია. „ხანუმაში“ კიდევ უფრო მყაფიოდ გამოიკვეთა რეჟისორის ინტერესი ავანტიურიზმის ფენომენისადმი, რომელიც „ყვარყვარე თუთაბერში“ სრულად გამოვლინდა.

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მოულოდნელი წაკითხვის მაგალითად იქცა თემურ ჩხეიძესთან ერთად დადგმული „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1969 წ.). რეჟისორებმა უარი თქვეს მოვლენათა ისტორიულ კონტექსტზე, მოქმედება თანამედროვე გარემოში გადმოიტანეს (მხატვარი მიხეილ ჭავჭავაძე) და პირვანდელ ისტორიას განზოგადებული უღერადობა მიანიჭეს. გაჭირვებული აზნაურის – პლატონ სამანიშვილის ამბავმა, რომელიც მამისათვის უშვილო საცოლეს ეძებს, მემკვიდრეობის მოცილე რომ არ გაუჩნდეს, განსაკუთრებული ტრაგიკომიკური ელფერი შეიძინა. ძიების გზაზე შექმნილ ვითარებათა კომიზმი მისიის სიცოცხლისუარმყოფელ მიზანს აბსურდის რეგისტრში გადაცყავდა, ყოფიერების შინაგან დისკარმონიას, მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებულ დრამატულ განხეთქილებას დაგვანახვებდა. ისტორიული კონტექსტიდან ეთიკურ რეგისტრში გადატანა პლატონ სამანიშვილის ისტორიას ბიბლიურ სახრისს ანიჭებდა და მის საქციელს კაენის ცოდვას უთანაბრებდა. წინა პლანზე გამოდიოდა ‘სხვის’, როგორც მარადიული ანტაგონისტის, იდეა, რაც კლდიაშვილის ნაწარმოებში ყოფითი რეალიებით შენილბულ არქეტიპულ მოდელს წარმოაჩენდა.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღნიოშნოს, რომ სტურუას სპექტაკლებში კულტურის სხვადასხვა ეტაპის, სხვადასხვა ბუნებისა და წარმომავლობის მითსა და მითოლოგიზებულ მოვლენაზე აპელირების ფაქტებს ვხვდებით – ანტიკურ, ქრისტიანულ, ფლოკლორულ, მხატვრულ თუ სხვა.

„ყვარეყვარე თუთაბერი“, „მხატვრული გლობალიზაციის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად იქცა. სპექტაკლის დრამატურგიული პირველწყარო პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარეყვარე თუთაბერი“ გახლდათ, რომელშიც სრულიად ორგანულად იყო ჩართული სცენა ბერტოლდ ბრეხტის „არტურ უის კარიერიდან“. თუმცა რეჟისორმა ამ პიესაში კიდევ ერთ საინტერესო, შემდგომში მისთვის სახასიათო სვლას მიმართა და სახეობრივი და პლასტიკური ენის მეშვეობით ყვარეყვარეს ბიოგრაფიის ეტაპები ქრისტეს ცხოვრების საფეხურებს შეუფარდა. ალბათ ამ ფაქტორის გამო მიაჩნია სტურუას ეს სპექტაკლი თავისი შემოქმედებისათვის საეტაპოდ, ვინაიდან სწორედ აქ დაიბადა მისთვის დამახასიათებელი სინთეტური თხრობის ფენომენი, მეტაამბის თუ მეტამითის ერთი თავისუფალი პლასტიკური რიგით გადმოცემის ხელოვნება, ისტორიათა ზედდების და მათ შორის პოლემიკური

თუ ირონიული დიალოგის წარმართვის პრინციპი. რამაზ ჩხიკვაძის ყვარყვარე ავანტიურისტის არქეტიპად იქცა და მარადიული ნაცარქექიას თვისებები შეიძინა. მხატვრული სახის აგების ასეთმა პრინციპმა გამოსახვის ყველა ხერხის შეთავსების საშუალება წარმოქმნა. ყვარყვარე ხან მონანიერ მღლოცველი იყო, ხანაც – მეოცე საუკუნის ტოტალიტარულ სისტემათა ერთპიროვნული იდეოლოგი და ლიდერი. მისი მოქმედების თავისუფალი ექსცენტრიკა ნებისმიერ ჰიპერბოლას ამართლებდა და მხატვრულ დამაჯერებლობას ანიჭებდა. ავანტიურიზმის ფენომენისადმი ინტერესი კულტურის „რეალური“ ფუნქციონირების ფარული მექანიზმის წვდომის სურვილით იყო განპირობებული. ასე გაგებული კულტურის არსი წარმოგვიდგებოდა როგორც ამწუთიერი სპონტანური იმპულსებით მართული რეალობა, შინაგან უზენაეს მიზანსა და საზრისს მოკლებული მარად ცვალებადი ფიქცია, მითთა თამაშის სარბიელი. ყვარყვარესა და ქრისტეს ცხოვრების შეფარდება ფორმისა და შინაარსის სიღრმისეულ კავშირსაც არღვევდა და კულტურული ხსოვნის სტერეოტიპებს აუქმებდა.

პიესის პრინციპულად ახლებური წაკითხვისა და თავისუფალი მონტაჟის მაგალითი იყო სუმბათაშვილ-იუჟინის „დალატიც“ – ქართული თეატრის ისტორიის ლეგენდარული პიესა, რომელიც დავით ერისთავის „სამშობლოს“ მსგავსად, პატრიოტული სულისკვეთების ნაწარმოებად იყო აღიარებული. რობერტ სტურუამ აქცენტები ანთროპოლოგიურ ჭრილში გადაიტანა. მას კვლავაც ადამიანის ფსიქიკური ქცევის ირაციონალური პრინციპები აინტერესებდა; ნატურალისტურის თუ რეალისტურის სახელით ცნობილი თეატრის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური პრინციპების საპირისპიროდ, რეჟისორი მკაფიო სცენური სიმბოლიკის ენით საუბრობდა. როგორც რეცენზენტები აღნიშნავნ, სპექტაკლი ემოციური თავშეგავებულობით, ტონალური სისადავით გამოირჩეოდა. ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ საწყისად კოსტიუმის ლაკონიური ფერადოვანი გადაწყვეტა იყო წარმოდგენილი, რომელიც კონტრასტული დრამატურგიის პრინციპით ვითარდებოდა და გმირთა უეცარ, ხშირად მოულოდნელ გარდასახვათა ფენომენს ასახავდა. პიესის მოვლენათა მონტაჟის მეშვეობით რობერტ სტურუამ პერსონაჟთა პარადოქსულ გარდასახვათა პრინციპი გამოკვეთა, მათ მოულოდნელ სახეცვალებათა დაიპაზონი განავრცო და დალატი ადამიანის ქცევის ერთ-ერთ არქეტიპულ სტერეოტიპად წარმოაჩინა.

ღალატი, როგორც ადამიანის პრაქტიკული ქცევის მოდელი, სახარების პეტრეს საქციელს და იქსოს სიტყვებს გაგვახსენებს პეტრესადმი: „ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეუბნები შენ: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ მე“¹. სპექტაკლი ღალატის, როგორც ქცევის არქეტიპული და ორაციონალური მოდელის, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ბერკეტის პარადოქსული ფენომენის შეცნობას ცდილობდა. ხოლო ადამიანს, როგორც ღალატის სუბიექტს, მრავალ სხვადასხვა „მესგან“ შემდგარ არსად წარმოგვიდგენდა. ადამიანი თვითონ ხდებოდა კულტურისა და ისტორიის მოდელი. ისტორია ისეთი იყო, როგორც ადამიანი, ადამიანი კი ისეთი, როგორიც კულტურა და ისტორია. ისტორიის მსვლელობის პარადოქსი საბა ბერს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. მდოგვის მარცვლისოდენა ქვეყანა დაიბრუნებდა თვითობას, დაიბრუნებდა იმიტომ, რომ ეს ყოფიერების კანონია და არა იმიტომ, რომ ქვეყნის შვილები თავისი თანმიმდევრული ეთიკური ქვეყით ასეთ ხვედრს იმსახურებენ. სპექტაკლის კონცეპტუალური საზრისი მის პლასტიკურ სახიერებაში იკვეთებოდა, თამარის (თამარს, იმავე ზეინაბს, ზინა კვერენჩილაძე განასახიერებდა) ძაძებით მოსილი დამხობილი ფიგურა ალისფერსამოსიან მაჰმადიან დედოფალ ზეინაბად გარდაიქმნებოდა. „სპექტაკლის სარეჟისორო კონცეფცია მხატვრულ გაფორმებაშიც აისახა (მხატვარი გ. მესხიშვილი). სცენას უზარმაზარი, აქა-იქ დაფლეთილი ფარდა მოსაეს. იგივე საზრისობრივი დატვირთვა აქვს წმინდა გიორგის ვეება ხატს, რომელიც შუაზეა გაბზარული, ხოლო ფინალში ანანია გლახას შეხებით ხატი იშლება და წარმოქმნილი ფანჯრიდან დარბაზში თბილისის ზარების მოზეიმე რეკვა შემოიჭრება, რომელიც ქართველი ხალხის გამარჯვებას გვამცნობს“²!

დამდგმელთა მიერ მოძებნილი ეს მეტაფორა ერთგვარი კარიბჭე იყო, რომელიც ერთი მხატვრული რეალობიდან მეორეში შეგვიძლვებოდა. სიმბოლოს ფიზიკური რღვევით მითოსური ისტორიიდან ხდებოდა გადასვლა კონკრეტულ გრძნობად რეალობაში, გრძნობადი ყოველდღიურობის შშვიდობიან მითში’, მითიურ რეალობაში, სადაც ზარები რეკლენენ, სადაც ყოველდღიურობა თავისი განუმეორებელი ხიბლით ბედისწერისა და ფსიქიკის პარადოქსებს დროებით დაგვავიწყებდა. თუ „ყვარყვარეში“ მითების თანაარსებობასთან, მათ კომბინირებულ მოქმედებასთან გვქონდა საქმე, „ღალატში“ ისინი

¹ Кутия К., „Новая жизнь старой пьесы“, გვ. 4.

ერთმანეთს დროში ენაცვლებოდნენ და სპექტაკლის ემოციური ზემოქმედების თვისობრივ ცვალებადობას განაპირობებდნენ.

იმავე 1975 წელს რეჟისორი სტურუა ბრეხტის „კავკასიურ ცარცის წრეს“ დადგამს. ეს პიესაც აღდგომის დღესასწაულით იწყება, რომელიც მოქმედ პირთა უცნაური და სახიფათო თავგადასავლის საწყისს წერტილად გვევლინება. გაივლის დრო და 2000 წელს შექსპირის „მეთორმეტე დამეში“ დროთა პარალელიზმისა და მისტიკური ურთიერთგადაკვეთის პარადოქსი გაცილებით უფრო თვალსაჩინო სახეს მიღებს. სტურუა პოლიფონიური თხრობის ხერხს მიმართავს და ერთ სპექტაკლში ერთდროულად ორ ამბავს გაათამაშებს. აქვე იკითხება დღესასწაულის, როგორც დროთა კავშირის შემკვრელი ნასკვის, საზრისთა თავმოყრისა და გადაკვეთის ადგილის მოტივიც. რეჟისორის შემოქმედებაში ეპიკური თეატრის პრინციპების ჰიპერბოლიზაცია, პირობითად რომ ვთქვათ, „ნიუტონის კოორდინატთა სისტემიდან აინშტაინის სისტემაში გადატანა ხდება,“ რაც ფარდობითი ხედვის პრინციპებიდან აბსოლუტურის კონტექსტში მოვლენათა ჭრეტას გულისხმობს.

„კავკასიური ცარცის წრე“ რეჟისორის შემოქმედების ერთ-ერთ მწვერვალად მიიჩნევა. ამ სპექტაკლში საავტორო ჯგუფის შემოქმედებითმა ერთობამ სრულყოფილებას მიღწია. აქაც, ისევე, როგორც თავის მრავალ სხვა სპექტაკლში, სტურუას სიკეთის პრაქტიკული შესაძლებლობის საკითხი იტაცებს. „კავკასიური“ მრავალშრიანი და მრავალსიუჟეტიანი პიესაა. თუმცა, ყოველი მათგანი ერთი ღერძული ფაქტორის ირგვლივ იყრის თავს – ეს პატარა მიშიკო აბაშვილია, გუბერნატორის მემკვიდრე, რომლის გადარჩენაც მოელი სანახაობის ზეამოცანას წარმოადგენს. ბრეხტმა თავის პიესას ცნობილი ბიბლიური არაკი დაუდო საფუძვლად. თუმცა პიესის ეპიკურ სტრუქტურაში ყრმა-ღმერთის დევნისა და მისი ხსნის ვარიაციული თემაც აისახა. სტურუამ, მისთვის ჩვეული სოციალური და ანთროპოლოგიური სკეპტიციზმის გამო, ბრეხტის ზღაპარს საკარნაგალო ფარსის ფორმა მოუქებნა და სასამართლო საცირკო სანახაობად, ხოლო რამაზ ჩინკვაძის მოსამართლე თეორ ჯამბაზად აქცია. მხოლოდ აქ, მარადიული კარნავალის მეტარეალურ სივრცეში ჩაოვალა მან შესაძლებლად სამართლის აღსრულება.

სპექტაკლის სტრუქტურული ორგანიზების თვალსაზრისით, სტურუამ ორი – გარე და შიდა – წრის პრინციპი გამოიყენა. გარე წრეში სპექტაკლის წამყვანი – კონფერანსიე ჟანრი ლოლაშვილი

მოქმედებს, ხოლო შიდა წრეში საკუთრივ ამბავი ვითარდება. ამბავი ამბავში, თეატრი თეატრში ფორმა სინამდვილის მრავალფენიანი სტრუქტურის, აწმყო და მითოსური დროების ვარიეტების და მათი იგივეობა-განსხვავებით თამაშის რეჟისორისთვის დამახასიათებელი სვლაა. უანრი ლოლაშვილის პერსონაჟი მაყურებელსა და მოქმედებას შორის მედატორის ფუნქციას ასრულებს და სპექტაკლის აღქმის ღირებულებით აქცენტებს წარმართავს. მისი, როგორც შემზადებლის, როლი კონფერანსიეს სიმღერაშიც გაცხადდება: „იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ყველამ! იყიდეთ, იყიდეთ მალე! იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ, თორემ...“, — გვეუბნება ის მრავალმნიშვნელოვნად და რაღაც მოსალოდნელი სერიოზული საფრთხის შესახებ გვაფრთხილებს. ერთადერთი ღირებულება, რისი შექნაც მაყურებელს აქ შეძლო, სიკეთე იყო. ასეთი გახლდათ თვით წამყვანის მიკერძოებაც და მისი დასკვნაც: „ყველა სიკეთე ამქვეყნად უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს“.

„საფრთხე“, რომელსაც „კავკასიურის“ წამყვანი წინასწარ-მეტყველებდა, საცნაურდება სპექტაკლში „რიჩარდ III“, სადაც სანახაობის პლასტიკური ასპექტი სხვა კომპონენტებზე დომინირებს. „ტექნიკური“ და გამომსახველობითი თვალსაზრისით, „რიჩარდი“ ყველაზე ჰიმოგენური სპექტაკლია. შემთხვევითი როდია, რომ მას უცხოეთში ზოგიერთმა რეცენზენტმა „ბალეტიც“ კი უწოდა. ასეთი შეფასების საფუძველს სპექტაკლის ჰიპერმეტაფორმული პლასტიკური ხატება ქმნიდა. აქ უკვე ყველა მოძრაობა საგანგებო ნიშნის სახეს იძნდა და თავის მიკრომბავს მოგვითხრობდა. ასეთი იყო რიჩარდის მძმე და არტისტული მოძრაობა, მეუე ედვარდის უტრირებული სიბერე, რომელიც მონარქს მოსიარულე ლეშად წარმოაჩენდა, მასასარის მრავალმნიშვნელოვანი „მენუეტი“, სისხლიანი პერანგებით მოსილი ბავშვების სვლა, შავებში ჩაცმული დედოფალი მარგარეტის ავისმომასწავებული ფიგურა, რომელიც წიგნით ხელში შეჩვენებას უქადა ცოდვილთ; დედოფალი ანას მოკლული ქმრის კუბოსთან ცდუნების სცენა — ეს ყველაფერი და სხვა პლასტიკური „ატომება“ სპექტაკლის ერთიანი „ქორეოგრაფიის“ საფუძველს ქმნიდა. სპექტაკლის ენის პრინციპული სტილისტური ერთგვაროვნება, როგორც ეს რეჟისორს სჩვევია, განუყოფლად უკავშირდებოდა მის საზრისს. „რიჩარდი“ უზადოდ ირონიული სანახაობა იყო, მსახიობთა თამაშის სტილი ემოციური თანალმობის შესაძლებლობას

აღარ ტოვებდა. აქ შეძრწუნებანარევი აღფრთოვანების გრძნობა დომინირებდა. ეს მასშტაბური სანახაობა თითქოს ყველა ილუზიას აუქმებდა და მაყურებელი ულმობელი ლოგიკით მიჰყავდა კანონზომიერ ფინალამდე. რიჩარდიც კი, კაცომობულე და ყველა კანონის ფეხვეშ გამთელავი, ვერ იხსნდა თავს დამარცხებულ მამად ქცევის საფრთხისაგან. მის მიმართაც ხორციელდებოდა ბედისწერის არქეტიპული კანონზომიერება, რომელიც, როგორც ყოფიერების ძირითადი კანონი, ეთიკურ საზომთა გვერდის ავლით მოქმედდებს. ფინალური სცენების უტრირებული მასშტაბი, რიჩარდისა და რიჩმონდის ბრძოლის ინგლისის რუკაზე პროექცია, მათი გიგანტური მახვილები, შენელებული მოძრაობით რომ აღიმართებოდა ერთმანეთის პირისპირ, განსაკუთრებულად ამძაფრებდა სასურველ აქცენტებს. ამ სპექტაკლში კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სტურუასათვის დრამატურგიული ლიტერატურის თითოეული ნიშტამი, ისევე, როგორც ყოველი ცალკეული თეატრალური წარმოდგენა, ერთიანი ზეტექსტისა და ზესპექტაკლის ნაწილებია. შესაბამისად, იყი არ ცნობს თემათა მიჯნებს, მისი სპექტაკლები ურთიერთშეღწვევადა, როგორც პერსონაჟთა, ისე თემათა თუ სხვა რაიმე სახიერ მოვლენათა და ნიშან-სიმბოლოთა „მოგზაურობის“ თვალსაზრისით. ასე გამოჩნდა „რიჩარდ III“-ს მესამე მოქმედებაში მასხარა — გაღიმებული თეთრწითელგრიმიანი ადამიანი ნაპოლეონის ქუდითა და ტროსტით, რომელიც „ჰამლეტის“ პერსონაჟი მსახიობის ტექსტს წარმოთქვამდა. „ყვარყვარეში“, „კავკასიურ ცარცის წრეს“ და „რიჩარდში“ გრიმის გამოყენების თავისებური ხერხი გამოიკვეთა — ნიღბის კონდიციამდე მიყვანილი — ის თითქოს ადამიანის სახეს ერთგვარ ცოცხალ ნიღბად აქცევდა, რაც კერძო პირსა და სიმბოლოს შორის მიჯნას შლიდა და ყოველი ცალკეული შემთხვევის, ადამიანის სულის ყოველი მოძრაობის უკან ბედისწერის ირონიულ ღიმილს აჩენდა.

„რიჩარდ მესამეში“ რობერტ სტურუას ხედვის ერთმა ასპექტმა — მისმა ონტელექტუალურმა ირონიამ — საზოგადოებისა და ადამიანის ბუნების მიმართ თავისი დასრულებული სახე აჩვენა. ამასთან, მოქმედების ადგილისა და დროის გაორმავების, რეალობის, როგორც ისტორიათა თამაშის იდეა სპექტაკლის სცენოგრაფიულ ხატებაში იყო წარმოჩნდილი (მხატვარი მირიან შველიძე). საკუთრივ სპექტაკლის შიდა ფარდა „თეატრი თეატრში“ პრინციპს მიმართავს

და ორმაგი წარმოდგენის დამსწურებად გვხდის. ეს კი, თავის მხრივ, სცენაზე შექმნილ დროსა და სივრცეს აორმაგებს, ერთი სანახაობის დროსა და სივრცეს მარადიული წარმოდგენის „ზედროსა“ და „ზესივრცეში“ ათავსებს. ეს დროულ-სივრცული შრე ალბათ ბახტინის მიერ ხსენებულ „მეტადროს“ თუ შეედრება – იმ დიდ დროს, „სადაც არც ერთი საზრისი არ კვდება და რომელსაც თავად ძალუებს ნებისმიერი დროის, ამბისა თუ მთხრობლის განსჯა და გამოსყიდვა“. თუმცა, არსებობს მეორე, უფრო სევდიანი ვერსიაც – ეს ფარდა უსასრულო რევლექსიათა სამყაროს ერთ-ერთი მორიგი კარიბჭეა, ხოლო ჩვენ, ამ სპექტაკლის მაყურებლები, შესაძლოა, ვიღაცისთვის გამართული წარმოდგენის მონაწილეები ვიყოთ.

აქ კიდევ ერთხელ გათამაშდა ის ‘ჭეშმარიტება’, რომელიც ნიცშეს, შექსპირს, ძველი და ახალი დროის ფილოსოფოსთ და ხელოვანთ დააფიქრებდა და რომლის შესახებაც მერაბ მამარდაშვილმა ოქვა: „ცხოვრება თეატრია“ და „ცხოვრება სიზმარია“... ეს განსაზღვრებანი გმირულ XVII საუკუნეს ეკუთვნის; ასეთი იყო მათი გაგება და მე ვფიქრობ, რომ ჩვენ დღეს, რომელიდაც სპირალის რომელიდაც მოსახვევზე ამავე წერტილს მივადექით... ცხოვრება – თეატრია...“¹ ალბათ სწორედ იდენტურმა ‘ეგზისტენციურმა აღმოჩენამ’ მიიყვანა რობერტ სტურუა შექსპირის დრამატურგიამდე, სადაც მან მისთვის ესოდენ სასურველ თვისებათა შერწყმა იპოვა – ცინიზმისა და რომანტიკის, ისტორიულისა და მთოლოგიურის, ეპიკურისა და ლირიკულის....

„რიჩარდის“ შემდეგ სტურუა კვლავ მიებასა და ექსპერიმენტს მიმართავს. „ყვარელებარები“ გამოკვეთილი სინთეტური თხრობის ფენომენი, რომელიც ორი ამბის შეფარდებისა და ერთდროული განვითარების საშუალებას იძლევა, 1980 წელს მის მიერ დადგმულ თამაზ ჭილაძის პიესაში „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ ახალ თვალსაჩინოებასა და თვისობრიობას იძნს. სპექტაკლი „თეატრი თეატრში“ პრინციპით იდგმება ანუ თეატრალური სანახაობის მთავარი გმირი თავად თეატრის არსება და რეალობასთან მისი მიმართება ხდება. 2005 წელს ინტერვიუში „ილირიიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე“ სტურუა იტყვის, რომ თეატრი არის საშუალება, „გაიგო, რა არის სამყარო, რა კანონები ამოძრავებს მას და მერე საკუთარ თავზეც იფიქრო და მიხვდე, რომ შენს

¹ მამარდაშვილი მ., „თეატრალურობის დრო და სივრცე“, გვ. 17.

უფერულ ცხოვრებასაც, სინამდვილეში, იგივე ემოციური დატვირთვა და შინაარსი აქვს“.¹ „რეალურ“ და „მხატვრულ“ რეალობათა ურთიერთმიმართების სპექტაკლის აგების ღია პრინციპად ქცევა სტურუას კონცეპტუალური ესთეტიკის კიდევ ერთი ლოგიკური საფეხურია; ხოლო მხატვრული რეალობის უმაღლეს, „ჭეშმარიტ“ და დასრულებულ რეალობად მიჩნევა პოსტმოდერნის ეპოქის ხელოვნების თეორიის პრინციპებს ეთანხმება. ხელოვნების, კერძოდ კი, თეატრის ემპირიულ სინამდვილესთან მიმართებაში უფრო მაღალი რანგის სინამდვილედ განცდა კვლავაც მამარდაშვილის თვალსაზრისს შეგვახსენებს: „რეალობა ლიტერატურული ტექსტისა და თუ რეალობა თეატრალური, ანუ სივრცე და დრო, სადაც განსრულდებიან უსასრულო საზრისები, – ცხადს, ხილულს ხდიონ ჩვენთვის ჩვენი ცხოვრების საზრისებს, რომლებიც ჩვეულებრივ ან ყოველდღიურ ე. ი. თეატრის, ლიტერატურისა და ხელოვნების გარეშე ცხოვრებაში – მოუხელთებელი რჩება“.² თუ მამარდაშვილის პერიფრაზს გავაკეთებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნება და თეატრი, ამ კონკრეტულ შემთხვევში კი „სტურუას თეატრი“, ცხადს ხდის ჩვენთვის ჩვენი ცხოვრების მითებს, მათ ძლევამოსილებას და უსუსურობას, მარადიულობას და წარმავალობას, სიწრფელესა და ცბიერებას დაგვანახებს.

რეჟისორის კიდევ, ერთი შეხედვით, მოულოდნელ, მაგრამ ასევე ლოგიკურ სვლას წარმოადგენდა შატროვის პიესაში „ლურჯი ცხენები წითელ ბალაზზე“ ვლადიმერ ლენინის ერთდროულად სამი შემსრულებელის შემოყვანა. რეჟისორი დრამატული ნაწარმოების ძირითადი კომპონენტების ექსპერიმენტულ დეკონსტრუქციას, მათი მითის ვარირებას განაგრძობდა. ცენტრალური გმირის „გამრავლება“ მოქმედებას უფრო დინამიკურსა და შინაგანად პოლემიკურს ხდიდა, რევოლუციის ბელადის სახის „დემიოლოგიზაციას“ ახდენდა და ისტორიის ერთდროულად ვარიაციული, აღტერნატიული და პიპოთეტური წაკითხვის ნიმუშს გვთავაზობდა. ამასთან, დოკუმენტურ მასალაზე შექმნილი პიესის საქმიან და პუბლიცისტურ ინტონაციის სპექტაკლის პოლისტილისტური სტრუქტურაც არღვევდა. მომაკვდავი თეატრპერანგიანი მხატვრისა და ფარაჯიანი გოგონას სიმბოლური ფიგურები მოქმედებას ირონიულ და ტრაგიკულ ფონს

¹ ბოკუჩავა თ., „ილირიიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე“, გვ. 66-67.

² მამარდაშვილი მ., „თეატრალურობის დრო და სივრცე“, გვ. 19.

უქმნიდა, ხოლო გოგი მესხიშვლის მიერ შექმნილი ღამეული ზეცის ფონზე ადამიანები კიდევ უფრო უმწეონი და მიუსაფარნი ჩანდნენ. სპექტაკლის ასეთი გადაწყვეტა საბჭოთა იდეოლოგიის იმხანად უკვე ფორმალური დოგმატიზმისთვის იმდენად შემაშფოთებელი აღმოჩნდა, რომ მოსკოვის გასტროლების დროს სპექტაკლის დახურული ჩვენების შემდეგ გასტროლების მანძილზე მისი ხელახალი წარმოდგენა აიკრძალა.

ეპიკური მრავალპერსონაჟიანი ტილოების შექმნას ჩვეული რეჟისორისგან, ერთი შეხედვით, მოულოდნელი იყო ისეთი მონოსპექტაკლის დადგმა, როგორიც „მპერსტის მშვენება“ გახლდათ. თუმცა თავისი ექსპრესიონისტული მასშტაბითა და ადამიანის ცხოვრების სამყაროს უსასრულობასთან მიმართებით ზინა კვერენჩილაძის მიერ წარმოდგენილი ემილი დიკინსონის ისტორია თავისებურ კოსმიურობასა და ეპიკურ გლობალურობასაც იძენდა. პერსონაჟის მიერ თავისი ცხოვრების ამბის გაუცხოებული თხრობა მარადიულისა და კონკრეტულად გრძნობადის შეჯერებით განსაკუთრებული საზრისით ივსებოდა. ლირიკული საწყისის რეჟისორისათვის უჩვეულო სიჭარბე სტურუას ავტორისეული „მეს“ თვითგამოხატვის საშუალებადაც იქცეოდა. განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო პერსონაჟის მიერ ეგზისტენციალური ამბლუისა თუ ნიღბის არსებობის გაცნობიერება და მის მიერ თავისი შემოქმედებითი მრწამსის გაცხადება. ამ წარმოდგენაში სტურუას შემოქმედების გენეზისის კიდევ ერთი ეტაპი გაცხადდა – რეალობის ჭვრეტის უპირობო ეპიკურობაში საავტორო თეატრის „ლირიკული“ ელემენტები შემოვიდა, რომლებაც გაცილებით უფრო საცნური გახდა მის უფრო გვიანდელ სპექტაკლებში. აქვე, ამავე სპექტაკლში, დიკინსონის პირით, რეჟისორმა სიტყვის, როგორც მითის, პლასტიკური ნიშნის, ენერგეტიკული კოდისა და ყოფიერების მიკრომოდელის მიმართ თავისი დამოკიდებულება ცხადყო. ემილი გრიფელის დაფაზე დაწერილ სიტყვა „რკალს“ შემოხაზავდა და ამბობდა: „სიტყვებს მე ისე ვუყურებ, როგორც ცოცხალ არსებებს, მანამდე ვაკვირდები ხოლმე მათ მოხაზულობას, სანამ სიტყვა არ გაცოცხლდება და ელვარებას არ დაიწყებს“.

მხატვრული ასახვის მთლიანობის მიზნობრივი დეკონსტრუქცია სტურუას ერთ-ერთ „გასართობად“ იქცევა. სიუჟეტის დაშრევება, ერთი და იმავე პასაჟის მრავალჯერადი გათამაშება, პერსონაჟის

დაშლა, ელემენტთა აღრევა, „თეატრი თეატრში“ პრინციპის გამოყენება და სხვ. თავისუფალი მხატვრული სვლები რეჟისორის თეატრალური აზროვნების განვითარების ახალ ეტაპს წარმოაჩენს.

სპექტაკლს „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ რ. სტურუას, ლ. ფოფხაძისა და ა. გარსიმაშვილის ერთობლივი პიესა დაედო საფუძვლად. ამ სპექტაკლშიც რეჟისორი თითქოს თავისი შემოქმედებითი სახელოსნოს „ტექნოლოგიას“ ამიშვლებს, მის პიპორეტურ და ექსპერიმენტულ ბუნებას წარმოადგენს. სპექტაკლის ცენტრალური პერსონაჟი – რამაზ ჩხიგვაძის მიერ განსახიერებული ხანდაზმული რეჟისორი გიორგი – ერთი და იმავე ისტორიის იმპროვიზაციულად დადგმას ცდილობს და მსახიობებს ეთიკური ამოცანის ვარიაციულ გადაწყვეტას სთავაზობს. ამ პროცესში იკვეთება ადამიანთა არქეტიპული ქცევის უცვლელი მოდელი და ჩნდება „ახალი“ ანთორპოლოგიური ტიპის სიმბოლური პერსონიფიკაცია – უანრი ლოლაშვილის ბ-ნი დავითი. სპექტაკლი საინტერესოა იმითაც, რომ მის მოზაიკურ ქსოვილში ხდება სტურუას შემოქმედების შემდგომი აქცენტების კოდირება, რომლებიც წარმოადგენილია როგორც სცენოგრაფიის დეტალებში, ისე „მრავალრიცხოვანი“ ფინალების მკვეთრ ინტონაციურ ცვალებადობაში. მოქმედებას რეფრინად ბ-ნი გიორგის თითქოს უკონტექსტო ირონიული მუდარა გასდევს – „ოღონდ ნუ იქნება ომი“, რომელიც სტურუას თეატრის წინასწარგანჭვრეტითი თვისების ერთ-ერთ დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ.¹

მიხეილ კვესელავას ნაწარმოების „ას ერგასის დღის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი სტურუას ეპიკური თეატრის ენის პლასტიკური შესაძლებლობების დემონსტრაცია და განვლილი ეპოქის გრანდიოზული რეზიუმე გახლდათ. რეჟისორი მეოცე საუკუნისა და საკუთარი თეატრალური წარსულის პოლიტიკურ, ისტორიულ და ფილოსოფიურ მითებსა და ილუზიებს ეთხოვებოდა და უზარმაზარ ირონიულ სამსჯავრო-დათვალიერებას აწყობდა. „...სპექტაკლის ფორმას, ცხადია, განსაზღვრავს ნიურნბერგის პროცესის პერიპეტიები, მაგრამ განსაზღვრავს როგორც საწყისი მომენტი, ვინაიდან სპექტაკლი სცილდება ამ ისტორიული პროცესის

¹ ანტიციპაცია – მოვლენათ წინასწარგანჭვრეტა, როგორც ხელოვნების თვისება, მის არტეტიაბულ განპირიბებულობასა და კულტურის მითოსური საფუძვლების არსებობას ადასტურებს. გოვთე თავის ავტობიოგრაფიულ რომანში „პოეზია და სინამდვილე“ მის მიერ შენიშვნული ამ თვისების შესახებ მოგვითხოვთ.

ჩარჩოებს“¹ – წერს თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე. სხვადასხვა დროს მომხდარ მოვლენათა, გამოგონილ გროტესკულ სცენათა, ცვალებად ინტონაციათა მონტაჟის გზით, ჰიტლერის (რამაზ ჩხიგვაძე) ფანტასმაგორიულ გარდასახვათა პერიპეტიებით სტურუა მეოცე საუკუნის ადამიანის განზოგადოებულ ფსიქოტიას ქმნიდა, მისი მანკიერებებით, ცრურწმენებით, „ბრწყინვალებითა და სიღატაკით“.

ამ დიდი ისტორიული და შემოქმედებითი ციკლის ლოგიკურ დასასრულად მოჩანს სტურუას მიერ 1987 წელს დადგმული „მეფე ლირი“. სპექტაკლის მხატვარი მირიან შველიძე, ხოლო კომპოზიტორი გია ყანჩელი გახლდათ. „ლირი“ თითქოს რამდენიმე სხვადასხვა სპექტაკლისგან შედგებოდა: პირველი ლირის მეფობის დასასრულამდე გრძელდებოდა, შემდეგ კი დასაწყისის ესთეტიკური და სტილისტური მონოლითურობის პრინციპული ნერევა იწყებოდა, „დარღვეული დროთა კავშირის“ პერიოდის სამყაროს სიჭრელე ისადგურებდა. გაუცხოებული ინტელექტუალური მჭვრეტლის მიერ მოდერნის ცნობიერების უალტერნატივო უნივერსუმთა პოსტმოდერნული კრიტიკა „ლირში“ მოულოდნელად დემითოლოგიზირებული და დერიტუალიზირებული კულტურის შეუძლებლობის აღმოჩენით სრულდებოდა. ტოტალიტარულ მოდელთან ერთად თეატრის ინტერიერიც ინგრევდა, სცენა და დარბაზი „პირველქმნილი ქაოსის ბურუსში“ ეფლობოდა. „ლირით,“ ასე ვთქვათ, მითოსის, როგორც ეგზისტენციის მარგანიზებელი და მარეგულირებელი პრინციპის, აუცილებლობა და დემითოლოგიზირებული სუბიექტურობის შეუძლებლობა დასტურდებოდა.

ლირის მმართველობის ხანას მკაცრი ნაცრისფერი სწორხაზოვნება ახასიათებდა. ეს ლირის აბსოლუტური ნების მიერ შექმნილი „გეომეტრია“ იყო. მეფის პირველ გამოჩენას გრძელი მტანჯველი პაუზა უძლოდა წინ, სცენაზე თავშეეყრილი „პარი“ დადგენილი ეტიკეტის დაცვით გარინდებული ელოდა მის გამოჩენას. ხელისუფალი სპეციალურად ჭიმავდა პაუზას და გულის შეღრძნებამდე მიჰყავდა ხალხი. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდებოდა, ყოველგვარ კანონზე აღმატებული, დაუდევრად ჩაცმული და გამომწვევად მოზუცი. ღვთაებასავით უკრიტიკო ფეხსაცმელების ფრატუნით გადმოჭრიდა სცენას და მისი ფანტაზიის მიერ შექმნილი ახალი სპექტაკლის გათამაშებას – სამეფოს დანაწილების სანახაობას აწყობდა.

¹ გურაბანიძე ნ., რეჟისორი რობერტ სტურუა, გვ.360.

რეუსისორს იმ ზღვრის დანახვა უნდოდა, სადაც ტირანის მონოლითურობის რღვევა იწყება; სურდა გაეგო, როდის და რატომ ხდება ეს პროცესი უმართავი. ლირი, თავისთვისვე შეუმჩნევლად, თმობდა სიტუაციის სადავეებს და თავისივე შექმნილი სამყაროს ტყვედ იქცეოდა. იწყებოდა ლირის სამყაროს აგონია. მკაცრი ფორმა სისახტიკისა და ფუფუნების უგემოვნო ნაზავს უთმობდა ადგილს. გონერილისა და რეგანას მთელი ცხოვრების მანძილზე ნაგროვები ბოლმა და ვნება ერთბაშად იფეთქებდა და შემზარავ ქიმერებად დაიფრქეოდა. რეგანა თავისი ხელით ამოჩიჩქნიდა თვალებს გლოსტერს და ახალ შეგრძნებათა და უფლებათა სიმბაფრით ტებებოდა; საკუთარი გაბედულებით აღტკინებული ქალიშვილები ერთურთს შორის აბურთავებდნენ თვალებაზეულ მამას.

სადღაც, ლირის ტანჯვისა და გამოფხიზლების გზაზე, კვდებოდა ჟანრი ლოლაშვილის მასხარა (იგი ლირმა მოკლა თავხედობისთვის – ეს წმინდა რეუსისორული სვლა იყო, რადგან შექსპირის ტექსტი მასხარას გაქრობის შესახებ არაფერს ამბობს). მასხარის სიკვდილი სტურუას ჰიპერთეატრის ენაზე ძალზე სიმბოლური ნაბიჯი იყო. „რიჩარდის“ დადგმაში შექსპირის სამყაროს ინტერტექსტიდან გაჩენილი მასხარა, როგორც ინტელექტუალური გაუცხოებისა და გონების რეფლექტიური ძალის სიმბოლო, სარბიელს ტოვებდა. ამით რეუსისორი თითქოს საბოლოოდ ეთხოვებოდა ინტელექტუალური თეატრის „ქედმაღლობას“ და ახალ, ჯერ უცნობ სამყაროში ლირიკით „განძარცული და უმეცარი“ შედიოდა. მასხარის სიკვდილს კიდევ ერთი სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, რაც ლირად მის ‚გარდასახვაში‘ მდგომარეობდა.

ჯერ კიდევ სამოცაან წლებში დაწყებული „მამათა“ და „შვილთა“ ურთიერთობის გამჭოლი თემა და მისი მრავალფეროვანი ვარიაციების სოციალურ და ისტორიულ მთებზე პროექცია გრანდიოზული მოდელის ტოტალური დესტრუქციით სრულდებოდა. კორდელიასთან გამოთხოვების სცენაში თეატრის ინტერიერის ამსახველი დეკორაცია ხმაურით ირღვეოდა და ქალიშვილის ცხედარს ჩასუტებულ მეფეს ბოლსა და გაფანტულ აპოკალიფტურ შუქში ახვევდა. ამ სპექტაკლით რეუსისორმა თეატრის ცხოვრების შიდა ციკლსა და ქვეყნისა და ნაციის ფსიქიკურ ისტორიას შორისაც გაავლო პარალელი. დიდი ისტორიული ეპოქა დასრულდა, ირონიული ინტონაცია გაქრა და ცოდვილი და იმთავითვე განწირული ლირისადმი უდიდესი თანალმობა დაიბადა.

თეატრი თავისი ისტორიული არსებობის ახალ ციკლს შეუდგა, რომლის დაწყებაც წილად ხვდა კალდერონის პიესას „ცხოვრება სიზმარია“ . იონისული გონების უპირობო ძალაში რწმენის შერევა, რომელიც „ლირში“ მასხარის სიკვდილითაც გამოიხატა, კალდერონის დრამის მისტიციზმიც აისახა. სტურუას არჩევანი კალდერონის იმ პიესაზე შეჩერდა, რომელიც კულტურის კონტექსტიდან „ამორთული“ ადამიანის ანთროპოლოგიური არსის შეცნობაზე არის მიმართული. ჩვილობის დროიდან დატყვევებული უფლისწული სეხიზმუნდო ადამის ცოდვამდელ ძღვომარებაში იმყოფება. მხოლოდ თავის მეციზოვნებს, მამად მიჩნეულ კლოტალდოს იცნობს. მისი ამბოხი კი მაშინ რეალიზდება, როდესაც ქალს იხილავს ანუ ბოროტებისა და სიკეთის ხის ნაყოფს ივებებს. ისტორია თავიდან იწყება, თუმცა ამჯერად მამობრივი სამყაროს პატრიარქალურ თვითონებობაში დაეჭვებული რეჟისორი შვილის ეთიკურ ინტუიციაზე აკეთებს აქცენტს. მას ადამიანი – შვილის შესაძლებლობების ექსპერიმენტული რევიზია აინტერესებს. თუ სტურუას შემოქმედების 70-იანი წლების კლასიკურ ნიტუშებში აღორძინების ეპოქის ფარსის ესთეტიკური ტრადიცია ჭარბობდა, ამჯერად რეჟისორს უფრო მისტერიისა და მირაკლის ირაციონალურობა და ბაროკოს მისტიციზმი იზიდავს, რაც, რა თქმა უნდა, სპექტაკლის გამომსახველობაზეც აისახება. თუ ადრეულ სპექტაკლებში მკვეთრ სკულპტურულ ფორმებსა და პლასტიკურ კომპოზიციებს ენიჭებოდა უპირატესობა, ახლა გაცილებით უფრო დიდ დატვირთვას იძენს განათება და გამომსახველობის ფერწერული მხარე. ნიშანდობლივია ისიც, რომ სპექტაკლში 60-იანი წლების პირველი სპექტაკლის – „მესამე სურვილის“ ფინალური მიზანსცნის ერთგვარი თავისუფალი ციტირება ხდებოდა – ავანსცენაზე გამოსული უფლისწული სეხიზმუნდო პატარა ზანზალაკს აწკრიალებდა დაფიქრებული, თითქოს მაყურებელს მოუწოდებდა, რომ სიზმარული არსებობის არსზე დაფიქრებულიყო.

1993 წელს სტურუამ მეორედ დადგა ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ (პირველად პიესა 1969 წელს დაიდგა).

ბრეხტის პიესა მოგვითხრობს, თუ როგორ ჩამოვიდა ქალაქ სეჩუანში სამი უზენაესი ღმერთი, რათა ერთი კეთილი ადამიანი მაინც ეპოვნათ. ასეთი ადამიანი ახალგაზრდა მებავი შენ ტე აღმოჩნდა, რომელიც ვერავის ვერავერზე „ეუბნებოდა უარს“.

რეჟისორი კვლავ დაუბრუნდა სიკეთისა და ბოროტების

ფარდობითობის, სიკეთის პრაქტიკული განუხორციელებლობის თემას. მეტიც, მან სიკეთის არსებისა და საზრისის საკითხიც დააყენა: თუ სიკეთე გსურს, საკუთარი თავის მიმართაც კეთილი უნდა იყო, თორებ ძალდატანებით ჩადენილი სიკეთე ბოროტების სათავე ხდება. ქორწილის სცენაში, სტურუას თქმით, „შენ ტე უცრად ხდება, რომ თუ ბეზიერებას შეელევა, სიკეთის კეთებასაც ვეღარ შეძლებს, გაბოროტდება“¹.

საერთოდ, სიყვარულის თემა 90-იანების ერთ-ერთი წამყვანი თემა ხდება, ხოლო სიციალურ და პოლიტიკურ მოტივებს ადამიანის ეგზისტენციისა და მისი ინდივიდუალური არჩევანის, თვითსრულყოფისა თუ თვითდესტრუქციის მოტივები ჩრდილავს. რეჟისორს სულ უფრო მეტად აინტერესებს ადამიანის ქცევის სპონტანური, ინტუიციური, მისი კოლექტური არსის ამსახველი ასპექტები. სტურუას ანთროპოლოგიური ინტერესი უფრო ფართო და მრავალმხრივი ხდება. იმავე „სენუანელში“ ღმერთების თთქმის მარიონეტული ფიგურები ადასტურებს, რომ ყოფიერების ძირითადი დრამა დედამიწაზე ხორციელდება. არაცნობიერის, ფუძისეულის, ირაციონალურისადმი ინტერესი რეჟისორის შემოქმედებაში სულ სხვადასხვაგარად აისახება. ამასთან, განვლილ პერიოდებში შექმნილი მხატვრული მოდელირების ენაც არ კარგავს აქტუალურობას.

სიცოცხლის მისტერიის წვდომის ერთ-ერთ საშუალებად რეჟისორს ენა ესახება – ენა, როგორც ფორმის, ბერისა და საზრისის უნივერსალური სიმბიოზი, როგორც ცნობიერების დამტევი (და იქნებ შემქმნელი) ფენომენი. ასე იქმნება საავტორო სპექტაკლი-ექსპრიმენტი „იაკობის სახარება“ (იგივე „დედა ენა“). აქ დასტურდება რეჟისორის შეხედულება იმის თაობაზე, რომ „სიტყვა, მისი „პირდაპირი“ ფორმით, პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს თეატრში... შექსპირი ამბობს, სიტყვებს ყურით კი არა, თვალით უნდა უსმინოო“.² სწორედ ასეთ „თვალით სასმენ“ სანახაობად გარდაიქმნა სპექტაკლში ქართული ანბანი. „ამპერსტის მშვენების“ ემილი დიკინსონისა არ იყოს, ცალკეულმა ბერებმა და მარცვლებმა ელვარება დაიწყო და შინაგანი არსი – ფარული „ფოსფორესცენცია“ გამოავლინა. სწორედ ანბანის ბერათა მუსიკიდან დაიბადა „მწვანე ველზე“ ადამიანების სიცოცხლე თავისი

¹ ბოგუზავა თ., „ილირიიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე“, გვ. 64.

² იქვე, გვ. 70.

შინაგანი დრამატიზმით, წინააღმდევობებით, თანდათან პლასტიკურად გათამაშებულ არაკებად ჩამოყალიბდა, ბანაკებად დაიყო, თაობებად დანაწილდა და ადამიანის მიწიერი ყოფიერების მთელი სპექტრი წარმოაჩინა. ეს სამოქმედო ველი მოქმედების განზოგადებული ადგილის გლობალურ მხატვრულ სახეს წარმოადგენდა. მასში იმ ნაციოცენტრული უნივერსუმის გამობაზოლი იკითხებოდა, რომლის განცდა და რეკრუეცია ახმეტელისა და რობაქიძის კულტუროლოგიურ-მითოლოგიურ ხედვას მოგვაგონებდა. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლში „ტრადიციული“ პერსონაჟები არ ყოფილან და სანახაობა „კორდებალეტის პრინცაპზე“ იყო აგებული, ერთიან პლასტიკურ „მასას“ პერიოდულად დროებითი პროტაგონისტი გამოეყოფოდა და თემის განვითარების ესტაფეტას იბარებდა. თანდათან ითხვებოდა ამბავი ერთიან, რომელმაც თავისი არსებობა სწორედ ენის ფაქტორს დაუკავშირა, კულტურული ცნობიერება ენას გაუიგივა. უცრად „მერცხლებიც“ გამოჩნდებოდნენ – მეცხრამეტე საუკუნის სამოცაინელები – განმანათლებლები, რომლებმაც ენის რეფორმის მეშვეობით ნაციის ისტორიულ ყოფიერებაზე ზემოქმედება დაისახეს მიზნად. სპექტაკლის სიმბოლური ენა თანდათან უფრო ირონიული და სკეპტიკური ხდებოდა. მისი წაკითხვა მაყურებლის ინტუიციაზე და კულტურულ ცნობიერებაში არსებულ სიმბოლურ ასოციაციურ რიგზე იყო გათვლილი. საერთოდ, სტურუა სულ უფრო დიდ ანგარიშს უწევს მაყურებლის „მექენიკური გრძნობას“, რომელიც მას სცენასთან პირდაპირი „ტელეპატიური კავშირის“ დამყარების საშუალებას და საზრისის უშუალოდ წვდომის შესაძლებლობას აძლევს; სულ უფრო მეტად იხრება სპექტაკლი-პრიდუქტის ფორმიდან სპექტაკლი-პროცესის ფორმისკენ.

„იაკობის სახარება“, ისევე, როგორც „ლამარა“, რომელსაც სტურუა რუსთაველის თეატრის „თოლიას“ უწიდებს, ადასტურებს, რომ რეჟისორს საკუთრივ რუსთაველის თეატრის ინდივიდუალური მითოსის, მისი ბედისწერის ხედვა გაუჩნდა. ეს ტენდენცია „ლირის“ შემდეგ გაძლიერდა და განსაკუთრებით გამოვლინდა 90-იანების შემოქმედებაში. სტურუას აზრით, დაახლოებით 12-15 წელიწადში ერთხელ თეატრი ახალ შემოქმედებით ციკლს იწყებს და ეს თვითგანახლება და ხელახალი ინიციაცია მისი სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია.

შექსპირის „მაკბეტში“, რომელიც რეჟისორმა 1995 წელს დადგა, მშფოთვარე თანამედროვეობის რეალიები გარდაქმნილი

და განზოგადებული სახით აისახა. სპექტაკლში სცენის თავზე დაკიდებული ვეება ცელულოიდის ღრუბელი ადამიანთა სულის ენერგეტიკული გამოსხივების სარკედ იქცევა და თითქოს ცისქვეშეთში მიმდინარე ამბებს ფერადოვნად აფასებს. „სეჩუანელში“ დასახული სიყვარულის მოტივი და მასზე უარის თქმით გამოწვეული გმირთა თვითდესტრუქცია „მაკბეტის“ ლაიტმოტივი ხდება. მისთვის სასურველი აქცენტების გასამძაფრებლად რეჟისორი მაკბეტებს აახალგაზრდავებს და ინტერვიუებში მათ რომეოსა და ჯულიეტას ადარებს – რომეოსა და ჯულიეტას, რომლებიც სიყვარულს იარაღად და თვითდამტკიცების ინსტრუმენტად აქცევენ. ახალგაზრდა ასაკი კიდევ უფრო შემაგსა და აზარტულს ხდის მათი თვითგანადგურების სინდრომის. აქ უკვე ინფერნალური სამყარო არ მტრობს ადამიანს, ის საკუთარი თავის ჯალათი ხდება და ამ თვითუარყოფაში, სიმდაბლის, ღალატისა და სინდისის ქენჯნის შიშისმომგვრელ ნეტარებაში პოულობს სიამეს. სწორედ ადამიანთა სისხლიანი და ცინიკური ისტორიის ნაგავსაყრელი კებავს კუდიანებს და მისნურ ძალას ანიჭებს მათ. ისინი ამ ბიწიერი და სისხლიანი ნარჩენებისაგან არიან შეკოწიწებულნი. აღარ არსებობს „წმინდა“ განყენებული ბედისწერა, ეს უსასრულო რეფლექსისა და განმეორების სამყაროა – სამყარო, სადაც ბოროტსა და კეთილს შორის ზღვარი წაიშალა. ამ სამყაროში აღარ აღწევს მზის ნათელი, აღარც გონებას შერჩნია რაიმე ძალა და უმწეო, მორჩილ მასხარად გარდაქმნილა. ლედი მაკბეტი აღტკინებით უარყოფს თავის სქესსა და მომავალ დედობას, თავის ქალურ არსე სწირავს სასურველ მიზანს. მაკბეტების სამყაროს არ აქვს მომავლის ხედვა, ამ სივრცეს არ აქვს პერსპექტივა. მათთვის ეს ერთადერთი უალტერნატივო რეალობაა. ეს სტურუას ერთ-ერთი ყველაზე „შავი“ სპექტაკლია, პირქუშად რომანტიკული, უპერსპექტივოდ პერიოგული;¹ სპექტაკლი, სადაც აახალგაზრდა წყვილის ეროტიკული ენერგია და ფანტაზია ყველაზე საბედისწერო არქეტიპის ტყვეობაში ექცევა. „მაკბეტში“ „წმინდა“ განყენებული ზეადამიანური ბედისწერა აღარ არსებობს, თავად კაცობრიობის ისტორია და ადამიანის მოქმედება წარმოგვიდგება კულტურის ფატუმად.

სრულიად განსხვავებული სულისკვეთების სპექტაკლი იყო გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“. ამ პიესის მიმართ რეჟისორი

¹ მხედველობაში გააქვს მაკბეტის ბოლო ბრძოლა, როდესაც უკანასქელი იღუზის გარეშე დარჩენილი, იგი თავის არჩევანს ბოლომდე უერთგულებს.

განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და მას, როგორც აღინიშნა, რუსთაველის თეატრის „თოლიასაც“ კი უწოდებს თეატრის განსაკუთრებული ესთეტიკის ისტორიულ ფორმირებაში ამ პიესის ადრეულ დადგმათა მიერ შესრულებული როლის გამო.

„ლამარას“ სტურუასეული დადგმა რეჟისორისთვის უჩევულო გამოშახველობითი, შეიძლება ითქვას, ასკეტური სიძუნწის მაგალითია. სპექტაკლის ორი აქტი განსხვავებულ რიტმულ საფუძველზეა აგებული. ფოლკლორულ გადმოცემაზე დაფუძნებული პიესა ქართველი „ფრანსიზ ასიზელის“ – მინდიას ისტორიას გადმოგვცემს. თუმცა ამჯერად რეჟისორს ნაწარმოების მითოლოგიურ და პანთეისტურ ხაზზე მეტად მასში ასახული ეგზისტენციური სასწაული აინტერესებს – ორი შეურიგებელი სამყაროს შეხვედრისა და დაზავების მისტერია იზიდავს. იგი განზრახ უსვამს ხაზს ამ მოვლენის ალოგიკურ, ირაციონალურ ხასიათს, გადაულახვი სტიგმის გადალახვის საოცრებას. ამიტომ რეჟისორი ფსიქოლოგიურ სიმართლეს და ლოგიკურ მოტივაციებს გაურბის და სპექტაკლის მუსიკალურ და პოეტურ სტრუქტურას „აფარებს“ თავს. თუმცა, ტრადიციული ლოგიკის ნაცვლად, სტურუა მთელი ასტრალური და ადამიანური სამყაროს ძალისხმევის თანმიმდევრულობას დაგვანახვებს, რათა ერთი სასწაული მომზადებს და მოსისხლენი დაზავდნენ, დადგეს ორი ადამიანის ერთდროული გათავისუფლების ეგზისტენციური წამი. აქ, „ლამარაში“, სკეპტიკოსი და ირონისტი სტურუა, რომელიც ყველა პოზიტივს იღუზიად წარმოგვიდგენს და ეჭვეჭვეშ აყენებს, მოულოდნელი რწმენით ივსება და ადამიანის ყოფიერების გამართლების „წერტილს“ აღმოჩენს.

საერთოდ, რეჟისორი სულ უფრო მეტად უღრმავდება ადამიანთა სოციალურ ქცევაზე არაცნობიერის არქეტიპთა ზემოქმედების კანონზომიერებებს. როდესაც სტურუა მოსკოვში „გენეციელ ვაჭარს“ დგამდა, მან სწორედ უცხოსადმი რაიმე ნიშნით ადამიანთა მტრული განწყობის ირაციონალური ინსტინქტური სტიგმის მოქმედებას გაუსვა ხაზი.

1997 წელს სტურუამ რეჟისორ დავით ხინიკაძესთან ერთად დადგა ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი...“ – სპექტაკლი, რომელმაც ახალგაზრდათა შორის უდიდესი პოპულარულობა მოიპოვა. ამ სპექტაკლში ასახული რეალიები უკანასკნელი პერიოდის სამოქალაქო ომის შემდგომ მოვლენებს

უკავშირდებოდა; იმ ახალგაზრდებზე მოგვითხრობდა, რომლებიც ომბა და იდეალების განუხორციელებლობამ ყოველდღიური ყოფის კონტექსტიდან ამოაგდო და ერთგვარ ნებაყოფლობით „ემიგრაციაში“ გაუშვა. სპექტაკლის ჟანრს შეიძლება ფანტასტიკური მელოდრამა ეწოდოს, ვინაიდან გადაულახავი განკერძოების დაძლევა თანამედროვე ზღაპრის კონტექსტში ხდება, რომელიც ფანტასტიკის, ფოლკლორისა და რიტუალური მაგის ელემენტებს შეიცავს. სწორედ განახლების მთვარის ასტრალურ ციკლთან დაკავშირებული რიტუალი იქცევა საზოგადოების შინაგანი გამთლიანებისა და ცხოვრების მორიგ ციკლში დაბრუნების საშუალებად.

1998 წელს რეჟისორ დაგით საყვარელიძესთან ერთად დადგმული კარლო გოცის „ქალი-გველი“ იტალიური კომედია დელ არტეს ნიღბების იმპროვიზაციული თეატრის ტრადიციაში განხორციელდა. მოულოდნელი გარდასახვებით, იმპროვიზირებული დიალოგებით, თანამედროვეობაზე პირდაპირი მინიშნებებით აღსავსე სპექტაკლი აქტიორთა თამაშის განსაკუთრებულობით გამოირჩეოდა; აქტიორთა, ერთი მხრივ, მეტისმეტად გახსნილი და ანტიილუზიური შესრულების მანერა მეფე ფარუსკადის ტრანსულ მდგომარეობას ეხამებოდა. თბილისის მეფეს ერთგვარი ტოტალური შინაგანი გაუცხოება დაუფლებოდა და ყველა ძალთა და ინტერესთა თამაშის ზემოქმედებისათვის გახსნილი იყო. სიყვარულის მათრობელა ეთერით საკსე, ის თავად ამ განცდით ტკბებოდა და ყოველივე ავიწყდებოდა, თვით სიყვარულის ობიექტიც კი. მოვლენები თითქოს თავისთაგად, ადამიანის ნებისა და სურვილისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. ფარუსკადი უნებლიერ ყველა პირობასა და თამაშის წესს არღვევდა, მაგრამ ბედისწერა მაინც თავისი გზით მიდიოდა და სასურველი ბედინირი ფინალისკენ მიჰყავდა იგი. ყველაფერს ფორტუნა თუ ვიღაც უჩინარის კაპრიზი წყვეტდა. თავად ეს ვიღაც, ჯადოქარი ჯეონკა გახლდათ, რომელიც ერთხანს ჩამოხრიბილ ტიკინასავით ეკიდა სცენის თავზე და თავადაც ვიღაც უფრო ძლევამოსილის ნების აღმსრულებელს ჰყავდა. სიცოცხლისა და ბედისწერის პირველმიზეზი ამ სპექტაკლში კიღევ მეტად შეინიღბა, მითი მითით შეიმოსა. ადამიანის საქციელის მიზანსწრაფულობა აქ სრულ აბსურდად გადაიქცა და მიზეზსა და შედეგს შორის კავშირი დაირღვა. ამ მხიარულსა და ეგზოტიკურ სპექტაკლში ყოფიერების აბსოლუტური ირაციონალურობის თემა შემოვიდა. თუ „მაკბეტში“

ადამიანის ნება-სურვილი მეტაფიზიკად იქცეოდა, აქ ნებელობას არავთარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და ადამიანის სურვილისა და მისი ბედისწერის ერთურთის მიმართ სრული გაუცხოება ხდებოდა.

ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანში“ (თამაზ გოდერძიშვილის ინსცენირება) რეჟისორის ისტორიული და პოლიტიკური პესიმიზმი და იმედგაცრუება აისახა. ეს დაბერებული და გამოფიტული ნაციის აგონია იყო – პატარა ჩაკეტილი სამყარო შესაბრალისი თვითქმარობით. სპექტაკლის პუბლიცისტური პათოსი ერთი საინტერსო სვლით იყო გამამაჯრებული – პერსონაჟები მოქმედების დროს ილია ჭავჭავაძის (ავტორის) მკვლელობის ამბავს შეიტყობლნენ. ამ ხერხით რეჟისორი ასახულ მოვლენებს კვალავაც არქეტიპის მნიშვნელობას ანიჭებდა და მოღვრის პერიოდის „მამის მკლელობათა“ სერიისა და ნიცშეს „ღმერთის სიკვდილის“ პოსტმოდერნულ მოდიფიკაციად აქცევდა. ეს უავტორო სამყარო იყო, რომელიც მუდმივად მფარველსა და მამას ეძებდა, ხოლო თვითონ მშობლის სტატუსში გადასვლის უნარი დაკარგოდა. ლედი მაკეტის ლოცვა ლუარსაბასა და დარეჯანზე ახდაო თითქოს. შინაგანი ენერგიისაგან დაცლილი, თვითმოძრაობისა და თვითმართვის უნარს მოკლებული სიზმარეული ყოფა ნელა მიიზლაზნებოდა. თავად ფანტიაშვილის მხიარული სიმჩატე ლუარსაბის სომნამბულურმა ჰედონიზმმა შეცვალა, ხოლო კნეინა თეკლას აფორიზმები ლამაზისეულის უძმედოდ დაბინდულ მეტყველებასთან შედარებით მჭევრმეტყველების შეღევრად მოჩანდა. თუმცა, ამ ღირსებააყრილი გმირების მიმართ სპექტაკლში ერთგვარი ირონიული სინაზე და სიბრალული გამოსჭვიოდა, რაც რეჟისორს უბიძგებდა, ფინალში მკვდარი და გათელილი ლუარსაბისთვის ჯიუტად შეენარჩუნებინა სიცოცხლის ნიშანწყალი (მით უფრო, რომ ამას მითის, როგორც ‘მარადიული დაბრუნების’, ულმობელი და ზოგჯერ ‘მოწყალე’ ლოგიკაც მოითხოვდა).

შექსპირის „როგორც გენებოთ, ანუ შობის მეთორმეტე დამე“ (2001 წ.), როგორც უკვე ითქვა, მრავლობითი პარალელური და ურთიერთგადამკვეთი სინთეტური თხრობის ნიმუშია. რეჟისორი შეეცადა, კომედია და ტრაგედია როგორც დროში, ისე პარალელურ სივრცეში შეეჯერებინა და გაემალა, დღესასწაულის ფარგლები და ჭეშმარიტი საზრისი ეჩვენებინა. წმინდა თეატრალური პირობითობის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა სცენაზე რიგ პერსონაჟთა აღმოცენების „ტექნიკა“, რომელიც ტრადიციულ „რა

იყო მანამდეს“ აუქმებს. მანამდე არათერი ყოფილა, ყველაფერი მარადის და ერთდროულად ხდება, გვეუბნება რეჟისორი. ვიოლა წყლისფერ სამოსში გამოწყობილი სცენის ორმოდან „იბადება“ როგორც იდუმალი ორბუნებოვანი ღვთაება. სხვები მიწის წიაღიძან აღმოცენებულ ბუშტებს ამოჰკვებიან და შექსპირის „მაქბეტის“ კუდინთა წარმომავლობას გაგვაჩენებენ. ამ სამყაროს ორიენტირები დაუკარგავს, აბსტრაქტული სიყვარულის სენიო მოცულ პერსონაჟებს გაკაშკაშებულ სცენაზე ერთმანეთის ნამდვილი არსის დანახვის ძალა არ შესწევთ. პარალელურად გათამაშებული ქრისტეს შობისა და ცხოვრების ისტორია კი ილირიულ ამბავს თავის აქცენტებს მატებს, თანდათან ძლიერდება, ძალას იკრებს და ბოლოს ერთადერთ რეალობად გვევლინება, შობის დღესასწაულში განჭვრეტილ ჯვარცმად გარდაიქმნება.

ერთი სპექტაკლის ფარგლებში მრავლობითი ისტორიების თხრობისა და ტრაგიკომედიის შიდა ჟანრული მონაცვლეობისადმი სწრაფვა რეჟისორის კიდევ ერთ თვისებაზე მეტყველებს, მის პოზიციურ მიდგომათა მრავლობითობაზე, რაც სპექტაკლებში ტექნოლოგიურადაც საცნაური ხდება. ეს მუდავნდება როგორც ერთი წარმოდგენის ფინალთა ინტონაციურად მონაცვლე რიგებში, ისე რამდენიმე პარალელური ისტორიის თხრობაში და სპექტაკლების ურთიერთგამომრიცხავ და ურთიერთშემავსებელ ნარატივთა თანაარსებობაში. რეალობის წინააღმდეგობრივი ბუნების ერთდროულობის აღიარება ხშირად უბიძებს რეჟისორს, რომ ერთსა და იმავე პიესას და ერთსა და იმავე სპექტაკლსაც კი რამდენჯერმე დაუბრუნდეს. ასე მოხდა 2001 წელს დადგმული „ჰამლეტის“ შემთხვევაშიც, რომლის მეორე რედაქცია სტურუაშ 2004 წელს განახორციელა. თუ სპექტაკლის პირველ ვერსიაში ადამიანი-მარიონეტის ბედის უსასრულო რეფლექსიასა და ყოფნის გარდუვალობის წინაშე მის კაპიტულაციაზე კეთდებოდა აქცენტი – ჰამლეტი თავის ცნობილ საკვანძო მონოლოგს არ კითხულობდა და ტექსტს წვავდა, მეორე ვერსიაში ადამიანის მიერ არსებობის განცდის პირველქმნილი უშუალობა აღდგა და ღირსების შეურაცხყოფისაგან განცდილი მძაფრი ტკივილის გრძნობა დაბრუნდა. როგორც წესი, სპექტაკლის ემოციური ტონალობის ცვლილება რეალურ ცხოვრებაში მიმდნარე მოვლენების გამოძახილია. თანამედროვეობაზე, ახალგაზრდათა მსოფლაღქმაზე ორიენტაცია

და მომავლის „წინასწარგანჭერებზე“ კვლავაც სტურუას თეატრის პრეროგატივად რჩება.

სტურუას ტრადიციულ ღვთისმაძიებელს ვერ დაარქმევ, თუმცა მისი ექსპრესიონისტული მსოფლადქმიდან გამომდინარე, ის, კანტის მსგავსად, მარად უბრუნდება ღვთის არსებობის იდეას და მისი მრავალგზისი უარყოფის კვალდაკვალ მისი არსებობის სიმბოლური დადასტურების ათას პროვოკაციულ მტკიცებულებას გვთავაზობს. ერთ-ერთი ასეთია 2002 წელს დადგმული სპექტაკლი „გოდოს მოლოდინში“.

სემუელ ბეკეტის პიესის „გოდოს მოლოდინში“ (თარგმნეს რ. სტურუამ და ლ. ფოფხაძემ) პრემიერა შედგა 2002 წლის 29 სექტემბერს. სპექტაკლი დადგა რ. სტურუამ, მხატვრულად გააფორმა მ. შველიძემ.

სპექტაკლში უკანასკნელი ათწლეულის პროცესებმა თავისებურ მწვერვალს მიაღწია. სტურუას ძიებებმა დროისა და სივრცის ფარდობითობის ჩვენებისა და უნივერსალური ნიღბის შექმნის თვალსაზრისით, „გოდოს მოლოდინში“ დასრულებული სახე მიიღო. ესტრაგონი და ვლადიმირი – ცხოვრების არენის „ჯამბაზები“ – ადამიანის ბურების „ყველა შესაძლო თვისების მატარებლები გახდნენ“. ხან ირონიით, ხან ტკივილითა და სასოწარკვეთით, ხან ხუმრობით გათამაშებულ მცირე სცენებში – ე.წ. „ლაცოებში“ – საონოება, სიყვარული, შური, ეჭვი, შიში, თანაგრძობა, სიბრძე და გულუბრყვილობა, სისახტიკე და ლმობიერება ერთმანეთს ცვლიდა, ავსებდა, უპირისპირდებოდა და, ზოგადად, ადამიანის ფსიქიკურ თვისებათა მთელ სპექტრს წარმოგვიდგენდა. მოქმედების „დრო“ ერთი დღის ხანგრძლივობამდე შემცირდა და ყველა შესაძლო დროის მონაკვეთის სიმბოლოდ იქცა – წამიდან მარადისობამდე. სივრცე – ერთი ხის ირგვლივ მდებარე მიღამოთი შემოიფარგლა და მოქმედების ყველა შესაძლო ადგილის იდეა გააერთიანა. გაქრა სხვაობა წარსულსა და მომავალს შორის, „იქ“-სა და „აქ“-ს შორის. მოინახა ყოფიერების მოდელის ამსახველი უნივერსალური მეტაფორა, უმარტივესი „ელემენტი“, „ატომი“, რომლის საშუალებითაც ყოველგვარი არსებობის აღწერა შესაძლებელი გახდა. ამ მოდელის მიხედვით, ადამიანის მიერ თავისი ეგზისტენციის განცდას სჭირდება დროის მსვლელობისა და ყოფიერების წერტილის „იდეა“ და, რაც მთავარია, მისი არსებობის პროცესის „უწყვეტი“ დამსწრის ყოფნის

შეგრძნება. სწორედ ეს უხილავი დამსწრეა გოდო, რომელსაც ვლადიმირი და ესტრაგონი ერთი ხის ძირას ყოველდღე ელოდებიან და რომელიც არასოდეს მოდის.

ადამიანი – ღმერთის ურთიერთობის იდეაც მაყურებლისა და შემსრულებლის ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. როგორი შენიღბულიც არ უნდა იყოს „ღმერთი“, ის მაინც მუდაშ „ავლენს“ თავს და მარად ადამიანის „თვალთვალშია“. ადამიანი ღმერთის მოლოდინით არსებობს, ღმერთი – ადამიანის ლოდინის იდეით საზრდოობს. პერიოდულად ისინი როლებს ცვლიან – ადამიანი მაყურებლად იქცევა და ღვთის „გამოცხადების“ მომსწრე ხდება. ამ თვალსაზრისით, უხილავი გოდო სხვადასხვა – ლითონის ხის და მისი მოძრავი ტოტების, პოცოსა და ლაქის, ბიჭისა და მის მიერ მოტანილი წერილების და ა. შ. სახით მრავალგზის ეჩვენება ვლადიმირსა და ესტრაგონს, მისი დანაბარები კი – ამ ხის ძირას მელოდეოთ – წარმოდგენაზე მიაპტიჟებს ჰგავს.

სპექტაკლის ერთ-ერთ სცენაში ესტრაგონი (ზაზა პაპუაშვილი) და ვლადიმირი (ლევან ბერიკაშვილი) მაყურებლების არსებობას „აღმოაჩინენ“. ისმის აღფრთოვანებული შეძახილების ხმა „ჯამბაზები“ ჯერ თავმომწოდებ ეცილებიან ერთმანეთს მასის აღიარებას, შემდეგ კი მათ მიერ ნატყორცნ დამპალ ხილსა და ლაყე კვერცხებს „იგერიებენ“. აქვე გათამაშდება მიმიკური ინტერმედია, რომელშიც რეჟისორი აღიარების „ამაო“ სურვილსა და ღვთისმოშიშობას შორის ტოლობის ნიშანს დასვამს. ერთი ხალხის გულის მოგებაზეა მიმართული, მეორე კი უფლის მიერ ცნობაზე. ესტრაგონი ბრბოს მოგუგუნე თავვანისცემის „მართვას ისწავლის“, მუჭმი „მოქცევს“ და ხელში აბურთავებს, ხან მარაოსავით გაშლის და მისი გრგვინვა-გრიალის სმენით ტკბება, ხან კი დაკეცავს, „დაამრგვალებს“ და ვლადიმირს გადააყლაპებს. მიყურადებულ ცნობისმოყვარე ესტრაგონს ახლა ვლადიმირის მუცლის წიაღიძნ მოესმის აღფრთოვანების ყრუ შეძახილები. მოულოდნელად ბრბოს ყიუინის „მოგუდულ“ ხმაურს სასულიერო გალობა ცვლის, რომელიც ღვთისმოსავი ვლადიმირის გულში აჟღერდა. ვლადიმირს უზენაესი „მაყურებელი“ და მსაჯული გაახსენდა. ესტრაგონი სასწრაფოდ მოთოკავს რელიგიური მეგობრის გულის მელოდიურ ჟღერას და კვლავ სახალზო აღიარების მაამებელი ჰანგებით ტკბება. მოლოდინით, იმედითა და იმედგაცრუებით დატანჯულები, ვლადიმირი და ესტრაგონი დაღამებას ელოდებიან,

ღამე და ძილი თუ მოიტანს ცოტა ხნით შვებას. და აი, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად ცაზე ვეება მთვარე ამოდის, როგორც ერთადერთი ახდენილი ოცნება და ღვთის წყალობა; ამოდის და „იმდღევანდელ“ კომედიას შვებით ასრულებს. იქნებ ადამიანი მაინც უკვდავია...? იქნებ ღმერთი მართლაც არსებობს...? ვინ იცის!...

„გოდოს მოლოდინშიც“, ისევე, როგორც თავის მრავალ სხვა სპექტაკლში, სტურუა რამდენიმე ფინალის დადგმის მისთვის საყვარელ ხერხს მიმართავს. ამით იგი თავისი პოზიციის ორმაგობას აფიქსირებს, თავისი მსოფლმშედველობის თავისებურებას ამხელს, რომელიც ერთდროულად სკეპტიკურიც არის და იმედიანიც. ვლადიმირი და ესტრაგონი წასასვლელად ემზადებიან, მთვარემ დღის დასასრული უკვე ამცნო მათ, მაგრამ მანამდე, სპექტაკლის სხვა მონაწილეებთან ერთად, სიმღერა უნდა იმღერონ პატარა ძალლზე, რომელიც ასე ჟღერს:

„ძალლი ღუქანში შეიპარა,
პურის ქერქი მოიპარა.
თავში ჩასცხეს ცული –
განუტევა სული“.

„გოდოში“ მოკლული ძალლი 2003 წელს თემურ ნინუას მიერ სპექტაკლ „სტიქსისთვის“ შექმნილ დეკორაციაში „გაცოცხლდა“. „სტიქსი“ რ. სტურუამ გია ყანჩელის მიერ ალტისა და ქოროსთვის შექმნილი ნაწარმოების მიხედვით დადგა და ახლობელთა და მეცნიერთა ხსოვნას მიუძღვნა. ეს რეჟისორის მესამე არავერბალური სპექტაკლია. აქ რობერტ სტურუას დამოკიდებულება პოეზიისა და მუსიკის სულისადმი, თეატრის მუსიკასთან ნათესაობის შესახებ მისი თვალსაზრისი სრულად გამოჩნდა; მან სიტყვა „სტიქსის“ ფოსფორესცენცია გამოავლინა და მარადიული შეხვედრის მდინარის ისტორია პლასტიკურად მოგვითხრო. რეჟისორმა პაუზებიც მუსიკალურად ააქცირა და აქცირებული მუსიკის უხმო უკერტიურად აქცია. თუმცა სპექტაკლი, როგორც რეჟისორი თვითონვე აღნიშნავს, თავისი სპონტანური ლოგიკით განვითარდა. პროცესის ერთგვარი ავტომართველობა, შემთხვევითობის ლოგიკისათვის ყურის დაგდება სულ უფრო დიდ როლს თამაშობს რეჟისორის შემოქმედებაში, რომელიც მთელ რეალობას (რეალურსა და მხატვრულს) ერთიან უწყვეტ, ურთიერთდაკავშირებულ პროცესად აღიქვამს. შესაბამისად,

„სტიქსის“ დადგმის ტექნოლოგია, მისი მედიტაციური სიჩუმე და მაყურებელთან ტელეპატიური კავშირი არქეტიპის, ფსიქიკის წიაღში არსებული მითის თვითდემონსტრაციაა. თუმცა, სპექტაკლის გამჭოლი იდეა და ლერძი, რომელიც გახსენებისა და თვითშეცნობის პროცესს მიჰყვება, არის სიყვარულის უსასრულობა. კოლექტიური ყოფიერების რიტუალური ექსტაზი სპექტაკლში ეგზისტენციური მარტოობის სურათებს ენაცვლება, შეილთა რბევას მამის წინააღმდეგ ამბოხი და მისი მკვლელობა მოჰყვება, მხოლოდ სიყვარულის თემა უბრუნდება ჯოუტად თავის თავს და „ცივ სამარეში ჩამარტულიც“ მკვდრეთით აღდგება. ფინალშიც ორი შეყვარებული ერთმანეთის პირისპირ დაჩრიქილა, საყველთაო ბაქქანალიის ფონზე კაშკაშა თეთრი სინათლის უძლიერესი ნაკადი მათ ფიგურებს ერთიანი ფონიდან ერთბაშად მოწყვეტს და მოვლენათა თავბრუდამშვევ წრებრუნვას ჩამოაშორებს...

სპექტაკლში „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“ რეჟისორმა დადგმის ე.წ. შერუელ ტექნიკას მიმართა და ორი აქტი, ერთი შეხედვით, რადიკალურად განსხვავებულ ესთეტიკაში წარმოადგინა. პირველი აქტი, რომელსაც, პირობითად, კულტურის მეტაფიზიკა ვუწოდეთ, ხალხური პერსონაჟის – ვალიკოს დაცემულ ანგელოზებთან შეხედრის ისტორიას მოგვითხრობს. ეს ერთგვარი პიპერთხრობა, რომელიც „ანგელოზთა ენაზე“ მიმდინარეობს, ასე ვთქვათ, ფარულ აპოკალიფსურ მესიჯს შეიცავს და, ისევე, როგორც „ლირი“, სამყაროს მორიგ დასასრულს მოასწავებს, რომელიც მეორე მოქმედებაში „კულტურის ფიზიკაში“ – ტოტალური სამოქალაქო ომითა და დაცემული ანგელოზის „გაპრეზიდენტებით“ სრულდება.

„ლირის“ მოულოდნელი ვარიაციები „დარისპანის გასაჭირშიც“ იჩენს თავს და მარად მოხეტიალე და მოყვარული მამა-შვილის, დარისპანისა და კაროქნას წყვილში განსხეულდება. დარისპანის შიდა ამბავი „იხსნება“ და თავის „სხეულში“ მოარულ დრამატულ და ვიზუალურ მითოლოგიურ კოდებს – (მიკრომითებს) „შემოუშვებს“. ეს სპექტაკლი და მისი პოეტურ-ასოციაციური წყობა, რომელიც დაუსრულებელ, ურთიერთშეჭრილ და ურთიერთგარდამავალ, სხვადასხვა ბუნების სიმბოლოთა და „ვიზუალურ ფრაზათა“ და ციტატათაგან შედგება, მოულოდნელად კაროქნასა და ნატალიას ბუკვალური „ამაღლებით“ სრულდება, რაც, ერთი მხრივ, საკუთრივ სტურუას „ლამარას“ ფინალს მოგვაგონებს, ხოლო, მეორე მხრივ,

სპექტაკლის „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი“¹ დასასრულს ირონიულ-პოლემიკურად ეხმანება, სტურუას „წარმოდგენათაშორის“ დაღლოგში ჩაერთვება და სხვადასხვა მითთა „გაბაასებაში“ მონაწილეობს.

რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას მოღვაწეობის რეტროსპექტული ანალიზი გვჩვენებს, რომ რეჟისორის შემოქმედებაში მითისადმი, როგორც კულტურისა და ფსიქიკის მარეგულირებელი ფენომენისადმი, დამოკიდებულება (ა) საკრალურ-პროფანულის დაღლებითი ხასიათდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მითის დაძლევა, მისი ‚შხილება‘ თუ მის გარეთ გასვლა მეორე მითში მოხვედრას გულისხმობს. თავად მითების მსხვრევა და ახალი მითების შექმნა არქეტიპად და ადამიანის ქცევის მოდელად იქცევა; მითის საბოლოო დაძლევა კულტურის კოლაფსის, შესაბამისად, ხელოვნების (თეატრის) დასასრულის ტოლფასია; (ბ) მითი და არქეტიპი კულტურის ყველა ფენომენს განმსჭვალავს და გარე და შიდა, ფიზიკურ და ფსიქიკურ რეალობათა მარეგულერებელ პრინციპს წარმოადგენს; (გ) მითები დროსა და სივრცეში თანაარსებობენ, თავის მხრივ, დრო და სივრცეც მითიური და ფარდობითია; (დ) მითს სუბსტანციური საფუძველი აქს ანუ მისი, როგორც ‚ფენომენის“, მიღმა ყოველთვის მეტაფიზიკური ნოუმენი იგულისხმება.

ეს ნოუმენი, ერთი მხრივ, ნიცქს „ძალაუფლების ნებაში“ შემოთავაზებულ თვალსაზრისს მოგვაგონებს, სადაც სამყარო განხილულია, როგორც „ენერგიის მონსტრი, დასაწყისის გარეშე, დასასრულის გარეშე: „...ძალა, რომელიც არც მატულობს და არც კლებულობს, რომელიც თავის თავს არ ამოწურავს, არამედ მხოლოდ გარდაიქმნება... ძალთა თამაში და ძალთა ღელვა... სვლა მარტივი ფორმებიდან რთულისაკენ და პირუკუ... ყინულოვანიდან მცხუნვარისკენ... ყველაზე წინააღმდეგობრივი... ეს არის ჩემი მარადიული თვითშექმნისა და თვითგანადგურების დიონისური სამყარო... ჩემი „ბოროტსა და კეთილს“ მიღმა... სამყარო არის ძალაუფლების ნება და სხვა არაფერი! და თქვენც, თქვენდათავად, ასევე ეს უინი ხართ – და სხვა არაფერი!“²

თუმცა სტურუას შემოქმედება, რომლის ძირითადი ნიშან-თვისება თვითპოლემიკურობა და თვითუარყოფაა, მაშინვე ‚შეგვახსენებს‘, რომ „ძალაუფლების ნების“ ეს ნარაცია, შესაძლოა, თავადაც მითიური და ფარდობითია.

¹ Nietzsche F., *The Will to Power*, გვ. 550.

თავი V

სპექტაკლ „სტიქსი“ ფინასორი გაგებისათვის

სპექტაკლი „სტიქსი“ რამდენიმე ამბისგან შედგება. ამბავთა სიმრავლის არსებობის საშუალებას მისი უწივერსალურად პროდუქტიული დინამიკური ფორმა იძლევა. ეს ამბები სპექტაკლის მხატვრული სამყაროს რამდენიმე დონეზეა განფენილი და ადამიანის (მე-ს) რეალობის სხვადასხვა შრესთან მიმართებას გამოხატავს. სპექტაკლის „ინფორმაციული სისტემა“ პლასტიკურ და საზრისობრივ სიმბოლოთა სახით მოგვეწოდება. ამ მხატვრული მოვლენის მხატვრული და ფილოსოფიური არსის ანალიზისას მისი ყველა ასპექტი იძენს მნიშვნელობას.

უპირველეს ყოვლისა, არ არსებობს ის მკაფიო ზღვარი, ზღურბლი, რომელიც საკუთრივ სპექტაკლის მოქმედების დასაწყისს გვაუწყებს. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ უკვე მიმდინარე პროცესის მომსწრენი და მონაწილენი ვხდებით, პროცესისა, რომლის დინებაში ჩვენ იმთავითვე ვართ ჩართულნი (ან ჩაფლულნი, როგორც ამას თვითონ რევისორი იტყოდა). შეიძლება ითქვას, რომ „სტიქსი“, რომელიც სტურუას კონცეპტუალური თეატრის ერთგვარ „ექსტრაქტს“ წარმოდგენს, თეატრალური ქედების ბუნების შესახებ პრინციპულად ახალი თვალსაზრისის პრაქტიკული დემონსტრაციაა. აქ უკვე საუბარია არა მხოლოდ რეალობის ასახვის ხერხებსა და ილუზიის ხარისხზე, არა მხოლოდ ამბავზე (მითზე), არამედ ამბის შექმნის, მისი დაბადების პროცესზე; არა მხოლოდ უკვე არსებულ ‘შხა’ მითზე, არამედ მის სპონტანურ გამოვლინებაზე. წიგნში „ავანგარდის თეატრი“ კრისტოფერ ინგის პიტერ ბრუკისა და ეჟი გროტოვსკის შემოქმედებათა შედარებითი ანალიზისას წერს:

„მაშინ, როდესაც ბრუკის ინტერესი მითოლოგიური არქეტიპების აღმოჩენისკენ იყო მიმართული და სპექტაკლისკენ მიდიოდა, გროტოვსკის მოთხოვნა სპირიტუალური თერაპია გახლდათ. იგი რიტუალურ ფორმებზე (მითოსური მასალის ნაცვლად) აქთებდა აქცენტს, რამაც განაპირობა დრამის, როგორც ‘პროცესის’ (და არა როგორც ‘პროდუქტის’) გაგება და საჯარო წარმოდგენების ტრადიციიდან მისი სრული ამორთვით დასრულდა. ეს განხეთქილება ავანგარდის მოძრაობისთვის დამახასიათებელ განშრევებას ასახავს, რომელიც ცხადად გამოვლინდა უკვე გერმანული ექსპრესიონისტებისა

და არტოსა და ფრანგი სიურრეალისტების დაპირისპირების მაგალითზე... გროტოვსკი თავის მიზნებს მარტივად განმარტავდა – მას სურდა, „გადაელახა მიჯნები „მე-სა“ და „შენ-ს“ შორის... ეპოგა ის ადგილი, სადაც ასეთი „ზიარება“ შესაძლებელი ხდება“.¹

ციტირებულ მონაცემთში კარგად ჩანს ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს ავანგარდის თეატრის წარმომადგენელთა მიერ მითისა და რიტუალისადმი მიმართვის ფორმებს. „სტიქსის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ კერძო შემთხვევაში, დრამისადმი ორივე ზემოაღნიშნული მიდგომის სინთეზთან გვაქვს საქმე. რობერტ სტურუას სურს, დრამის ბუნება „შეიმეცნოს“ და მასში ცვალებადისა და უცვლელის დიალექტიკა წარმოადგინოს. შესაბამისად, აქვე ვწედავთ მის ინტერესს დრამის, როგორც მითოსური არქეტიპების შემცველი ფენომენისადმი. ასეთი მიდგომის შედეგად, სპექტაკლის მეშვეობით, რიტუალსა და მითს შორის კაშირის იდეაც დასტურდება – მითი „რიტუალიდან“ იბადება. თუ მითს განვიხილავთ, როგორც ტოპოსს – ყოფიერების სივრცეს, მაშინ რიტუალი, მისი ქმედითი პროცესუალური ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ქრონისა – ყოფიერების დრო. შესაბამისად, სტურუას „სტიქსში“ ქრონისა და ტოპოსს (სივრცესა და დროს), მითსა და რიტუალს შორის არსებული ძირეული ერთიანობაა ნაჩვენები.

ბუნებრივია, დგება ამ შემოქმედებითი ფენომენის რაობისა და ბუნების განსაზღვრის საკითხი. ვინაიდან თავად რეჟისორი ამ საკითხის გარკვევას თეორეტიკოსებს ანდობს („მირჩევნია ეს სხვებმა დაინახონ და დაწერონ“²), თავს უფლებას ვაძლევთ, რომ „სტიქსის“ სემანტიკურ თუ პლასტიკურსა და სიმბოლურ ველში ამოკითხული ჩვენი თვალსაზრისი შემოგთავაზოთ. ამის უფლებას მხატვრული ფენომენის წვდომის, მისი გაგების შესახებ არსებული თვალსაზრისებიც გვანიჭებს. „ინტერპრეტაცია ტექსტის გაგების საფუძველია... გაგება ინტრეპრეტაციის შემოქმედებითი რეზულტატია... პერმენევტიკულ წრეს, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული მთლიანობის წინასწარი დადგენა, შემდეგ კი ნაწილთა ამ მთლიანობასთან კაშირები განხილვა გახსნის“³.

მაშასადამე, ჩვენ მხატვრული მოვლენის მთლიანობის გარკვეული წინასწარი გაგება უნდა შევქმნათ, რომელიც შემდგომ

¹ Innes C., *Avant Garde Theatre - 1892-1992*, გვ.150.

² ბოკუჩავა თ., „ილარიონი იორდანებდე, იორდანებდან სტიქსამდე“, გვ.71.

³ Борев Ю., *Эстетика*, გვ. 622.

ნაწარმოების საზრისის სიღრმისეული წვდომის შესაძლებლობას მოგვცემს. ეს თვალსაზრისი, სხვა მხატვრულ მოვლენათა მსგავსად, სპექტაკლ „სტიქსზეც“ შეგვიძლია გავავრცელოთ, რადგან მისი მხატვრული ენის თავისებურება მაყურებელთან აქტიურ ემოციურ და ინტელექტუალურ დიალოგზე, თანაშემოქმედებაზეა გათვლილი, მისი მხატვრული ტექსტი კი ინტერპრეტაციისთვის გახსნილია.

სწორედ ამ გარემოების გამო გადავწყვიტეთ, სანამ „სტიქსის“ კონკრეტული მხატვრული რეალობის შესახებ ვისაუბრებდეთ, სპექტაკლის ერთგვარი „წინასწარწვდომის“ შედეგად შემუშავებული ვერსია წარმოვადგინოთ. „წინასწარი გაგება განსაზღვრავს გაგებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია იმ კულტურის ტრადიცია, რომლის ველშიც მიმდინარეობს ნებისმიერი სახის ინტერპრეტაცია¹, – გვეუბნება იური ბორევი. თანაც, თავად ჩვენს ასოციაციურ და ლოგიკურ აზროვნებასაც ეტაპობრივად, ერთი მხრივ, უძველესი ტრადიციის წიაღისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, ფინქიკის „წიაღისკენ“ მივყავართ.

სპექტაკლის დასაწყისი, როგორც ვთქვით, მკვეთრი მიჯნითა და მოვლენით არ არის აღნიშნული. ის ერთბაშად, ყოველგვარი „განცხადებისა“ და „უწევების“ გარეშე იწყება. უურნალ „არილში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში რობერტ სტურუა ამბობს, რომ თანამედროვე ადამიანმა მხატვრული ფენომენისა და, ზოგადად, რეალობის წვდომისა და გაგების ისეთ სტადიას მიაღწია, როცა მას მსახიობის აზროვნებაც კი „ესმის“. ალბათ ამით უნდა აიხსნას რეჟისორის „მეტყველი დუმილი“, მისი გამომსახველობითი მინიმალიზმი, მეტაფორების თავშეგავებული ასკეტურობა, რომელიც 90-იანების ზოგიერთი სპექტაკლის ესთეტიკის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. სტურუას თქმით, ეს პროცესი „ლამარაში“ დაიწყო. უსტი, მიმიკა, მეტაფორა უფრო „ინტრავრტული“, „მჭვრეტელობითი“ გახდა, გაიზარდა მაყურებლისადმი ნდობის ხარისხიც, განმარტებითი, მითითებითი, თვალსაჩინო და დიდაქტიკური ინტელექტუალიზმი ფარული თანამოაზრებით, თანაშემოქმედებისა და თანამონაწილეობის განცდით შეიცვალა. „სტიქსი“ ამ პროცესის უკიდურეს თუ ზღვრულ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს. აქ მაყურებელი მოქმედების თითქმის ცენტრალურ ფიგურად იქცევა. მხატვრულსა და რეალურ რეალობას შორის ზღვარი პირობითად

¹ Борев Ю., Эстетика, გვ. 623.

წაშლილია. თუმცა, ჩვენ ყოველდღიური ცხოვრების ფოტოგრაფიული ანარეკლის მომსწრენი კი არ ვხდებით, არამედ წარმოდგენა რეალობის სხვა სიღრმისეულ საზრისობრივ ველსაც აირეკლავს. სპექტაკლი მაყურებლის ფსიქიკის კოლექტიურ არსში მიმდინარე პროცესების „მიმეზის“, არქეტიპის „გადმოდინებისა“ და „მზერის საშუალებით“ სააშკარაოზე გამოტანის პროცესს წარმოადგენს. ეს ერთგვარი კოლექტიური მედიტაციაა, რომლის დროსაც მზერა ფსიქიკის რეალობისა და მისი პოტენციური არქეტიპული არსის სამზეოზე გამოტანის, მისი „განსახიერების“ საშუალება ხდება, ხოლო მსახიობი მაყურებელსა და სცენის სივრცეს შორის მედიატორის ფუნქციას ასრულებს. მსახიობი მაყურებლის ფსიქიკური ენერგიისა და მისი წარმოსახვის იმპულსების მიმღებია, იგი ამ იმპულსების ზემოქმედებით „ცოცხლდება და მოქმედებს“. თუმცა, ამავე დროს, ის თვითონ არის მაყურებელი – დარბაზში „იმავეს“ ხედავს, რასაც დარბაზი – სცენურ სივრცეში. ეს ორმაგი, ორმხრივი რეფლექსის, ორმაგი ეგზისტენციის ეფექტი რეჟისორმა გაზრაზე შექმნა. ესეც ცხოვრებისა და თეატრის ფილოსოფიური გათანაბრების ტენდენციაზე მიგანიშნებს. ოღონდ თეატრი ადამიანის კოლექტიურ არაცნობიერს, მასში არსებულ „აბსოლუტურ სულსა“ თუ „დვთავებას“ შორის მედიაციის საშუალებას, რეალობის ჭეშმარიტი საზრისის დანახვის გზას წარმოადგენს. ინტერვიუში „ილირიიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე...“ რეჟისორი თეატრის ფუნქციონალური დანიშნულების მისეულ ხედვას გვთავაზობს: „სცენაზე აუცილებელია იყოს ჩვენივე ცხოვრება, მაგრამ კიდევ უფრო მძაფრ მდგომარეობაში, მაშინ შენ საშუალება გეძლევა, რომ, ჯერ ერთი, გაიგო რა არის სამყარო, რა კანონები ამოძრავებს მას და მერე საკუთარ თავზეც იფიქრო და მიხვდე, რომ შენს უფერულ ცხოვრებასაც, სინამდვილეში, იგივე ემოციური დატვირთვა და შინაარსი აქვს“!¹ სტურუას ეს სიტყვები, რობაქიძის მიერ ქართული ექსპრესიონისტული თეატრისთვის გამოთქმულ მაქსიმას გავვაჩერებს: მწერლის აზრით, ექსპრესიონისტული დრამის დანიშნულებაა, აჩვენოს „სიცოცხლე აბსოლუტურში“. სტურუას სიტყვებში ანალოგიური შინაარსის ამოკითხვა შეიძლება. რეჟისორი ფიქრობს, რომ თეატრის მეშვეობით ჩვენ უნდა გავიგოოთ სიმართლე სამყაროს შესახებ, „დავინახოთ და მიგვდეთ, რომ ჩვენს ცხოვრებასა და სამყაროს ყოფიერებას შორის ფუნდამენტური კავშირი არსებობს, რომ ერთი მეორეს იმეორებს,

¹ ბოკუჩავა თ., „ილირიიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე“, გვ. 66-67.

ერთი მეორის ნაწილია, რაც ადამიანის ეგზისტენციისა და სამყაროს წარმოშობის საერთო ფესვებზე მოგვანიშნებს“¹.

„ლამარას“ დაწერის ისტორიის თხრობისას რობაქიძე შენიშნავს, „ლამარა“ ქვეშეცნევის წიაღიდან „შთამესახაო“. მნელი მისახვედრი არ არის, რომ მწერალი ქვეშეცნევაში არაცნობიერ ფსიქიკას გულისხმობს. თუ ქვეშეცნევის ცნებას აბსოლუტურში სიცოცხლის წარმოდგენის მისავე თვალსაზრისთან შევაკერებთ, ცხადი გახდება, რომ რობაქიძე აბსოლუტსა და ფსიქიკის შინაარსს შორის ძირეულ კავშირს ხედავდა.

სწორედ ეს პოზიცია უნდა გახდეს სპექტაკლის თეატრალური ესთეტიკის პრინციპის, მისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლებისა და ერთანი მხატვრული კონცეფციის ახსნის ამოსავალი, „სტიქსი“ გლობალური მითის თუ ნარატივის (სათხრობის, სათქმელის) კონსტრუირების საფუძველი. მაშასადამე, „სტიქსი“ როგორც სინამდვილის გლობალური ხედვის ფენომენი, კონკრეტული კანონების მქონე სამყაროს შესახებ მოგვითხრობს. რეჟისორს ისეთი ვითარების შექმნა სურს, რომელიც, ეუი გროტოვსკის სიტყვებით თუ ვიტყვით, „მე-სა და შენ-ს“ შორის არსებული საზღვრების გადალახვის შესაძლებლობას მოგვცემს, ხოლო სტურუას სიტყვებიდან გამომდინარე – სამყაროსა და ადამიანის შეხებისა და მათი ეგზისტენციის საერთო საფუძვლების განცდის საშუალებას.

სად შეიძლება ეს საზღვრები გადაილახოს? – ხელოვნებაში, რომელიც უჩინარის, მარადიულის, კანონზომიერის დანაწვის შესაძლებლობას გვაძლევს. მხოლოდ ასე თუ ჩავწედებით ჩვენი განკერძოებული არსებობის საერთო საფუძვლებს. სად არის ეს საფუძვლები? – აბსოლუტში, ღმერთში თუ კოლექტიურ არაცნობიერ ფსიქიკაში, რომელიც, როგორც ოკეანე, ინდივიდუალური ცნობიერების საძირკვლები მდებარე არაცნობიერის კოლექტიურ სიღრმეებში ღელავს. აქედან გამომდინარე, სიტყვა „სტიქსი“, როგორც მიჯნის სიმბოლო, როგორც სულთა სააქაოდან საიქიოს გარდავლენის მეტაფორა, საყოველთაო „შეხვედრის ადგილის“ სიმბოლოც ხდება. ექსპრესიონისტულად გლობალური ხედვის გარდა, სპექტაკლის სტრუქტურასა და სიმბოლიკაში იუნგის ანალიზისა და ფრონდის ფსიქოანალიზის „ესთეტიკური კვალიც“ შეინიშნება.

წარმოდგენის ერთ-ერთი ძირითადი არსებითი თავისებურება

¹ ბოკუჩავა თ., „ილირიიდან იორდანემდე, იორდანედან სტიქსამდე“, გვ. 66-67.

მის დასაწყისშივე გაცხადდება. შესაბამისად, პირველი რეციპიენტი, ინფორმაციის გამტარი და ინტერპრეტატორი მსახიობია, ხოლო მეორე – მაყურებელი. გარდა ამისა, „სტიქსში“ მაყურებელის, როგორც შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტის, იდეა ძალზე თვალსაჩინოა.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც ყურადღების გამახვილებას პრინციპულად მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, არის მსახიობის შთაგონების წყაროს საკითხი. სპექტაკლი „სტიქსი“ განხილვისთვის სწორედ იმ მოტივით ავირჩიოთ, რომ მასში თეატრალური ქმედების ფენომენის წვდომისადმი თვალსაჩინოდ კონცეპტუალური დამოკიდებულება იკითხება. რაც შეეხება მსახიობის ინსპირაციას, აյ აუცილებლად უნდა გავიხსნოთ პლატონის მიერ დიალოგ „იონში“ დასმული პოეტური ზეშთაგონების საკითხი. დიალოგი ბერძენი მსახიობის – რაფსოლ იონისა და სოკრატეს საუბარს გადმოგვცემს, სადაც სოკრატე იონს ღვთაებრივი ზეშთაგონებით აღტკინებულად აცხადებს: „იონ: შეე რომ კარგად ლაპარაკობ ჰომეროსზე, ამის მიზეზი... ხელოვნება კი არ არის, არამედ ღვთიური ძალა, რომელიც ისე გძრავს და გაღელვებს, როგორც იმ უცნაურ ქას, რომელსაც ევრიპიდე მაგნესიურს უწოდებს. ... დიდი ეპიკოსი პოეტები საკუთარი ხელოვნების კი არა, ზეშთაგონებისა და ღვთიური სიშმაგის წყალობით თხზავენ თავიანთ მშვენიერ პოემებს. იგივე ითქმის ლირიკოს პოეტთა მიმართ: ღვთიური სიშმაგით ცნობამიხდილნი და აღტკინებით მროკავი კორიბანტების მსგავსად, ისინიც ცნობამიხდილობის უამს ქმნიან თავიანთ მოშენებლავ ღერესებს; როცა მათ ეუფლებათ ჰარმონია და რიტმი, ბაკეურ ექსტაზში დანთქმულნი, ბაკენტებივით ხარბად ეწაფებინ მდინარეებით ნადენ თაფლსა და რძეს...“¹ „სტიქსში“, როგორც „ორმსრივი ასახვის“ ნიმუშში, შთაგონების ერთ-ერთი საწყისი თავად მაყურებლის მზერაა, როგორც აპსოლუტის თვითგამოხატვის „სარკმელი“, რეალობასთან ადამიანის გრძნობადი კავშირის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. მსახიობები ამ იმპულსთა მიმღები ზემგრძნობიარე მეკავშირნი არიან. თავად რობერტ სტურუა ჩვენ მიერ უკვე ხსენებულ ინტერვიუში ხშირად იმეორებს, რომ მსახიობები „გიპსოტიზორები და ტელეპატები“ უნდა იყვნენ, რომ „სტიქსში“ მონაწილენი „ერთგვარ ტრანსში არიან და... დროთა მანძილზე, ამ მდგომარეობიდან სულ უფრო მეტ სიამოვნებას იღებენ“. აქედან

¹ პლატონი, ონი, დიდი პიპა, ჭერინი, გვ. 30.

გამომდინარე, „სტიქსის“ საკომუნიკაციო ჯაჭვში, თეატრალური რეფლექსისა და ინსპირაციის ერთ-ერთი მიზეზი მაყურებლით გაშუალებული ‘აბსოლუტია’ ანუ „ღვთაებრივი არაცნობიერი“.

სცენაზე შემოსვლისთანავე მსახიობები უსიტყვოდ სხდებიან და მაყურებელს დიდხანს დაკვირვებით უცემერენ. ეს უაღრესად კრეატიული პაუზაა, რომლის ანალოგი რეჟისორის შემოქმედებაში, ალბათ, მის „მეფე ლირში“ თუ მოიძენება. მხედველობაში გვაქვს ლირის პირველი გამოჩენის ცნობილი სცენა. ამ პაუზის განმავლობაში ხდება მსახიობი-რეციპიონტის მიერ მაყურებლისგან ინფორმაციის მიღება და მოქმედების ენაზე მისი თარგმნა. მაშასადამე, მაყურებელი ინფორმაციას არა მხოლოდ იღებს, არამედ გასცემს. ეს „საკუთარი თავიდან“ ფსიქიკის წაიღში გათამაშებული დრამის პროცესია. ადამიანი გასცემს, ქმნის და გაცემთა და შექმნით შეიმეცნებს. ის საკუთარი „სახისა და ხატების“ მიხედვით „ქმნის“ სინამდვილეს. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ესეც რეჟისორის მიერ შემოთავაზებული კონცეპტუალური და ესთეტიკური პირობაა და არა უპირობო რეალობა. სპექტაკლში რეჟისორი მხატვრული ასახვის ვექტორს ცვლის და მას ორმხრივობას ანიჭებს. სამყაროს შექმნა ადამიანის მეშვეობით ხდება, იგი „სივრცისა“ და „მზერის“ შეხვედრის ადგილას იბადება.

რა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სპექტაკლის დასაწყისი შემოქმედების ზემოთ აღწერილ აქტს გავუთანაბროთ? – ისევ სპექტაკლის სახელწოდება „სტიქსი“, როგორც მივწის, მიწიერი სიცოცხლის დასასრულის მითოლოგიური სიმბოლო. არ შეიძლება ისაუბრო მიწიერი არსებობის დასასრულზე მიწიერი არსებობის დასაწყისის გააზრებისა და მასზე წარმოდგენის შექმნის გარეშე. სიცოცხლის დასასრულის აბსოლუტური და საყოველთაო მივწინა ასეთივე საყოველთაო დასაწყისის ზღვრის დაწესებასაც მოითხოვს. როდესაც სიკვდილზე ვფიქრობთ, ის სიცოცხლის მივწინად წარმოგვიდგება. თუ ვიფიქრებთ, რომ სიცოცხლე მიჯნებშია მოქცეული, მაშინ მას დასაწყისიც უნდა მივანიჭოთ. შესაბამისად, სპექტაკლიდან გამომდინარე, სცენაზე სიცოცხლის დასაწყისის მომენტი უნდა დავადგინოთ, ადამიანის დაბადების მომენტი უნდა აღვნუსხოთ. სწორედ ეს გარემოება წარმართავს ჩვენს აზრს მზერით დაწყებული სასცენო ცხოვრების იდეისაკენ. მაშასადამე, სცენური სიცოცხლე მაყურებლის მზერით იწყება. ეს შემოქმედებითი,

პროდუქტიული მზერაა, რომელმაც შედეგად „წაკითხვისათვის გახსნილი პროდუქტიული ფორმა“ უნდა შექმნას. ფილოსოფოსი გეორგ ზიმელი გოეთეს ფენომენისადმი მიძღვნილ წიგნში წერს: „ამბობდა რა, რომ ხელოვანი იდეას თვალით ხედავს, გოეთემ, იმ უზენაესი ინტელექტუალიზმის წყალობით, რომელიც მას საკუთარი თავის შემეცნების საშუალებას აძლევდა, გამოხატა მხოლოდ ის, რაც ყოველ შემოქმედზე შეიძლება გავავრცელოთ. იმის მტკიცება, რომ იდეა საგანთა უშუალო რეალურობაში ცოცხლობს და გრძნობადი აღქმისთვის ხელმისაწვდომია, სხვა არაფერია, თუ არა ხელოვანის პროდუქტიულობის ობიექტური გამოხატულება, რომლის ჭვრეტა უკვე ფორმირება. ის რომ გრძნობადი აღქმის ჩვეული გაგებით მზერდეს, მაშინ პროდუქტიული კი არა, რეცეპტიული იქნებოდა. მზერა, ჭვრეტა (anschauen), – ამბობს გოეთე, – უნდა განვასხვაოთ ცქერისაგან (ansehen). ვინაიდან ხელოვანი, ფაქტობრივად, ქმნის, ე.ი. ქმნის იდეიდან, მაგრამ ამ დროს თვალწინ გრძნობადად რეალური „ხატება“ უდგას, ხატება, რომელიც, როგორც ასეთი, იდეის უშუალო მაუწყებელი და მისი ხილული სახეა“.¹

როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, გოეთეც „იცნობს“ პროდუქტიულ „მზერას“, რომელსაც ის ჩვეულებრივი „ცქერისგან“ განასხვავებს. ზიმელის აზრით, მზერა გოეთესთვის, ისევე, როგორც სიტყვა სიმბოლისტებისთვის, შემოქმედებითი აქტია და, შესაბამისად, მოქმედებას უტოლდება. „სულისა და სულთა პარმონიაში და თვალის მზიურობაში ცხოვრობს ღმერთი-ბუნება“, – დაასკვნის ზიმელი.² ფილოსოფოსის მიერ ციტირებულ გოეთეს თვალსაზრისში მეოცე საუკუნის მთელ ფსიქოლოგიურ აღმოჩენათა წინასწარგანჭვრეტა იკითხება. „მე რომ ჩემს თავში იმთავითვე მთელ სამყაროს, როგორც წინასწარ ხედვას, არ ვატარებდე, – ამბობს პოეტი, – თვალინდული ბრმა ვექნებოდი“³. „სტიქსში“ რეჟისორის მიერ მაყურებლისთვის საჭვრეტად მიცემული პაუზა იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის მაყურებლის მზერასაც ჭვრეტის შემოქმედებითი ხარისხი გააჩნია; იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს სპექტაკლი-სანახაობა ჩვენივე კოლექტიური არსის დემონსტრაციაა, რომ ჩვენ თავადვე ვართ მიმდინარეზე ‘პასუხისმგებელნი’.

¹ Зиммель Г., *Гете*, გვ. 52.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 53.

როგორც ითქვა, სიტყვას ყოფიერების ინცირების ძალა შესწევს. „სტიქში“ ასახული პოზიცია ცხადყოფს, რომ ადამიანის მზერაც სიცოცხლის ინიცირების საშუალებაა. ჩვენი შემდეგი ამოცანა იმის გარკვევაა, რას წარმოადგენს მზერა, როგორც შემოქმედებითი აქტი და რა კავშირი აქვს მას სცენური სიცოცხლის დაწყებასთან. ამაში დაგვეხმარება გრიგოლ რობაქიძის წერილი „მზის ხანა ქართველთა“.

„დიდი ბრძნის, პლოტინის მსოფლმხედველობაში გვხვდება: „თვალი მზიური“. გოეტჰემ მზიურობა თვალის ერთ თავის შაირში შესანიშნავად გამოკვეთა: „თუ არ იყოს თვალი მზიური, ვით შეეძლოს მას ხილვა მზისა?“ მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახე ამბობს: „თვალი ჩასულა მტევანში“. პლოტინი, გოეტჰე, ქართველი მევენახე ერთ საიდუმლოს აცნობიერებენ, მხოლოდ ერთი განსხვავებით: პლოტინისათვის და გოეტჰესათვის თვალი „მზიურია“, ქართველი მევენახესათვის იგი მზეა თვითონ... თვალი მზეა, ფიქრობს ქართველი, რადგან იცის, რომ მზე და მზერა სადღაც ეთანხმებიან ერთიმეორეს. გავიხსენოთ საბა სულხან ორბელიანის განმარტება სიტყვისა „დმერთი“: „წვა და ხედვა“. ეს განმარტება მზეზეა თითქოს ზედგამოჭრილი. მზე იწვის, არ იფერფლება, „იწვის და მზერს... უძველესი დროიდან სათაყვანო სიმბოლოდ ქართველთა მზისა „სვასტიკა“ ითვლებოდა. კავკანი ჯვარი, ბორბალში მოქცეული. ბორბალი ანიშნებდა მნათობის კოსმიურ ბრუნვას... „ურმის თვალი“, აქ თვალით ბორბალი იგულისხმება“!¹

რობაქიძის ეს მოსახრება ჩვენს პიპოთეზას ესიტყვება და „გვამცნობს“ კავშირს თვალს, მზესა და კოსმიურ ბრუნვას შორის. „მზე არის სიცოცხლის თესლი, — განაგრძობს რობაქიძე, — ქართული ენის მკვლევარი მიხეილ წერეთელი გვამცნევს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში ფესვს „ცხ“... „სიცოცხლე“ და „ცეცხლი“ სიტყვიერი ტყუპები ყოფილან. როგორ გაიხარებდა ჰერაკლიტე ეფესელი, სცოდნოდა მას: რომელიდაც ენაში „სიცოცხლე“ ნააზრევა ვითარ „ცეცხლი!“. სწამდა ხომ მას, რომ სამყაროს ძირითადი თაური ცეცხლია“².

ამ წერილში ავტორი, ფაქტობრივად, პასუხს სცემს ჩვენ მიერ დასმულ საკითხს: შეიძლება თუ არა, რომ სპექტაკლის დაწყების აქტი სიცოცხლის ინიცირებასთან გავაიგოოთ, ხოლო ადამიანის

¹ რობაქიძე გრ., „მზის ხანა ქართველთა“, ჩემოვას სიმართლე კულაფერია, გვ. 68

² იქვე, გვ. 68-69.

თვალი კი მზის, როგორც სიცოცხლის „ღმერთის“ სიმბოლური საზრისით დავტვირთოთ? ასეთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას თავად წარმოდგენის არქიტექტონიკა და მისი ესთეტიკური ხატება გვაძლევს. ამასთან, კულტურული კონტექსტის ნიადაგზე აღმოცენებული ჰერმენევტიკული „წინასწარი გაგების“ ფენომენიც გვიძლებს მხარს. მთ უფრო, რომ რობაქიძე და მისი პიესა „ლამარა“ რუსთაველის თეატრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის „მოვლენას“ წარმოადგენს, მეტიც, სწორედ „ლამარაში“ შეიქმნა და ასახა ამ თეატრის კონცეპტუალური მითი, „მისი“ წარმოდგენიცი სამყაროსა და ადამიანზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მზის სიმბოლიკა რუსთაველის თეატრის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების ცენტრალურ მოტივადაც იქცა. იმავე „დურუჯის“ მანიფესტში, ფრაზაში „მარჯნისფერი მზე“ მზის ცნება ორმაგი დატვირთვით იხმარებოდა. პირველი და მირითადი მნიშვნელობით ის თეატრის რიტუალური განახლების, მისი ხელახალი ინიცირების სიმბოლო იყო, ხოლო შემდგომ კოტე მარჯანიშვილის, როგორც ინიციაციის „ქურუშის“, როლზე მიანიშნებდა. ჩვენი თვალსაზრისის წინამძღვრების მოძიება რეჟისორის ადრეულ ნამუშევრებშიც შეიძლება, კერძოდ, რუსთაველის თეატრში დადგმულ სპექტაკლში „ჰამლეტი“.

როდესაც ყოფნასა და არყოფნას შორის არჩევანის შესახებ მონოლოგის წარმოთქმის დრო დგება, პაპაუაშვილის პამლეტი „უარს ამბობს“ მის წარმოთქმაზე და მონოლოგის ტექსტს წვავს. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს მეტაფორა? რობაქიძე თვლის, რომ ცეცხლი სიცოცხლის სიმბოლოა, ველურ და ინდუსტურ მითოლოგიაში ცეცხლისა და ოჯახური კერის ღმერთს – აგნის, რომელიც, ამასთან, ცეცხლის პერსონიფიკაციასაც წარმოადგენდა, ღმერთებსა და ადამიანებს შორის მედიატორის ფუნქციაც ჰქონდა. საქართველოში ოჯახური კერის ცენტრში აღმართული დედამოძი, ტრადიციულად, მზის სიმბოლური გამოსახულებებით იყო შემკული. როგორც მკვლევარი ირაკლი სურგულაძე მიიჩნევს, დედაბოძი სიცოცხლის ნის განსახიერება უნდა ყოფილიყო, ხოლო მასზე გამოსახული მზე, როგორც სიცოცხლის საწყისის სიმბოლო, ზეციურსა და მიწიერ ცხოვრებას შორის მედიაციის აღმნიშვნელ ნიშნად გვევლინებოდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მონოლოგის ტექსტის დაწვა, როგორც პასუხი ჰამლეტის მიერ საკუთარი თავისადმი დასმულ კითხვაზე, სიცოცხლის „გარდუვალობას“,

მიწიერი არსებობის მარად განხორციელებად განმეორებით კრეაციას გულისხმობს. აღნიშნულ სცენაში გამოკვეთილი კავშირი სიცოცხლის (ყოფნის) და ცეცხლის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს, კავშირის გამოხატულებაა. ცეცხლი, ამავე დროს, მარადიული დესტრუქციისა და მარადიული კრეაციის სიმბოლოც არის, რასაც იმავე ინდუისტური მითოლოგიის „უმაღლეს ღვთაებათა ტრიადის სტრუქტურაც გვიდასტურებს. ბრაჟმა სამყაროს შემოქმედად, ვიშნუ – მის მცველად, ხოლო შივა მის გამანადგურებლად განიხილება. შექმნის, განადგურებისა და დაცვის ერთობლიობა კი „ყოფნისა და არყოფნის“ საფუძველში ერთიანობაზე, მათ მარადიულ მონაცვლეობასა და მათ შორის ჭიდლზე მიგვანიშნებს. ყოფნა მარად ეწინააღმდეგება დესტრუქციას, მარად განადგურებას მარადი ქმნადობა მოსდევს. მზის, როგორც აბსოლუტის სიმბოლოში ქართული ხალხური ცნობიერება ასევე ორი – შემოქმედებითი და დესტრუქციული საწყისების ერთობლიობას „განჭვრეტს“. ადამიანზე, რომელიც აუხსნელი სენით დაავადდებოდა ან განსაკუთრებული უიღბლობა დასჩემდებოდა, დღესაც ამბობენ, „თვალი ეცა“ ან „გათვალიულიაო“. თუ თვალსა და მზეს შორის არსებული სინონიმური დამოკიდებულებით ვისარგებლებთ, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ცნობიერებაში მზე ორივე საწყისის – კონსტრუქტიულისა და დესტრუქტიულის გამაერთიანებელი იყო. ამას მოწმობს ბორჯლალის, როგორც მოძრაობის სიმბოლოს, ერთ-ერთი სახრისიც, რომლის თანახმადაც, მზე მოძრაობაა, თანაც არა მხოლოდ სახიერი გადაადგილება, არამედ ყოფნიდან არყოფნამდე და არყოფნიდან ყოფნამდე მოძრაობის განსახიერება, სიცოცხლის „მარადიული და გარდუვალი დაბრუნებას“ სიმბოლო. ვერა ბარდაველიძის მიერ საქართველოში მზის კულტის შესახებ დასახელებულ კვლევებში მზის ღვთაებისა და მის თანმხელებ სულთა მიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი მოქმედებაც არის მითითებული. შესაბამისად, გრძნობადი სიცოცხლის შობასთან ერთად, სიკვდილიც ‘იბადება’.

მზის სიმბოლიკასა და გარდაცვალების კულტს შორის კავშირი ჩვენი მცირე სამუზეუმო კვლევითაც დადასტურდა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ისტორიის მუზეუმის ოქროს ფონდში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი სამარხებიდან ექსპონირებული ნიმუშები. ქართულ ორნამენტში მზის სიმბოლიკის აქტუალურობა და მისი წამყვანი თემის სახით არსებობის

ფაქტი გრძნობადი ყოფიერების ფენომენის აბსტრაქტულ-სიმბოლური გააზრების, უკეთ თუ ვიტყვით, გრძნობადად ასახული ინტეიციის საკმაოდ აღრუელ საფეხურზე მიგვანიშნებს. მეტიც, საქართველოს ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის ძეგლთა აღმოჩენისთანავე, პირველი გამჭოლი პლასტიკური „იდეა“, რომელიც აქ ნაპოვნ ნივთებს ეპოქიდან ეპოქმდე გასდევს, სწორედ მზის, როგორც სიცოცხლის საწყისისა და, იმავდროულად, ადამიანის მიერ სიცოცხლის გრძნობადი აღქმის სიმბოლოს „იდეა“. მზე სიცოცხლის, ყოფიერების ღვთაებაა. შეიძლება ითქვას, მზე ადამიანური ყოფიერების ღმერთი იყო, რომელიც დროსა და სივრცეში ადამიანის სიცოცხლის, თვითგანახლებისა და თვითშენარჩუნებისადმი მისწრაფებას წარმოადგენდა; ასახავდა რა მზისქვეშეთში დროის ციკლით დიფერენცირებულ ყოფიერებას, ის დროსა და სივრცის თაობაზე ადამიანთა წარმოდგენების სიმბოლური გამოხატულება იყო.

როგორც აღინიშნა, მკვლევართა აზრით, საქართველოში მზის კულტი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა საერთო მითოლოგიურ პანთეონში. ვერა ბარდაველიძე მზეს ‘მორიგე ღმერთის’ შემდეგ მეორე ცენტრალური მნიშვნელობის მქონე ღვთაებად მიიჩნევს. ვიქტორ ნოზაძე კი თვლის, რომ ის მთავარი და უზენაესი ღმერთია. მით უფრო, რომ მზის სიმბოლური გლობალიზმი, მისი საზრისის საყოველთაობა ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს. მზის მთავარმერთობის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად ნოზაძეს ეხნატონის მიერ ეგვიპტეში დაარსებული ატონის კულტი მოჰყავს. სააინტერესოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ არქოლოგიურ ნიმუშებში მზის სიმბოლიკას როგორც დეკორის, ისე დრამატული მითოლოგიური სცენებისა და ცალკეული სიმბოლოების სახით განსაკუთრებული (თუ წამყვანი) ადგილი უკავია. აქედან გამომდინარე, ამ ნიმუშებს დაკრძალვისა და გარდაცვალების რიტუალთან, საიქიო და სააქამ ცხოვრებაზე სხვადასხვა ეპოქებში გავრცელებულ რწმენა-წარმოდგენებთან აქვს კავშირი. ისინი ყოფიერების საზრისზე და მზის ფენომენში ამ საზრისის ასახვაზეც „მოგვითხრობენ“. სიკვდილი და სიცოცხლე, გზა ერთი სამყაროდან მეორეში – აი, ის თემა, რომელიც სამაროვანთა რიტუალური აღკაზმულობის სიმბოლურ შინაარსს წარმოადგენს. დაკრძალვის კულტი ერთ-ერთი უდიდესი ნაწილია ეთნოგრაფიულ ყოფაში ასახული ერთიანი მითოსური მსოფლადქმისა. „სტიქსი“ თავისი ცენტრალური საზრისობრივი სიმბოლოთი დაკრძალვისა და საიქიო

მოგზაურობის თემატიკასაც უკავშირდება, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ამ სპექტაკლში ასახული მითოსური სიმბოლოები და ასაციაციები ჩვენი არქეოლოგიური „წიაღსვლების“ შედეგად გამოტანილ დასკვნებს შევადაროთ. ცნობილია, რომ ფრონიდს არაერთხელ შეუდარებია არქეოლოგია ფსიქოანალიზისთვის და სინაულიც გამოუთქვაშს, რომ სიტყვა „არქეოლოგია“ ამ სიძველეთა „გამთხრელი“ მეცნიერების კუთვნილ სახელად იქცა და არა სულის „გათხრებით“ დაკავებული მეცნიერებისა. სიღრმის ფსიქოლოგია ხომ ანალოგიური მეთოდით იკვლევს თავის საგანს! მართალია, ჩვენ მხატვრული მოვლენის საზრისის ‘არხეს’ ვეძებთ, მაგრამ ანალოგიას საკაციობრიო სულიერი კულტურის ისტორიულ განვითარებასა და თუნდაც ერთი ნაწარმოების ფარგლებში მის ევოლუციას შორის აქვს არსებობის უფლება.

წერილში კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპების შესახებ იუნგი ამბობს: „ევლურისათვის არ კმარა მხოლოდ მზის ამოსულისა და ჩასვლის ხილვა, — გარე სამყაროზე მსგავსი დაკვირვება, ამავე დროს, ფსიქიკური მოვლენებიც უნდა იყოს, ესე იგი, მზის მეტამორფოზები, იმავდროულად, ღმერთისა და გმირის ბედსაც უნდა წარმოადგენდეს, რომელიც, საქმე საქმეზე თუ მიღვა, ადამიანის სულში ბინადრობებენ“.¹ როგორც ვხედავთ, იუნგი მითოლოგიას ღვთაებრივი ყოფიერების ფსიქიკურ რეალობად აღქმულ სინამდვილედ თვლის. თუმცა, აქვე უნდა დავძინოთ, რომ იგი ღმერთის ცნებას განიხილავს, როგორც აუცილებელ ფსიქოლოგიურ ფუნქციას, „რომელიც თავისი ბუნებით ორაციონალურია: თავად ღმერთის არსებობის შესახებ კითხვასთან მას არაფერი საერთო არ აქვს. იმიტომ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ადამიანის ინტელექტი ვერასოდეს შეძლებს; უფრო ნაკლებად შეიძლება ეს ფუნქცია ღმერთის არსებობის რამეგვარ მტკიცებულებად გამოდგეს“.² იუნგი ფიქრობს, რომ ღმერთის იდეა არქეტიპულია, ის უცილობლად არსებობს ყოველი ადამიანის ფსიქიკაში, მაგრამ ეს არ გვაძლევს საშუალებას, რომ ჩვენი ფსიქიკის ფარგლებს გარეთ ღმერთის არსებობა დავასკვნათ. თუმცა, ღმერთის ფსიქოლოგიური იდეა აბსოლუტურად რეალური და უნივერსალურია, ამაში ძღვომარეობს ყველა რელიგიის ფსიქოლოგიური სიმართლე.

¹ Йონг К., *Архетип и символ*, გვ. 99.

² იქვე, გვ. 108.

მაშასადამე, ღმერთი იუნგთან ფსიქიკის ფაქტორია. ფსიქიკის გარეშე მისი არსებობა ინტელექტისათვის ღიად რჩება. იუნგი ნუმიოზური სულის ორ „სტიქიურ“ მდგომარეობას განასხვავებს. პირველი მდგომარეობა რელიგიური სიმბოლოებით მდიდარ ეპოქებს განეკუთვნება. რეფორმაციის მიერ სიმბოლოებზე განხორციელებულმა შტურმმა წმინდა სიმბოლოთა დამცავი კედელი დააზიანაო, ამბობს იგი. სიმბოლოები გამოლვიძებული გონიერი მიერ უარიყოფა. ელადისა და რომის ღმერთები იმავე სენით იღუპბოლნენ, როგორც ჩვენი ქრისტიანული სიმბოლოებიო. და მაშინ, „როდესაც ქრება ჩვენთვის კანონიერად განკუთვნილი მეტკვიდრეობა, ჰერაკლიტეს კვალდაკვალ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სული თავისი ცეცხლოვანი სიმაღლეებიდან ეშვება... და დამძიმებულ წყლად იქცევა, ხოლო ინტელექტი, მისი ლუციფერული სიამაყით, სულის ტახტს იკავებს... სული უკვე ზემოდან კი აღარ გვევლინება ცეცხლის სახით, არამედ ქვემოთ არსებობს როგორც წყალი... სულის გზას, რომელიც დაკარგულ მამას დაეძებს, წყლისკენ მივყავართ, ამ ბნელი სარკისკენ, რომელიც სულის საფუძველში ძვეს“¹.

„მაპაბპარატის“ ეპონის მიხედვით, ბრაჟმა კვერცხიდან, ოქროს ჩანასახიდან დაიბადა, რომელიც პირველქმნილ წყლებში ცურავდა. ოქროს ჩანასახის, როგორც მზიური საწყისის ერთ-ერთი გამომსატველისა და წყლის კავშირი ჩვენს სპექტაკლში მზერისა და „სტიქსის“ ანუ ცეცხლისა და წყლის კავშირსაც გაგვახსენებს. ამავე დროს, იუნგის მიხედვით, აქ სულის ორ რეინკარნაციას შორის კავშირიც შეინიშნება. მაშასადამე, სიტყვა „სტიქსის“ საზრისობრივ ველში კიდევ ერთი – თავად სულის ყოფიერების ფორმის მნიშვნელობა შემოვიდა. ჩვენ მიერ აგებული წინასწარწვდომის თეორიიდან „სტიქსში“ ჩვენ წინაშეა გზა, რომელიც მზირიდან, მზიდან, თვალის მზიური ნათლიდან „დაცუმული სულის“ წიაღისკენ მიემართება. „ეტყობა, მარად დაღმართ მიმავალი წყლების გეზს უნდა დავადგეთ, რათა ამოვილოთ საგანძური, მამათა უძვირფასესი მეტკვიდრეობა...“; „ღმერთები დროდადრო იმიტომ კვდებან, რომ ადამიანები უეცრად აღმოაჩენენ, რომ მათი ღმერთები აღარაფერს ნიშნავენ, ადამიანის ხელით არიან შექმნილნი და სრულიად უსარგებლონი გახდნენ. სინაძვილეში კი მხოლოდ ის ირკვევა, რომ ადამიანი უბრალოდ აღრე არასოდეს დაფიქრებულა ამ სახეთა არსზე. და როდესაც

¹ Йონ კ., *Archetyp und Symbol*, გვ. 105.

ფიქრს იწყებს, საშველად იმას მოიხმობს, რასაც „გონებას“ უწოდებს და რაც, სინამდვილეში, მხოლოდ მისი ახლომხედველობისა და ცრურწმენების ჯამია“¹!

ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტიქსის სიმბოლოში „წყლადქცეული“ სულის სახეც იგულისხმება – ყველაზე ფუძისეული, სიღრმისეული სიმბოლო, რომელიც სიცოცხლის უკანასნელ მიჯნასაც განასახიერებს.

სტიქსის, როგორც „წყლის“ კიდევ ერთი თვისება თუ საზრისი – მისი რეფლექტური საზრისი უნდა გავიხსნოთ: წყლის ზედაპირი იგივე სარკეა, რომელშიც ცქერა საკუთარი თავის ხილვის საშუალებას გვაძლევს. მაგრამ, არავინ იცის, თუ როგორ გამოიყურება სინამდვილეში. წყლადქცეული სულის სარკეს, იუნგის მიხედვით, მისნური თვისებები აქვს. წყლისა და სარკის მისნური თვისებები სახალხო მისნურ რიტუალებშიც უხვად მოიძებნება. წყლით, სარკითა და სანთლით სხვადასხვა ჭობინაციაში მკითხაობის მრავალი ხერხია ცნობილი. ადამიანები წყალსა და სარკეში საკუთარ ბედისწერას ემბენ, თავისი მეორე ნახევრის² ხილვა სურთ. ეს იუნგის მოძღვრებასთანაც საინტერესო პარალელს ქმნის, რადგან მისი ოთორიის თანახმად, მამაკაცის სულის ქალურ ნაწილს ‘ანიმა’ ჰქვია. ანიმა ხშირად სიზმრებსა და ხილვებში სხვადასხვა სახით ეცხადებათ ხოლმე მამაკაცებს, რითაც არაცნობიერი მათ ფსიქიკური ბალანსის დარღვევის შესახებ ‘ატყობინებს’. ქალების სულის მამაკაცური საწყისი – ‘ანიმუსი’ ქალის სულის მიმართ ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს. თუ სარკესა და წყალზე მკითხაობის წესს იუნგის თვალთახდებით განვიხილავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ბედის მაძიებელი საკუთარი სულის ფარულ, საპირისპირო სქესის მქონე საწყისს ნახულობს. „ის, ვინც წყალთა სარკეში იცქირება, პირველ რიგში, თავის ანარეკლს ხედავს. საკუთარი თვისებენ მიმავალს საკუთარ თავთან შეხვედრის ხიფათი ელის. სარკე არ მლიქვნელობს, ის პატიოსნად აირეკლავს იმ სახეს, რომელსაც ჩვენ არასოდეს ვაჩვენებთ მსოფლიოს და პერსონის, მსახიობის ნიღაბქვეშ ვმალავთ. სარკე ჩვენს ნამდვილ სახეზე მიგვითითებს. ასეთია სიმამაცის გამოცდა სიღრმისაკენ სავალ გზაზე... აუცილებელია, საკუთარი თავი შეიმეცნ, რათა ამით შეიტყო, ვინ ხარ სინამდვილეში. ამიტომაც, ვიწრო კარს მიღმა ის მოულოდნელად უსასრულო სივრცეს

¹ ЮНГ К., *Архетип и символ*, გვ. 111-112.

აღმოაჩენს, გაუგონრად განუსაზღვრელს, სადაც არ არსებობს შიდა და გარე, ზედა და ქვედა, აქ თუ იქ, ჩემი თუ შენი, სიკეთე თუ ბოროტება. ასეთია წყლების სარკე, რომელშიც თავისუფლად ზეობს ყოველი ცოცხალი. აქ იწყება ყოველი ცოცხლის სულის მეფობა, სადაც „მე“ განურჩევლად არის ისიც და ესეც და სხვაც, სადაც „მე“ განვიცდი სხვას ჩემში და სხვა განმიცდის „მე“-ს თავის თავში...¹ იუნგის ეს განსაზღვრება გროტოგსკის სურვილს გაგახსენებს, რომელსაც სურს, წაშალოს ზღვარი მე-სა და შენ-ს შორის, ის ეძებს ერთიანი სიცოცხლის საფუძვლებს – იმავე კოლექტიურ გარეპერსონალურ ყოფიერებას.

როგორც უკვე ითქვა, სტურუას „სტიქში“ წყალთა სარკეში’ ცქერის იუნგისული „რიტუალი“ ორმაგ დატვირთვას ატარებს – თავად რიტუალურის ანუ ერთიან წიაღში ჩაძირვისა და გაერთიანების და „სულის ჭეშმარიტების“ ხილვის, „საგანმურის“ ანუ „ნაყოფის“ ამოღების დატვირთვას. პროცესი რეზულტატზეა გათვლილი, ჭვრეტა და რეფლექსია შემეცნებას ესწრაფვის. მერაბ მამარდაშვილისა არ იყოს, ცოდნის შეძენა ერთჯერადი აქტი არ არის, ის მარადი პროცესია და ადამიანს „სულიერი შრომა“ სჭირდება, რომ ცოდნის ველში მოხვდეს და მიხვდეს მის საზრისს. „სტიქსი“ ერთდროულად ცოდნის ველში შესვლისა და ამ ველის შექმნის საშუალებაა. ის მოძრავისა და უძრავის დიალექტიკური ერთობლიობაა, სიცოცხლის დენადობისა და მისი აბსოლუტური საწყისის ერთიანობის ინტუიციაა.

ჩვენს მსჯელობაში სტიქსის, როგორც მდინარისა და სიმბოლოს, რამდენიმე საზრისი გამოიკვეთა – ის არის გარდაცვლილთა მდინარე, „წყლადქცეული სულია“, სარკეა, რომელში ჩახედვითაც ადამიანი საკუთარ ანარეკლს ხედავს. ამასთან, ის მიწიერი ყოფიერების ბოლო მიჯნისა და მარადიული მოძრაობის სიმბოლოა. შეგვიძლია დავამატოთ: „სტიქსი“ ორი სამყაროს შეხვედრისა და სულთა საყოველთაო თავმოყრის ადგილია. ეს თუ სხვა დამატებითი საზრისები სპექტაკლის წინასწარგაგებისათვის საჭირო საზრისობრივი ველის ერთ ნაწილს ქმნის და თავად სპექტაკლის ქსოვილში შესვლისთვის შეგვამზადებს.

ჩვენ წინაშე სულის მოგზაურობაა, რომელმაც თავისი „დაცემული არსი“ უნდა შეიძენოს და წყალში ცეცხლი განჭვრიტოს,

¹ Йორг К. Архетип и символ, гл. 101.

„დაოსიზმის წყლის დრაკონია, იანია, ინის წიაღში მიღებული“.
ისევე, როგორც „ლამარაში“, მზის მიწაზე რენგარნაციაა, რომელიც
მას თავისი საკრალური არსის მისაწვდომად სჭირდება, ‘ლვთაებისა
და ადამიანის’ თანამშრომლობაა და ერთობლივი თვითშემეცნება.
ხოლო სულის საგანძურის სახელწოდება, რომლის საძიებლადაც
სტიქსის წყლებში ევრიდიკეს მაძიებლი ორფეოსივთ ვეშვებით,
ქოროს ერთიან ხმოვანებაში პერიოდულად „აუღერებულ“ შეძანილში
გაისმის: სიყვარული, სიყვარული...

ზემოთქმულის ანალიზს მივყავართ დასკვნამდე: „სტიქსის“
მითოსი თუ ნარატივი, მისი ჰერმესული სული „ჰადესში“ მიგვიძლვება,
რათა იქიდან, როგორც ორფეოსებმა, ევრიდიკე – სიყვარული
ამოვიყვანოთ. ჩვნთან ერთად „აბსოლუტური სულიც“ მოგზაურობს,
რომ საკუთარი თავი იპოვოს და შეიმეცნოს. ფაქტობრივად, ამ
მოგზაურობას ერთდროულად „შემოქმედებით“ და „მაკურნებელი“
დანიშნულება აქვს. თანაც, თუ გავიზიარებთ „ცეცხლოვანი მზიური
სულის“ ადამიანის გზით ბუნებაში თვითპროექციის, ბუნებად
გარდასახვის ვერსიას, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი ბუნებაში
’ღმერთის’ ერთადერთი კარიბჭეა. მხოლოდ ადამიანის საშუალებით
შეიმეცნებს და შეიგრძნობს აბსოლუტი საკუთარ თავს. რაც შეხება
ადამიანს, ის ღმერთისა და საკუთარი თავის ანუ თავისუფლების
მარადიულ ძიებაშია. აქ თავისთავად იბადება ნაწილობრივი
ასოციაცია ჰეგელის მოძღვრებასთან აბსოლუტური სულის მიერ
ადამიანის საშუალებით საკუთარი თავის გაცნობიერების შესახებ,
თუმცა, იუნგის მიხედვით, სულის ბუნებად ქცევა მისი დაშვებაა და
არა მხოლოდ განვითარების ეტაპი. ფაქტობრივად, იუნგი ბუნებად
ქცეულ სულს დატყვევებულ სულად წარმოგვიდგენს, რომელიც ამ
ბორკილებისგან გათავისუფლებას ესწრავის.

სკექტაკლის სცენურ გაფორმებაში, რომელიც, წარმოდგნის
ერთიანი პლასტიკური გადაწყვეტის მსგავსად, ძალზე ლაკონიურია,
მესამე სტიქიური საწყისიც იკითხება – მიწის სტიქია,
რომელიც ძველი მაცივრის გამოღებული კარიდან მოხეთქილა.
მიწაც, წყლის მსგავსად, ინია, რომელიც იანთან – ცეცხლოვან
საწყისთან შეთანხმებით მიწიერი ცხოვრების დუალიზმს ქმნის.
ეს სცენოგრაფიული მეტაფორა სამყაროს დუალური ორგანიზების
ერთ-ერთ ძირეულ კომპონენტს წარმოგვიდგენს – მიწიერ საწყისს,
რომელიც მსოფლიო მითოლოგიაში ქალურ ქტონიურ საწყისთან

იგივდება. სპექტაკლის პირობითად პერსონაჟული ქსოვილი პირველელემენტთა ქალურ ძელელრობით ‘შხარესაც’ ასახავს.

„სტიქსში“ წარმოდგენას მაყურებლის მზერა „იწყებს“. ეს შემოქმედებითი მზერაა. მსახიობთა გამოჩენაც (მათი არყოფნიდან გამოხმობა) სწორედ ამ მზერით არის გამოწვეული. თავდაპირველად მაყურებელი დარბაზის სივრცეს შესცექრის,¹ ცარიელ სივრცეს, რომელსაც თვალი უნდა შეაჩინოს და მის დასასახლებლად მოემზადოს. დარბაზი ღრმაა, ის თვალს გავაკების, გავრცობის, წარმოსახვის პერსპექტივაში გააქტიურების საშუალებას აძლევს. მალე მზერა სიღრმეში კედელთან განლაგებული დეკორაციის ელემენტებს აღმოაჩენს. ბოძზე კაცი-მანეკენი „მიმღრება“ და „შეშფოთებით“ დასცექრის ბოძის ძირას მიმავალი შავი მგლისა თუ ძალლის ფიგურას.

სხვათა შორის, „ღვათებრივი კომედიის“ მეშვიდე სიმღერაში პლუტოსი – სიმღიდოის ანტიკური ღმერთი – დემონად ქცეულა და ჯოვანხეთის მეოთხე წრეს დარაჯობს. დანტე მას „დაწყევლილ მგელს“ უწოდებს. პირველ სიმღერაში ძუ მგელი სიხარბის სიმბოლოდ გვევლინება. საინტერესოა, რომ სპექტაკლის დეკორაციის მგელი განზე გარბის, პირი კედლისკენ აქვს მიქცეული. ეს განზე სწრაფვა, შესაძლოა, რეჟისორის გაუცნობიერებელ სურვილად აღვიქვათ, რომელიც „ღვთაებრივი კომედიის“ რეალიებიდან წასვლის, გათავისუფლებისკენ სწრაფვაში მდგომარეობს. თუმცა სპექტაკლის, ასე ვთქვათ, მეორე ნაწილის სიმბოლურ რეალიებში სიხარბის სამი განხორციელება შემოდის, რომელთა გამოჩენას მრისხანების ფაზის დადგომა მოსდევს, რაც დანტეს ნაწარმოებში პოეტისა და ვირგილიუსის მეზუთე წრეში გადასვლის მაუწყებელია. ამ წრეში სტიგიური ჭაობებია, რომლებშიც მრისხანენი არიან „ჩაშვებულნი“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სცენის მარჯვენა ფლანგზე დიდი თეთრი მაცივარი დგას. მაცივრის კარი გამოღებულია, თითქოს ქვიშისა და ნაშალის შიგნიდან მოწოლილმა ტალღამ გამოხსნაო. დარბაზის სიღრმეში, უკანა კედლის ცენტრალურ ნაწილში, რეალურად არსებულ აივანზე გამავალი კარია. ეს კარი დეკორაციის ნაწილად წარმოგვიდგება და სცენის სიღრმეში მზერის მოგზაურობას მომავლის ხედვის, სადღაც, სხვა სამყაროში გამავალი კარიბჭის რწმენით

¹ აქაც და შემდგომაც მხედველობაში გვაქს სპექტაკლის თავდაპირველი დადგმის ადგილი – რუსთაველის თაქტრის თეთრი სპორტული დარბაზი.

ახალისებს. ამასთან, კარი შეუმეცნებადის ზღვრის სიმბოლოდაც იქცევა, რომლის იქით წარმოსახვის ძალაც ვეღარ აღწევს და სადაც „თავის თავში არსებული საგნის“ საუფლო ძევს. გვერდითა კედლების გასწვრივ, არათანაბარი ინტერვალებით, სარკისებური ზედაპირის მქონე არასწორი ფორმის ლითონის ფარები აწყვია, ხოლო უკანა კედლითან სკამების რიგი მოჩანს. მზერას საკამო დრო ეძლევა იმდისათვის, რომ ამ სიმბოლოთა და საგანთა შორის „იმოგზაუროს“. სამოქმედო სივრცე მაყურებლის შინაგან შემოქმედებით აქტივობას არის მინდობილი. ეს შემოქმედებითი აქტივობა კი ხედვითა და ხილვით იწყება. ესთეტიკა თეატრალურ ხელოვნებას დრო-სივრცის ხელოვნებათა რიგს მიაკუთვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ფორმალური არსებობის აქტუალიზაციისათვის აუცილებელია ფიზიკური დრო და სივრცე. მაგრამ ფიზიკური დროისა და სივრცის მიღმა თეატრის მიერ შექმნილი თეატრალურობის სივრცე და დრო იმაღლება. სწორედ ამ დროისა და სივრცის შექმნის თანამონაწილე ხდება მაყურებელი. ფაქტობრივად, ის „თვითონ“ ქმნის სანახობას და თვითონვე ახდენს სცენაზე ადამიანის ყოფიერების დროულ-სივრცული მოდელის ეტაპობრივ პროექციას. ის თავის თავს ჭვრეტს და სწავლობს. პროექციის აქტი მზერით იწყება და დროს ანუ მოვლენის მსვლელობის „ადგილს“ წარმოშობს. სწორედ მზერის კვალდაკვალ, უკვე მზერის მიერ ათვისებულ და შექმნილ სამყაროში შემოდის მუსიკა, როგორც უკვე შემდგარი შემოქმედებითი აქტის აღმნიშვნელი ნიშანი, როგორც მოვლენის დაბადების მოწმე, მაცნე და თანმხლები მოვლენა. აქ უფრო შორისაც შეიძლება წასვლა და იმის თქმა, რომ დრო და სივრცე, ფაქტობრივად, სხვადასხვა გრძნობის ორგანოთი აღქმული ერთი და იგივე გრძნობადი „პრაფენომენია“. თეატრალური დრო-სივრცე ის პირველი და ძირითადი პერსონაჟია, რომელშიც ადამიანის, როგორც არსის, შესაძლებლობა რეალიზდება.

ასეთია სპექტაკლ სტიქსის „ფიქტიური შემყვარო“ სამყარო. ეს ის უნივერსუმია, რომელშიც „სტიქსში“ ამოკითხული კონცეფციიდან გამომდინარე, უნდა წარიმართოს ადამიანის, როგორც ასეთის, ეგზისტენციური სვე-ბედი.

რამდენად გვაქვს უფლება, რომ რეჟისორის კონკრეტული ფორმალური დასტურის გარეშე ჩვენ მიერ ზემოთ მოთხოვთ მის ცნობიერ ნააზრევად განვიხილოთ? რა თქმა უნდა, როდესაც რობაქიძის თუ იუნგის სიმბოლურ-ძეტაფორულ ნააზრევს მივმართავთ,

არავითარ შემთხვევაში არ ვგულისხმობთ იმას, რომ რეჟისორი სწორედ ასეთი მეტაფორული სახეებით აზროვნებდა, სწორედ მზერისა და მზის ანალოგიას იყენებდა და ა. შ. ჩვენ საქმე პრინციპები და არა ბუკვალურ მიღვომებთან გვაქვს. რაც შეეხება კოლექტიური არაცნობიერის ფენომენის „სტიქსთან“ დაკავშირებას, ვფიქრობთ, თავად რეჟისორიც, სპექტაკლზე მუშაობის პროცესში, მხატვრული შემოქმედების არაცნობიერ საწყისებზე დამოკიდებულების ფენომენზე ფიქრობდა.

„მუშაობის შედეგად გამოვიდა რაღაც ისეთი, რაც რეჟისორის მაინცდამაინც აღარ ჰგავს. ასე ხშირად ხდება: რაღაც ერთის კეთებას იწყებ, მაგრამ პროცესის ლოგიკას სხვაგან მიყავშარ. და მე მომწონს, როდესაც ასე ხდება. „ცოცხალ“ ცხოვრებას თავისი კორექტივები შემოაქსეს. ჩვენ ყანჩელის მუსიკას მივყვებოდით, ხოლო სად მივედით, თქვენთვის მომინდვია განსასჯელად“, – ამბობს სტურუა მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში.¹ რეჟისორის ამ სიტყვებში კარგად ჩანს, რომ ის პროცესის სპონტანურობაზე, მის „ავტომართველობაზე“ საუბრობს. მეტიც, სტურუა კოლექტიური ფსიქიკური პროცესის უწყვეტობას გულისხმობს, რომელიც ყოველ წამს ზემოქმედებს ხელოვნების ნაწარმოების დადგმისა და მისი შემდგომი სიცოცხლის პროცესზე. მისთვის ხელოვნება ღია სისტემაა, რომელიც ერთიანი ცხოვრების მუდმივი მდინარების მხრიდან განუწყვეტლივ განიცდის კორექტივებს. ეს იყო სელა ყანჩელის მუსიკის კვალდაკვალ, ხოლო მუსიკამ, ყველაზე არასახვითმა და ყველაზე ფსიქიკურმა და უსხეულომ ხელოვნებათა შორის, სცენაზე მოქმედების ისეთი რიგი წარმოშვა, რომლის მომსწრეული და თანამონაწილეც ხდება სპექტაკლზე მისული მაყურებელი.

